



მეორე გამოცემა

ჯემალ ხაჩიძე

ლაგოდეხის ისტორიის ციფრები და ფაქტები

2020 წელი



ჯემალ ხაჩიძის განათლება და სამუშაო გამოცდილება

1964 წ. თებერვალი	ყვარლის რა-ნის კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორი
1965-1967 წწ.	ლაგოდეხის რ-ნის კომკავშირის რაიკომის II მდივანი
1967-1974 წწ.	ლაგოდეხის რ-ნის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი, პარტიის რაიკომის ბიუროს წევრი, კომკავშირის ცეკას წევრი
1974-1978 წწ.	ლაგოდეხის პარტიის რაიკომის განყოფილების გამგე
1978-1980 წწ.	ლაგოდეხის რ-ნის აბრეშუმის წარმოების დირექტორი
1981-1985 წწ.	ლაგოდეხის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რაიონის მთავარი აგრონომი
1985-1987 წწ.	ლაგოდეხის ეთერზეთების მეურნეობა – ქარხნის დირექტორის მოადგილე და დირექტორი
1987-1997 წწ.	საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი
1993 წლიდან	შპს „იმერის“ დირექტორი
1997 წლიდან	ლაგოდეხის „მეთამბაქოების მეწერმეთა კავშირის“ თავმჯდომარე
1987 წლიდან	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი
2007 წლიდან	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, გამოქვეყნებული აქვს 32 სამეცნიერო შრომა
2014 წლიდან	ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ყვარლისუბანი 2014“ თავმჯდომარე

ვისაც ვუყვარვარ, მეც მიყვარს,
ვისაც ვპულვარ, ისიც მიყვარს,
იმიტომ რომ ისიც ჩემიანია,
მერე რა მოხდა, რომ ვპულვარ,
კაცია და გუნება.

მიყვარს ის კაციც იმიტომ,
მას მეტი არ ეხერხება, მან ისიც არ იცის,
რომ მოვა სიკვდილი უჩინო,
ორთავეს ერთად აგვეყრის იარას,
გავფრინდებით და ფრი...

ისე, როგორც ნაწვერალზე აფრენილ ხოხობს
რომ მოხვდება გაფანტული საფანტი,
ჩამოვარდება და ეს იყო მისი ბოლო გაფრენა,
ასე ვართ ჩვენც, გავფრინდებით და ფრი...
ამიტომ უნდა გვიყვარდეს და არა გვპულდეს.

ჯემალ ხაჩიძე

წიგნის ავტორი ჯემალ ხაჩიძე დაიბადა ლაგოდეხის რაიონში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, წლების განმავლობაში მუშაობდა ლაგოდეხის რაიონში კომკავშირულ, პარტიულ, სამეურნეო ხელმძღვანელ თანამდებობებზე. შრომით საქმიანობასთან პარალელურად, დაუსწრებლად სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირატურაში, სამეცნიერო ცდებს აწარმოებდა „მეცხოველეობის საკვები ბაზის შექმნის საკითხებზე“ ლაგოდეხის რაიონში. ასპირატურის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო შემდეგ – სადოქტორო, არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორი. 1988 წლიდან მუშაობდა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ნიადაგმცოდნეობის კათედრაზე მეცნიერ თანამშრომლად, გამოქვეყნებული აქვს 32 სამეცნიერო შრომა და ორი წიგნი.

ლაგოდეხში, როგორც საქმის პრაქტიკულად მცოდნე ადამიანმა და მეცნიერების მუშაკმა, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში რაიონში 1997 წლიდან დაიწყო ზრუნვა სოფლის მეურნეობის ისტორიულად ტრადიციული დარგის მეთამბაქოების აღდგენაზე და განახორციელა კიდევ ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატის ა.ცინცაძის დახმარებით. თამბაქოს ნედლეულის წარმოება აღადგინეს 1700 ტონამდე, იყო მეთამბაქოების მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარე, ჯ. ხაჩიძემ თავისი წარმოებული 4 ჯიშის თამბაქოს ნაზავისაგან გამოუშვა ფილტრიანი სიგარეტი „ლაგოდეხი“.

როგორც სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკი, სადისერტაციო თემებზე მუშაობის დროს, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ეროვნულ ბიბლიოთეკასა და არქივებში, პარალელურად აგროვებდა ლაგოდეხის რაიონის ისტორიულ საინტერესო მასალებს, სწორედ ეს დაედო საფუძვლად პირველი და მეორე გამოცემის წიგნებს.

როგორც აღვნიშნეთ, ბატონი ჯემალ ხაჩიძე სოფლის მეურნეობის დარგის გამოცდილი სპეციალისტია, მისი მთავარი დამსახურება ისაა, რომ შესძლო ლაგოდეხის ისტორიის მასალების თავმოყრა, 1998 წელს პირველი წიგნის და მეორე წიგნის გამოცემა 2020 წელს განახლებული მასალებით, პოლიტიკური, ეკონომიკური და ისტორიული მიმართულების ციფრებზე და ფაქტებზე დაყრდნობით.

რედაქტორები:

ანზორ ბახია – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

დავით ლომიძე – ისტორიკოსი, ლაგოდეხის აგროფირმა „კავკასიონის“ დირექტორი

შესავალი

წიგნი „ჰერეთის მადლიანი მიწა“ რომელიც გამოვეცი 1998 წელს, მას შემდეგ გავიდა 22 წელი, ბევრი რამ მოხდა ქვეყანაში; საბჭოთა კავშირის დაშლა, რის შედეგადაც 15-ე რესპუბლიკამ მიიღო დამოუკიდებლობა. საქართველოს ცხოვრებაში მოხდა დიდი ტრაგედიები: 9 აპრილი, პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ძალისმიერი მეთოდებით დამხობა და გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალება. შემდეგი პრეზიდენტის ელუარდ შევარდნაძის ძალისმიერი „ვარდების რევოლუციით“ დამხობა, წინა საუკუნეების ისტორიაში რევოლუციები ხდებოდა ხმლებით, სასროლი იარაღებით შეიარაღებული, მაგრამ ერთი ვარდის ყვავილით მომხდარი რევოლუცია 21-ე საუკუნის ისტორიაში მართლაც საგანგებოთ ჩაიწერა.

საქართველოში შემდეგაც მოხდა დიდი ტრაგედიები, 7 ნოემბერის, 26 მაისის და 2019 წლის 20 ივნისის მშვიდობიანი მიტინგის დარბევა, ახალგაზრდებზე თვალების დათხრა, 100 მდე ადამიანთა დასახინჩრება რეზინის ტყვიებით. ეს იყო ხალხის მოთხოვნების უგულებელყოფა, 20 ივნისის მშვიდობიანი მიტინგი გამოიწვია რუსი დეპუტატის სერგეი გავრილოვის გამოჩენამ საქართველოს პარლემენტის დარბაზში ტრიბუნაზე, ეს საპროტესტო მშვიდობიანი მიტინგი პარლამენტის წინ იყო არა ხელისუფლების დამხობისათვის, არამედ ხელისუფლების ორმაგი თამაშის წინააღმდეგ და ქვეყნის თავისუფლების კიდევ უფრო მოპოვებისათვის.

საქართველოს ქვეყანა 1989 წლის 9 აპრილს მეორეჯერ, რომ დაიბადა სისხლის ფასად ეს უდავოა, მაგრამ რუსთაველის ქვეყანაში, აღმაშენებლის ქვეყანაში, ბარათაშვილის ქვეყანაში 2019 წლის 20 ივნისს საქართველოს მთავრობამ თვითონ რაღატომ გაიმეორა თავისი ხალხის წინაშე მეორე 9 აპრილი. 21-ე საუკუნის საქართველოში მოდის ახალი თაობა ახალი აზროვნებით, ეს გზა მიდის ცივილიზებული ევროპისაკენ, რომელსაც ვერავინ შეაჩერებს.

წინამდებარე ნაშრომში, ჰერეთში „ლაგოდების ისტორიის ციფრები და ფაქტები“ წარმოდგენილია ბევრი ახალი, მეტად ძვირფასი დოკუმენტები საარქივო მასალების საფუძველზე და წარმოადგენს ისტორიის ძირითადი მომენტების რამდენიმე პოპულარული ფორმით ჩემი წინა წიგნის გაგრძელებას და მეორე გამოცემას. მასში განხილულია ჰერეთის ისტორიასთან ერთად 1890 წლიდან 1910 წლამდე ლაგოდების ამჟამინდელი მკვიდრი მოსახლეობის იმერეთის რაიონებიდან ჩამოსახლება.

1930 წლიდან კი აღწერილია ლაგოდების როგორც ადმინისტრაციული ერთეულის, პარტიული ორგანოს შექმნის, რაიონის ხელმძღვანელი პირველი პირების პოლიტიკური მოღვაწეების, ერისკაცებისა და სოფლის

თავაკცების მზრუნველობა ლაგოდეხის მოსახლეობის უკეთესი ცხოვრების და განვითარებისათვის. ნაშრომში წარმოდგენილია აგრეთვე მეორე მსოფლიო ომში ლაგოდეხელი მეომრების მონაწილეობა. ასევე აღწერილი გვაქვს ბოლო 30 წლის განმავლობაში რაიონის ახალი თანამდებობების პირველი პირების პრეფექტის, გამგებლების და 2019 წლიდან ახალი თანამდებობის მერის საქმიანობა.

ნაშრომი უდავოდ დიდ დახმარებას გაუწევს ყველა თაობის მკითხველს, ლაგოდეხის მოსახლეობას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რომლებსაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ან საერთოდ არ იციან ჰერეთის და ლაგოდეხის რაიონის ისტორია, რაიონის პოლიტიკური მოღვაწეების და სოფლის თავაკცების თავდაუზოგავი განვლილი სახელოვანი გზა ლაგოდეხელი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

უკეთესი ცხოვრების შექმნისათვის, საჭირო იყო უკეთესი სისტემის შექმნა, ძველიდან კარგის გადმოტანა და ახლებურად შექმნა. ამ სისტემით ქვეყნის და ხალხის უკეთესი ცხოვრება დიდხანს კიდევ ვერ მიიღწევა. ნაშრომში წარმოდგენილი მაქვს ევროპის 5 ქვეყნის პოლონეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის მიღწევები მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან უმოკლეს დროში, ასევე ერთ-ერთი პატარა ჩვენსაირი ქვეყნის ლიბიის მიღწევები.

ჩვენი ქვეყანა 30 წელია სულ მიტინგებშია, ცხოვრება მაინც ვერცერთამ მთავრობამ ვერ დაალაგა ისე, რომ ყოველდღე მიტინგები ტრანსფარატებით აღარ იყოს საჭირო, სოფლად და ქალაქად ხალხი დაადგეს მუშაობის გზას, იქმნებოდეს ეროვნული პროდუქცია, ეს უნდა გადაწყვიტოს ქვეყნის მთავრობამ, როგორ შეიძლება ქვეყანაში 7-8 წელიწადში 6 პრემიერ მინისტრი შეიცვალოს, ქვეყნის წარმატებებზე და უარყოფითზეც ვილაყამ ხომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, ქვეყნის მართვა, რაიონის მართვა, ეს მეცნიერების ერთი ურთულესი დარგია და არა ბანკის მართვა, ბანკში ფულს თვითონ ფული აკეთებს.

ვფიქრობ, ეს წიგნი ცოტაოდენ დახმარებას მაინც გაუწევს დაინტერესებულ მკითხველს და ლაგოდეხელთა ოჯახის წიგნის ბიბლიოთეკას შეემატება, როგორც ერთ-ერთი მეტად საინტერესო სამაგიდო წიგნი 21-ე საუკუნეში ლაგოდეხელთა ახლებურ ცხოვრებაზე.

მაგრამ ნურავის ეწყინება, ვისაც ლაგოდეხის მოსახლეობისათვის რეალურად არავის არაფერი არ გაუკეთებია ამ წიგნში კრიტიკულად მოხვედრა, ეს ჩემი გადაწყვეტილებაა, რადგან ისტორიას უყვარს სწორი შეფასება, პოლიტიკაში სულ ქება და ყველას ქება არ შეიძლება, ვინც არ იმსახურებს არ უნდა შეაქო. სწორედ ეს წიგნიც შექმნილია პოლიტიკური, ეკონომიკური და ისტორიული მიმართულების რეალურ ციფრებზე და ფაქტებზე დაყრდნობით.

ავტორი ჯემალ ხაჩიძე

ლაგოდენელი ამ მაღლიან მიწაზე რომ ვსახლობთ, დიდი ილია ჭავჭავაძის დამსახურებაა



წიგნის ამ ნაწილში სანამ 1890 წლიდან 1910 წლამდე ლაგოდენის ამჟამინდელი მოსახლეობის იმერეთიდან, რაჭიდან ჩამოსახლების და დასახლების ისტორიას შევხვებოდე მინდა ილია ჭავჭავაძის მოკლე ბიოგრაფია წარმოვუდგინო მკითხველს, რაც ესოდენ საინტერესო იქნება, იმისათვის, რომ ილია ჭავჭავაძე იყო

ინციატორი ამ ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის დასახლების.

მაშინდელი თელავის მაზრის სოფელ ყვარელში 1837 წლის 27 ოქტომბერს დაიბადა მომავალი დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე. ყვარელი სადაც გაატარა მომავალმა პოეტმა ბავშვობა და სიყმაწვილე, საუკუნეების მანძილზე იყო საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრების კარბჭე, რომელიც იცავდა ჩვენს ქვეყანას მომხდური მტრის ამოხრებელი შემოსევებისა და დარბევებისაგან. ამის დასტურად აქ დღემდე შემორჩენილია ძველი ციხე-გალაყნები და კოშკები.

ჭავჭავაძეთა გვარი მოდის საისტორიო წყაროებში XV საუკუნიდან, კახეთის თავადი ჭავჭავაძეები იყვნენ წინანდლისა და ყვარლის თავადები. ილია ყვარელი ჭავჭავაძეების შთამომავალია, მისი სახლ-კარი ყვარელში დღესაც დიდ მწვანე ბალითაა გალამაზებული, რომელიც ნამდვილი მშენებაა,

ილიას პირველი მასწავლებელი და შთამაგონებელი დედა ყოფილა, ილია ჭავჭავაძე წერს: მაგდანა (მარიამ) ბებურიშვილი, სანამ 1832 წელს გრიგოლ ჭავჭავაძის მეუღლე გახდებოდა, მანამდეც მისი ოჯახი ყვარელში წმინდა ქართული ტრადიციების გამტარებელი ყოფილა და ქართული ეროვნული მწერლობის გადაწერა-გამრავლებას მისდევდა. ასე რომ, როგორც ვხედავთ, ქართული მწერლობის სიყვარული ილიას თურმე დედის ოჯახიდანვე მოსდევდა. ილიას დედა სრულიად ახალგაზრდა გარდაცვლილა ყვარელში 1848 წლის 4 მაისს, მაშინ ილია 10 წლის ყოფილა. თერთმეტი წლისა მამამ 1848 წლის სექტემბერში თბილისში ჩაიყვანა და მის ცხოვრებაში დგებოდა ახალი ხანა გიმნაზიაში განსწავლის წლები.

სწავლის გასაგრძელებლად ილია თბილისის გიმნაზიის მეოთხე

კლასში შევიდა. 1852 წლის დეკემბერში, როცა ილია თბილისში უკვე გიმნაზიელი იყო, ყვარელში მამაც გარდაეცვალა. ამის შემდეგ მთელი ოჯახის ტვირთი მამიდა მაკრინეს დააწვა მხრებზე. თბილისის გიმნაზიის რვაკლასის დამთავრების შემდეგ ილიას მტკიცედ ააქვს გადაწყვეტილი რუსეთში წასვლა უმაღლესი განათლების მისაღებად.

1857 წლის ივლისში ილია ჭავჭავაძე სწავლას აგრძელებს პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილებაზე, რომელიც იძლეოდა ეკონომიკურ – ფინანსური და ადმინისტრაციული დარგების ცოდნას. ილიას დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა ოცდაათამდე ქართველი სტუდენტი. მის გარშემო შემოკრებილი ქართველი სტუდენტობა შეადგენდა იმ ბირთვს, რომელმაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ჩამოაყალიბეს „ბირველი დასი“.


სტუდენტობის 4 წელი უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის, როგორც პიროვნების, მოქალაქის, მოაზროვნისა და მწერლის ფორმირების სრულყოფისათვის, საფუძვლიანად სწავლობდა საქართველოს ისტორიას, ქართულ მწერლობას. რუსულ და ევროპულ მწერალთა მეგვიდრეობას, გატაცებით დაეწაფა რევოლუციონერ დემოკრატების ბელინსკის, გერცენის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის შემოქმედებით საქმიანობებს, რაც დაუკავშირა საქართველოში საკუთარი ხალხის პროგრესისათვის ბრძოლის მიზნებსა და ამოცანებს.

1861 წლის აპრილში ილია ჭავჭავაძემ დატოვა პეტერბურგის უნივერსიტეტი და საქართველოში გამოემგზავრა. 1863 წლის 10 აპრილს, ილია ჭავჭავაძე დაქორწინდა საგურამოს მფლობელ თავად თადეოზ გურამიშვილის ასულ ოლღა გურამიშვილზე. ამ ხნიდან მოყოლებული ილიას ცხოვრება და შემოქმედება უკვე განუყრელად არის დაკავშირებული მის სახელთან. აქტიურად მონაწილეობდა ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემაში.

1863 წლის ბოლოს, ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ, ილია ჭავჭავაძე იძულებული შეიქმნა სახელმწიფო სამსახურში შესვლაზე ეფიქრა, კავკასიის მეფისნაცვლის 1868 წლის 1 თებერვლის ბრძანებით, თავადი ილია ჭავჭავაძე დაინიშნა თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლედ, შემდეგ საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით მომრიგებელ შუამავლად აღმოსავლეთ საქართველოში. 1868-1873 წწ. მუშაობდა დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ.

1873 წლის მაისში ი. ჭავჭავაძე გამოვიდა სახელმწიფო სამსახურიდან და თბილისში გადმოსახლდა. გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო

მოღვაწემ დიმიტრი ყიფიანმა, რომელიც ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის წინამძღოლი იყო, წამოაყენა ბანკის დაარსების იდეა. ილია ჭავჭავაძე როგორც იურისტი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბანკის წესდების შემუშავებულ სხდომებში. ბანკის წესდების დამტკიცების დასაჩქარებლად და საბანკო საქმეების შესასწავლად, დავით ყიფიანთან ერთად რუსეთს გაემგზავრა.



„სწავლა, ცოდნა, მეცნიერება, დონეა იმის-
თანა, რომელსაც წინ ვერაფერი აღუდგება“.
ილია ჭავჭავაძე

ფინანსთა სამინისტრომ ბოლოს და ბოლოს დაამტკიცა თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წესდება.

1875 წლის თებერვლიდან ამოქმედდა თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი, რომელსაც მთელი 30 წლის მანძილზე 1905 წლის 23 ივნისამდე სათავეში ედგა ილია ჭავჭავაძე. პარალელურად მისი ხელმძღვანელობით გაზეთი „ივერია“ ყოველი ქართველის ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა, ფასდაუდებელია ასევე ის ამაგი, რომელიც ამ პერიოდში (1877-1885) ილია ჭავჭავაძემ დასდო ქართულ სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმეს, საყოველთაოდ ცნობილია ასევე ილია ჭავჭავაძის ამაგი, რომელიც მან ქართველ მეცნიერ მოღვაწეებთან ერთად დასდო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შექმნას.

ილიას მკვლელობა

არტურ ლაისტი გერმანელი მწერალი და ჟურნალისტი, რომელიც 1907 წლის 21 აგვისტომდე საგურამოში ილიასთან ერთად იმყოფებოდა წერს: „დაღონებული იყო, ემღუროდა სხეულის სისუსტეს, შევნიშნე ენერჯის სისუსტე და სიფიცხე, წინანდებურად აღარ ლაპარაკობდა, ღიმილი მის სახეზე იშვიათად შემიმჩნევია, პეტერბურგიდან ჩამოსვლის შემდეგ პოეტი თითქმის სულ საგურამოში იმყოფებოდა.“

27 აგვისტოს საგურამოდან ეტლით თბილისში წასვლისას დაუბარებია – დღესვე საღამოს დავბრუნდებიო. ამ დროს სოფელში დარჩენილა

მოურავი ვ.ჯაში, რომელიც მკვლევლობის გეგმას აზუსტებდა, სამშაბათს და ოთხშაბათს ილია არ დაბრუნებულა, მაგრამ მკვლევლებმა შეიტყვეს, რომ ილია ხუთშაბათს 30 აგვისტოს ბრუნდებოდა, მკვლევლები ჩასაფრებული იყვნენ წიწამურის ტყეში და ეტლის გამოჩენას ელოდნენ. დილის 10 საათზე ილია და მისი მეუღლე იმავე ეტლით, რომლითაც თბილისში ჩამოვიდნენ საგურამოსკენ გაემგზავრნენ. რაცა მისულან წიწამურის წყაროსთან, სადაც მოურავი ჯაში უნდა შეხვედროდათ. ილიას რამდენიმე წუთს მოუცდია, შემდეგ კი განაწყენებულს უბრძანებია თედო ლაბაურისთვის ეტლი დაეძრა. ლაბაურიც მოსყიდული იყო, იცოდა, რომ 15–20 წუთის შემდეგ ილიას მოჰკლავდნენ. ილიას მკვლევლობის დეტალები დღემდე კამათის საგანია. ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ილიას მკვლევლობა ჩაფიქრებული ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებსა და ბოლშევიკებს, ილიას მიერ მათი რევოლუციური გზების დაგმობისა და ხალხში მისი უსაზღვრო პოპულარობის გამო.

1907 წლის 30 აგვისტოდან 9 სექტემბრამდე გლოვის ზარი გაისმოდა საქართველოში. ქართველმა ერმა თავისი მოწიწება და სიყვარული იმით გამოხატა, რომ ილიას ნეშტი თბილისის ერთ-ერთ უწმინდეს ადგილას მთაწმინდაზე დაკრძალა. 1987 წელს საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ილია წმინდანად შერაცხა, სახელით წმინდა ილია მართალი.

ილია ჭავჭავაძის დიდი ისტორიული გზის მოკლედ წარმოჩენა ვფიქრობ ლაგოდეხელი მკითხველისათვის მეტად საინტერესოა, რადგან მისი წვლილი ფასდაუდებელია და დიდი დამსახურებაა ალაზნის მარცხენა მხარეს 1890 წლიდან ლაგოდეხის ამჟამინდელი მოსახლეობის დასახლებისათვის, რომელიც მოკლედ გვაქვს აღწერილი არსებული ისტორიული წყაროებზე დაყრდნობით.

ილია ჭავჭავაძის ასეთი სტენდი თბილისში ვაკეში ი.ჭავჭავაძის ქუჩაზე სახ. უნივერსიტეტიდან ვაკის პარკამდე ავტობუსების გაჩერებაზე 2-3 ადგილზე დგას. რადგან 2001 წლიდან ვერცერთმა გამგებელმა ვერ შესძლო ოთარი კაპანაძის და ჩემი ერთად წამოწყებული ინციატივით მოქანდაკე ნეველი ჯიქიას მიერ 10 მეტრიანი სპილენძის მასალით გაკეთებული ი.ჭავჭავაძის ძეგლის დადგმა ლაგოდეხის ცენტრში, რომელიც 20 წლის განმავლობაში ატეკის საწყობში ყრია უპატრონო. სირცხვილი ლაგოდეხის პირველ პირებს გამგებლებს დღევანდელი მერიკოთი დამთავრებული რომ დღემდე ვერ დაიდგა რაიონის ცენტრში არსებულ სკვერში, მე გადავწყვიტე და გავაკეთებ ი. ჭავჭავაძის სტენდს, დავდგამ ლაგოდეხში ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე.

ლაგოდების რაიონის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ, ხნავდნენ და თესდნენ, ვაზის ძირებს ელოლიავებოდნენ შრომის ნაყოფით ხარობდნენ, მტერს მტრულად ხვდებოდნენ და მოყვარეს მოყვრულად. უყვარდათ სამშობლოს მთა-ველი... ერთმანეთი უყვარდათ და ინაწილებდნენ ჭირსა და ლხინს. ადგილის დედა უყვარდათ და მყარად იდგნენ ოფლით შექმნილ ნოყიერ მიწაზე.

ვინ იცის აქ სოფლებს რა ერქვა ადრე, მაგრამ სოფელი იყო ხალხმრავალი და გამტანი. შემდეგ მოვიდა გადამთიელთა ლაშქარი და თანაც რამდენჯერ შეუტია აქ მცხოვრებ ხალხს, ხშირად მოძალებული მტრის შეჩერება შეუძლებელი ხდებოდა ილუპებოდნენ ვაჟაკები, იკარგებოდა გვარი.

მრავალრიცხოვან ურჯულოთა მხედრონები თელავდნენ ყანებს, ჩეხდნენ ვენახებს, ცეცხლს უკიდებდნენ სახლებს, ჟლიტავდნენ ქალებს, ბავშვებს, სოფლის ადგილები რჩებოდა ნასახლარებად და ნასოფლარებად.

მერე იქროლა დროჟამმა და საუკუნეთა მიღმა დარჩა ძველი სოფლების სახელები. ნასოფლარებზე ტყე დას ეკალ-ბარდი იყო გადავლილი, გაუკაცურდა ველ-მინდვრები, მაგრამ შემობრუნდა სამყაროს ბორბალი და ლაგოდებში კვლავ ფეხზე წამოდგა მშრომელი ხალხი აღმშენებელი. იმერეთიდან და საქართველოს სხვა კუთხიდან ალაზნანგამმა სოფლებიდან ჯერ თითო—ოროლა კაცი გადმოვიდა. ტყე გაკაფა, ქოხი ჩადგა, ახო გაწმინდა, ორი საუკუნის დაყამირებული მიწა გატეხა და მარცვალი ჩათესა.

სახლს სახლი მიემატა, კომლს კომლი და აღმოცენდა ნასოფლარებზე ახალი სოფლები. ნოყიერ მიწას მონატრებული იმერეთიდან ჩამოსული გლეხის გულმა გაიხარა და შემდეგ აღარც სურდა მწირ ადგილებში დაბრუნება. დასახლდა, გაიზარდა სოფლები, გამრავლდნენ, შრომის ფასი კარგად იცოდნენ და შრომობდნენ დაუღალავად. ერთმანეთს ეხმარებოდნენ.

ყოველი დიდი მოაზროვნის ნაღვაწ-ნააზრევი საინტერესოა არა მარტო იმ მხრივ, რომ იგი წარსულს ემყარება, ასახავს და ემსახურება, არამედ იმ მხრივაც, რომ მომავალსაც წინამორბედობს. ილია ჭავჭავაძეა სწორედ ის დიდი მოაზროვნე და მოღვაწე, რომლის მთელი შემოქმედება და მსოფლ-მხედველობა ემსახურებოდა მის დროსაც და წინამორბედობა მომავალსაც ესე იგი, ჩვენს თანამედროვეობას, აკი ამბობდა კიდევ—აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი და მამასადამე, წინამორბედი მომავლისათ.

ილია ჭავჭავაძეს სწორედ იმ დროისათვის დიდად აღელვებდა გლეხკაცის ბედი, მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. უყვარდა მათთან საუბარი; მოსწონდა მათი გულიანი სიმღერა, სიღარბაისლე, სიტყვა-პასუხი და რაც მთავარია გულგაუტეხლობა.

ილიას გული მთელი საქართველოსათვის ძვრდა, მისი თვალების სხივი საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულს სწვდებოდა და კარგად ამჩნევდა ქართველი გლეხკაცის გულისტკივილს. დღეს საყოველთაოდ ცნობილია, როგორ იფარავდა იგი თავისი ძლიერი ფრთებით გლეხობას და რა ჭეშმარიტი ჰუმანურობით ფიქრობდა მათ მომავალზე.

ილია ჭავჭავაძის მახვილ თვალს და გონებას არ გამოჰპარავია 1870-იან 1880-იან წლების იმერეთისა და რაჭის გლეხობის წუხილი და შფოთვა, რასაც მაშინვე გამოეხმაურა მისი გაზეთი „ივერია“. ღმერთმა ინება და საქართველოს მიწა-წყალს უხვად დაუბერტყა ბარაქით სავსე კალთა და სილამაზეც მას უწყალობა, მაგრამ ბარაქა ყველგან თანაბრად როდი გაანაწილა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეს მეტნაკლებად ერგო მსუყე ველმინდვრები, რაჭა-იმერეთი კომწიად მორთო, სილამაზით აავსო, მაგრამ სახნავ-სათესი. რომელიც გლეხისათვის ყველაზე მთავარი იყო მცირე არგუნა და რაც არგუნა მწირი და ძნელად მოსავლელი მთის ფერდობები იყო. . .

იმხანად მჭიდროდ დასახლებული რაჭა-იმერეთის გლეხობა იძულებული გახდა გულში ჩაეკლა მშობლიურ ტურფა მხარეთა სიყვარული მიწისა და ლუკმა-პურის საძებნელად სხვაგან წასულიყო. სულის ტკივილით მიეტიოვებინა დედა—ფუძე და აყრილიყო, აბა ღარიბ—ღატაკი გლეხობის ბედ-იღბალი ვის აწუხებდა. თავისი ბედი თვითონვე უნდა გადაეწყვიტა.

რაჭის მაზრიდან მიგრაცია XIX ს. 80-იან წლებში დაიწყო. რამდენიმე ათეული კომლი გადასახლდა ალაგირში. საშოვარზე გადიოდნენ რუსეთის სხვადასხვა კუთხეში და ჩრდილოეთ ამერიკაშიც კი. ილია ჭავჭავაძე მაშინვე შეშფოთებით გამოეხმაურა „ივერიის“ ფურცლებზე და წერდა; „ბოლო ხანებში თავი იჩინა ერთმა მოვლენამ, რომელსაც საზოგადოების ყურადღება არ მიუქცევია—ესაა მამა-პაპის ადგილიდან აყრა და სხვაგან გახიზვნა მამულების საშოვნელად. მიზეზი ყველგან ერთი და იგივეა, გამრავლება ხალხისა და ვიწროობა ადგილ-მამულისა. ისე გახშირდა 2—3 წელიწადში, რომ 1884 წლისათვის 120-ზე მეტი კომლის გადასახლდა მთელი მაზრიდან. მეტად სინანული იქნება, თუ ეს ღირსეული და საყვარელი ხალხი ჩვენს ქვეყანაში (კერძოდ საქართველოში) ვერ მოთავსდეს, ჩვენ გამოგვაკლდეს და სხვაგან დაბინავდეს“. როგორც ხედავთ ილია და მისი

„ივერია“ იქცნენ მოსარჩლედ რაჭველი და იმერელი გლეხებისა. მთავრობა კი ამ ამბავს მოყრუებით ექცეოდა, სრულიადაც არ აწუხებდა აქაური გლეხკაცის სატიკივარი.

ილია მრავალ წერილში წერდა, გლეხკაცის გამოსაფხიზებლად და მიგრაციის შესანელებლად. „დროა ყოველი ღონე ვიღონოთ, რომ ქართველობას საუკეთესო ნაწილი თავისი ქვეყნისა არ დაეკარგოს, ფეხი არ ამოეკვეთოს იმ ადგილიდან, რომელიც გულია მისი სამშობლოსი და რომლისთვისაც ორი ათასი წელიწადი სისხლი უღვრია, შეუნახავს და შთამომავლობისათვის უანდერძია“, მართლაც და ერის მამა დიდი ილია, რომ დააკავოს შვილი მშობლიურ კერაზე, არ გაუცხოვდეს, ძირფუძეს არ მოსწყდეს, ყოველნაირად ცდილობს დაუხატოს საზოგადოებას მიგრაციის საშიშროება.

გაზეთი „ივერიის“ 1887 წლის 3 სექტემბრის ნომერში ილია დიდი გულისტიკივლით აღწერს ზემო იმერეთის (შორაპნის მაზრის) გლეხობის მდგომარეობას: „ვის არ შეგხვედრიათ ზემო იმერეთის სოფლებში გზად გავლა, რომელიც რკინიგზის ლიანდაგს ახლოს მდებარეობს. თუ რამდენად ღარიბნი არიან ეს სოფლები მიწა-წყლით, ამას ისიც ადასტურებს, რომ სადღაც კლდის პირას მივარდნილ ფხეკში მიუჩიქქნია გლეხს ახლად აღებული ახო ეგებ ორი—სამი თვის სარჩო მაინც მოვიდესო, მაგრამ დაჰბერავდა აღმოსავლეთის ქარი, ზაფხულის შხაპუნა წვიმა და დამლუპველ ღვარს ადენდა ხოლმე, გლეხის საცოდავად ნათეს ყანას მთლად დახვეტავდა და ნათესებიანად მიჰქონდა. ხშირად სწევია აქაურ იმერელ გლეხს ასეთი ბედი, მაგრამ რას იზამდნენ, მეორე წელიწადს ისევ თესდნენ“. ამ წამებისა და სიღატაკის გამო იყო, რომ ბევრი ზემო იმერელი გლეხი იმერეთიდან ქვემო იმერეთში სახლდებოდა, ზოგი კახეთში მიდიოდა და იქ სახლდებოდა.

ისევ ბრძენკაცმა ნახა ბედგამწარებული იმერეთისა და რაჭველი გლეხობისათვის გამოსავალი და ამაზე თავდაზნაურთა საყურადღებოდ ერთ-ერთ წერილში წერდა: „ტფილისის, ბორჩალოს და სიღნაღის მაზრებში ჯერ კიდევ ბევრი თავისუფალი მიწა-წყალია, სახელმწიფო მამულებიც, რომ არ ვახსენოთ, მარტო თავად-აზნაურთა საკუთრება დიდძალია, თუ თავად-აზნაურობა სხვადასხვა ერის ხალხს აბინავებდნენ თავიანთ მამულებში, თვითონაც სარგებლობდნენ და იმათაც ასარგებლებდნენ, რატომ უფრო სანატრელი არ უნდა იყოს იმერეთი, მათი მოწვევა, ჩამოსახლება და დაბინავება ნამეტნავად იმ ადგილებიდან, სადაც მიწა-წყლის ვიწროობა და ჭარბობა მოსახლეობისა“ აქვე ილია მიუთითებს განსაკუთრებით კახეთის, სიღნაღის მაზრის ალაზანგალმა ადგილებს, რომ იქ ძლიერ ნოყიერი მიწებია“.

ილია ჭავჭავაძე ქართველ გლეხთა ჩამოსახლებას კახეთისა და

ალაზნის ველის მიდამოებში დიდ ეროვნულ საკმედ მიიჩნევა- 1900 წლის 3 ივნისის „ივერიაში“ ილია კვლავ უბრუნდება ამ მტკივნეულ საკითხს. გაზეთი აღწერს ჩრდილოეთისაკენ გაქცეული გლეხობის მდგომარეობას, ილია კი მაინც არ ცხრებოდა, დიდი მამულიშვილური გრძნობით შეწუხებული კვლავ წერდა: „ხალხი, რომელიც განთქმულია თავისი სამშობლოს სიყვარულით და რომელსაც არასოდეს უღალატნია თავისი მიწა-წყლისათვის, რაც უნდა გაჭირვება დასდგომოდა, ესლა მშვიდობიანობის დროს იძულებული გამხდარან დასტოვონ მამა პაპის სისხლით მორწყული ადგილები და ეძიონ ახალი სამშობლო. ამ საჭირ-ბოროტო საგნის გამო ჩვენს გაზეთში—აღნიშნავს იგი არაერთხელ ყოფილა აღძრული საკითხი, რომ უადგილმამულო გლეხობისათვის უურად-ღება მიექცათ და ჩვენივე სამშობლოშივე მიეზომათ მიწები და დაესახლებინათ“.

ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვა დიდი ილიას ბრძნულმა რჩევამ, ინიციატივამ, მონღომებამ და 1880—1900-იანი წლებიდან დაიწყო იმერელი გლეხობის ჩამოსახლება კახეთში ალაზნის ველზე, ძველი პერეთის მადლიან მიწაზე, ლაგოდების რაიონის ტერიტორიაზე, ამოი-სუნთქეს მწიარი მიწების შეიღებმა, ეს ჩამოსახლება გაგრძელდა 1910 წლამდე. ეს იყო ილიას და მისი გაზეთი „ივერის“ დიდი დამსახურება.

ილიას ამ თაოსნობით და მონღომებით საქართველოს შეუნარჩუ-ნეს შეიღები. დიდი ილია არის ერთ-ერთი თაოსანი კახეთში და ალა-ზნის ველზე ქართველ გლეხთა დამფუძნებელი, ჩვენი მამა-პაპის სუფ-რაზე პურს არ გატეხდნენ, ილია რომ არ ეხსენებინათო. ახლაც ამბო-ბენ ხოლმე ლაგოდებში. ილია 1905 წლის რევოლუციის პერიოდში რამდენჯერმე სწვევია ლაგოდებს. შეხვედრია იქ ახლად ჩამოსახლე-ბულ გლეხკაცებს და ბევრი რჩევა-დარიგებაც მიუცია. ერის მამა მართლაც ყოველთვის გვერდში ედგა ლაგოდებელ გლეხკაცებს. ამიტო-მაცაა, რომ მისი მშობლიური კუთხე ყვარელი ყოველი წლის ოქტომ-ბერში როცა ზეიმობს ილიაობას და შრომის ზეიმს ლაგოდებელი მე-გობრებიც ერთსულოვნად უერთდებიან ამ ეროვნულ ზეიმს.

ჭირშიც და ღზინშიც, სოფლებსაც თავიანთი სურვილით შესაფე-რის სახელებს არქმევდნენ. თითქოს მშრომელ გლეხკაცს მიწაც ქონდა და კირანახლიც, მაგრამ არ ქონდათ თავისუფლება, შრომით და ოფ-ლით მოწეულ მოსავლის წილი სხვას მიჰქონდა, მრავალგვარი გადასა-ხალი აღტაკებდა მათ.

მიწაც მიიღეს და თავისუფლებაც, გამოცოცხლდნენ, გახალისდნენ, გამხნვედნენ ძალა შეემატათ და უფრო მონღომებით შეეჭიდნენ მიწას, მოხნეს, დათესეს, ვაზს მოუარეს, თამბაქოს პლანტაციები გააშენეს.

საქართველოში ყოველ კუთხეს, სოფელს, თავისი ღამაზი სახელი აქვს, ლაგოდების რაიონშიც სოფელ შრომა სამართლიანად შეურქმე-

ვიათ. აქ წლიდან წლამდე ყველა ბეჯითად შრომობს. სოფელ შრომას როგორც რაიონში, ისე რესპუბლიკაში სამართლიანად ეძახოდნენ გმირთა სოფელს, 36 სოციალისტური შრომის გმირის ოჯახი ცხოვრობს აქ მეოთხე ხუთწლიანი (1946—1950) გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის, თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებისათვის 1948—49 წლებში ამ სოფლის წარმომადგენლებს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მათ შორის იყვნენ: ნიკოლოზ ზავრაშვილი, გიორგი ხუციშვილი, გიორგი მჭედლიშვილი, გაიოზ თანდილაშვილი, სერგო ბლიაძე, ნიკოლოზ სამიაშვილი, ხეთისო ბეგიაშვილი, ტიტო პათიაშვილი, ქსენია გელაშვილი, ეთერ კამარბე, ევგენია ხმალაძე, ყოფილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ერასტი სამარგულიანი და გიორგი ნატროშვილი და კიდევ მრავალი სხვა. ესენი დღეს აღარ არიან, მაგრამ ამ სოფლისა და რაიონის მშრომელი ხალხი და ახალგაზრდობა ყოველთვის კეთილად იგონებს მათ.



სურათი 9. ლაგოდების რაიონის სოფელ შრომის სოციალისტური შრომის გმირთა ერთი ჯგუფი.

ერთ-ერთი მათგანი იყო ნიკოლოზ ზავრაშვილი, 78 წლისა მისული სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია მუშაობა კოლმეურნეობაში. თვალსაჩინოდ ჰქონდა მოვლილი ერთი ჰექტარი ვენახი დღე არ გავიდოდა თავისი იმერული ტაჩკით ვენახში არ ჩასულიყო, როგორ შეიძლებოდა ასეთი გმირის ოჯახში არ აღზრდილიყვნენ შრომისმოყვარე ვაჟკაცები ლევანი და ვანო ზავრაშვილები.

ახლა სოფელ შრომაში 36 გმირიდან 1 შემორჩა ცოცხალი რომლებიც დღესაც პატიოსნად განაგრძობენ შრომით საქმიანობას და თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეაქვთ სოფლის და ოჯახის ძლიერების საქმეში.

სოფელ შრომას თავისი შედეგებით არ ჩამორჩებოდა სოფელი ცოდნისკარი. ეს სოფელი რაიონში ერთ-ერთი მოწინავე იყო, სოფელში ცხოვრობს სოციალისტური შრომის გმირის 4 ოჯახი და რამდენიმე ლენინის ორდენოსანი, მათ შორისაა მეთამბაქოე ელენე გორგაძე, მას 1969 წელს აქვს მიღებული ლენინის ორდენი თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებისათვის, ხოლო 1973 წლიდან სოციალისტური შრომის გმირია.

ეს სოფელი ამყობს იმ ადამიანებით, რომელთა მკერდსაც მთავრობის ჯილდოები ამშვენებს, ესენი არიან სოციალისტური შრომის გმირების ოჯახები ალექსანდრე გელაშვილი, ირაკლი კილასონია და შოთა ბეიტრიშვილი, ლენინის ორდენოსნები ილია ზედელაშვილი, ვლადიმერ ბატიაშვილი, ცისკო ტიელიძე, ანზორ ჯალიაშვილი. ამ სოფლის მუვენახემ, ლენინის ორდენოსანმა გერმანე ხარშილაძემ ჯერ კიდევ 1984 წელს ყურძნის სარეკორდო მოსავალი მიიღო, 2 ჰექტარ სრულმოსავლიან ზვრიდან სამშობლოს მისცა 39 ტონა ყურძენი, ხოლო 1986 წელს 43 ტონა ყურძენი მოიწია.

რაიონისა და სოფლის ახალგაზრდობა დღესაც არ ივიწყებს მოწინავე მესიმიძეს სიმონ არაბიძეს. იგი 1967 წელს, წინა სამ წელიწადში სიზინდის სარეკორდო მოსავლისათვის ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. მას კარგად იცნობდნენ როგორც საკოლმეურნეო ცხოვრების ვეტერანს, ხოლო ომის დაწყების მეორე დღესვე თავის თანასოფლელებთან ერთად ჩაება მტერთან ბრძოლაში, იბრძოდა ქერჩის მისადგომებთან. ომიდან დაბრუნების შემდეგაც კვლავ ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, ქუჩაში ყველა პატივისცემით ეგებებოდა როგორც სიმიძის თამბაქოს და რეჰანის უხვი მოსავლის ოსტატს.

დღეს ლაგოდეხის რაიონში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სოფელი გიორგეთი. 1920 წელს ჩამოსახლდა აქ ალაგირიდან და რაჭიდან რაჭველები. დღეს საამური ცხოვრება ჩქეფს გიორგეთში, რომელიც პატარა, ალაგირს მოგვაგონებს.

პერთის მადლიან მიწაზე აღორძინებული ლაგოდეხის რაიონი, თავისი შედეგებით რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე რაიონი იყო, ეს წარმატებები თავის დროზე ხომ თავისით არ მოსულა, ეს შედეგი იყო რაიონის მოწინავე მზრუნველი და გამრჯე ადამიანებისა:

1990 წლამდე რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების განკარგულებაში იყო 24102 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, საიდანაც 18340 ჰექტარი სახნავი იყო. მრავალწლიანი ნარგავები გაშენებული იყო 3433 ჰექტარზე, მეცხოველეობის ფერმებში 10 ათასზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იყო. ათასზე მეტი ღორი ჰყავდათ, კოლმეურნეობების სამანქანო-სატრაქტორო-პარკები ითვლიდა 500-ზე მეტ მძლავრ ტრაქტორს, 300-ზე მეტ სატვირთო მანქანას, 100-ზე მეტ კომბაინს, ასობით გუთანს, სათესს, კულტივატორს და ახვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს.

მდიდარი სამამულო ახალი ტექნიკის გამოყენებით კოლმეურნეობებში თითქმის მთლიანად იყო მექანიზებული კულტურების მოვლამოყვანა.

გონიერი მეურნის ხელში წარმატება ყოველთვის გარანტირებული იყო, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დავალებანი გადაჭარბებით სრულდებოდა, ჭარბი შემოსავლებით სოფლებს ყოველწლიურად ემატებოდა ახალი შენობა-ნაგებობები, სკოლები და საბავშვო ბაღები, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები, სამკურნალო დაწესებულებები, რაიონში ბუნებით ლამაზი ყველა სოფელი უფრო მშვენიერდებოდა და კეთილმოწყობილი ხდებოდა, ზოგიერთი სოფელი—გარდისუბანი, ცოდნისკარი, შრომა, აფენი, დღითიდღე პატარა ქალაქს ემსგავსებოდა, რაიონის ყველა სოფელში შექმნილი იყო ახალგაზრდობისათვის სოფლად კულტურული დასვენების და გართობის ყველა პირობა. აქ უკვე აღარ არსებობდა სოფელსა და ქალაქს შორის ანტაგონისტური სხვაობა, ამიტომაც ახალგაზრდობის 90 პროცენტი სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ რჩებოდა სოფლად.

ყოველივე ის, რაც ითქვა, შედეგი იყო სოფლის თავკაცების სწორი და გონივრული გადაწყვეტილებებისა, აგრეთვე იმისა, რომ ამ სოფლებს ომამდე და მის შემდეგაც სათავეში ედგნენ ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც ყოველთვის ფიქრობდნენ სოფლის სიკეთესა და ძლიერებაზე, ხალხის ხვალისდელ დღეზე ზრუნავდნენ: სოფელ ცოდნისკარში აკაკი ცინცაძე და გრიგოლ კაპანაძე, კალინოვკაში ლეონი ღდაბრანეცი სოციალისტური შრომის გმირი, სოფელ შრომაში გიორგი ნატროშვილი, ივანე ყაველაშვილი, სოფელ ყარსუბანში ფორე ხუცი-

შვილი, გიორგი გოგოლაძე, სოფელ ნინიგორში იორდანე აბრამიშვილი სოფელ თამარიანში რომანოზ კოჭლამაზაშვილი, სოფელ ნაინდროვალში ზინაიდა შეველუვა, ვარდისუბანში ტერენტი კაპანაძე, სოფელ ჭაბუკიანში გიორგი ჯაჯანიძე და მრავალი სხვა რომლებიც დღეს ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ რაიონისა და თვით ამ სოფლის მშრომელები მათ ყოველთვის კეთილად იგონესენ.

ლენინის ორდენოსანი ევგენი დუგმასოვი უცვლელად 38 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამეურნეო საქმეს, ბოლოს ლაგოდების კალინოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1979 წლიდან ამ კოლმეურნეობაში პირველად დაინერგა თამბაქოს ამერიკული ჯიში ვირჯინია და ახალი ტექნოლოგიით ხმობა, კოლმეურნეობა ყოველწლიურად ასრულებდა თამბაქოს წარმოების გეგმებს. აქ ამ კოლმეურნეობაში ძმურად შრომობდნენ მრავალი ერის მშრომელი ხალხი, 60 წლის ასაკში უმტყუნა მას ჯანმრთელობამ, მისი სახით რაიონს გამოაყლდა საკოლმეურნეო შრომის ერთ-ერთი ღვაწლმოსილი, გამოცდილი მუშაკი მოქალაქე, რომელიც ყოველთვის შრომისა და ახლის ძიებაში იყო.

ავთანდილ კაპანაძე, ბონდო ლომიძე, გიორგი ბეგაშვილი, გიორგი ჩანანიძე, ბეჟან სესიტაშვილი, ირაკლი ლობეჯანიძე, ალიოშა ბარბაქაძე, აკაკი ჯინჭველაშვილი, მამედ ალაჯანოვი და მრავალი სხვა ბევრი მათგანი ყოველთვის კეთილად იხსენებენ განვლილ წლებს. ეს აღამიანები იყვნენ ომის შემდგომ პერიოდიდან დაწყებული ძლიერი და სოფლის გამოცდილი საკოლმეურნეო აღმშენებლობის პერიოდის ხელმძღვანელები, რომლებიც დღედაღამ ზრუნავდნენ სოფლისა და ხალხის კეთილდღეობაზე. მათგან ავთანდილ კაპანაძემ აქ მის ცოდნით და სიყვარულით სოფელი ცოდნისკარი პატარა ქალაქს დაამსგავსა. აშენდა და დამშვენდა სოფელი. ამის შემდეგ მას რაიონის მშრომელებმა და აქტივმა დიდი ნდობა გამოუცხადეს და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს, სადაც ძალასა და ენერჯიას არ ზოგავდა ხალხის ნდობის გასამართლებლად.

ხალხს ადგილებზე მაინც უშუალოდ ყოველდღიური საწარმოო ბრიგადირის ხელმძღვანელობა და ორგანიზებულობა ჭირდებოდა, ბრიკადებს ადგილებზე, ხელმძღვანელობდნენ—ვარდისუბანში გერმანე გრიგალაშვილი და ვასო ცუცქირიძე ისინი ომის ქარცეცხლიდან დაბრუნების შემდეგ 30—35 წელზე მეტი ბრიგადირებად მუშაობდნენ, ლაგოდების კალინოვკის კოლმეურნეობაში დავით ჭიპაშვილი 37 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საწარმოო ბრიგადას, მის მკერდს ამშვენებს ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის და მრავალი მედალი, გიორგი მიხინოვი 30 წელზე მეტი მუშაობდა საწარმოო ბრიგადის ბრიგადირად. სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნი-

ობაში კი 25—30 წელზე მეტი სოფლის საწარმოო ბრიგადებს ხელმძღვანელობდნენ სოციალისტურ შრომის გმირი ალექსანდრე გელაშვილი და ლენინის ორდენოსანი ვლადიმერ ბატიაშვილი.

ჩვენი საუკუნის ტოლია ლაგოდების ერთ-ერთი სოფელი ნაენდროვლი, რომელიც გაშენებულია მდინარე კაბლის თვალწარმტაც ნაპირზე, აქ ერთმანეთის გვერდით, მუყაითად შრომობდნენ ქართველები და რუსები. ამ სოფელმა ისე იცვალა სახე, რომ ძველისაგან თითქმის აღარაფერი დარჩა. აქ 67 ოჯახი ცხოვრობდა, ბრიგადას 37 წელზე მეტი უნარიანად ხელმძღვანელობდა გამოცდილი მუშაკი, შრომის წითელი დროშის ორი ორდენის კავალერი თედო ტაბატაძე, რაიონში და რესპუბლიკაში კარგად იცნობდნენ ამ ბრიგადის მშრომელთა სასახელო გარჯას.

რაიონის მთლიანი შემოსავლის 67 პროცენტს თამბაქო იძლეოდა, რომელიც სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი და კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითადი წყარო იყო. 1986 წელს რაიონის მშრომელებმა მაღალი შრომის ორგანიზაციის სწორი მოწყობით აწარმოეს 9000 ტონა თამბაქოს ნედლეული, რომელიც აჭარბებდა რაიონის ისტორიაში წარმოებულ ზღუდეს.

ასე იყო აბრეშუმის წარმოების დარგშიც, ყოველწლიურად, რესპუბლიკაში აბრეშუმის წარმოების მთლიანი გეგმის 40%-ს ლაგოდების რაიონის მშრომელები აწარმოებდნენ.

პერეთის ამ მაღლიან მიწაზე ყოველი წლის გაზაფხული იწყებოდა ალურის და ტყემლის აყვავებით, ვაზს კვირტები ასკდებოდა, ასეთ დროს შინ უქმად რა გააჩერებდა ლაგოდებელ გლეხკაცს, მხვნელ-მთესველს, მექანიზატორს, მეთამბაქოეს, მევენახეს დილიდან საღამომდე მოუცლელი შრომა იყო გაჩაღებული და ხალხის ეკონომიკური პირობებიც სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო ყველა ოჯახისათვის.

სახნავი მიწები, რაც წლების განმავლობაში კოლმეურნეობების საკუთრებაში იყო 1996—1997 წლებში გადაეცათ სოფლის მოსახლეობას პირად საკუთრებაში, ხალხი იწყებს ახლებულ ცხოვრებას თავისუფალ საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

ჩვენ პირველი საკოლმეურნეო წყობის და ომის შემდგომი ცხოვრების მოწმენი ვართ, მაგრამ აქამდე ეს თვითონ არ მოსულა, ამას იმიტომ ვამბობთ, რომ უნდა გვახსოვდეს ყველას, რომ ვინც კარგ წინაპარს და მის შრომას არ დააფასებს არც თვითონ მას არ დააფასებენ, რომ დაგვაფასონ ღირსი უნდა იყო, ადამიანს შრომის მიხედვით და მისივე ქცევით აფასებენ.

ლაგოდების რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის მომსახურებას ეწეოდა ექიმთა დიდი კოლექტივი ომამდე, ომის მიმამდე წლებში და

შემდგომშიც: ივანე ლობჯანიძე, სტანისლავ პანკევიჩი, გიორგი ჯალია-შვილი, ივანე სულხანიშვილი, ანტონ გივიშვილი, თომა მჭედლიშვილი, ილო ზურაშვილი, პრილასი კეველიშვილი, ერასტი მამაცაშვილი, შურა ჩინბაძე, მარო კუჭაიძე, მარო ბეჟაშვილი, თამარ ჯანიაშვილი, ირინა წიკლაშვილი. გიორგი ლაბაძე, მერი წულუკიძე, გოგი ჭურაძე, ალექსანდრე ტაბატაძე, დღეს ისინი ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ რაიონის მშრომელები კეთილად იგონებენ, რომ უძილო ღამეების შემდეგ რამდენი ადამიანი და ახალგაზრდა გადაურჩენიათ და განუკურნავთ. მედიცინის ამ სახელოვანი ძველი კოლექტივიდან დღესაც ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე იღწვის ღვაწლმოსილი ექიმი მარო მახაშვილი. რაოდენ სასიხარულოა ყველა ლაგოდებელისათვის, რომ კახეთის რეგიონალურ სამედიცინო სამსახურს რამდენიმე წელია კეთილსინდისიერად და მაღალი პასუხისმგებლობით ხელმძღვანელობს ახალგაზრდა კაცი კარგი ოჯახის შვილი გია გოზალიშვილი, რომელიც აღიზარდა ინტელიგენციის ოჯახში.

ლაგოდების რაიონში 1970—71 წლებში აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა 335 საწოლიანი რაიონული ცენტრალური საავადმყოფო და პოლიკლინიკა მაშინდელი მთავარი ექიმის იური ცებრის მუშაობის პერიოდში. აშენდა აგრეთვე სასოფლო საავადმყოფოები, სასოფლო საექიმო ამბულატორია, 20 საფერწლო—საბებიო პუნქტი, რაიონის მოსახლეობას ემსახურებოდა 148 ექიმი და 428 საშუალო განათლების სამედიცინო პერსონალი.

ექიმთა ძველი თაობის ტრადიციებს რაიონის მშრომელთა სამედიცინო მომსახურეობის საქმეში სახელოვნად აგრძელებენ ახალგაზრდა ექიმები გივი ენუქიძე, დავით ბატიაშვილი, გია ლობჯანიძე, დემური ბოჭორიშვილი ზურაბი ბოკერია, მეგლუდი ღამბაშიძე, რეზო რეხვიაშვილი, ია ლაცაბიძე, ალექსანდრე გელაშვილი, ყანი ლობჯანიძე, დავით ბეჟაშვილი, დავით სარალიძე და მრავალი სხვა.

რაიონის მშრომელთა კულტურულ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, სოფლებსა და თვით ქალაქ ლაგოდების კეთილმოწყობისათვის ყოველწლიურად მილიონობით თანხები ინარჯებოდა. დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა ძველი სოფლები ქოხ-მახები, გულს ახარებდა მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონე.

1951—1955 მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც პარტიამ მიიღო საქართველოს მშრომელებთან ერთად ლაგოდებელი მშრომელებიც შეუდგენენ შრომას, ამ პერიოდში პარტიის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა ჯერ გიორგი მირიანაშვილი შემდეგ 1954 წლიდან 1960 წლამდე პეტრე ბაქრაძე. აღმასკომის თავმჯდომარეებად სხვადასხვა წლებში მუშაობდნენ პლატონ ბუცხრიკიძე, ლევან ჩიკვაძე,

ტასიკო, ბეგიაშვილი ვარლამ კობერიძე და ბეჟარი მამამთავრი-
შვილი მოადგილეებად. რაიონის მშრომელმა ხალხმა, მათი
სწორი ხელმძღვანელობით შეძლო ომის შემდგომი ბევრი სიჭ-
ნელეების გადალახვა. ორგანიზებულად ეწყობოდა მშრომელთა ფართოდ
ჩაბმა საკოლმეურნეო შრომაში, რაიონის მშრომელები წარმატებით
ასრულებდნენ სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში დასახულ
ამოცანებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეცხოველეობის განვითა-
რებასა და საკვები ბაზის განმტკიცების საქმეს, აშენდა ფერმები, გან-
საკუთრებით ნინიგორის კოლმეურნეობაში, თავჯდომარე ტიმოფე-
პივნევის პირადი ინიციატივით და რაიონის ხელმძღვანელობით პირვე-
ლად შემოიყვანეს ნიკალაევის ოლქიდან მაღალმწარმოებლური ველის
წითელი ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი საქონელი.

სწორედ ამ პერიოდშიც რაიონის მშრომელებმა იზეიმეს
მდ. ლაგოდების ხევზე ძველი ხის ხიდის მაგიერ კაპიტალური რკინა-
ბეტონის ხიდის აგება. რომელიც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. მანა-
მდე კი, ეს ხევი რომ აღიდგებოდა, სოფელ შრომიდან და სხვა სოფლე-
ბიდან წარმოება-დაწესებულებებში ვეღარ მოდიოდა ხალხი. ხიდის უქონ-
ლობა ბევრად აფერხებდა მიმოსვლას სოფლებიდან რაიონის ცენტრ-
ში, შემდგომ წლებში აშენდა ასეთივე ხიდი მდინარე კაბალზე, რომე-
ლმაც აფენის ზონის სოფლები რაიონის ცენტრთან დააკავშირა. ყოვე-
ლივე ეს, ამ წლებში ლაგოდების რაიონის მშრომელებისათვის დიდი
საჩუქარი იყო. აშენდა რამდენიმე საერთო საცხოვრებელი სახლი და
წარმოების მნიშვნელოვანი ობიექტები, გაუმჯობესდა ხალხის მატერია-
ლური კეთილდღეობის მდგომარეობა. აშენდა კაბალგისის ჰიდროელექ-
ტროსადგური და 1953 წლიდან დაიწყო რაიონის ელექტროფიკაცია.

1963—1964 წლებში ლაგოდების რაიონი სხვა რაიონებთან ერ-
თად გაუქმდა როგორც ადმინისტრაციული რაიონი, შეუერთდა ჯერ
სიღნაღის, შემდეგ ყვარლის რაიონს. 1965 წლის იანვრიდან რაიონების
რეორგანიზაციის შემდეგ 1973 წლამდე ლაგოდების პარტიის რაიკო-
მის პირველ მდივნად მუშაობდა ვახტანგი უნგიაძე, აღმასკომის თავ-
მჯდომარედ აკაკი რეხვიაშვილი, სოფლის მეურნეობას წლების გან-
მავლობაში ხელმძღვანელობდა ბახვა კაკალაშვილი, რომლებმაც კეთი-
ლი, კვალი დატოვეს ლაგოდების მშრომელი ადამიანების წინაშე. პარ-
ტიის რაიკომის მეორე მდივნად 15 წელზე მეტი მუშაობდა ილია ტყემა-
ლაძე, ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა.
განსაკუთრებული იყო 1966—1970 წლები, რაიონში ფართოდ გაიშა-
ლა მუშაობა თამბაქოს საშრობების და მეცხოველეობის ახალი კაპიტა-
ლური ფერმების მშენებლობისათვის. თითქმის ყველა საზოგადოებრივ
მეურნეობაში აშენდა და კეთილმოეწყო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-

ტრაქტორთა სახელოსნოები და სადგომები, ყველა სოფელში მოეწყობისასავლელი გზები და ქუჩები, ელექტრო განათება. მრეწველობის დარგში მუშაობდნენ გამოცდილი ხელმძღვანელები: ვახტანგ გველესიანი, გიორგი შეთინიშვილი და მრავალი სხვა.

რაიონის მშრომელები ჩვეული ენერგიით შემდგომშიც თანმიმდევრულად ასრულებდნენ მიღებულ დავალებებს. 1984—88 წლებში რაიონის მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ ღონისძიებებს სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში. პარტიის რაიკომის პირველ მდივნად ვალერი ბაქრაძის მუშაობის ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. რაიონში კეთილმოეწყო და მოასფალტდა შესასვლელი გზები, აშენდა მრავალი საერთო საცხოვრებლები, აშენდა და კეთილმოეწყო ახალი სასტუმრო, სახელმწიფო ნაკრძალის შესასვლელი, მოეწყო ახალგაზრდობის ტყე—პარკი, იქვე აშენდა შინამოუსვლელთა მემორიალი და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები. წარმატებით სრულდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ძირითადი დარგების თამბაქოს, მარცვლეულის, ყურძნის, ეთერზეთების, აბრეშუმის პარკის და მეცხოველეობის პროდუქტების გეგმები. ყოველივე ეს შედეგი იყო მშრომელი ხალხის თავდადებისა და რაიონის სწორი ხელმძღვანელობისა.

დღეს საქართველოს და ყოფილ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობენ ლაგოდების რაიონში დაბადებული და აღზრდილი საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები, რომლებმაც თავიანთი პატიოსანი შრომით მოიპოვეს სახელი. ესენი არიან მეცნიერები, პოეტები, მწერლები, სპროტცმენები: პირველი ასეთი იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე-სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლაგოდების რაიონის სოფელ ჭაბუკიანის მკვიდრი შოთა ტრიფონის-ძე შუბითიძე. როცა 1952 წელს რუსთავში ახლად იდგამდა ფეხს ფოლადის დნობის საქმე, ჭაბუკიანელმა ახალგაზრდამ ქართულ მეტალურგიულ ქარხანას მიაშურა და მეფოლადედ დაიწყო მუშაობა. ქარხნის ხელმძღვანელობას ლაგოდხელი მეფოლადე ყოველთვის ჩამორჩენილ უბანზე გადაჰყავდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. იგი შეესისხორცა ამ ძვირფას ქალაქს, ეს იმიტირებდა, რომ თავის დროზე რუსთავის მშენებლობის საძირკველზე მასაც დაუდევს აგური, რუსთავის დავაჟაცებასთან ერთად თვითონაც ვაჟკაცდებოდა.

აკაკი ცინცაძე, რომელიც 1940 წლიდან ლაგოდებში სხვადასხვა ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოებზე მოღვაწეობდა, ბოლო წლებში სოფელ ცოდნისკარში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. იყო რაიონში პირველი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი. რომელმაც დაიცვა დისერტაცია 1935 წელს თემაზე „ნიადაგის პირობები და შინერალური სასუქების ეფექტიანობა საგაზაფხულო პურეულში

ტარიელ კვანჭილაშვილი—ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა. 1958 წლიდან იყო მწერალთა კავშირის წევრი. იყო საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, არჩეული იყო ლავოდების რაიონის საპატიო მოქალაქედ. რამდენიმე თვეა იგი უნივერსიტეტის მეგობრებმა და სტუდენტებმა სამუდამოდ გაცილეს ვალმოხდილი.

ჯუმბერ პატიაშვილი—ლავოდებში დაბადებული და ახალგაზრდობის წლებში ლავოდებში გაზრდილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს და პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მის შესახებ საქართველოს მოსახლეობას წარსდგენა არ სჭირდება, რადგან მისი ცხოვრების პატიოსანი გზა ყველასათვის კარგადაა ცნობილი.

მიხეილ გაფრინდაშვილი—ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ.

ბონდო ჩიკვაძე—საქართველოს სახელმწიფო არქივის სამეცნიერო საცნობარო ბიბლიოთეკის დირექტორია.

აქთანდილ კვიციანი—სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დოცენტი, აქვე უნივერსიტეტში მუშაობდნენ დოცენტები თებრო კიკილაშვილი, ვიოლეტა ფურცელაძე, დავით თუშაბრიშვილი და ვანო მამაიაშვილი.

მზალო ლობჯანიძე და ხახუტა ასანიძე—საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დოცენტები.

კირილე მამისაშვილი—წლების განმავლობაში ლავოდების სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორი იყო, მას ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო შრომა და ორი მონოგრაფია ლავოდების სახელმწიფო ნაკრძალის შესახებ.

პეტრე ზგონიკოვი—ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია, ხშირი კავშირი აქვს დღესაც ლავოდებთან.

სოფელ ყარსუზნიდან მეცნიერებათა კანდიდატები—არჩილ ბატიაშვილი და თემური ლაცაბიძე, თბილისში კვლევით ინსტიტუტებში მუშაობენ. ნოდარი ულუმბერაშვილი საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე იყო.

ლაგოდების მკვიდრი ბონდო კობაძე—იგი ლაგოდებში და კახეთის რეგიონში მრავალი საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობის ინიციატორი და ორგანიზატორია..

ლაგოდებიდან სხვადასხვა სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში მუშაობს 4 დოქტორი და 30-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი.

მწერალი თინა დოინჯაშვილის, ლაგოდებელ თანამემამულის კალამს ეკუთვნის მრავალი მხატვრული ნაწარმოებები და ლექსები.

ლაგოდებელთა თანამემამულე იყო პოეტი ბერდია ბერიაშვილი, მის ლექსებში ყოველთვის ასახული იყო მეგობრობა, სიყვარული, იგი ყოველთვის უმღეროდა ლექსებით ადამიანების შემართებას, განახლებულ საქართველოს, მის მიერ დაწერილ ლექსებთანგან ერთ-ერთი 1966 წელს მიუძღვნა ჰერეთის მადლიანი მიწის მშობლიურ ლაგოდებს.

ბარათი ღაბოღებს

ვფიქრობ—არ მახსოვს რტონი შენ ხეთა,
შენს შვილობაზეც მითქვამს უარი,
რომ იშვიათად მოვდივარ შენთან
და თანაც ისე, როგორც სტუმარი

ტყუილ უბრალოდ ნუ გამიწყრები,

შენა ხარ ჩემი ოცნების დედა,

რის დავიწყება რა დავიწყება

ჩემი ფიქრები შენს მხრებზე სხედან.

დაისადგურეს მარადის სულში

შენმა ხეებმა ნედლმა რტოეჭმა,

მე მუდამ გიხმობ და ხელემს გიშვერ

ვით სიყვარულის უსაზღვროებას.

რა ვქნა თუ ხშირად ვერ მოვალ შენთან,

მაინც არა თქვა, რომ ვარ სტუმარი,

ჩემი ლექსების ხარ გული, ფეთქვა,

ჩემი ფიქრების ნავსაყუდარი.

შენ მეხატები მე მუდამ თვალწინ,

როცა ოცნების სივრცეს გავცქერი,

მე შენი მთების სიმწვანე მაწვიმს

ჩემშიც ხმაურობს შენი ჩანჩქერი.

რაიონის პირველი პედაგოგები იყვნენ 1920—1922 წლებიდან იროდიონ ალავერდაშვილი და პროკლე ჭუმბურიძე, სოფელ შრომაში მიხეილ თუშაბრამიშვილი და იოსებ ჩხარტიშვილი, სოფელ აფენში პეტრე მაჩაიძე, ყარსუბანში ვენიკო ხარატიშვილი, ელენე ჭუმბურიძე, მარო მირიანაშვილი, ცოდნისკარში ალისა ბარნაბიშვილი, ვარდისუბან-

ში მიხეილ სარმენტოვი, ნინიგორში ვასილ ნიკანუროვი, კაბალში პირველი მასწავლებელი იყო აღაბეგ კიაზოლი. შემდგომ 1930—1940-იან და მას შემდეგ წლებში მუშაობდნენ ვარდენ ჯაფარიძე, კარლო კალაძე, ალექსანდრე იმერლიშვილი, გიორგი საგინაშვილი, ვალერიან თუმანიშვილი, გიორგი სხილაძე, ნინა ბალიაშვილი ემელიან გოგინავა, კოტე მენაღარიშვილი, გრიგოლ ამიროვი, მათე ცერცვაძე, ტ. და პ. ხარატიშვილები. შალვა ტყემალაძე იგი დიდი სამამულო ომის მონაწილეც იყო, კოტე ქებაძე, ავთანდილ ჩხეიძე, როლანდი ლალიევი, ვალერიან ლომიძე, ნინო ლომჯანიძე, ახმედალ ალიევი. 18—20 წლის განმავლობაში საშუალო სკოლის დირექტორები იყვნენ. ქეთევან მაჭავარიანი, ბენო სამყურაშვილი, გრიგოლ წიქარიშვილი, ისინი ჯერ მასწავლებლები და შემდეგ განათლების განყოფილების გამგეები იყვნენ. ზაქრო ჯიოევი არეშფერანის საშუალო სკოლის დირექტორი იყო 1945—1948 წლებში, ხოლო შემდეგ ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი.

მაკრო კიკილაშვილი გახლდათ ყარსუბნის საშუალო სკოლის პირველი დირექტორი, შემდეგ წლებში ამ სკოლაში მუშაობდნენ პახუმ ნოზაძე და ივანე ნოზაძე, ვასილ ლომჯანიძე 18 წელი იყო ამ სოფლის სკოლის დირექტორი.

პედაგოგთა ამ დიდ პლიადას დიდი წვლილი მიუძღვის ლაგოდების რაიონში სწავლა-განათლების დამკვიდრების საქმეში, ვინ მოთვლის რამდენი ახალგაზრდა აღზრდილა მათი უშუალო გარჯის შედეგად. ფასდაუდებელია მათი და მრავალი პედაგოგის ღვაწლის რაიონის ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, რომელთა ყველას წიგნში წარმოდგენა შეუძლებელია.

ლაგოდების რაიონში აღიზარდნენ და დავაჟკაცდნენ სახელოვანი სპორტსმენები, როგორებიც იყვნენ შალვა ნოზაძე სპორტის დამსახურებული ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში, ვახტანგ რეხვიაშვილი ფეხბურთელი თბილისის „დინამოს“ წევრი, თენგივ ლომთაძე—ჩემპიონი აკრობატიკაში, დამსახურებული სპორტსმენები სერგო მჭედლიძე, როსტომ ბერძუნიშვილი, ვია ნარიმანიძე, გივი ყაველაშვილი და მრავალი სხვა. ნოე მახაშვილი და რეზო ნოზაძე დაწყებული ახალგაზრდობიდან პენსიაზე გასვლამდე ლაგოდების რაიონის სპორტულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდნენ, კიდევ ვინ ჩამოთვლის მათი უშუალო გარჯის შედეგად რამდენი მოწინავე სპორტსმენი აღზრდილა უსახელებია რაიონის და რესპუბლიკის ღირსება.

ლაგოდების რაიონი, რესპუბლიკაში ერთ-ერთი ინტერნაციონალური რაიონია, აქ ქართველების მხარდამხარ შრომობდნენ რუსები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები, ბელორუსები, ბერძნები, პოლონელი და გერმანელთა ოჯახები. უფრო საინტერესოა რომ 1973

წლიდან სოფელ ლელიანში ცხოვრობს ჩეხიდან გამოთხოვილი. ესლა უკვე ქართული ოჯახის დედა მარიამ ტეშინსკაია—გაბრიჭიძე, მათმა შვილებმა მარიომ და როინმა ლელიანის საშუალო სკოლა დაამთავრეს და ზაფხულის არდადეგებზე ჩეხოსლოვაკიაში ბებია ბაბუას ეწვეოდნენ ხოლმე. მე მინახავს ბევრი ლამაზი ქალაქი—ამბობს მარია ტეშინსკაია, მაგრამ როცა პირველად დავათვალიერე თბილისი, ყველაზე განსხვავებული კოლორიტული ქალაქია, თბილისის სიდიადე ისაა, რომ იგი არა ჰგავს მსოფლიოს არც ერთ ქალაქს, როგორ არ შეიძლება შეიყვარო საქართველოს ქვეყანა, რომელმაც შვა შოთა რუსთაველი. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ვალაქტიონ ტაბიძე, ნოდარ დუმბაძე . . . და პატარა გორში დაბადებული იოსებ ჯულაშვილი რომლის სიმღერა ასე იწყება: „პატარა გორი დიდია. . .“ რომელთა შესახებ ბევრი წიგნები გულდასმით წაუკითხავს და ქართულიც მოკლე დროში შეისწავლა,

ლაგოდების რაიონის მშრომელებისათვის კარგად იყო ცნობილი, ლაგოდების რაიონისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქანის რაიონის მშრომელთა და ახალგაზრდობის მეგობრული ურთიერთობა. ამ ორი რაიონის მშრომელები ურთიერთგამოცდილების მიზნით ეწვეოდნენ ხოლმე ერთმანეთს დღესაც არის ფართო სივრცე დიდი თვალსაწიერი ინტერნაციონალური მეგობრობის განმტკიცებისა და გაგრძელებისათვის

ლაგოდების რაიონში 1965 წლიდან სისტემატურად ეწყობოდა შეხვედრები რაიონის მოწინავე ადამიანებთან შრომის გმირებთან და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან, რათა მათ ერთხელ კიდევ დაენახათ თავიანთი შრომის და ბრძოლის განვლილი გზა, რომ ახალგაზრდობის ხელმძღვანელობა მათ დიდი პატივისცემით ეპყრობოდა და არასოდეს ივიწყებდა. ბეჟან სიფრაშვილი წლებების განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა პიონერებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, დღესაც სოფელ შრომაში ახალგაზრდული ენერჯით თავისი ოჯახით თანასოფლებთან ერთად თამბაქოს მოვლა მოყვანას კეთილშობილურ საქმედ მიიჩნევს.

რაიონში ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა ახალგაზრდობის სამხედრო პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. ეს იმაზე მეტყველებდა, რომ რაიონში მრავალი მადლობის წერილია მიღებული რუსეთის არმიაში მყოფი ახალგაზრდების უფროსებისაგან, სადაც სამხედრო სავალდებულო სამსახურს გადიოდნენ რაიონიდან წარმოგზავნილი ახალგაზრდები. ბევრი მათგანი ავღანეთში მსახურობდნენ და ინტერნაციონალური ვალი რაიონის მრავალმა ახალგაზრდამ მოიხადა. დღესაც ქართულ არმიაში ღირსეულად აგრძელებენ ლაგოდხელი ახალგაზრდები თავიანთი სახელოვანი წინაპრების ტრადიციებს.

მზად არიან უმწიკლოდ შეასრულონ თავიანთი დიდი მისია დამოუკიდებელი საქართველოს დაცვის საქმეში ზუსტად ისე, როგორც საქართველოს საზეიმო აღქმა „სამხედრო ფიცი“ უქარნახებთ.

1925 წლის იანვრიდან სიღნაღის მაზრაში გამოდიოდა საქ. კპ სიღნაღის სამაზრო კომიტეტის და აღმასკომის ხუთდღიანი ორგანო გაზეთი „სიმართლე“ რომელსაც მთლიანად მაზრაში და ლაგოდებშიც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ის იყო მებრძოლი ორგანო, რომელიც ყოველმხრივ სამსახურს უწევდა მშრომელ გლეხობას. იმდროინდელი ეს გაზეთი აშუქებდა ყველა იმ საკითხებს, რომელიც იდგა ხელისუფლების წინაშე, ადგილებზე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში. გაზეთის მცირე ტირაჟით გამოსვლის გამოც მისი გავრცელება და მიწოდება თვითეულ ღარიბ და საშუალო გლეხობამდე კარგად იყო მოგვარებული, თავდაპირველად სოფლის უბნებში ერთი გაზეთი მიდიოდა გლეხის ოჯახში და იქ ხდებოდა მისი გაცნობა.

1930 წლიდან ლაგოდების ადმინისტრაციულ რაიონად დამტკიცების და სიღნაღის მაზრიდან გამოყოფის შემდეგ 1932 წლის 25 თებერვლიდან გამოვიდა ლაგოდების რაიონული გაზეთის „ბრძოლა თამბაქოსათვის“ პირველი ნომერი. ეს იყო რაიკომის, აღმასკომის და კოლმეურნე კავშირის ორგანო, რომელიც ერთი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა სიღნაღის ი. სტალინის სახელობის სტამბაში, ხოლო 1950 წლიდან გამოდის „გამარჯვების დროის“ სახელწოდებით, გაზეთს თავიდან ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია, ხოლო 1938 წლიდან სხვადასხვა დროს გაზეთის რედაქტორები იყვნენ ალექსანდრე საჯაია, გრიგოლ ხიდველი, იოსებ ნადაშვილი, გიორგი საგინაშვილი, იოსებ ნოზაძე, გივი კიკილაშვილი, **ქეჭდეჭ** გაზეთის რედაქტორებიც ვაჟა მუმლაძე.

აგერ უკვე რამდენიმე წელია, აღარ ამშვენებს ლაგოდებს და ჟურნალისტთა რიგებს გივი კიკილაშვილის სახე—ადამიანისა, თავისი კეთილშობილებით, კაცთმოყვარეობით, ინტელექტით, რომ იყო გამორჩეული, მის მოგონებას ლაგოდებში და რესპუბლიკის ჟურნალისტთა გარშემო დღესაც ახლავს განსაკუთრებული სითბო, ასე უშურველად რომ უწილადებდა ყველას—თავის გარშემო მყოფ მეგობრებს, არც თუ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ადამიანი ლეგენდა, ასეთად დარჩა ყველას თვალში ეს მეტად საჭირო და სასარგებლო კაცი, ნიჭიერი ჟურნალისტი, შესანიშნავი მოქალაქე.

ამირან ცინცაძე, 1998 წლის ახალი წლის ღამეს ველარ შეხვდა თავის საყვარელ ოჯახში, გამოაკლდა ახლობლებს, მეგობრებს და ყველა ლაგოდენხელს. წლებების განმავლობაში მუშაობდა ლაგოდენის რაიონში სამეურნეო ხელმძღვანელ სამუშაოზე, სწორედ ამიტომაც ლაგოდენის რაიონის მშრომელებმა ერთხმად აირჩიეს საქართველოს პარლამენტში.

ჰერეთის ამ მაღლიან მიწაზე, 1920—21 წლების შემდეგ ლაგოდენში ფართოდ განვითარდა და გაიზარდა მრეწველობა, აშენდა თამბაქოს საფერმენტაციო, ხილის, ღვინოების, ყველისა და კარაქის ქარხნები, ღვინისა და საკონსერვო ქარხანა, ეთერზეთების ქარხანა, თბილისის 26 კომისრების სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ფილიალი. ადგილმრეწველობის კომბინატი, შეიქმნა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო შექმნილი იყო საქსოფლტექნიკის განყოფილება, რომელიც ემსახურებოდა რაიონის კოლმეურნეობებს. აღნიშნული საწარმოები რაიონის შემოსავალში მრეწველობიდან დიდ შემოსავალს იძლეოდნენ რაიონში უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებული იყო ბევრი სამშენებლო ორგანიზაცია, რომლებიც რაიონის ტერიტორიაზე აწარმოებდნენ დიდ მშენებლობებს.

თუ წინათ გლეხი წნელისაგან მოწულ ფაცხაში ცხოვრობდა 1950-იან წლების შემდგომ შესანიშნავი ორსართულიანი სახლები აქვთ ძვირფასი ავეჯით, რაიონის ბევრმა მოწინავე კოლმეურნემ თავის დროზე კოლმეურნეობიდან მიღებული შემოსავლებით შეიძინეს მსუბუქი ავტომანქანები, წინათ კი ბევრს ურემიც არ გააჩნდა. სოფლებმაც იცვალეს სახე. ატალახებული და ვიწრო გაუვალი გზები შესანიშნავი მოასფალტებული გზებით შეიცვალა. კეთილმოეწყობ საშუალო და რვაწლიანი სკოლები, საექიმო უბნები და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, მრავალი ოჯახი დღესაც სარგებლობს საკუთარი სატელეფონო კავშირით, მაღალ დონეზე დგას სოფლის კულტურული ცხოვრება. ასე ჩაბარდა წარსულს რაიონის გლეხობის სიღატაკე, ძველი ჰერეთის ამ მაღლიან მიწაზეც შემოანათა ნათელმა ცხოვრებამ, რომელმაც თავისუფლება, ბედნიერება და სიხარული მოუტანა ჩვენს ხალხს.


ლაგოდენის რაიონში 15 წელზე მეტია დამკვიდრებულია ინტერნაციონალური მეგობრობის ზეიმი „ჰერეთობა“ რომლის აღნიშვნა ყოველი წლის შემოდგომაზე ხალხთა მეგობრობის შეხვედრად იქცევა ხოლმე, „ჰერეთი“ ასე შეარქვეს სპორტსმენებმაც ფეხბურთის გუნდს, 1990 წლის აპრილიდან სახელი შეიცვალა რაიონულმა გაზეთმაც და იგი გამოდის „ჰერეთის“ სახელწოდებით.

ლაგოდენის რაიონი, ძველი ჰერეთის ეს მაღლიანი კუთხე ჩართული იყო საკავშირო სამოგზაურო მარშრუტში, უცხოელი მოქალაქეები ინტერესით ეცნობოდნენ ღირსშესანიშნავ ადგილებს და ათვალიერებდ-

ნენ რაიონის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილ ისტორიულ ძეგლებს.

1970 წელს ქალაქის და სოფლების მოსახლეობამ პირველად იზეიმეს ბუნებრივი გაზის აკიაფებაც, ლაგოდეხი 1917 წლამდე თუ საქართველოს ჩამორჩენილ კუთხეს წარმოადგენდა, შემდეგ ერთ-ერთი მოწინავე რაიონი გახდა, სისხლსავსე ცხოვრებით სუნთქავს დიდი ალაზნის ველი, სუნთქავს და ამ სუნთქვაში ნათლად მოჩანს მთელი ჰერეთის დიდი წარსული და საუკეთესო აწმყო, ნათელი მომავალი.

ჰერეთის ამ უძველეს მიწაზე ამჟამინდელ ლაგოდეხის მოსახლეობას საუკუნის ისტორია აქვთ, ამ ხნის მანძილზე ეს ხალხი ცნობილი იყო და არის თავისი კეთილშობილებითა და სტუმართმოყვარეობით, მდიდარი მეგობრული ტრადიციებით, რაიონში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენლები თვალისჩინივით უფროთხილდებიან ძველ ტრადიციებს და იცავენ ახალი დამოუკიდებელი საქართველოს ინტერესებს.



ლაგოდეხის ხელი

ნარსულის ისტორია

საქმის უაქტიურობის პოლიტიკური მოღვაწეობა და სოფლის მეურნე თავკაცები

გავიხსენებ ყველა იმას, ვისაც ჩემს მოგონებებში ჩემთან ერთად მიუღიათ მონაწილეობა და მოვიგონებ ყველა იმათ ვისთანაც მეც მიმიღია მონაწილეობა, ვინც დღეს ცოცხლები აღარ არიან და ჩემს მეხსიერებაში მუდმივად დარჩნენ. ყველა ადამიანს, თავისი პროფესიის მიუხედავად, თავის ცხოვრების მანძილზე განვლილი აქვს პერიოდი, რომ განსაზღვროს, როდის იცოცხლა და როდის იცხოვრა.

ამიტომ გადავწყვიტე, რომ გამეხსენებინა ლაგოდეხში ჩემი ცხოვრების განვლილი წლების ის ამბები რაც მახსოვს და ჩემს მეხსიერებაში კარგ შთაბეჭდილებად დარჩა. იმ ხალხთან ერთად ვისთანაც ერთად გავიარე ჩემი ცხოვრების დრო და მინდა დავიწყებას არ მიეცეს. ლაგოდეხელ ახალგაზრდობას, მომავალ თაობას ვისაც მოვიგონებ და გავიხსენებ სამახსოვროდ მინდა დაგუტოვო დიდი სამამულო ომის შემდეგ ჩვენი განვლილი დროის მე-20 საუკუნის რაიონის აღმშენებლობის წლები და 21-ე საუკუნის გადასახედიდან დარჩენილი გასავლელი წლები.

ამ წიგნში მოთხრობილი ყველა შემთხვევა იქნება ის სინამდვილე, რომელსაც ზედმეტს არაფერს არ დავამატებ და როგორც იყო დეტალურად იქნება აღწერილი. იყვნენ რაიონის პირველი პირები, პოლიტიკური მოღვაწეები და იყვნენ სოფლის მოსახლეობასთან ერთად ათეული წლობით საქმეს შეჭიდებული სოფლის თავკაცები. რომელთა უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა და დამშვენდა საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე ეს შესანიშნავი ულამაზესი ლაგოდეხის რაიონი. ხოლო 21-ე საუკუნის დასაწყისიდან კი იყვნენ და არიან ნაფტალინის ყუთიდან ამოფრენილი რაიონის პატარა კაცუნები, რომლებიც ან არაფერს არ აკეთებდნენ ან ვ. ლენინის ლოზუნგის მიხედვით მუშაობენ „ჯერ ვაშენოთ მერე ვანგრიოთ“.

ამ დროს ხალხი უმძიმესი გავირების გამო ათეული წლებია გადახვეწილია ევროპაში, ზოგიც გარბის, 12-ე კლასელები სკოლის დამთავრებასაც აღარ ელოდებიან და გარბიან ევროპაში. ამას რაიონის სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს. თუ 1998 წელს ლაგოდეხის რაიონის მოსახლეობა შეადგენდა 53139 ადამიანს 2019 წლისათვის შეადგენს 41678 ადამიანს, ანუ შემცირებულია მოსახლეობა 11461 ადამიანით, ხოლო სოფელ კაბლის მოსახლეობა გაზრდილია 876 ადამიანით, ამაზე ვისაც ეხება საჯარო მოხელეები არ უნდა დაფიქრდნენ.

ლაგოდეხის რაიონში ეს ბევრმა არ იცის, ეს წარსულის ისტორიაა.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1929 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა ლაგოდეხის რაიონი, მანამდე შედიოდა სიღნაღის მაზრაში, როგორც სოფელი ლაგოდეხი.

ლაგოდეხის პარტიის რაიკომის პირველი მდივნები

№	გვარი და სახელი	თანამდებობის წლები	ტიტული
1	გველუკაშვილი ნიკოლოზ	1930 5 იანვარი	რაიკომის პირველი მდივანი
2	გარსევანიშვილი გაბო	1932	რაიკომის პირველი მდივანი
3	ნუცუბიძე გიორგი	1933	რაიკომის პირველი მდივანი
4	აზარაშვილი პავლე	1934	რაიკომის პირველი მდივანი
5	იმედაძე ვალერიანი	1935	რაიკომის პირველი მდივანი
6	რამიშვილი ამბროსი	1936-1937	რაიკომის პირველი მდივანი
7	ნუცუბიძე შალვა	1937-1950	რაიკომის პირველი მდივანი
8	მირიანაშვილი გიორგი	1951-1954	რაიკომის პირველი მდივანი
9	ბაქრაძე პეტრე	1954-1960	რაიკომის პირველი მდივანი
10	ბრეგვაძე მაკარი	1960-1962	რაიკომის პირველი მდივანი
1962-1964 წწ. გაუქმდა ლაგოდეხის რაიონი, რაიონული ცენტრი ჯერ იყო სიღნაღში, (პირველი მდივანი დიმიტრი გელაშვილი შემდეგ ყვარულში პირველი მდივანი გივი ზაუტაშვილი, მეორე მდივანი შალვა გოზალიშვილი და ი. ტყემალაძე 1962-1964 31/12 მდე.			
11	უნგიაძე ვახტანგი	1965-1973	რაიკომის პირველი მდივანი
12	ბაბუნაშვილი პავლე	1973-1978	რაიკომის პირველი მდივანი
13	კიბაბიძე ლეიშონი	1978-1981	რაიკომის პირველი მდივანი
14	ბასილაშვილი შოთა	1981---10 თვე	რაიკომის პირველი მდივანი
15	ბაქრაძე ვალერი	1981-1985	რაიკომის პირველი მდივანი
16	ხატიაშვილი ნოდარი	1985-1987	რაიკომის პირველი მდივანი
17	მაისურაძე ომარი	1987-1989	რაიკომის პირველი მდივანი
18	ლოშიძე ღათო	1989-1990	რაიკომის პირველი მდივანი
19	ცხადაძე ოთარი	1990-1991	რაიკომის პირველი მდივანი

ლაგოდეხის რაიონის გამგებლები და წლები, რაიონის პირველი პირის თანამდებობის ავტორიტეტს დაუკარგა ფასი ზოგიერთმა გამგებელმა მოსახლეობის წინაშე, როგორ შეიძლება შევადაროთ ესენი ერისკაცებს, რომლებსაც ერთი წერტილი არ დაურგავთ და ერთი აგური არ დაუდიათ რაიონის მოსახლეობის კეთილდღეობისათვის.			
20	ზუციშვილი მალხაზი	1991-1994	გამგებელი
21	კაკიაშვილი ნუგზარი	1994-1998	გამგებელი
22	გოზალიშვილი გია	1998-2001	გამგებელი
23	ბარბაქაძე ლევანი	2001-2004	გამგებელი
24	გოძიაშვილი თამაზი	2004-2008	გამგებელი
25	ლაბუჩიძე კახა	2008----7თვე	გამგებელი
26	გოზალიშვილი გია	2008-2014	გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე, პარლამენტის დეპუტატი
27	ლოლაძე დიმიტრი	2010-2012	გამგებელი
28	ალიბეგაშვილი ვალერი	2013	გამგებელი
29	ჯამბურია კარლო	2014-2017	გამგებელი
30	მდიენიშვილი ჯონდო	2018	მერი

აღმასკომის თავმჯდომარეები 1950 წლიდან

1950 წლამდე არსებობდა და ეწოდებოდა მიწგანი ანუ ს/მ სამმართველო.

1. ბუცხრიკიძე პლატონი
2. ჩიკვაიძე ლევანი
3. ბეგიაშვილი ანასტასია
4. რეზვიაშვილი აკაკი
5. კაპანაძე შოველი
6. კაპანაძე ავთანდილი
7. ზურაბაშვილი მალხაზი

**ლაგოდეხის კომკავშირის რაიკომის პირველი
მდივნები და წლები**

	გვარი, სახელი	თანამდებობაზე მუშაობის წლები	
1	აბღუშელიშვილი დავითი	19 30-19 32	2
2	იაშალაშვილი ალექსანდრე	19 32-19 35	3
3	ლობჯანიძე ვასილი	19 35-19 37	2
4	გორგიაშვილი ბენო	19 37-19 39	3
5	გორგიაშვილი ბენო	19 39-19 41	3
6	ლათიბაშვილი თებრო	19 41-19 43	2
7	ლათიბაშვილი თებრო	19 43-19 46	3
8	ბეგიაშვილი ანასტასია	19 46-19 52	4
9	ლომიძე სულიკო	19 52-19 53	1
10	ბარნაბიშვილი თებრო	19 53-19 55	3
11	ბაბუნაშვილი პავლე	19 55-19 56	2
12	ტყემალაძე ილია	19 56-19 57	1
13	აბაზაძე ზალიკო	19 57-19 59	3
14	ცერცვაძე რობერტი	19 59-19 61	3
15	კაპანაძე შოველი	19 61-19 64	4
16	მენტეშაშვილი ნათელა	19 65-19 67	2
17	ხაჩიძე ჯემალი	19 67-19 74	8
18	ეგეტაშვილი ჯონი	19 74-19 78	4
19	ზურაბაშვილი მალხაზი	19 78-19 80	3
20	ლომიძე დავითი	19 80-19 86	6
21	გივიშვილი ლია	19 86-19 88	2
22	დათუკიშვილი ხვიჩა	19 88-19 90	2

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობების თავმჯდომარეები სოფლის მეურნე თაჰკაცები

1960 წლიდან კოლმეურნეობების გაერთიანებების შემდეგ ამ ხალხმა, სოფლის თაჰკაცებმა თავის მხრებით მოიტანეს ლაგოდეხში სოფლების აღორძინება, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა 98% კარგად ცხოვრობდა, 2% იყო ზარმაცი, ახლა პირიქითაა, დავანიავეთ მათი შექმნილი ქონება, ყველაზე დიდი შეცდომა იყო სახნავი მიწების დიდი ფართობების დაქუცმაცება და გადაცემა მოსახლეობაზე, ათეული წლების განმავლობაში სახელმწიფო სარგებლობაში მყოფი ეს მიწები ახლა გახდა ყიდვა-გაყიდვის ვაჭრობის საგანი, როგორც ბაზარში ნებისმიერი პროდუქტის ყიდვა-გაყიდვა.

1. კალინოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლეონიდ დობრონეცკი, ეგგენი დუგმასოვი – სოციალისტური შრომის გმირი.
2. შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე – ვანო ყაველაშვილი, ერას ტი სამარგველიანი, გიორგი ნატროშვილი.
3. ნინიგორის კოლმეურნეობის თავმჯდომარე – ტიმოფე პიენევი, იორ დანე აბრამიშვილი, საქართველოს ორი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.
4. ცოდნისკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე – ავთანდილ კაპანაძე ორი მოწვევის საქ.კპ.ცეკას წევრობის კანდიდატი.
5. ყარსუბნის (კართუბნის) კოლმეურნეობის თავმჯდომარეები: ფორე ხუციშვილი, გიორგი გოგოლაძე.
6. ვარდისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეები – სულიკო ლომიძე, ბონდო ლომიძე, შოველი კაპანაძე.
7. ულიანოვკის (ჭიაურის) კოლმეურნეობის თავმჯდომარე ილია პრან ჩუკი და ეგგენი დუგმასოვი – ლენინის ორდენოსანი, სამი მოწვევის საქ. კპ. ცეკას წევრი; გიორგი სხირტლაძე.
8. ბაისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე – ალიოშა ბარბაქაძე.
9. ფონის კოლმეურნეობის თავმჯდომარე – გ. ყოჩიევი, რ. იკაევი, ირაკლი ლობჟანიძე.
10. კაბლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეები – მამედ ალაჯანოვი, იბათ მამედოვი.
11. უზუნთალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე – ხანახმად ქაზუმოვი
12. გიორგეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეები – ა. ლობჟანიძე, ირაკლი ლობჟანიძე, იასონ გობეჯიშვილი.

13. აფენის კოლმეურნეობის თავმჯდომარეები – სერგო ცოტაძე, აკაკი ჯინჭველაშვილი.
14. ჭაბუკიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეები – გიორგი ჯაჯანიძე, გიორგი ცქიფურიშვილი.
15. ლელიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე – გიორგი ჩაჩანიძე.
16. არემფერანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსანდრე გიგოლაევი - შოთა რეზვიაშვილი.

რაიონში ფუნქციონირებდა სოფლის მეურნეობის მეთესლეობის ლაბორატორია-ინსპექცია, უფროსი – თებრო კვანჭილაშვილი, და მცენარეთა დაცვის სამსახური, უფროსი – ზაური ხუციშვილი.

შალვა ნუცუბიძე



ლაგოდეხის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი

შალვა ნუცუბიძე დაიბადა ქ. ქუთაისში 1902 წელს, 1921 წლიდან მსახურობდა წითელ არმიაში შემდეგ მუშაობდა რკინიგზაში, ქ. თბილისში პარტიის ლენინის რაიონის რაიკომის ინსტრუქტორად, პარალელურად სწავლობდა უმაღლეს სასწავლებელში, რომელსაც ამთავრებს 1935 წელს და მშენებელ-ინჟინრის დიპლომით გზავნიან თბილისის ბეტონის ქარხანაში მთავარ ინჟინრად. იგი ერთ წელ-

შივე ამ ქარხნის დირექტორი ხდება. აქედან ისევ გადაჰყავთ თბილისის ლენინის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ.

1937 წლიდან 1951 წლამდე 14 წელი მუშაობდა პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველ მდივანად, არჩეული იყო საქართველოს კპ. 21-22-23-ე ყრილობებზე დელაგატად, ყრილობებზე არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1939 წელს მას საკავშირო კპ. 28-ე ყრილობის დელეგატად ირჩევენ ლაგოდეხელ მოწინავე კოლწევრთან ერთად, ასევე ორჯერ იყო არჩეული საქართ-

ველოს სსრ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1952 წლიდან მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ. მალე მას ისევ პარტიულ სამუშაოზე გზავნიან და ირჩევენ პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველ მდივნად.

ლაგოდების რაიკომის პირველ მდივნად მუშაობის დროს 1949 წელს მას სოციალურისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. დაჯილდოებული იყო სამი ლენინის, შრომის წითელი დროშის, სამამულო ომის პირველი ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მრავალი მედლით და სიგელებით. 14 წელი ლაგოდების პარტიის რაიკომის მდივნად მუშაობის დროს განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის წლებში ამ მტკიცე ნებისყოფის, უანგარო და პრინციპულმა მუშაკმა, რომლის ძირითად საქმეს სოფლად დარჩენილი მშრომელი ხალხის ხელმძღვანელობა შეადგენდა, იგი ერთადერთი იმედი იყო ხალხის გამხსნევის და მომაკვლის იმედზე ზრუნვის ფიქრით.

ლაგოდების რაიონის მოსახლეობის მცირედ შემორჩენილ ასაკოვან ხალხს დღესაც ახსოვთ გადმოცემით ომის პერიოდის წლებში მისი ღვაწლი, დილიდან დაღამებამდე ცხენის ფაიტონით მინდვრებში დადიოდა, ხვდებოდა მოსახლეობას და ამხნევებდა რომ ფაშისტურ გერმანელებს ჩვენი ჯარები მალე დამარცხებდნენ. ხოლო ომის შემდეგ მანქანით დადიოდა მინდვრებში. სოფელ აფენში გზის პირას იყო ბუნებრივი ცივი წყარო, მინდვრებში ხშირი სიარულის დროს სადაც ხშირად ჩერდებოდა, ისვენებდა, ხალხსაც გაესაუბრებოდა და აძლევდა უკეთესი ცხოვრების იმედს, მაშინდელმა სოფლის მოსახლეობამ ამ წყაროს ნუცუბიდის წყარო შეარქვეს და დღემდე შემორჩა ამ ადგილს მისი სახელი, ეს წყაროც დღემდე მოედინება და მოედინება.

ხალხს დღესაც ახსოვთ გადმოცემით ომის პერიოდის წლებში მისი ღვაწლი, დილიდან დაღამებამდე ცხენის ფაიტონით მინდვრებში დადიოდა, ხვდებოდა მოსახლეობას და ამხნევებდა რომ ფაშისტურ გერმანელებს ჩვენი ჯარები მალე დამარცხებდნენ. ხოლო ომის შემდეგ მანქანით დადიოდა მინდვრებში. სოფელ აფენში გზის პირას იყო ბუნებრივი ცივი წყარო, მინდვრებში ხშირი სიარულის დროს სადაც ხშირად ჩერდებოდა, ისვენებდა, ხალხსაც გაესაუბრებოდა და აძლევდა უკეთესი ცხოვრების იმედს, მაშინდელმა სოფლის მოსახლეობამ ამ წყაროს ნუცუბიდის წყარო შეარქვეს და დღემდე შემორჩა ამ ადგილს მისი სახელი, ეს წყაროც დღემდე მოედინება და მოედინება.

პეტრე ბაქრაძე



ლაგოდეხის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი

პეტრე ბაქრაძე სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა თბილისში კომკავშირულ სამუშაოზე, შემდეგ პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, ამის შემდეგ 1953 წელს სამუშაოდ აგზავნიან ლაგოდეხის პარტიის რაიკომის ჯერ მეორე მდივანად, რამდენიმე თვეში 1954 წელს ირჩევენ ლაგოდეხის პარტიის რაიკომის პირველ მდივანად და მუშაობდა 1960 წლამდე. ლაგოდეხში

მისი პარტიის რაიკომის პირველ მდივანად მუშაობის პერიოდში 6 წლის განმავლობაში მოსახლეობამ თანდათან დაიწყო საადრეო ბოსტნეული წარმოება, რომელიც გაჰქონდათ რუსეთის ბაზრებში.

ესაა წლები როდესაც ლაგოდეხელმა მოსახლეობამ დაიწყო ცხოვრების ეკონომიური გაუმჯობესება, პეტრე ბაქრაძე, როგორც რაიონის ხელმძღვანელი პირველი პირი გლეხებს ყოველმხრივ ხელს უწყობდა თავიანთი მოყვანილი ბოსტნეული განსაკუთრებით პომიდორი გაეტანათ რუსეთის ბაზრებზე. დღეს რომ ლაგოდეხში აგურის ორ სართულიანი სახლები დგას სწორედ 1957-1960-იან წლებში დაიწყო მოსახლეობამ მშენებლობა იქიდან შემოტანილი ფულით, ასე დაიწყო თანდათან ლაგოდეხელმა მოსახლეობა ცხოვრების აღმავლობა.

პეტრე ბაქრაძე ლაგოდეხში 6 წლის პარტიის რაიკომის პირველ მდივანად მუშაობის შემდეგ, როგორც წარმატებული და საქმიანი პარტიული მუშაკი გადაჰყავთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში სავაჭრო სამრეწველო განყოფილების გამგელ, შემდეგ ცენტრალური კომიტეტიდან გადაჰყავთ კვების მრეწველობის სამინისტროში თამბაქოს ტრესტის მმართველად, ეს დარგი ჩააბარეს იმისათვის რომ მას ლაგოდეხში პარტიის რაიკომის პირველ მდივანად მუშაობის დროს თამბაქოს წარმოებაზე დიდი გამოცდილება ჰქონდა, ამ თანამდებობაზე იმუშავა საკმაოდ დიდხანს პენსიაზე გასვლამდე.

პეტრე ბაქრაძეს პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის წლებში როგორც წარმატებული პარტიული მუშაკი მიღებული აქვს სახელმწიფოს ორი მედალი და მრავალი ჯილდოები.

ვასტანგ უნგიაძე

ლაგოდეხის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი



ვასტანგ უნგიაძე სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური სპეციალისტის მიღების შემდეგ მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში ტექნოლოგ-სპეციალისტად, სამინისტროდან სამუშაოდ მთავრობის დადგენილებით გამოავზავენეს ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანაში დირექტორის მოადგილედ და მთავარ ტექნოლოგად, მოკლე ხანშივე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით დაინიშნა ლაგოდეხის ამავე ქარხნის დირექტორად.

1962 წლიდან საქართველოში რაიონების რეორგანიზაციების შემდეგ, 1963-1964 წლებში ლაგოდეხი-ყვარლის გაერთიანებულ რაიონში მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად, 1965 წლის იანვრიდან რაიონების ისევ რეორგანიზაციების შემდეგ ყვარლის რაიონს გამოეყო ლაგოდეხის რაიონი და ვასტანგ უნგიაძე არჩეული იქნა ლაგოდეხის პარტიის რაიკომის პირველ მდივნად და მუშაობდა 1973 წლამდე.

ლაგოდეხში პარტიის რაიკომის პირველ მდივნად მისი 8 წლის მუშაობის პერიოდში ლაგოდეხში დაიწყო ახალი მშენებლობები, საცხოვრებელი სახლები, სოფლად კოლმეურნეობების თანამედროვე კაპიტალური კანტორის მშენებლობები, თამბაქოს კაპიტალური საშრობების მშენებლობები, თითქმის რაიონის ყველა სოფელში გაფართოვდა და აშენდა სატრაქტორო-სამანქანო ავტოპარკები, მეცხოველეობის კაპიტალური ფერმები, სოფელ ერეთისკარში აშენდა მეფრინველეობის ფაბრიკა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები.

1973 წლიდან ჯამრთელობის გამო, პირადი თხოვნით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაიყვანა სოფლის მეურნეობის სამინისტროში თამბაქოს ტრესტის მმართველად, სადაც მუშაობდა პენსიაზე გასვლამდე.

რაც შეეხება ჩემს პარტიულ კარიერას, მე ვამაყობ იმით, რომ ახალგაზრდობის წლებში, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ასეთ საქმიან, გამოცდილ პარტიის რაიკომის პირველ მდივანთან მომიწია რაიკომის ბიუროს წევრობა და მუშაობა, როგორც კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი და პარტიის რაიკომის ბიუროს წევრი 9 წლის განმავლობაში მიმაგრებული ვიყავი სხვადასხვა კოლმეურნეობებში

მთელი წლების განმავლობაში, ვესწრებოდი კოლმეურნეობების გამგეობის კრებებს, ვხვდებოდი მოსახლეობას, ვიხილავდი და ადგილზე ვაგვარებდით მათ პრობლემებს და საჩივრებს.

ახლა რა ხდება, სოფლის მოსახლეობის ნებისმიერი წვრილმანი საკითხის გადაწყვეტა არ შეუძლიათ რაიონის პირველ პირებს გამგებლებს, აგზავნიან სასამართლოში, მოსახლეობის პრობლემატურ საკითხებს რომლებსაც მაქსიმუმ ერთ თვეში ადგილზე ვაგვარებდით ახლა სასამართლოებში წლობით ჭიანჭურდება და გრძელდება, ამიტომაც მოსახლეობის უკმაყოფილება უფრო და უფრო მატულობს რაიონის ამჟამინდელი ხელმძღვანელების პირველი პირების მიმართ. ეს გამოწვეულია იმიტომაც, რომ ლაგოდენში პირველ პირებად და მოადგილეებად ინიშნებიან შეთხვევითი და გამოუცდელი პიროვნებები.

პავლე ბაბუნაშვილი



ლაგოდენის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი

პავლე ბაბუნაშვილი დაიბადა ლაგოდენში, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისში ერთ-ერთ სამშენელო ტრესტში, იყო ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანი, აქედან გადაჰყავთ მშენებლობის სამინისტროში მინისტრის მოადგილედ, 1967 წელს გადაჰყავთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ინსტრუქტორად მშენებლობის განყოფილებაში.

1973 წელს ინიშნება ლაგოდენის პარტიის რაიკომის პირველ მდივანად და მუშაობს 1978 წლამდე. შემდეგ გადაჰყავთ თბილისში სოფლის მეურნეობის სამინისტროში მშენებლობის განყოფილების გამგედ და მუშაობდა პენსიაზე გასვლამდე.

ვალერი ბაქრაძე



ლაგოდების პარტიის რაიკომის პირველი მდივანი

ვალერი ბაქრაძე დაიბადა ქ. თბილისში 1947 წლის 21 დეკემბერს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრებისთანავე ასპირანტურაში ჩაირიცხა, შემდეგ აირჩიეს უნივერსიტეტის გაერთიანებული კომკავშირის კომიტეტის მდივანად. მუშაობდა საქართველოს კპ. ცენტრალურ კომიტეტში ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ. 1981-1985 წლებში მუშაობდა პარტიის ლაგოდების რაიკომის პირველ მდივანად. შემდეგ საქართველოს საგამომცემლო ბეჭდვითი კომიტეტის თავმჯდომარედ. დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის პროცესში იყო სამცხე-ჯავახეთის მხარეში პრეზიდენტის პირველი რწმუნებული (გუმერნატორი).

ლაგოდებში მისი მუშაობის დროს ბევრი რამ გაკეთდა, ლაგოდების ცენტრში მშენებარე 5 სართულიანი სასტუმრო დამთავრდა, დაიწყო ხანძრის შედეგად დამწვარი კულტურის სახლის ახლის მშენებლობა, კინოთეატრის მშენებლობა, მოეწყო ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალის შესასვლელი, მოეწყო ახალგაზრდობის ტყე-პარკი და გაიმართა „ჭერეთობა“. იქვე გაკეთდა შინმოუსვლელთა მემორიალი და სხვ. გადაჭარბებით სრულდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმები, რაზეც რაიონმა მიიღო გარდამავალი დროშა.

„უღალატობა ნღობის საწინდარია, ორივე ერთად კი გამარჯვებისა“, ეს სიტყვები ვალერი ბაქრაძის ნათქვამია და მის განვლილ ცხოვრებას უნდა მივკუთვნოთ, ეს მისი ცხოვრებისეული რწამსი იყო, სადაც კი უშუშავია მას, ყოველთვის უღალატო მუშაკად იცნობდნენ, ამიტომაც მას ყოველთვის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში და მეგობრებში. მას განსაკუთრებით გამორჩეული თვისებები ჰქონდა ინტელექტით დაწვეებული, ოჯახიშვილობით და გარეგნობით დამთავრებული. ლაგოდებში პარტიის რაიკომის პირველ მდივანად მუშაობის დროს საკითხების გადაწყვეტის დროს იყო მკაცრიც და მომთხონიც, ამავე დროს ადამიანური ყველა სიკეთით იყო შეძკული, იყო ბობოქარი

ხასიათის პიროვნება და გამოირჩეოდა გასაოცარი პიროვნული თვისებებით, სითბოს ხასიათით, ასეთად ახსოვთ დღესაც ლაგოდეხელებს ვისაც კი მასთან უმუშავია და საქმიანი შეხვედრები ქონიათ, ამიტომაც მისი მუშაობის დროს რაიონი ყოველთვის წარმატებებს აღწევდა.

ვალერი ბაქრაძემ ასე იცხვორა 65 წელი, ეს ბევრი არ არის მაგრამ, მან ბევრი კარგის გაკეთებაც მოასწრო, ბევრსაც დაამახსოვრა თავი როგორც რესპუბლიკაში ისე ლაგოდეხის რაიონში მუშაობის დროს, მან ლაგოდეხში მუშაობის დროს თავი დაამახსოვრა ჩემი თაობის ბევრ ადამიანს, ამიტომაც ხშირად იხსენებენ დღეს უამრავი ლაგოდეხელი, რომელიც ჩვენს გულში სამაგალითო ქართველად დარჩა.

მე ბედნიერად მხვდა წილად რომ მას ახლოს ვიცნობდი ჯერ კიდევ უვინერსიტეტის კომკავშირის გაერთიანებული კომიტეტის მდივნიბიდან, მე კი ლაგოდეხის კომკავშირის რაიკომის პიველ მდივნად ვმუშაობდი 8 წელი, ხოლო როცა ლაგოდეხის პარტის რაიკომის პირველ მდივნად გადმოიყვანეს ქალაქში გაზრდილმა კაცმა მალევე აუღო ალლო სოფლის მეურნეობის სფეროს. მე ამ დროს მომიწია მუშაობა ლაგოდეხის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, რაიონის მთავარ აგრონომად, ახალი დაცული მქონდა საკანდიდატო დისერტაცია და ხშირად მის კაბინეტში ვგეგმავდით სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ სიახლეებს.

თუდაც ერთი საინტერესო მაგალითი, როგორც რაიონის მთავარი აგრონომი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 1987 წელს ერთი კვირით სხვა რაიონების სპეციალისტებთან ერთად მივლინებული ვიყავი მოსკოვში სოფლის მეურნეობის გამოფენაზე, იქ შევარჩიე ყვითელი სიმინდის „იუგოსლავიური“ მარტივი გიბრიდული ჯიში, რომელიც იყო მაღალმოსავლიანი, მაგრამ თესლი ღირდა საკმაოდ ძვირი, 1კგ – მაშინდელი რუსული ფულით 1 მანეთი, ხოლო ჩვენი ქართული ჯიშები და აჯამეთის თეთრი სათესლე მასალა 1კგ. ღირდა 0,20-0,25 მანეთი.

მოსკოვიდან ტელეფონზე დავურეკე ბატონ ვალერის, მინდოდა შეთანხმება, ავუხსენი რომ თესლი იყო 3-4 ჯერ ძვირი, მითხრა კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს გავაცნობ, შევთანხმებ და მერე გადავწყვიტოთ, დავურეკე 2 დღის შემდეგ და მითხრა თავმჯდომარეები წინაღმდეგეები არიან თესლის სიძვირის გამო. ჩემი მეცნიერული გადაწყვეტილებით მაინც შევაკეს დოკუმენტაცია და 50 ტონა სათესლე მასალა გამოვიწერე, ერთი თვის შემდეგ მივიღეთ წნორის სადგურში, დაკალიბრებული, დაფასოებული ტომრებით. მერე ვუთხარი ვალერის, დაუუსაბუთე მეცნიერულად, მითხრა როგორც გამოიწერე შენ თვითონ უხელმძღვანელო, თავმჯდომარეების თათბირზე ავუხსენი, რამდენიმე

თავმჯდომარემ ნახევრად ხუმრობით მითხრეს „თითქოს ფულის გაკეთება მინდოდა“. ცოტა ნაწყენიც დავრჩი. დავთესეთ 3 კოლმეურნეობაში სარწყავ ფართობებში და ავიყვანე მკაცრ კონტროლზე.

ბატონი ვალერიის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში მინდვრებში ყოფნის დროს უნახავს ეს ფართობები, მოწონებია, შემდეგ სხვა კოლმეურნეობებშიც ჩასულა სპეციალურად და დაუთვალიერებია, მეორე დღეს მეძახის კაბინეტში და მეუბნება ასეთი სიმინდები თუ არსებობდა არ ვიცოდით, ერთ ძირზე 4-5 ტარო. ბევრი რომ აღარ გაავარძელო იმ წელიწადს ამ სიმინდის მოსავლით შევასრულეთ რაიონის მარცვლეულის წარმოების გეგმა. ასე იყო კიდევ, კომბოსტოს თესლი „ლიკურიშკაც“ გამოვიწერე, ეს უკვე რუსული საბორშე ჯიშია მსხვილ თავიანი, დღესაც ლაგოდენის რაიონში მოსახლეობას და მეზობელ რაიონებში ამ ჯიშის კომბოსტო მოჰყავთ.

ოთარ ცხადაძე

ლაგოდენის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი (1990-1992)



ოთარ ცხადაძე დაიბადა ლაგოდენის რაიონის სოფელ შრომაში, თბილისის სახელმწიფოს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ლაგოდენის ტექნიკუმ-სასწავლებელში, შემდეგ გადაჰყავთ ლაგოდენის პარტიის რაიკომში ინსტრუქტორად და განყოფილების გამგედ. 1990 წელს ირჩევენ ლაგოდენის პარტიის რაიკომის პირველ მდივანად, ეს ის წლებია როდესაც იწყება საბჭოთა კავშირის დაშლა და კომუნისტური პარტიის რღვევა, საქართველოც იწყებს დამოუკიდებლობის მოპოვებას და ქვეყანა გადადის

ახალი ცხოვრების წესზე. საქართველოში ხდება 9 აპრილის დაუვიწყარი ტრაგედია.


ოთარი ცხადაძე ლაგოდენის პარტიის რაიკომის ბოლო პირველი მდივანია, ესაა საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდი, ამ დროს უქმდება ყველა პარტიული პირველადი ორგანიზაციები, აღმასრულებელი და სასოფლო სამეურნეო ორგანოები. 1992 წლიდან რაიონებში შემოდის ახალი თანამდებობა „პრეფექტი“, რომლის ხელმძღვანელად ინიშნება

თბილისიდან ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი ლაგოდეხელი მალხაზ ხუციშვილი (1992-1994 წლები)

ოთარი ცხადაძე ამის შემდეგ ინიშნება ლაგოდეხის სამხედრო კომისრად, შემდეგ გადაჰყავთ სასაზღვო დეპარტამენტის ლაგოდეხის განყოფილების უფროსის მოადგილედ და მუშაობდა სიცოცხლის ბოლო დღეებამდე. იგი იყო კეთილი ბუნების და უაღრესად პატიოსანი პიროვნება. იგი ჯამრთელობის გართულების გამო ძალიან ადრე გამოაკლდა ოჯახს, ახლობლებს და მეგობრებს, მე პირადად მასთან მაკავშირებდა ლაგოდეხში ჩემი კომკავშირულ-პარტიულ, სამეურნეო ხელმძღვანელ თანამდებობებზე 27 წლის მუშაობის წლებში კარგი დადებითი დამოკიდებულება.

გივი ზაუტაშვილი

ყვარელი-ლაგოდეხის გაერთიანებული რაიონის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი



1962 წელს საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ყველა რესპუბლიკებში რაიონების გამსხვილებაზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ლაგოდეხის რაიონი 1962 წლის იანვრიდან ჯერ შეუერთეს სიღნაღის რაიონს, ხოლო 1963 წლის თებერვლიდან ყვარლის რაიონს. ამ პერიოდში ყვარელი-ლაგოდეხის გაერთიანებული რაიონის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი იყო ბატონი გივი ზაუტაშვილი, ასევე იგი არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცეკას წევრად, როგორც საქმიანი და ძლიერი მოწინავე რაიონის მდივანი.

1964 წლის მაისში ვამთავრებდი საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტს, იანვრის ზამთრის არდადეგებზე ვიმყოფებოდი სოფელში, ერთ დღეს ჩემი სურვილით ავედი ლაგოდეხში, შევიარე რაიკომის ყოფილ შენობაში, შევხვდი კომკავშირის მუშაკებს მათ კარგად ვიცნობდი, რადგან სკოლაში სწავლის დროს 3 წელი ვიყავი კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

გაერთიანებული რაიონის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი იყო შოველი კაპანაძე, ლაგოდეხში იქ იმ დროს იყო კიდევ ერთი უცხო

პიროვნება ყვარლიდან რაიკომის მეორე მდივანი როსტომ სესიაშვილი, გავიცანით ვისაუბრეთ, კარგი შეხვედრა გვქონდა.

ლაგოდენის რაიონულ გაზეთ „გამარჯვების დროს“-ში ჩემს შესახებ დაიბეჭდა ორჯერ სტატია, რომ ინსტიტუტში არჩეული ვიყავი აგრონომიული ფაკულტეტის კომკავშირის მდივანად, აქედან გამომდინარე შემომთავაზეს ლაგოდენის მხარეს ინსტრუქტორად მუშაობა, მეორე კვირაში დამიბარეს ყვარელში იქაც მოხდა ჩემთან კომკავშირის რაიკომში გასაუბრება და ოფიციალურად უკვე გადაწყდა ჩემი კანდიდატურა, შევავსე ავტობიოგრაფია და კადრების ანკეტა.

მეორე დღეს შ.კაპანაძემ შედგენილი დოკუმენტებით გასაუბრებაზე შემხვედრა პარტიის რაიკომის პირველ მდივანს ბატონ გივი ზაუტაშვილს. გამესაუბრა 10-15 წუთი და უთხრა შ. კაპანაძეს კარგი კანდიდატურააო, 22 წლის ასაკში სრულიად ახალგაზრდა პირველად შევხვდი პარტიის რაიკომის პირველ მდივანს, გასაუბრების დროს ველავდი, ეს თვითონაც შემატყო ბატონმა გივიმ და მითხრა თბილი საუბრით და ღიმილით, არა უშავს შენ ასაკში მეც ველავდიო, გავა დრო, ჩვენს თათბირებს რაიკომში დაესწრები, პარტიაშიც მიგიღებთ და ყველაფერს თანდათან მიეჩვევიო. ბატონი გივი ზაუტაშვილი იმ პერიოდში იყო თავისი ჩვეული საქმით და ენერგიით რესპუბლიკაში ერთ-ერთი ცნობილი ძლიერი მდივანი.

მერე შევხვდით პარტიის რაიკომის მეორე მდივანსაც შალვა გოზალიშვილს, გავიცანი და გამესაუბრა, რომელიც მეორე კვირას გადაიყვანეს ლაგოდენის სოფტექნიკის მმართველად. მეორე მდივანად აირჩიეს ისევ ლაგოდენიდან ილია ტყემალაძე. თებერვლიდან მართლაც დავიწყე მუშაობა და ყვარელში წლის ბოლომდე მომიწია მუშაობა.

1965 წლის იანვრიდან მოხდა ისევ რაიონების რეორგანიზაცია და ლაგოდენში ამირჩიეს კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანად. ისე, რომ ჩემი პირველი პოლიტიკური კარიერა ყვარლის რაიონიდან დაიწყო.

აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ყვარელში ერთი წლის მუშაობის დროს რაიკომში შევიძინე უაღრესად კარგი მეგობრები, ვმუშაობდით მთელი მონღომებით, ერთმანეთისაგან ვსწავლობდით და ვუზიარებდით გამოცდილებებს, ვესწრებოდით კრებებს და ვატარებდით უამრავ ღონისძიებებს. ესენი იყვნენ; როსტომ სესიაშვილი, ვაჟა ჭერაშვილი, გივი (წიწილო)ალექსიშვილი, ბეგი ნერსეზაშვილი, რამაზი კანტროშვილი, თამროკო ბადურაშვილი. აქედან უმრავლესობა ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ მეც და ბატონ ვაჟა ჭერაშვილს დღესაც გვაქვს კარგი მეგობრული ურთიერთობა.

შალვა გოზალიშვილი

ყვარელი-ლაგოდეხის გაერთიანებული რაიონის პარტიის რაიკომის მეორე მდივანი (1964 წელი)



შალვა გოზალიშვილი დაიბადა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჩადუნთანში, 1945 წელს დაამთავრა ლაგოდეხის ი.ჭავჭავაძის საშუალო სკოლა, ეს ის წლებია როდესაც მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებულია, მიუხედავად ცხოვრებისეული გაჭირვებისა, იმავე წელს მოეწყო საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში და დაამთავრა აგრონომიული სპეციალობა. დაუბრუნდა თავის რაიონს და მუშაობა განაგრძო ლაგოდეხის თამბაქოს საცდელ სადგურში აგრონომად.

1957 წელს არჩეული იქნა ლაგოდეხის პარტიის რაიკომის მესამე მდივნად, შემდეგ მეორე მდივნად. 1963-64 წლებში ლაგოდეხის და ყვარლის რაიონების შეერთების პერიოდში 1963 წელს მუშაობდა ყვარელში გაერთიანებული რაიონების პარტიის რაიკომის მეორე მდივნად. 1964 წელს დაინიშნა გაერთიანებულ რაიონში ლაგოდეხის საქსოფტექნიკის სამმართველოს უფროსად, სადაც 12 წელი ხელმძღვანელობდა ამ ურთულეს დარგს, კოლმეურნეობების მომარაგებას ახალი ტექნიკით და სათადარიგო ნაწილებით.

1976 წლიდან მუშაობდა ლაგოდეხის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის ინსპექციის უფროსად. 1978 წელს არჩეული იქნა სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ხოლო 1981 წლიდან მუშაობდა ლაგოდეხის ხეხილ-სანერგე მეურნეობაში.

ბატონი შალვა, თავისი ცხოვრებისეული განვლილი გზით იყო პოლიტიკაში და სოფლის მეურნეობაში უდიდესი გამოცდილების კაცი. ვისაც კი სამსახურებრივი შეხება ქონია ან ამ წლების განმავლობაში უშუშავია მასთან, ის იყო ყოველთვის ახალგაზრდა სპეციალისტების მიმართ დამრიგებელი, ცხოვრების გზის მიმცემი და ნდობის კაცი.

ილია ტყემალაძე

ყვარელი-ლაგოდეხის გაერთიანებული რაიონის პარტიის რაიკომის მეორე მდივანი (1964 წელი)



დაიბადა ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ზოოვეტერინალურ ინსტიტუტში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ლაგოდეხის რაიონში სპეციალობით, 1963 წელს მუშაობდა ყვარელი-ლაგოდეხის გაერთიანებული რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოში მთავარ ზოოტექნიკადსაიდანაც 1964 წელს აირჩიეს გაერთიანებული რაიონების პარტიის რაიკომის მეორე მდივანად.

1965 წლის იანვრიდან რაიონების რეორგანიზაციის შემდეგ არჩეული იქნა ისევ ლაგოდეხის პარტიის რაიკომის მეორე მდივანად, სადაც იმუშავა 1979 წლამდე, 14 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა რაიონის სოფლის მეურნეობას, შემდეგ მუშაობდა ლაგოდეხში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების და ხარისხის ინსპექციის უფროსად პენსიაში გასვლამდე.

ფორე სუციშვილი



ფორე სუციშვილი, დაიბადა 1910 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში, მამა ადრე ასაკში გარდაეცვალა, დედასთან ერთად 19 წლის ჭაბუკი სკოლის დამთავრების შემდეგ პირველი შედის ვაქირის კოლმეურნეობაში და ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციას. ეს ის 1929-1930 პერიოდი და წლებია როდესაც იწყება ი. სტალინის ბრძნული პროგრამა კოლექტივიზაცია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, რაც მართლაც რეალურად განხორციელდა. სოფლის ახალგაზრდობაში და საერთოდ სოფელში ორი წლის აქტიური მუშაობის შემდეგ 1931 წელს სიღნაღის

პარტიის რაიკომის მუშფაკის მიერ იგზავნება თბილისის აპუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, როგორც აქტიური ახალგაზრდა იქაც ირჩევენ ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნად.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იწყებს შრომით საქმიანობას, განათლების სამინისტროს განაწილებით იგზავნება ლაგოდეხის რაიონში და ინიშნება ჯერ ვარდისუბნის და შემდეგ ლელიანის საშუალო სკოლის დირექტორად და ისტორიის მასწავლებლად.

ლაგოდეხის პარტიის რაიკომის პირველი მდივნის შალვა ნუცუბიძის მოთხოვნით 1939 წლიდან გადაჰყავთ პარტიულ სამუშაოზე ლაგოდეხის პარტიის რაიკომში კადრების განყოფილების გამგედ, 1942 წელს ირჩევენ პარტიის რაიკომის მესამე მდივნად. დიდი სამამულო ომის მთელ პერიოდში სხვა ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებთან ერთად დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობისათვის 1951 წელს იგი საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს გადაჰყავს ახმეტის პარტიის რაიკომის პიველ მდივნად, არჩეული იყო ცეკას წევრობის კანდიდატად.

ხანგრძლივი პარტიული მუშაობის შემდეგ ისევ ბრუნდება ლაგოდეხის რაიონში, როგორც გამოცდილი პარტიული მუშაკი იწყებს სამეურნეო სამუშაოზე მუშაობას, 1955 წელს ირჩევენ კართუბნის (ყარსუბნის) კოლმეურნეობის თავმჯდომარედ სადაც იმუშავა 14 წლი, მის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს როგორც გამოცდილი პარტიული მუშაკი 1957 წელს კოლმეურნეობაში დანერგა მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდი „სამეურნეო ანგარიშის დანერგვა“, რამაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია რესპუბლიკის მაშტაბით და მთავრობის დადგენილებით რეკომენდაცია მიეცათ საქართველოს კოლმეურნეობებს განეხილათ და დაენერგათ თავიანთ მეურნეობებში სამეურნეო ანგარიშწორების ეს მეთოდი.

1966 წელს ფორე ხუციშვილი დაინიშნა რესპუბლიკის ზორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ლაგოდეხის რძის გადამამუშავებელი ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორად, სადაც 18 წელზე მეტი უმუშავა. ამ ხნის განმავლობაში იყო პარტიაში მიღების კომისიის თავმჯდომარე. პარტიული საქმიანობის მთელ განვლილ პერიოდში იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, მრავალი მედლით, დაბადების 70 წელთან და შრომითი მოღვაწეობის 50 წელთან დაკავშირებით საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა საპატიო სიგელით, ლაგოდეხის რაიონის პირველ პირებთან ერისკაცებთან ერთად მართლაც ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ლაგოდეხის მშრომელი მოსახლეობის დასაქმების და კეთილდღეობის ამაღლების საქმეში. ძველი ნათქვამია „ხე ნაყოფით იცნობა, კაცი საქმითა“ აი

ასეთი კაცი იყო თავისი ცხოვრების განვლილი გზით.

აქვე მინდა გავიხსენო წიგნის მკითხველისათვის ერთი მეტად საინტერესო ამბავი, ჩემი ახალგაზრდობის წლებიდან ბატონ ფორე ხუციშვილის ყარსუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში. რა თქმა უნდა ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ გლეხიც, პარტიული მუშაკიც, მეცნიერიც, აკადემიკოსიც და ყაჩაღიც.

ვსწავლობდი ყარსუბნის საშუალო სკოლაში, ვიყავი სკოლის კომკავშირის მდივანი, 1958 წელი იყო, კახეთის 3 რაიონიდან საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ირჩევდნენ პოეტ გიორგი ლეონიძეს, ყარსუბნის საშუალო სკოლის ეზოში იყო დიდი შეხვედრა, მე როგორც სკოლის კომკავშირის მდივანი დაგვემძილი იყო ჩემი მისასაღმებელი სიტყვით გამოსვლაც, მაშინ პირადად ვნახე პოეტი ახლოს სცენაზე. ჩემი სიტყვაში გამოსვლის შემდეგ მომეფერა, ქოჩორზე ხელი გადამიხვია და ტრიბუნაზე მყოფებს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ფორე ხუციშვილს და პარტიის რაიკომის პირველ მდივანს პეტრე ბაქრაძეს უთხრა ეს ბიჭი პოლიტიკოსი გამოვა და მეტი ყურადღება მიაქციეთო,

მართლაც ასე მოხდა, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლაგოდეხში ჩემი განვლილი ცხოვრებაც 27 წელი ლაგოდეხის პოლიტიკაში და სამეურნეო ხელმძღვანელ თანამდებობებზე წარმართა, ბევრი კარგი საქმეებიც მაქვს გაკეთებული, ბოლოს წლები ისე განვითარდა რომ მე და ბატონი ფორე ისე დაგვაახლოვა პარტიულმა საქმიანობამ რომ მიუხედავად ჩვენი განსხვავებული ასაკისა დიდი მეგობრობა გვქონდა წლების განმავლობაში, მე მაღლიერი ვარ იმით რომ მისგან ბევრი რამ პოლიტიკოსისათვის აუცილებელი რაც საჭიროა ვისწავლე და არსად კისერი არ წამიმტვრევია რაიონის ბევრი დღევანდელი ვაი ხელმძღვანელებივით. აი ესაა განსხვავება ჩემსა და დღევანდელ ნავტალინის ყუთიდან ამოფრენილ ლაგოდეხელი ზოგიერთი განგებელს შორის.

აქვე მინდა გავიხსენო ლაგოდეხის ადმინისტრაციული ორგანოებიდან ალექსანდრე ვაიტაძე, რომელიც 34 წელი მუშაობდა პროკურატურის ორგანოებში, პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა ლაგოდეხის პროკურორად. იგი თავისი პრინციპულობით და ობიექტურობით რესპუბლიკაში ცნობილი პიროვნება იყო.

გიორგი ყაველაშვილი 32 წელზე მეტი იყო სხვადასხვა დროს ლაგოდეხის რაიონის სახალხო მოსამართლე, პენსიაზე გასვლის შემდეგ გარდაცვალებამდე მუშაობდა ლაგოდეხის რაიონშივე ადვოკატად.

ბახვა კაკალაშვილი



პატრიოტი და ჭეშმარიტი ლაგოდეხელი, იყო შესანიშნავი მოქალაქე.

საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ წლების განმავლობაში მუშაობდა ლაგოდეხის რაიონში ჯერ ზოოტექნიკად, შემდეგ 1963-1964 წლებში ლაგოდეხი-ყვარელის გაერთიანებულ რაიონში მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავრ ზოოტექნიკოსად, 1965 წელს რაიონების რეორგანიზაციის შემდეგ დაინიშნა ლაგოდეხის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად, სადაც იმუშავა უცვლელად

19 წელი, მე პირადად 1967 წლიდან 8 წლის განმავლობაში კომპაგვიშორის რაიკომის პირველ მდივნად და პარტიის რაიკომის ბიუროს ერთად წევრობის დროს მაკავშირებდა ახლო საქმიანი ურთიერთობა.

უწინარეს ყოვლისა ფიგურალურად უნდა განვაცხადო, რომ ამ ქვეყნად ცხოვრებას აზრი აქვს, თუ ისეთ კარგ ადამიანებთან გაქვს საქმიანი სამსახურებრივი ურთიერთობა როგორც იყო ბახვა კაკალაშვილი და ბიუროს მთელი შემადგენლობა.



კიკური ბახტაძე, როგორც მექანიზა-

ტორი მისი ბიოგრაფია სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იწყება ლაგოდეხის სოფლტექნიკიდან, სადაც მისი მამაც ვალერიან ბახტაძე დამსახურებული ინჟინერი ამ საწარმოს შექმნის დღიდან მუშაობდა, თვითონაც მამის სახელგანთავსებით გზას გაჰყვა. მუშაობდა სოფლტექნიკის ავტოკოლონიის უფროსად,

შემდეგ პოლიტიკურ აღმასრულებელ სამუშაოზე ლაგოდეხის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ ნიშნავენ, რამდენიმე წლის შემდეგ ისევ ბრუნდება სამეურნეო სამუშაოზე და ინიშნება სოფლტექნიკის მმართველად, ამ სისტემის რეორგანიზაციის შემდეგ იწყებს მუშაობას ლაგოდეხის აგრისამრეწველო კომბინატის დირექტორად. მე პირადად მასთან ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობა მაკავშირებდა. მოულოდნელად წავიდა ჩვენგან, დააკლდა ოჯახს, შვილებს, მეგობრებს, ეს მართლაც უდიდესი, ყველასათვის სამეგობრო პიროვნება.

კვანის ლუგასოვი

მართლაც ლეგენდა, 39 წელი სოფლის მეურნე თავკაცია

ცხოვრების გრძელი და რთული გზა განვლო. ობლობით, ვაებით გამოზრდილმა ბიჭმა თავის დროზე ახალგაზრდობიდანვე წარმატებით დაამთავრა ცხოვრების უნივერსიტეტი და სამაგისტროც წარმატებით ჩააბარა 39 წლის განმავლობაში ლაგოდეხის ხალხსა და ეპოქას. მასზე ამბობდნენ, გასაჭირის დროს უკან დახევა არ იცოდა, ამიტომაც არც არასოდეს დაუხევია უკან მიზნისკენ მიმავალ გზაზე. ყველა წამოწყებული რთულ საქმეს რწმენით ერკინებოდა და იმარჯვებდა კიდეც.

მისი პირველი შრომითი საქმიანობა დაიწყო როდესაც ულიანოვკის



(ჭიაური) მოსახლეობამ 1948 წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, სადაც უცვლელად იმუშავა 29 წელი. შემდეგ კალინოვკის მოსახლეობამ 1978 წელს აირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, იქაც 10 წელი მოუწია მუშაობა, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლო წლებამდე ჯანმრთელობის გაუარესებამდე. წლების განმავლობაში არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცკ. წევრობის კანდიდატად, დაჯილდოებული იყო შრომის დიდების და სხვა მედლებით.

როგორც უკვე აღნიშნული მაქვს, მას

კარგი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა წლების განმავლობაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ვასილ მუჟანაძესთან და ბევრ სხვა პარტიულ მუშაკებთან.

მეც მასთან კარგი საქმიანი დამოკიდებულება დიდი ხნის განმავლობაში მაკავშირებდა იმ დროიდან, როდესაც 1964 წელს კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნობის დროს მოსკოვში ვიმყოფებოდი 4 თვიან კურსებზე კომკავშირულ-პარტიულ სკოლაში. ოქტომბრის ბოლო რიცხვებია, მოსკოვში მივლინებით ჩამოსული ყოფილან ლაგოდეხის სოფლტექნიკის მმართველი შალვა გოზალიშვილი და ეგვენი დუგმასოვი. საინტერესო ისაა, რომ გავასხედ და გამოძებნეს ჩემთვის დრო, როგორ მომძებნეს. საერთო საცხოვრებელში დაცვის მუშაკმა მომიტანა სატელეფონო წერილობითი ბარათი, რომ ზვალ 5 საათზე უნდა მივიდე სასტუმრო „РОССИЯ“-ში ვესტიბიულში, შეტყობინების

ბარათზე აწერია ევგენი ღუგმასოვი. ასეთმა მოულოდნელმა წერილმა ჩემში დიდი სიხარული გამოიწვია, მართლაც მეორე დღეს ჩემთან ერთად საქართველოდან კურსებზე მყოფი ვასიკო ჩომახიძე წავიყვანე და წავედით. შევხვდით ვისაუბრეთ და 6 საათზე რესტორანში აღმოვჩნდით და ავლნიშნეთ ის შესანიშნავი და მართლაც დაუვიწყარი საღამო, იქიდან კი ტაქსით გამოვავაზავენს.

ილია ჭავჭავაძის ბრძნული ნათქვამია „ყველა ადამიანს ორი სახელი აქვს „ერთი აქ დასატოვი და მეორე თან წასაღებო,“ სწორედ ეს სიტყვები ევგენი ღუგმასოვზეც ნამდვილად ითქმის, მან თავისი 39 წლის განვლილი გზით, გაკეთებული საქმეებით აქაც კარგი სახელი დატოვა და იქაც კარგი სახელით წავიდა. მაგრამ, რა? ასეთ მართლაც ლეგენდა კაცს გამხსენებელი და გვარის გამგრძელებელი ლაგოდეხში აღარავინ არ დარჩა, წიგნისთვის მის სურათსაც ვერსად მივაკვლიე, დარჩა მხოლოდ სოფელ ნინიგორის სასაფლაოზე ეს ბიუსტი სურათით.

ავთანდილ კაპანაძე



დაიბადა ლაგოდეხში, საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სოფელ ცოლნისკარის კოლმეურნეობაში აგრონომად, რამდენიმე წლის შემდეგ სოფლის მოსახლეობამ აირჩიეს ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სადაც მუშაობდა 18 წლის განმავლობაში, მისი მუშაობის წლებში კოლმეურნეობა იყო ყოველთვის მოწინავეთა რიგებში. აშენდა სოფლის ახალგაზრდებისათვის რაიონში ერთ-ერთი დიდი კონო-თეატრის კლუბი და კოლმეურნეობის გამგეობის ადმინისტრაციის შენობა. სოფელში მოეწყო სასმელი წყლის გაყვანილობა, აშენდა მეცხოველეობის და მეფრინველეობის კაპიტალური ფერმები. მან ეს სოფელი პატარა ქალაქს დაამსგავსა, ხალხის ცხოვრების დონე ისე ამაღლდა კოლმეურნეობიდან მიღებული შემოსავლებით, რომ წლის ბოლოს (ნოემბერ-დეკემბერი) ჩხუბი და დავიდარება გვქონდა კოლმეურნეობის ბრიგადერებთან, რომ მოსახლეობას გაეტანათ კოლმეურნეობის საღაროდან თავიანთი ნამუშევრებიდან კუთვნილი ფულადი თანხები.

1970 წელს საქართველოს კომკავშირის 28-ე ყრილობაზე ჩვენი დალეგატებიდან ერთი უნდა ყოფილიყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პარტიის რაიკომის პირველ მდივანთან ვახტანგ უნგიაძესთან ერთად შეირჩა ავთანდილ კაპანაძე, როგორც რაიონში ერთ-ერთი მოწივავე კოლმეურნეობის ხელმძღვანელი. ყრილობაზე ბატონი ავთანდილი შეხვდა თავის მეგობარ კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს და ჰქონდათ ხანგრძლივი საქმიანი საუბრები.

1978 წელს, როგორც უკვე აღვნიშნე, ავთანდილ კაპანაძე როგორც რაიონში ერთ-ერთი გამოცდილი სოფლის მეურნეობის სპეციალისტი და მეურნე კაცი რაიკომის ბიუროს წარდგინებით აირჩიეს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, აქაც 10 წელზე მეტი ხელმძღვანელობდა პარტიის რაიკომთან ერთად რაიონის მოსახლეობის კეთილდღეობის ამალგების საქმეს. აქვე მინდა გავიხსენო ბატონი ავთანდილის მამა გრიგოლ კაპანაძე, რომელმაც ვეფხისტყაოსანი თავიდან ბოლომდე იცოდა ზეპირად, ასევე ლაგოდეხში სოფელ მაწიმში იყო გლეხი კოლწევრი და შრომის საშუალო სკოლის მასწავლებელი რომლებმაც ზეპირად იცოდნენ ვეფხისტყაოსანი.

ბატონი ავთანდილი იყო, ჩემი ლაგოდეხში პოლიტიკაში მოღვაწეობის პერიოდში უფროსი მეგობარი, განსაკუთრებით მაშინ როდესაც საკანდიდატო დისერტაციაზე ვმუშაობდი, მინდვრის ცდები მქონდა კალინოვკის კოლმეურნეობაში. როგორც აგრონომი ისე დააინტერესა რომ ორჯერ მონიხსულა ჩემი საკანდიდატო დისერტაციის მინდვრის ცდები. ხოლო როდესაც სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში საკანდიდატო დისერტაციის დაცვა იყო დანიშნული ბატონ ავთანდილი, აკაკი ჯინჭველაშვილი და ლერი ხუციშვილი ბევრ ლაგოდეხელებთან ერთად ჩამოვიდნენ სპეციალურად სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დასასწრებად, ესეც ზომ ინტერესის და ადამიანური მხარდაჭერის საკითხია.

ბატონი ავთანდილი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 10 წუთიანი სიტყვითაც გამოვიდა და მაღალი შეფასება მისცა ჩემს სადისერტაციო შრომას, აღნიშნა რომ ლაგოდეხში მეცხოველეობის ყუათიანი საკვების მისაღებად მართლაც საჭირო და აქტუალურია ეს საკითხი.

გაზეთი „ბრძოლა თამბაქოსათვის“

1930 წლის 5 იანვარს ლაგოდეხის, როგორც ადმინისტრაციული რაიონის შექმნის შემდეგ დაიწყო ფუნქციონირება პარტიულმა ორგანომ. როგორც ავღნიშნეთ მანამდე შედიოდა სიღნაღის მაზრაში როგორც სოფელი ლაგოდეხი. 1932 წლის 25 თებერვალს გამოიცა გაზეთის პირველი ნომერი „ბრძოლა თამბაქოსათვის“ საქ.კ.პ.(ბ) ლაგოდეხის რაიკომისა და რაიადმასკომის ექვსდღიური ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. გაზეთი იბეჭდებოდა სიღნაღის ი. სტალინის სახელობის სტამბაში. გაზეთის პირველი ნომრის გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორი იყო ალექსანდრე საჯაია, შემდეგ პასუხისმგებელ რედაქტორად დაინიშნა გრიგოლ (გრიშა)ხიდეშელი, 1941 წლიდან რამდენიმე წელი პასუხისმგებელი რედაქტორი იყო გიორგი სავინაშვილი. 1951 წლიდან გაზეთი იცვლის სახელწოდებას და გამოდის „გამარჯვების დროშას“ სახელწოდებით რედაქტორობას აგრძელებს გრიგოლ ხედეშელი, ხოლო 1966-1990 წლამდე რედაქტორობად ინიშნება იოსებ ნოზაძე და გივი კიკილაშვილი. 1990 წლიდან გაზეთი გამოდის „ჭერეთის“ სახელწოდებით და რედაქტორად ინიშნება ვაჟა მუშლაძე.



გრიგოლ ხიდეშელი



იოსებ ნოზაძე



გივი კიკილაშვილი



ვაჟა მუშლაძე

ლაგოდეხის ისტორიაში დარჩენილი ღვაწლმოსილი ექიმები

ლაგოდეხის რაიონის სამედიცინო კოლექტივი ომამდე, ომის მძიმე წლებში და შემდეგ პერიოდში ეწეოდნენ მოსახლეობის ჯამრთელობის საუკეთესო მომსახურებას, რომელიც აღწერილი მაქვს, მაგრამ მინდა გამოვყო მათგან რამდენიმე; ომში გამოვლილი ქირურგი გიორგი ჯალაიაშვილი, ივანე სულხანიშვილი და ლაგოდეხში თვალსაჩინო ადამიანი, ყელ-ყურის ექიმი მერი წულუკიძე.



ივანე სულხანიშვილი ომგამოვლილი და დამსახურებული ექიმი, დაიბადა სიღნაღის მაზრაში, სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1938-იან წლებში სამუშაოდ აგზავნიან ლაგოდეხის რაიონის სავადმყოფოში, მუშაობდა ჯერ ექიმად, შემდეგ ძალიან დიდხანს სავადმყოფოს მთავარ ექიმად, მეორე მსოფლიო ომის დროს გაიწვიეს ფრონტზე, მუშაობდა ომის მთელ პერიოდში სხვადასხვა ქალაქში სამხედრო ჰოსპიტალებში, რამდენჯერმე დაიჭრა კიდევ. მიღებული აქვს ომის პერიოდში მრავალი მედლები, ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა ისევ ლაგოდეხში და პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა რაიონული სავადმყოფოს მთავარ ექიმად.



გიორგი ჯალაიაშვილი, ომგამოვლილი ქირურგი დაიბადა სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში (ნანიანში), ომამდე წლებში ინსტიტუტის დამთავრებისთანავე თბილისიდან აგზავნიდრენ ახალგაზრდა ექიმებს რაიონებში სამუშაოდ, რადგან ყველგან სპეციალისტების დიდი ნაკლებობა იყო. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გ. ჯალაიაშვილი გააგზავნეს სამუშაოდ საგარეჯოს რაიონში, რამდენიმე წლის შემდეგ გადაჰყავთ ლაგოდეხის რაიონში ხირურგად, ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ფრონტზე, მოუწია ექიმად მუშაობა ჯერ ყირიმში სამხედრო ჰოსპიტალში, შემდეგ უშუალოდ ფრონტზე, გამოჰყავდათ დაჭრილი მეომრები და სავსე პირობებში შველოდნენ დაჭრილებს. ერთ-ერთი მძიმე შეტევისას დაჭრილი მეომრების გამოყ-

ვანის დროს თვითონაც დაიჭრა, ასე მოუწია ფრონტზე ყოფნა ომის დამთავრებამდე. გიორგი ჯალიაშვილი ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა ისევ ლაგოდეხში და 37 წელი რაიონულ სავადმყოფოში ხირურგად მუშაობდა, მიღებული აქვს ფრონტზე ყოფნისას მედლები და ლაგოდეხში ხირურგად მუშაობის დროს ჯამრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ შრომის საპატიო მედლები, სამინისტროს მიერ მინიჭებული ქონდა დამსახურებული ხირურგის წოდება. იგი იყო ლაგოდეხში მოსახლეობის ჯამრთელობის ზრუნვის თვალსაჩინო მაგალითი.



მერი წულუკიძე, ვალმოხდილი ექიმი წლების განმავლობაში დამსახურებულ პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა ლაგოდეხის სავადმყოფოში, იგი ყოველთვის იყო საზოგადოების და ავადმყოფების მიმართ კეთილშობილი ხასიათის, რომელმაც თავის დროზე შეაყვარა თავი სამედიცინო კოლექტივს და პაციენტებს. მისი როგორც ექიმის და მოქალაქის მოღვაწეობა დღესაც ახსოვთ რაიონის მოსახლეობის ძველ თაობას. ტკ-

ბილ მოგონებად დარჩა ლაგოდეხში მისი ყოველთვის დამრიგებლური სიკეთე, ულამაზესი სახის ჭადარათმიანი და მისი კეთილი გული.

დიდი სამამულო ომის მძვინვარე 1943 წელს გაჩნდა ინფექციური დაავადებები, მ.შ. დიფტერია. ყოველდღე სოფლებში 3-4 ადგილზე უხდებოდა ჩასვლა. გვიან ღამით სავადმყოფოში მოუყვანიათ ნინიგორიდან ტაჭკით 3 წლის ბავშვი, რომელიც იხრჩობოდა ხორხის ჩირქ-გროვით, საჭირო ყოფილა სასწრაფო ოპერაციის გაკეთება, 2 დღე ელექტროლენიც არ ყოფილა მთელ რაიონში. ნავთის ლამფის შუქზე სასწრაფოდ გაუკეთებია მერი ექიმს ოპერაცია, როგორც გაზეთ „გამარჯვების დროის“ ერთ-ერთ ნომერშია აღწერილი, ასე გადაურჩენია ბავშვი სიკვდილს. გარკვეული დიდი დროის შემდეგ ამ ქალს მშობლების ნათქვამიდან ცოდნია ეს ფაქტი, ყოფილა სკოლის მასწავლებელი, 25 წლის ასაკში მიუკითხებია მერი ექიმისათვის და შეუხსენებია ეს ამბავი თუ როგორ გადაურჩენია ბავშვობაში და უთქვამს თქვენ ჩემი გადარჩენის ღმერთი ყოფილხართო.

ასეთი მომენტები იმ პერიოდში ძალიან ხშირი შემხვევები ყოფილა. საქართველოს ჯამრთელობის დაცვის მინისტრს ქალბატონი მერი წულუკიძისათვის პირადად რამდენჯერმე გამოუგზავნია საპატიო სიგელი და წერილობითი მადლობა, სამინისტროს დაუჯილდოებია პენსიაში გასვლის დროს შრომის დიდების მედლითაც. ამ სიკეთით ლაგოდეხის ჯამრთელობის დაცვის დამსახურში 35 წელი გაატარა.

ლაგოდენის რაიონიდან საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატები

1. ვია ლობჯანიძე
2. ნუგზარ კაკიაშვილი
3. ამირან ცინცაძე
4. დავით კაპანაძე
5. ლაშა ნაცვლიშვილი
6. გურამ კაკალაშვილი – პარტიული სიით და მაჟორიტარი
– 9 წელი პარლამენტის დეპუტატი
7. ვია გოზალიშვილი
8. გურამ მაჭარაშვილი



ვია ლობჯანიძე დაიბადა 1952 წელს ლაგოდენის რაიონში, 1975 წელს დაამთავრა საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, 1975-1980 წლებში მუშაობდა ლაგოდენის ცენტრალური რაიონული სავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ექიმ-ორდინატორად, 1980-1991 წლებში ამავე განყოფილების გამგედ, არის საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, იყო პოლიტიკური პარტია „სახალხო ფრონტი“ წევრი, ლაგოდენის საარჩევნო ოლქიდან პირველი მოწვევის მაჟორიტარი დეპუტატი, 1991-1997 წლებში არის ლაგოდენის ცენტრალური რაიონული სავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ექიმი ქირურგი. 1997 წლიდან შპს. „კელაპტარი“-ს დამფუძნებელი და დირექტორი.



ამირან ცინცაძე დაიბადა 1935 წელს ლაგოდენის რაიონში, წლების განმავლობაში მუშაობდა ლაგოდენში სამეურნეო ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 15 წელი მუშაობდა ლაგოდენის საკოლმეურნეობათა-შორისო სამშენებლო საწარმოს დირექტორად, მის დროს ფართოდ შენდებოდა თამბაქოს თანამედროვე კაპიტალური საშრობები, მეცხოველეობის კაპიტალური ფერმები, სოფლის კლუბ-კანტონის შენობები. შემდეგ მუშაობდა ლაგოდენის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის დირექტორად, ლაგოდენის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარედ, მისი ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს რაიონში უკრაინიდან და რუსეთიდან შემოყვანილი იქნა

მერძეული მიმართულების 2000 -ზე მეტი თანმედროვე ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქ-თევზმრეწვის გაერთიანების თავმჯდომარედ.

შემდეგ არჩეული იყო ლაგოდეხის რაიონის მოსახლეობის დიდი უმრავლესობით საქართველოს პარლამენტის მესამე მოწვევის დეპუტატად, სადაც ჯამრთელობის შესუსტების გამო მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი სახით ლაგოდეხის მოსახლეობამ, ახლობლებმა და მეგობრებმა დაკარგა უდიდესი ზნეობისა და ჭეშმარიტების ადამიანი, საქმეში პრინციპული, გამოცდილი, კარგი ორგანიზატორი სამეურნეო და პარტიული მუშაკი.

მე ახლოს ვიცნობდი მას ლაგოდეხის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარედ მუშაობის 4 წლის ერთად მუშაობით, მის პირველ მოადგილედ და რაიონის მთავარ აგრონომად, მართალია სპეციალობით იყო ელექტრო-ინჟინერი, მაგრამ სოფლის მეურნეობის ჰერბიციდები და შხამქიმიკატები, მათი გამოყენების წესები, ზოგიერთ აგრონომზე კარგად მოკლე დროში შეისწავლა.

აქვე მინდა გავიხსენო პარლამენტში მისი არჩევის და მუშაობის წლები. მე იმ პერიოდში ვმუშაობდი თბილისში სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში, ეს ის წლებია როდესაც ქვეყანაში ქაოსი იყო, მაგრამ თანდათან მართვადი ხდებოდა.. ბატონი ამირანი ძალიან ხშირად მირეკავდა, პარლამენტშიც გვექონდა შეხვედრები, ვგეგმავდით ლაგოდეხში რომელიმე სქმ დარგის აღდგენას, ჩემი წინადადება იყო დაგვეწყო თამბაქოს კულტურის აღდგენა. მართლაც მისი პირადი გვერდში დგომით 1997 წლიდან ლაგოდეხში აღვადგინეთ თამბაქოს კულტურის წარმოება.

ჩემი შედგენილი გრაფიკის მიხედვით რაიონის ყველა სოფელში შევვხვდით მოსახლეობას, მოსახლეობამ სიხარულით გამოთქვეს დიდი სურვილი თამბაქოს მოყვანის, 1999 წლისათვის მოსახლეობას ვაწარმოებინეთ 1647 ტონა ნედლეული, მოსახლეობა კმაყოფილი იყო თამბაქოსაგან მიღებული შემოსავლებით. ამ პერიოდში მოულოდნელად გარდაიცვალა ბატონი ამირანი, ლაგოდეხის მაშინდელმა გამგებელმა ნუგზარ კაკიაშვილმა ჩვენი წამოწყებული წესიერი საქმეს თვითონ დაეპატრონა და მეორე წელს შემოიყვანა თბილისელი დელეცები, დაიწყო აზერბაიჯანიდანაც თამბაქოს შემოტანა და სასომხეთში და რუსეთში გატანა,

2001 წლიდან დასამარდა ლაგოდეხში თამბაქოს წარმოება, 2 წელიწადში თბილისელი დელეცებიც ისე წავიდნენ კუდამოძუებულები, რომ ალაზანს აქეთ აღარც გამოუხედავთ. გულახდილად რომ ითქვას ლაგოდეხში ნ.კაკიაშვილის მიერ ეს საქმოსნური არასასიამოვნო ფაქტი რომ არ მომხდარიყო, ისე ეწყობოდა საქმე, რომ ესლა ლაგოდეხში მინიმუმ 3 ათასი ტონა თამბაქოს ნედლეული უნდა იწარმოებოდეს.

დღევანდელი გადასახელიდან თუ შევაფასებთ, ლაგოდეხის შვიდი დეპუტატის განვილი სადეპუტატო პერიოდებს, ამირან ცინცაძის გარდა, არცერთს არაფერი სასიკეთო არ გაუკეთებია ლაგოდეხის მოსახლეობისათვის, გამონაკლისი ერთი დავით კაპანაძე, რომელიც მოკლე დროის სადეპუტატო პერიოდში მართლაც იყო მოწადინებული რაღაცის გაკეთების. რაც შეეხება მე-9 მოწვევის დეპუტატის გურამ მაჭარაშვილის საქმიანობას ქვემოთ ფართოდ მოვასხენებ მკითხველს.



ლაშა ნაცვლიშვილი, დაიბადა ლაგოდეხში

1966 წელს, ოფიციალური მონაცემების თანახმად 1985-1987 წლებში საბჭოთა ჯარში მსახურობდა. 1990 წელს ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, შემდეგ მუშაობას იწყებს საქართველოს პროკურატურაში; 1999-2001 წლებში საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ჯერ განყოფილების, შემდეგ კი აპარატის უფროსია. ბოლოს, სამმართველოს უფროსად აწინაურებენ.

2001 წელს ლ. ნაცვლიშვილი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ ინიშნება. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ნაცვლიშვილი უშიშროების მინისტრის მოადგილის პოსტს ტოვებს და მაშინდელი მმართველი გუნდის, ანუ „მოქკავშირის“ სახელით, ლაგოდეხის რაიონის მაჟორიტარად იყრის კენჭს, ე. შევარდნაძე ეუბნება; წადი, შენს რაიონში ლაგოდეხში იყარე კენჭიო. მართლაც იყრის კენჭს და იმარჯვებს კიდევ, ერთი რაც გააკეთა სახელდახელოდ კაპიტალურად შეაკეთა კინოთეატრის შენობა და დაარქვა სახელი „სინემა“ სადაც ტარდებოდა წინასაარჩევნო შეხვედრები.

ლაშა ნაცვლიშვილი „ნაციონალების“ მოსვლის შემდეგ დიდხანს აღარც გამოჩენილა ლაგოდეხში, 2012 წლიდან „ქართული ოცნების“ გვერდით ამ პარტიის შექმნის დღიდანვეა, იყო საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილედ და შსს მინისტრის პირველი მოადგილე.

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ლაგოდეხის რაიონში მაჟორიტარად კენჭის ყრის დროს მიღებული ხმების 30-35 პროცენტი მიიღო მისი მამის გოგი ნაცვლიშვილის ლაგოდეხში უდიდესი ავტორიტეტით, იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ლაგოდეხის ხორცკომბინატის დირექტორად. ამ აღამიანს იმიტომ ვიხსენებ, რომ ყოველთვის მეგობრობაში იყო დახვეწილი, სულ მომდიმარი და სუფრაზე მოქეიფე პიროვნება, 1970-იან წლებიდან მეც მაკავშირებდა დიდხანს კარგი მეგობრული ურთიერთობა.



გია გოზალიშვილი დაიბადა 1954 წელს ლაგოდეხში, 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა ლაგოდეხის ი. ჭავჭავაძის სახ. საშუალო სკოლა, 1979 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, სამკურნალო ფაკულტეტი. 1980 წლიდან მუშაობდა ლაგოდეხის ცენტრალურ სავადმყოფოში ექიმად, 1988 წლიდან მუშაობდა ლაგოდეხის ცენტრალური სავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ, შემდეგ მთავარი ექიმად. 1994

წლიდან მუშაობდა ჯამრთელობის დაცვის კახეთის სამხარეო დეპარტამენტის ღირეპტორად, 1998 წელს დაინიშნა ლაგოდეხის რაიონის გამგებლად, შემდეგ მუშაობდა ისევ ჯამრთელობის დაცვის სისტემაში სპეციალობით. 2007-2010 წლებში დაინიშნა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლად, 2010-2012 წლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეა.

2012 წლიდან იყო ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტში, „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ლუკაშ კურტანძემ ამ არჩევნებში სამართლიანად წააგო სამარცხვინოდ იმიტომ, მას ლაგოდეხთან არასოდეს არავითარი კავშირი არ ჰქონია. პარლამენტის მუშაობის დაწყების შემდგომ თვეებშივე გ. გოზალიშვილი-მა უმცირესობა „ნაც-მოძრაობა“ დატოვა.

საქართველოს პრემიერ მინისტრს ბიძინა ივანიშვილს პარლამენტის ტრიბუნიდან ბოდიში მოუხადა წინასწარჩევნოდ ლაგოდეხში მის მიმართ არასასიამოვნო მოვლენების გამო, რომ მისთვის მსგავსი ქმედება იმ პერიოდშივე მიუღებელი იყო. გ.გოზალიშვილის ეს პოლიტიკური სვლა სრულიად ლოგიკური იყო, რაზეც თანდათან „ნაც-მოძრაობის“ პოლიტიკურ პარტიასთან დაიწყო საერთო „კოჰაბიტაცია“..

გურამ მაჭარაშვილი დაიბადა ქალაქ თბილისში 1948 წელს, არის საქართველოს პარლამენტში მე-9 მოწვევის ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი. ლაგოდეხის მაჟორიტარ ყველა დეპუტატთა შორის საქართველოს პარლამენტში ბატონმა გურამმა ეტყობა დაიმსახურა ჯერ პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეობა, მოკლე დროშივე გახდა კომიტეტის თავმჯდომარე. რა თქმა უნდა ეს ლაგოდეხის მოსახლეობის არჩეული რიგითი დეპუტატისათვის დიდი მიღწევაა და ლაგოდეხელებისათვის საამაფოა, მაგრამ რაიონის მოსახლეობას ამით ცოტა რაღაც ეკონომიკური ცხოვრების სიკეტე ხომ უნდა შეეტყოს.

ბატონ გურამს, ევროკავშირის მიერ გამოყოფილი 3 მლნ. გრანტი სად დაიხარჯა ვითომ არც აინტერესებს, მაგრამ თურმე აინტერესებს. თან ოფიციალურად მომწერა, რომ „პროცედურები კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის ჩარჩოებშია მოქცეული, რომელიც სცილდება ჩემი, როგორც პარლამენტის მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილებას“. კი შეიძლება დავეთანხმოთ, მაგრამ როცა მათ სხდომებს ესწრებით, როგორც დეპუტატი ერთხელ მაინც არ უნდა დაინტერესდეთ გრანტით დაფინანსებული პროექტების ფუნქციონირებით. თუ მარტო საჩვენებელ ობიექტებს ნახულობთ.

მე პირადად ლაგოდეხში დეპუტატის ბიუროში 3-ჯერ და პარლამენტში 2-ჯერ მქონდა ჩემი ინციატივით შეხვედრა, ლაგოდეხში თამბაქოს ნედლეულის წარმოების და საკონსერვო მინი ქარხნის წარმოების აღდგენისათვის, ჩვენს შორის ყველა შეხვედრა დარჩა უშედეგო. ეს იმას ნიშნავს რომ „სანადიროდ ძალით წაყვანილი მონადირის ძაღლი ნადირს ვერ მიაგნებს“. ბატონი ბივანიშვილის წინადადება, რომ განხორციელებულიყო „მარინუანა“-ს წარმოების მიღების თაობაზე მაშინ პირველი მოითხოვდა გურამ მაჭარაშვილი ლაგოდეხში ამ ნედლეულის წარმოებას.



სურათზე: მარცხნიდან: 1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი, ამჟამად რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე კახა ჯამბურია
2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი ჯონდო მდივნიშვილი,
3. ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში, საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარე გურამ მაჭარაშვილი.



ძალიან საინტერესო სურათია, რა განცვიფრებული სახეებით ჯიგ-რულად შესცქერიან სამთავე ერთმანეთს, კ. ჯამბურია კანსაკუთრებით ბელურას ბახალასავით გამოიყურება. თითქოს რაიონის მოსახლეობის მომავალ პრობლემების გეგმებზე მსჯელობდნენ. ამ სუფრაზე მეთხე ერთ კაცი გრანტიჭამია გიორგი ბოკერია აკლიათ. გასართობი ზღაპრული შეხვედრაა. რაიონში მოსახლეობას ეკონომიკური უამრავი პრობლემები აქვთ და ესენი არასამთავრობო ორგანიზაცია „საგა“-ს ხელმძღვანელს და 4 სათემო ცენტრის, სოფლის წარმომადგენელ ახალგაზრდებს სვდებიან. აქვე მინდა მივმართო ლაგოდეხის კროლო ჯამბურიას მოსაყდრე „პოპულარულ“ მერს ჯონდო მდივნიშვილს, ლაგოდეხის რაიონის მოსახლეობის სწორი მართვა ასე ადვილი არაა, ეს ერისკაცების კაბინეტია და არა ლიბერთი ბანკის კანტორა...

ბატონებო, ლაგოდეხის თანამედროვე ხელმძღვანელებო, ლაგოდეხის რაიონი თქვენნი დასაჭმუჭნი არაა, თქვენ არცერთს არა გაქვთ რაიონის მოსახლეობის განვითარების იდეა, მე მაქვს ამის პოლიტიკური და მორალური თქმის უფლება. სადაც ახლა თქვენ იმყოფებით, ამ „საგა“-ს ლაგოდეხის გაღარბებული მოსახლეობის დასაქმებისათვის ევროკავშირის გამოყოფილი გრანტიდან ორი რაუნდით კ.ჯამბურიას გამგებლობის დროს მიღებული აქვს 34 191 ლარი გრანტი პირველად თ.მუმლაძემ თვითონ დაიმტკიცა მეორედ ქმარმა გიორგი ბოკერიამ დაუმტკიცა, თანადაფინანსებით 11 590 ლარი ეს ალბათ ბიუჯეტიდან, სულ 45 741 ლარი.

თქვენი დაფინანსებული 64 პროექტებიდან ერთი ძალიან სასაცილოა გიორგი ბოკერიას და კროლო ჯამბურიას მოწონებელი, ვაშლოვანის ქუჩის შესახვევში ჩემი სახლის გვერდით შენდება „ნამჯის კოტეჯის

ტიპის ჰოსტელი“ 73 454 ლარის გრანტით, საინტერესოა აქ რომელი ქვეყნის უცხოელი ტურისტები უნდა დაასვენოთ, ეს ნაგებობა შენდება ყოფილი ნაკრძალის ხევის ადგილზე, სადაც მაისის თვეში ხევიდან გადმოტეხილმა ნიაღვარმა ერთი კვირა იდინა დაწყებული შენობის გარშემო. ვინ ჭკუამყოფელმა გასცა აქ შენობის აშენების ნებართვა?

ბატონო გურამ, არ მოიკითხეთ და არც დაგაინტერესათ ამ შეხვედრაზე სად ხარჯავენ ამ ფულს? რატომ არ არის ბატონი ამირან ცინცაძე ცოცხალი და პარლამენტის დეპუტატი, კროლო ჯამბურია და მისი მოსაყდრეები ერთ ლარსაც ვერ გაათეთრებდა. ბატონო გურამ, მიუხედავად თქვენდამი ჩემი დადებითი ადამიანური დამოკიდებულებისა არა ხართ მართალი და გულწრფელი ლაგოდების მოსახლეობის და ჩემს წინაშე.

ახლა გადავხედოთ პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ გურამ მაჭარაშვილის სამუშაო გამოცდილებას. დაიბადა თბილისში, დაამთავრა თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი, სამართალმცოდნეობა. 2001-2005 წლებში მუშაობდა სს ბანკი „ქართუს“ რუსთავის ფილიალის იურისტად, შემდეგ თბილისში ბანკი „ქართუს“ იურიდიული განყოფილების იურისტად, მოკლე დროშივე ინიშნება ბანკის გენერალური დირექტორის თანაშემწედ და 2010-2014 წლებში ბანკის იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ, ესეიგი ბანკი „ქართუს“ შენობის ახლოს თუ არა ხარ გავლილი მაინც, არა ხარ „მისიანი“, მე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმა მივეცი „ქართულ ოცნებას“ ხოლო 2014 წელს მივე გააკეთე პოლიტიკური შეფასება და როგორც განცხადებით სიხარულით შევედი ისევე ჩემი განცხადებითვე სიხარულით დავტოვე.

ლაგოდებელებს ვთხოვ! ახლა დააკვირდით ბატონი გურამ მაჭარაშვილის პოლიტიკურ სვლას, როგორც ბანკი „ქართუს“ მოღვაწე, ამ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ 2014-2016 წლებში გადაყავთ შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილედ, პარტიული სტაჟიორობის გასაკვლელად, 2017 წელს კი ლაგოდებელებს ზარ-ზეიმით აგვარჩევინეს პარლამენტის დეპუტატად იმ მოტივითაც რომ სოფელ აფენში ჰყავს ბებია-ბაუას ოჯახი და ბავშვობაში ზაფხულობით ალბათ მდინარე აფენის წყალში უბანავნია. მერე რა დაამავა ლაგოდებელბმა, რომ რამდენი წელია რაიონის ერთი გულშემატკივარი, პოლიტიკურად გამოცდილი და მომზადებული დეპუტატი ვერ შევარჩიეთ, მითუმეტეს რაიონის სკოლებში გვყავს ინციატივიანი და შესანიშნავი ახალგაზრდა პედაგოგები, როლებსაც აქვთ პოლიტიკური მუშაობის ინტერესი, მაგრამ ამათი პატრონი არსაიდან ჩანს.

კარგი იქნება რაიონში შეიქმნას „ახალგაზრდა პედაგოგთა კლუბი“, სადაც თვეში ორჯერ მოხდეს მათი შეკრება და ლაგოდების პრობლემების საკითხების განხილვა, პოლიტიკური საკითხების გახიარება. ასეთ ფუნქციას დღეს ასრულებს უცხოელი კომპანიების მიერ დაქირავებული „არასამთავრობო ორგანიზაციები“ მათ არა აქვთ რაიონის მოსახლეობის განვითარების არავითარი იდეა. ასეთი ნათქვამია „ქორწილში მუსიკას უკვეთავს ის ვინც ფულს იხდის“ ესენიც ფულს საიდანაც ღებულობენ და უკუღმა ავალებენ, იმას აკეთებენ.

ამიტომაც დღეს ლაგოდებში პოლიტიკური და მოქალაქეობრივი აზროვნების კადრების დიდი დეფიციტია, როცა ასეთი ხალხი მართავენ რაიონს. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის, რომ საპარლამენტო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს ისეთი პოლიტიკურად მოუშზადებელი კანდიდატები გამოჩნდებიან ხოლმე, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერებით რაიონის მართვაზე, ეს იმიტომ რომ არ ხდება ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდა და მომზადება, როგორც უკვე აღვნიშნე, მით უმეტეს, ლაგოდების რაიონში შესანიშნავი ახალგაზრდა პედაგოგები გვყავს, ნაკლებად ხდება მათი შერჩევა და ჩაბმა რაიონის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ლაგოდების გამგებლებს თუ გადავხედავთ; ნუგზარ კაკიაშვილიდან დაწყებული ლევან ბარბაქაძე, კახა ლაბუჩიძე, ვალერი ალიბეგაშვილი, კროლო ჯამბურია და „პოპულარული“ მერი, მათ რა ახალი კადრები უნდა აღეზარდათ, თვითონ მოვიდნენ პოლიტიკურად მოუშზადებლები, იმიტომაც 20 წელზე მეტია 20 სანტიმეტრით ვერ წაიწია ლაგოდების რაიონის მოსახლეობის ცხოვრების დონემ და თავი ვერ დააღწია მოსახლეობამ გაჭირვებას.

სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვანი ლაგოდების რაიონის მოსახლეობას, რომ გაუჭირდება უნდა იფიქრო, უფრო მეტად უჭირს საქართველოს მოსახლეობას, წლებია ლაგოდებში არაფერი არ კეთდება ხალხის კეთილდღეობისათვის, მარტო ინფლასტრუქტურული პროექტები არაა საკმარისი, ეს პრარაბების საქმეა. რაიონის ამ პირველ პირებს ბოლომდე არ ესმით პასუხისმგებლობა და არც იღებენ რაიონის მოსახლეობის წინაშე ვალდებულებას, ასეთ იდიოტობაში ლაგოდების მოსახლეობამ როდემდე უნდა იცხოვროს.


კიდევ ერთი დიდი პრობლემა, ლაგოდებში 20-25 წელია აღარ არსებობს წიგნების მაღაზია, რაც დიდათ სამარცხვინოა. ჩემი აზრით და პოლიტიკური შეფასებით, უწიგნურ ზოგიერთ გამგებლებს წიგნის მაღაზია რად უნდა, ამჟამად საკრებულოს თავმჯდომარისა და ყოფილი

გამგებლის კროლო ჯამბურის კაბინეტის თავზე, მე-3 სართულზეა რაიონული ბიბლიოთეკა, მაგრამ ამ ბიბლიოთეკიდან რკინა-ბეტონის სინკარი და პარკეტი არ უშვებს მის თავში შევიდეს წიგნის წაუკითხავად განათლება. ამ ბიბლიოთეკის არც მკითხველია და არც არასოდეს წიგნით უსარგებლია, ერთხელ საუბარში გამგებლად მუშაობის დროს კაბინეტში ვკითხე ლაგოდეხის და ჰერეთის ისტორიაზე, საინგილოზე ჩემი გამოცემული წიგნი თუ გაქვს წაკითხული, მითხრა არ მახსოვსო.

მე თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველი ვარ რამდენიმე წელია, ზოგჯერ მთელი დღეები ვზივარ ძველი წლების გაზეთებში ვეძებ ლაგოდეხის ისტორიულ მასალებს და ესენი ფულის კეთებაზე და გრანტების გათეთრებაზე არიან გადასული.

მეორე დიდი პრობლემა; ლაგოდეხში წლებია აღარაა მამაკაცთა და ქალთა სილამაზის სალონი, ამიტომ ოჯახებში აქვთ მოწყობილი, სამაგიეროთ სოფელ კაბალში, უზუნთალაში ევროკავშირის გრანტით ი/მ ელშად ალიევი დააფინანსეს 48 345 ლარის გრანტით. მე მინდოდა ამ ბენეფიციარის გასაუბრება მაგრამ ქართული ენა საერთოდ არ იცის, იმიტომ რომ კაბლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სულ ბაქოში უცხოვრია. მე ამ პიროვნებას მარტო იმიტომ არ დავაფინანსებდი, რომ ერთი სიტყვა ქართული არ იცის, სილამაზის პატარა სალონი აქ ყოფილა ადრე, მაშინ რალატომ გახდა საჭირო ახლით შეცვლა. ეს სილამაზის სალონი მართლაც კარგადაა მოწყობილი მაგრამ, ლაგოდეხის ცენტრში რომ მოგვეწყო ხომ უფრო კარგი იქნებოდა, დაამშვენებდა ლაგოდეხის ცენტრს, ვიდრე გადაკარგულში სოფელ უზუნთალაში.

კიდევ ერთხელ ლაგოდენის რაიონის პირველი პირაზის გამგებლების ირგვლივ 1990-2020 წლები



წიგნის ამ თავის შესავალი მინდა დავიწყო ილია ჭავჭავაძის დიდი ბრძნული ნათქვამით და ვეკითხები ლაგოდენის რაიონის ზოგიერთ პირველ პირებს გამგებლებს და მათ მოადგილეებს;

ადამიანებს მართავს განგების უხილავი ძალა, რომელსაც თავის კუთვნილ ბედისწერას ვერაფერს ასცდება, ვერც რაიონის გამგებლები, ვერც გარეული ნადირი და ვერც შინაური ცხოველი,

ვერც მტაცებელი მფრინველი და ვერც ხელისგულზე გამოზრდილი წიწილა თუ ბელურა, უბრალო ქაღალდიც ბუნების კანონზომიერებას ემორჩილება, ერთზე რომ სატრფიალო სიტყვები იწერება, მეორეზე კი კაცის სასიკვდილო განაჩენები იწერებოდა ხოლმე.

ამ პატარა წიგნსაც თავისი ბედი განაგებს. ამთავითვე, წინასწარ დავეგემე და დავისახე მიზნად 1989 წელს ჩემს მიერ გამოცემული წიგნის „ჰერეთის მაღლიანი მიწა“ და მეორე წიგნის „ლაგოდენის ნაკრძალის დაარსების ინციტორის პოლონელი ლუდვიგ მლოკოსევიჩის გამოცემული წიგნის შემდეგ გადავწყვიტე, გავაერთიანო ყველა ისტორიული მასალა 1930 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, ლაგოდენის როგორც ადმინისტრაციული რაიონის პერიოდის ისტორიის ციფრები და ფაქტები. გამოვცე ერთ წიგნად, რომელიც ესოდენ საინტერესო იქნება როგორც ლაგოდენელი ისე საქართველოს ყველა მკითხველისათვის ვინც კი ერთხელ მაინც თუ ყოფილა ლაგოდენში, მითუმეტეს მათთვის უფრო თუ არ უნახავ ალაზნის მარჯვენა მხარეს იმერული დასახლების ეს საოცრად დიდი კულტურის რაიონი, საქართველოში ლაგოდენის რაიონს კანეთის პატარა იმერეთს ეძახიან.

აქედან გამომდინარე, განგებამ ინება ასე, რომ ამ წიგნსაც ჰყოლოდა წამკითხველი და შემფასებელი. მკითხველი რომ არ დააკლდება ამ წიგნს, ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, ამიტომ ამ წიგნს ისტორიულ ნაწილთან ერთად აქვს პოლიტიკური, ეკონომიკური და მეცნიერული დატვირთვა, იმიტომ რომ ლაგოდენში მცხოვრებმა ბევრმა ლაგოდენელმა ხელმძღვანელებმა და რიგითმა მაცხოვრებლებმა დღესაც

არ იციან მითუმეტეს ახალგაზრდა თაობამ 1930 წლიდან რა ხდებოდა ლაგოდეხში. ამიტომ აქ მინდა ერთად მოუყარო თავი ყველა საინტერესო ინფორმაციას.

წიგნის ზემოთ ნაწილში უკვე აღვნიშნე 1930 წლიდან 1992 წლამდე 62 წლის განმავლობაში ლაგოდეხის რაიონის პირველი პირების ერისკაცების და სოფლის მზრუნველი თავკაცების სხვადასხვა წლებში მათი მოღვაწეობა. ესლა მინდა მკითხველს ძალიან მოკლედ გავაცნო საბჭოთა კავშირის დაშლის ანუ ქვეყნის დამოუკიდებლობის დღიდან ლაგოდეხის რაიონის პირველი პირების საქმიანობა.

რაიონის პრეფექტი, **მალხაზ ხუციშვილი**, 1991-1994 წლები, წარმოშობით ლაგოდეხელი, სტუდენტობის შემდგომ წლებში მალევე ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. ეროვნული მოძრაობის „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველოს“ ლიდერებმა დანიშნეს ლაგოდეხის პრეფექტად, ეს 1989 წლის 9 აპრილის ის წლებია როდესაც ქვეყანაში დამოუკიდებლობის სისტემის ჩამოყალიბება მიმდინარეობს. თბილისში და რაიონებშიც მიმდინარეობდა ბევრი შეხლა-შემოსლა კომუნისტები ნებაყოფლობით თანდათან ტოვებდნენ თანამდებობებს, ზოგან მკვლელობამდეც იძაბებოდა სიტუაცია. ამიტომ მ. ხუციშვილი როგორც პოლიტიკაში გამოუცდელი ახალგაზრდა რა უნდა ეკეთებინა არავინ არაფერი არ იცოდა, მთავარი ამოცანა იყო რაიონებში კაბინეტები დაეკავებინათ. ლაგოდეხში მან და მისმა მხარდამჭერებმა, განსაკუთრებით გიორგეთელმა ძმებმა ხიდუმელებმა კატეგორიულად მოთხოვეს კაბინეტების დატოვება პარტიის რაიკომის პირველ მდივანს ოთარი ცხადაძეს და აღმასკომის თავმჯდომარეს, ამ შენობაში მისი კაბინეტი დაიკავა პრეფექტმა. გააგრძელა 2-წლიანი პოლიტიკური მოღვაწეობა.

რაიონის გამგებელი **ნუგზარ კაკიაშვილი** 1994-1998 წლები, მასზე აბა რა უნდა ითქვს კარგი, ეს თვალთმაქცია კომუნისტი, სხვადასხვა გზებით ეროვნული მოძრაობის დამხობის შემდეგ დაინიშნა რაიონის გამგებლად, ეს იყო წლები როდესაც კოლმეურნეობების ბაზაზე იქმნებოდა აგროფირმები და კოოპერატივები, ხდებოდა კოლმეურნეობების უძრავ-მოძრავი ქონების გადაწვლილება-განიავება, შემდეგ შენობა ნაგებობების პრივატიზაცია. მეთევზეების ნათქვამია, სადაც ანკესით თევზს ვერ დაიჭერ იქ წყალი უნდა აამღვრიო და ბადით ადვილად დაიჭერო, მას ამღვრეული წყლის პერიოდი შეხვდა და კარგადაც გამოიყენა. მაგრამ ერთი მაინც მინდა ავლნიშნო მისი თევზაობიდან;

საერთოდ, კაპიტალისტურ სისტემაში ბიზნესი, რომ საინტერესოა ეს უდავოა, მაგრამ ბიზნესში ბინძური საქმეები დამლუპველია. ამის უარყოფითი შედეგები მისგან მეთამბაქოებაში 1998-99 წლებშივე მივიღეთ,

რაიონის ხელმძღვანელი პატიოსანი და სანდო კაციც, რომ უნდა იყოს ესეც უდავოა. მაგრამ მისი ბინძური საქმეების გამო ჩემი და მაშინდელი პარლამენტის დეპუტატის ამირან ცინცაძის ჩვენი ხელმოწერულ წამოწეული თამბაქოს წარმოების საქმე საბოლოოდ მან დაასამარა. ბატონი ამირანის მოულოდნელად გარდაცვალების შემდეგ ნ. კაკიაშვილმა 1998 წელს მწარედ მიატყუა თავიანთი მოყვანილი თბილისელი ინვესტორები და მათი სახელით რაიონის მეთამბაქოეები. თამბაქოს ქარხნის დირექტორის **ჯუმბერ მოდებაძის** თვითმკვლელობაც და სხვა ასეთები მის სინდის-ნამუსზეა.

ნ. კაკიაშვილმა ისინი კი არა, 1997 წელს მეც მწარედ მომატყუა, სოფელ თამარიანის და საქობოს აგროფირმებთან მისი თანხმობით 280 ჰექტარ სახნავ ფართობზე გაფორმებული 10 წლიანი იჯარის ხელშეკრულებით 14 400 ლარი ორი წლის არენდის გადასახადი წინასწარ შეგვატანინა აგროფირმებში და მიწები გამგეობის დადგენილებით უჩუმრად სხვებს გადასცა, სასამართლო მოგვაკუთვნა ეს თანხა, შემდეგ აგროფირმებიც გაუქმდა და ასე დაგვეკარგა ბანკიდან აღებული ეს თანხა. ნ. კაკიაშვილის სწავლა-განათლება ხომ სასაცილოა, 13 წელი ისწავლა სარატოვის და საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში ტრაქტორის დაშლა-აწყობა, რას იზამ იმ არეულობის დროს გაუმართლა, რომ ლატარიის იღბლიანი ბილეთი შეხვდა.

რაიონის გამგებელი **ლევან ბარბაქაძე** 2001-2004 წლები, რაიონის ადგილმრეწველობის ყოფილი დირექტორი, თურქეთში გაიყიდა 50 საკერავი მანქანა, რაც კარგი იყო ბიზნესისათვის თვითონ შეისყიდა სააგურე და ქვის სამტვერევი საწარმოები, გამგებლობის დროს კი თავის სოფელ ბაისუბანში გაიყიდა და დაანგრის 1970 წელს აშენებული კლუბ-კანტორის კაპიტალური შენობა.

რაიონის გამგებელი **კახა ლაბუჩიძე** 2008 წელი 7 თვე იმუშავა, ეს არის პიროვნება რომელიც მთავრობის კანცელარიიდან შემოგვტენეს ვერ ლაგოდენის გამგებლობის მოვალეობის შემსრულებლად, შემდეგ გამგებლად, რომელსაც ლაგოდენთან არასოდეს არავითარი რაიმე კავშირი არ ჰქონია. აქედან გადაიყვანეს გურჯაანის რაიონის გამგებლად, კახელებმა 5 თვის შემდეგ მინდვრიდან ფიწლებით მისულებმა გამგეობის შენობასთან პარასკევს საღამოს უთხრეს, შვილო წადი დღეს მშვიდად თბილისში და ორშაბათს აღარ ჩამოხვიდეო. მართლაც აღარც გამოჩენილა მდინარე იორს აქეთ.

რაიონის გამგებელი **გია გოზალიშვილი**, აქ წლებს ვერ ვწერ იმიტომ, რომ ლაგოდენში თუ რაიმე პირველი პირის თანამდებობა იყო ყველაფერი გაიარა. რაიონის გამგებელი 2-ჯერ, რაიონის საკრებულოს

თავმჯდომარე და საქართველოს პარლამენტში ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატობა. მიუხედავად მისდამი ჩემი პირადი დადებითი დამოკიდებულებისა მინც უნდა ითქვას სიმართლე, როგორც ექიმში ლაგოდეხელი ერთ-ერთი ინტელიგენტი და კარგი ოჯახის შვილი, ლაგოდეხისათვის მნიშვნელოვანი არც არაფერი გაუფუჭებია და არც მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია, ერთადერთი რაც გააკეთა ქალაქის ცენტრში კომუნისტების დროინდელ სკვერს მიუმატა და გააფართოვა ახალგაზრდობისათვის მართლაც კარგი დასასვენებელი სკვერი. პარლამენტის დეპუტატობა ცუდ სიტუაციაში მოუწია, წავიდნენ პოლიტიკიდან „ნაცებს“. მოვიდნენ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური პარტია, დაიბაბა პოლიტიკური სიტუაცია. მე მაღალ პოლიტიკურ შეეფასებას ვაძლევ მის პოლიტიკურ გულახდილობას, რომ ბიძინა ივანიშვილს პარლამენტის ტრიბუნიდან ბოდიში მოუხადა ლაგოდეხში მის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მომხდარი ამბების გამო, ეს იყო მისი პოლიტიკური სწორი სვლა, სხვა გამოსავალი ვერც მოიძებნებოდა.

რაიონის გამგებლები ლაგოდეხელები, **დიმიტრი ლოლაძე 2010-2012 წწ.** და **ვალერი ალიბეგაშვილი 2012 წელი.** ნამდვილი ლაგოდეხელები და წესიერი ოჯახის შვილები, მაგრამ ხან „ნაცებს“ მიაწერეს ხან „ოცნებას“ და თითო წელი მოუწიათ მუშაობა, სანამ შემდგომ გამგებელს კახა ჯამბურიას არ გამოუჩნდა ძლიერი პატრონი „ქართულ ოცნებაში“. რაზეც ახლა მოვასხენებ მკითხველს. უპატრონო ბატკანს ან მგელი შეჭამს ან მგლის შვილი. რას იზამ ასეთ ქვეყანაში გვიხდება 20 წელია ცხოვრება.

ლაგოდეხის გამგებელი **კარლო (კახა) ჯამბურია 2014 წლის** ივნისიდან რაიონის გამგებელი და ახლა საკრებულოს თავმჯდომარე.

ძალიან მომეწონა ინტერნეტში ეს კომბინირებული სურათი, (ქართული ოცნების ლოგო, ნომერი 41 და ორ სიტყვიანი წარწერა „ერთად ვიზრუნოთ“) ამიტომაც გადავწყვიტე ამ სურათს მივცე ჩემი პოლიტიკური შეფასება, რომ კარგად გაიგოს რაიონის გაჭირვებულმა მოსახლეობამ, ერისკაცების შემდეგ, 1990 წლიდან თუ ვინ მართავდნენ ლაგოდეხის რაიონს, რომელიც ზემოთ მოვასხენე მკითხველს.

ბატონო კროლო ჯამბურია, ჩემთვის ან ლაგოდეხში მცხოვრებ ვინმე გამოცდილი პიროვნებისათვის ამ ხუთი წლის განმავლობაში გამგებლად და საკრებულოს თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში თუ შეგითავაზებია ვინმესთვის „**მოდი ერთად ვიზრუნოთ**“ ლაგოდეხის განვითარებაზე. შენ გიორგი ბოკერიას შესთავაზე და მოიყვანე შენს მოადგილეთ არასამთავრობო ორგანიზაციიდან, მის გარდა არავინ გაინტერესებდა,

იმიტომ რომ ორი „იდიოტი“ კომფორტში ერთად კარგად იყავით 4 წელი გამგეობაში. ამ წარწერებთან რომ იღებდი სურათს რას ფიქრობდი, ლაგოდეხში ყველა იდიოტი ხომ არ გეგონა, რომ პოლიტიკურ შეფასებას ვერ მივცემდით, დანარჩენს ლაგოდეხელი მკითხველი წიგნში ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ შევაფასებთ. ერთი კი მაინც მინდა ვითხრა რაიონის და ხალხის ხელმძღვანელობა, ეს მეცნიერებაა პოლიტიკური თვალსაზრისით და არასამთავრობო ფერმის მართვა.



რა ნამუსით შედინართ შენ და ზოგიერთი შენნაირი გამგებელი რაიონის ერისკაცების კაბინეტში, დაუკარგეთ ავტორიტეტი ხალხის წინაშე რაიონის პირველი პირის თანამდებობას. შენ ისე ადვილად და მსუბუქად გადააგორე ლაგოდეხში ეს

წლები კახი კალაძის მფარველობით, თურმე რა კარგი ყოფილა იჯდე კაბინეტში და მთავრობიდან არავინ პასუხს არ ვითხოვდეს. სამაგიეროდ მე ვითხოვ კატეგორიულად პასუხს მთავრობისაგან და შენგან ლაგოდეხელი ხალხის „სიღარიბის დამლევისათვის გამოყოფილი ევროკავშირის მიერ 1 მლნ. ევროს ანუ 3 მილიონი ლარის გრანტის და ზოგიერთ პროექტებზე თანადაფინანსებისათვის რაიონის ბიუჯეტიდან შენ მიერ ფულის მიზნობრივად ხარჯვის სისწორეს.

„ერთად ვიზრუნოთ“ კარგი ნათქვამია, კი, მე დიდი ხანია თანახმა ვარ, მოდი ვიზრუნოთ ლაგოდეხის რაიონის მოსახლეობის განვითარებაზე, როგორ გიხდება ამ ლოზუნგის წინ დგომა, 2014 წელს კახი კალაძის მიერ რაიონის გამგებლად შენი დანიშვნის პირველ წელს, მე პირადად ჩემი ინციატივით რამდენჯერ მოვედი ოფიციალური წერილით და გვემაც წარმიდგინეთ რომ ერთად გვეზრუნა ლაგოდეხელი მოსახლეობის მუდმივ დასაქმებაზე. ალგვედგინა რაიონში „თამბაქოს ნედლეულის წარმოება აუნეშსავად ხმობა ბალეოურიკებში უნგრული ტექნოლოგიით“, თანაც საათობით მაცდევინე, იმის გამო, რომ კაბინეტში მობილურზე ელაპარაკებოდი თუ ელაზღანდარავებოდი ვილაცყებს. ერთი წლის შემდეგ მეც მიგანებე თავი და გაგიხარდა, ადრევე მივხვდი არაფერი გაინტერესებდა ლაგოდეხისათვის სიკეთე.

2016 წლის იანვრიდან „ევროკავშირის მიერ გამოყოფილი 3 მლნ. გრანტის“ საკითხში შემთხვევით ისევ მაინც გადავეყარეთ ერთმანეთს, როცა შენი ხელმძღვანელობით ჩემს მიერ 2-ჯერ წარმოდგენილ პრო-

ექტებზე შენ და გ. ბოკერია 2-ჯერვე დამიწერეთ ორიანები. როგორ 3 მლნ. გრანტი ლარიდან ჩემს წარმოდგენილ პროექტებს 75-80 ათასი ლარი მე არ მეკუთვნოდა ლაგოდეხში განმეხორციელებინა ერთი პროექტი? მკითხველს ვთავაზობ ჩემი პროექტის საკითხს, სოფელ თამარიანში საკონსერვო მინი წარმოების შექმნა „დამჭავებული კიტრის, მწვანე პომიდორის და კომბოსტოს გამოშვება ცელოფანის პაკეტებში პოლიონური ტექნოლოგიით“ გვინდოდა პოლიონეთიდან 4 დანადგარის ჩამოტანა, ამის გაკეთებისათვის მივიღე 2-იანები. მოპარულ გრანტებს უკან მოგატანინებთ და იმ ფულით აღვადგენ ლაგოდეხში „ვირჯინის“ თამბაქოს ნედლეულის წარმოებას უნგრული ტექნოლოგიით.

2014 წლის 15 ივნისს აღჩვენებში გაყალბებით მოხვედი, ისაკო ცქიფურიშვილს მოგებული ქონდა ეს არჩევნები, მაგრამ გააყალბეთ და ამით მოიპოვე გამგებლობა. ისაკო ცქიფურიშვილი მეტად მეურნე და ბევრი საქმის გამკეთებელი იქნებოდა ჩემი პოლიტიკური შეფასებით.

ბატონო კროლო ჯამბურია, ჩემი პოლიტიკური შეფასებით, დამნაშავე შენ კი არა ხარ, დამნაშავეა ისინი ვინც პოლიტიკაში მოსვლამდე კარგად და კაცად ვერ გაგზარდეს. ჩემსა და შენს შორის იცი რა სხვაობაა, მე ახალგაზრდობიდანვე აღვიზარდე და ვისწავლე წესიერება, პარტიული მუშაობა ლაგოდეხის ერისკაცების და კომკავშირის ცეკას პირველი მდივნებისაგან, ხოლო ჩემს მიერაც აღიზარდნენ ლაგოდეხში წესიერი და საქმიანი ადამანები, ხოლო შენ პირდაპირ მოხვედი არასამთავრობოს სოროდან პოლიტიკურად მოუმზადებელი და თვითგანვითარებით ახერხებ რალაცეებს, შენი უსაქმურად შენახვა რაიონს ყოველწლიურად უჯდება 30 ათასი ლარი ხელფასის სახით, მაგრამ თუ რამეს იპარავ ის სხვაა.

ახლა მინდა რაიონის მოსახლეობას და წიგნის უცხო მკითხველს ძალიან მოკლედ გავაცნო 1 მლნ. ევროს ანუ 3 მლნ. ლარის გრანტის მიზნობრივი ხარჯვის საკითხი. როგორც უკვე ავლენიშნე 2016 წლის იანვრიდან ევროკავშირის პროგრამით დაიწყო საქართველოს 3 რაიონში (ლაგოდეხი, ბორჯომი, სტეფანავანში) საგრანტო პროექტი „ლაგოდეხის რაიონის სოფლის განვითარების, მოსახლეობის დასაქმების, სიღარიბის დაძლევის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის“. ეს ფული გრანტი გამოიყო ლაგოდეხელი გაჭირვებული ხალხისათვის და არა ვილაც გადამთიელებისათვის, 8 პროექტის დაფინანსება რატომ მიეცით არა ლაგოდეხელებს.

პირველ რიგში საინტერესოა გამოყოფილი გრანტის მმართველობითი საბჭოს დაკომპლექტების ფორმატი; ამ პერიოდში ლაგოდეხის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებელი იყო კროლო ჯამბურია, რომელიც არის

თვითონაც „გრანტის პროექტების მმართველობითი საბჭოს წევრი“, ხოლო ამ საბჭოს თავმჯდომარედ ირჩევენ კ.ჯამბურას პირველი მოადგილის გიორგი ბოკერიას მეუღლეს თამარ მუმლაძეს, რომელიც არის ლაგოდეხის არასამთავრობო ორგანიზაცია „საგა“-ს ხელმძღვანელი.

2017 წელს მუნიციპალიტეტის მერმა (ეხლა უკვე მერის თანამდებობაა) ჯონდო მდივინიშვილმა გიორგი ბოკერია გაანთავისუფლა პირველი მოადგილეობიდან და დაბრუნდა ისევ თავის ცოლის არასამთავრობო ორგანიზაცია „საგა“-ში საიდანაც რაიონის გამგეობაში ერთად მოვიდნენ 2014 წელს კარლო ჯამბურია და გიორგი ბოკერია.

2018 წელს შეიცვალა გრანტის პროექტების განმხილველი მმართველობითი საბჭოს ძველი შემადგენლობა 15 წევრიდან შეიცვალა 11, გრანტის განმხილველი მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარედ ახლა ირჩევენ თამარ მუმლაძის მეუღლეს გიორგი ბოკერიას. ე. ი. ცოლმა გადააბარა მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარეობა ქმარს გიორგი ბოკერიას. ხოლო კ. ჯამბურია, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ისევ დარჩა საბჭოს შემადგენლობაში წევრად. ასეთი რამ წარმოუდგენელია მოხდეს ევროპის რომელიმე ქვეყანაში, რომ ცოლ-ქმარმა და რაიონის დროებით გავლენიანმა ხელმძღვანელმა პირველმა პირმა მართონ რაიონის მოსახლეობის სიღარიბის დაძლევისათვის ევროკავშირის მიერ გამოყოფილი 3 მლნ ლარი გრანტი. აღნიშნული ინფორმაციიდან ლაგოდეხელმა დაინტერესებულმა მკითხველმა თვითონ გააკეთოს შეფასება.

სწორედ ამ პატივცემულებმა მე, ჯემალ ხაჩიძეს ლაგოდეხში 27 წლის პოლიტიკაში მუშაობის მქონე ადამიანს და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს ერთხელ კი არა 2-ჯერ დამიწერეს ორიანები, მმართველობითი საბჭოს მიერ 4 წლის განმავლობაში დაფინანსებულია 64 პროექტი, სადაც გახარჯულია 2. 551.276 ლარი, დანარჩენი ნახევარი მილიონი ლარი გახარჯულია ალბათ ოფისის შენობის, საკანცელარიო, მანქანის საწვავში და ხელფასებში, მათ ხელფასებს სპეციალურად არ ვწერ რომ გაჭირვებულ მოსახლეობას ინფაქტი არ დავმართო, იმხელად დიდი ხელფასები აქვთ მიღებული. დაფინანსებული 64 პროექტიდან რეალისტურია 21 პროექტი, დანარჩენი პროექტები არაფრის სიკეთის მომტანია ლაგოდეხელი გაჭირვებული მოსახლეობისათვის, 300-ზე მეტ ლაგოდეხელ ბენეფიციარს ჩემსავით უარი ეთქვა წარდგენილი უკეთესი პროექტების დაფინანსებაზე. საკითხის შესწავლა მიმდინარეობს ფინანსთა სამინისტროს კახეთის საგამომძიებლო სამსახურის მიერ წელიწადზე მეტია, ვნახოთ როგორ დამთავრდება, ალბათ ვიღაცებს მოუწევს „მატროსოვზე“ წასვლა გრანტის თანხების გათეთრებისათვის.

ლაგოდესში აღზრდილი ხელმძღვანელები

თუ გადავხედავთ ლაგოდესში აღზრდილ და პოლიტიკური შემოქმედების ადამიანების ბოლოდროინდელ ისტორიას, ყველაზე მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ: ნუგზარ ფალიანი, ლაშა ნაცვლიშვილი, არჩილ ცერცვაძე, არჩილ ბატიაშვილი.



არჩილ ცერცვაძე დაიბადა ლაგოდესში ინტელიგენციის ოჯახში. 1980 წელს ლაგოდესის ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოეწყო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში და დაამთავრა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი, შრომის ეკონომიკის სპეციალობით. 1989 წელს დაამთავრა მოსკოვის მსუბუქი მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირატურა. არის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, დოქტორი. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. ამ წლების განმავლობაში მიღებული აქვს პროფესიული დიდი გამოცდილება, მუშაობდა თბილისის ტყავის საწარმოო გაერთიანებაში განყოფილების უფროსად, საქართველოს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსად, საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის აპარატის უფროსად. 1997-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსად.

ამჟამად მუშაობს საქართველოს სადაზღვევო კომპანიის ასოციაციის დირექტორად. პარალელურად ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში და თბილისის სხადასხვა წამყვან უნივერსიტეტში. ჩემი პოლიტიკური შეფასებით სწორედ ასეთმა გამოცდილმა მუშაკებმა უნდა მართონ ლაგოდესი და არა ბანკებიდან და არასამთავრობოების სოროდან მოსულმა პოლიტიკურად მოუმზადებელმა პირებმა.



მარჯვნიდან: ქუთაისის მერი ნუგზარ ფალიანი და ღონეციის მერი ალექსანდრე ლუკაჩენკო

ნუგზარ ფალიანი დაიბადა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბანში (კართუბანი). საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, დაამთავრა გზების სპეციალობა.

1978 წელს საქართველოს გზების სამინისტროს მიერ გაიგზავნა პრაქტიკაზე ქალაქ პიატიგორსკში საგზაო მშენებლობის ტრესტში. გზების და ხიდების ეს

სამშენებლო ორგანიზაცია კრასნოდარის მხარეში და რუსეთის მთელ ტერიტორიაზე აწარმოებდა დიდ საგზაო მშენებლობებს. სამინისტროს განაწილებით საწარმოო პრაქტიკაზე იყვნენ 3 თანკურსელი, 6 თვიანი პრაქტიკაზე ყოფნის შემდეგ ტრესტის მმართველმა დატოვა თავისთან და დანიშნა ერთ-ერთი დიდი საგზაო სამშენებლო ობიექტის უფროსად, დანარჩენი ორი მისი მეგობრები დაბრუნდნენ საქართველოში. ეს ტრესტი საქართველოში და კერძოთ სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ჯავის რაიონში აწარმოებდა გზის გაფართოების მშენებლობას, რუსეთში 2 წლის მუშაობის შემდეგ ტრესტმა გადმოიყვანა საქართველოში და დანიშნა ჯავის საგზაო სამშენებლო სამმართველოს უფროსად სადაც იმუშავა 4 წელი.

1983 წელს გადაწყდა ნ. ფალიანის ლაგოდეხის საგზაო განყოფილების უფროსად დანიშვნის საკითხი, როცა მიმართა განცხადებით განთავისუფლების თაობაზე ტრესტის მმართველს, ლაგოდეხში მისი დანიშვნასთან დაკავშირებით ტრესტმა უთხრა სასტიკი უარი განთავისუფლებაზე, როგორც საქმიან მუშაკს. ბოლოს მის ლაგოდეხში გადმოყვანასთან დაკავშირებით სანამ არ ჩაერია საქართველოს გზების სამინისტრო და ლაგოდეხის იმ დროს პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვალერი ბაქრაძე ტრესტი არ ათავისუფლებდა, ბოლოს, სამინისტროს ოფიციალური წერილისა და სატელეფონო საუბრის შემდეგ, ტრესტის მმართველი წავიდა დათმობაზე მის გათავისუფლებაზე და დაინიშნა ლაგოდეხის საგზაო განყოფილების უფროსად.

1986 წელს საქართველოს გზების სამინისტრომ გადაიყვანა ჯერ მესტიის საგზაო განყოფილების უფროსად, ხოლო ერთ წელშივე გზების სამინისტროს ბრძანებულებით დაინიშნა ქუთაისის №12 საგზაო სამშენებლო სამმართველოს უფროსად, სადაც დაჰყო ამ თანამდებობაზე 17 წელი. სამინისტროს სისტემაში ეს იყო დასავლეთ საქართველოში

ყველაზე დიდი საგზაო სამშენებლო სამმართველო.

2002 წელს ქუთაისის მოსახლეობამ, ინტელიგენციამ ნ. ფალიანის კანდიდატურა წამოაყენეს ქუთაისის მერად და მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით მან გაიმარჯვა და იმუშავა ერთი არჩევის ვადით. ეს დიდი ნდობის გამოხატულება იყო ლავოდნეხელი ნუგზარ ფალიანისათვის. ქუთაისში მისი მერად მუშაობის დროს ბევრი რამ გაკეთდა ქალაქში მოსახლეობის და ახალგაზრდობის დასაქმებისათვის. იმ წლებში საფუძველი ჩაეყარა ქუთაისისა და დონეცკის ქალაქების მეგობრობას.

ქუთაისის ფოლკლორულმა ანსამბლმა „იმედმა“ ქ. დონეცკსა და მიმდებარე ქალაქებში ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის 10-დღიანი კონცერტები გამართა. დასკვნით კონცერტს ერთად დაესწრნენ დონეცკის მერი ალექსანდრე ლუკაჩენკო და ქუთაისის მერი ნუგზარ ფალიანი, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი გრიგოლ ქათამაძე. დონეცკის მერმა ა. ლუკაჩენკომ ქუთაისის ფოლკლორული ანსამბლი „იმედი“ საქართველო-უკრაინას შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა.



არჩილ ბატიაშვილი დაიბადა ლავოდნეხის რაიონის სოფელ ყარსუბანში (კართუბანი) საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად. შემდეგ დაამთავრა მოსკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტი კვების მრეწველობის სპეციალობით. 25 წელზე მეტია ცხოვრობს მოსკოვში, ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

ამჟამად მუშაობს მოსკოვის კვების მრეწველობის კვლევით ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ, არის ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი. გამოქვეყნებული აქვს 67 სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური შრომა, 29 ნორმატიული დოკუმენტი. გამოცემული აქვს 6 წიგნი, მ.შ. 2019 წელს გამოცემული აქვს წიგნი ქართულ ენაზე 545 გვერდიანი „სასამართლო-ვეტერინალური ექსპერტიზა ხორცისა და ხორცის პროდუქტების სანიტარული შეფასებები.“

წიგნი შედგენილია მაღალ მეცნიერულ დონეზე, მასში მოცემულია სასამართლო-ვეტერინარული ექსპერტიზის დებულებები. ამ დარგის ექსპერტის უფლება-მოვალეობები. დოკუმენტის შედგენის წესი, სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების ტრანსპორტირების ვეტ-სანიტარული კონტროლი. მათი ფალსიფიკაციის დადგენის მეთოდები,

წიგნში მაღალ მეცნიერულ დონეზეა აღწერილი ევროკავშირისა და სხვა სახელმწიფოთაშორისო გაერთიანებების მოთხოვნები ყველა სახის ხორცის პროდუქტებთან დაკავშირებით. წიგნი არის სამეცნიერო-საგანმანათლებლო პრაქტიკული დანიშნულების, განკუთვნილია დარგის პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და ყველა დაინტერესებული მკითხველისათვის.

ლაგოდეხში სიკაითით გამორჩეული ალაშიანაძე

ნუგზარ კაპანაძე, ევა ლომთაძე, ბონდო კობაძე, ნოდარ ბუჯიშვილი, ამბროსი მაჭარაშვილი, თენგიზ ნოზაძე, ჰუსეინ მამელოვი, აკაკი ფცქიალაძე, ლერი მიდელაური, ელდარ ხმალაძე, ასტერი დავითულიანი, შოთა ჩაჩანიძე, დათო ვარდიაშვილი. ჩემო ლაგოდეხელებო, კი ძალიან ბევრნიც არიან, მაგრამ ეს პატარა წიგნი ყველას ვერ დაიტევს, ამიტომ მე ასე შევარჩიე როგორც წიგნის ავტორი.



ნუგზარ კაპანაძე დაიბადა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორში, საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში სელექციის გენეტიკის სპეციალობით დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ლაგოდეხის თამბაქოს კვლევის საცდელ სადგურში, ჯერ რიგით აგრონომად შემდეგ სელექციის განყოფილების გამგედ სადაც იმუშავა 32 წელი. მისი ხელმძღვანელობით ამ წლების განმავლობაში ტარდებოდა მეცნიერული

სელექციური სამუშაოები თამბაქოს ახალი ჯიშების გამოყვანაზე. უშუალოდ მის მიერ გამოყვანილი იქნა ვირჯინიის თამბაქოს ახალი ჯიში, რომელიც ვირჯინიის სხვა ჯიშებთან განსხვავებით არის მაღალმოსავლიანი და უფრო დამახასიათებელი არიმატით. არის ს/მ მეცნიერებათა კანდიდატი. მართალია, ლაგოდეხში თამბაქოს საცდელი სადგური თითქმის ორი ათეული წელია გაუქმებულია მაგრამ, როგორც მეცნიერი და თავის დარგზე შეყვარებული პიროვნება ყოველწლიურად თავის საკარმიდამო ნაკვეთში პატარა ფართობზე ატარებს სამეცნიერო დაკვირვებებს როგორც თავის გამოყვანილ ვირჯინიის ჯიშზე, ისე ტრაპეზონის სხვადასხვა ჯიშებზე.



ვალერი ოდიაშვილი დაიბადა ლაგოდეხში, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სკოლაში, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ამჟამად წლების განმავლობაში მუშაობს კულტურის განყოფილებაში, მისი ინციატივით ორი წლის წინ ევროკავშირის გამოყოფილი გრანტით გაკეთდა და შემოიღობა ლაგოდეხის ნაკრძალის დაარსების ერთერთი ინციატორის პოლონელი ლუდვიგ მლოკოსევიჩის, საუკუნე ნახევრის წინ გაშენებული დენდროლოგიური პარკი, მთელი ტერიტორია კეთილმოეწყო და თვითონვე ხელმძღვანელობს მის დაცვას. არის ტურისტების დათვალიერების საინტერესო ადგილი. არის ლაგოდეხში მრავალი საინტერესო ღონისძიების მოწყობის ინიციატორი. როგორც პიროვნება ხასიათდება ბევრი დადებითი თვისებით. ყოველდღე ფიქრობს და ზრუნავს, რომ ახალგაზრდობა ჩააბას საზოგადოებრივ საქმიანობაში.



ჰუსეინი მამელოვი დაიბადა ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალში, კაბლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა ქართული სექტორის საბუღალტრო-ეკონომიური 3-წლიანი ტექნიკუმი. წლების განმავლობაში მუშაობდა კაბლის კოლმეურნეობაში ეკონომისტად, იყო კოლმეურნეობის კომკავშირის მდივანი, პროფკავშირის ორგანიზაციის თავმჯდომარე და პარტიული ორგანიზაციის მდივანი. 15 წელზე მეტი მუშაობდა სოფელ კაბლის გამგეობაში ბუღალტრად და შემდეგ მიწის აზომვის სპეციალისტად. კაბალში კი ძალიან ბევრია ასეთი დადებითი პიროვნება, მაგრამ ეს წიგნი ყველას ვერ დაიტევს. ჰუსეინი სოფელ კაბალში მართლაც გამორჩეული პიროვნებაა თავისი კეთილი ბუნებით, პიროვნული თვისებებით, ადამიანური თავმდაბლობითა და ცხოვრების განვლილი გზით. ასევე ხანაზმად ქაზუმოვი, რომელიც 2 წლის წინ გარდაიცვალა და ბევრი სხვა. ესენი ჩემი მუშაობის დროს გაზრდილები არიან. მე მათ დიდი ხანია ვიცნობ ასეთ ადამიანებად, როგორადაც ვახსიათებ.



ნოდარ ბუჯიშვილი დაიბადა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბაისუბანში. ახალგაზრდობის წლებში დიდხანს ცხოვრობდა და მუშაობდა ქრუსთავში, ამ ქალაქის განვითარებაში მასაც მოკრძალებული წვლილი მიუძღვის. როგორც გაზეთ „ასავალ დასავალში“ მისი მრავალი ინტერვიუებიდან ჩანს იგი არის ეროვნულ განმათავისუფლებული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი და აფხაზეთის მთლიანი პერიოდის ომის მონაწილე.

მე, ჯემალ ხაჩიძემ, როდესაც გაზეთში წავიკითხე მისი რამდენიმე ინტერვიუ, პირადად დამაინტერესა მისი გაცნობა და 2015 წელს მივაკითხე მის მშობლიურ სოფელ ბაისუბანში. გავიცანით, დამრჩა პირველივე შეხვედრის დროს მის მიმართ კაცურ-კაცური პატრიოტული შთაბეჭდილება. მის შემდეგ გაგებლდა ჩვენი ჩვეულებრივი ნაცნობობა. ამიტომ ჩემს წიგნშიც გადავწყვიტე მოვიყვანო მის მიერ გაზეთებში დაბეჭდილი ნაამბობი აფხაზეთის ომის განვლილი წლების ერთი მომენტი, რაც ლაგოდეხელი ყველა ადანიანისათვისაც საინტერესოა.

გაზეთი „ასავალ დასავალი“, 25.05.2015 წელი. ბატონი ნოდარ ბუჯიშვილი 1992 წლის იანვრიდან ირიცხებოდა ეროვნული გვარდიის 114-ე ბატალიონის შემადგენლობაში, აფხაზეთის ომის დროს ეს ბატალიონი იმყოფებოდა წალენჯიხაში, მომყავს გაზეთიდან მისი ვრცელი ინტერვიუ ერთი მართლაც ენით აუწერელი ფაქტი „ერთ მშვენიერ დღეს დამავალეს სპეცოპერაციის ჩატარება და მიბრძანეს, წალენჯიხაში ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში ლიმონკები და ევ-1 შემეყარა. ჩემთვის გავიფიქრე, აბა სად მიშვებენ და ვის აფეთქებას მავალევენ, წინასწარ ჩემი თვალით უნდა ვნახო-მეთქი. გადავიცვი სამოქალაქო ტანსაცმელი და ჩემი ფეხით უიარაღოდ მივადექი იმ სახლს და შევედი. რა დაინახა ჩემმა თვალებმა! აკვანში მწოლიარე ჩვილი ბავშვი, კიდევ ორი პატარა ბავშვი, რომლებიც ოთახში თამაშობდნენ, ბავშვების მშობლები და მოხუცი ბებია, გავიცანი ეს ადამიანები აღმოჩნდნენ დიდებული პატრიოტი ქართველები, ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერები, ნახევარ საათში გამოვბრუნდი უკანვე...

იმავე დღეს საღამოს 5-6 საათზე ახლა უკვე ფორმით, იარაღითა და თხუთმეტი კაცის თანხლებით მივადექი ბრძანების შესასრულებლად

იმ ოჯახს, გადაირიყნენ რომ დამინახეს სამხედრო ფორმაში ჩაცმული ამდენი მეომრებით. მე მათ ვუთხარი, რაც მქონდა დავალებული და რას გადაგვარჩინა ღმერთმა, ჯარისკაცებმაც თავის თვალთ ნახეს სიტუაცია და წამოვედით უკანვე. ამის შემდეგ უფროსებმა ამითვალწუნეს, გადამეკიდნენ და საქმე ისე წაიყვანეს, რომ კინაღამ დამხვრიტეს. ის არ მაპატიეს, რომ საშინელი ბრძანება არ შევასრულე და მცირეწლოვანი ბავშვები არ ამოვხოცეთ. ბოლოს ბატონი ნოდარი ინტერვიუში ამბობს, „ღმერთო მაღალო, მაღლობელი ვარ, რომ ჩემი ოჯახი, მთელი ჩემი მოდგმა, საშვილთაშვილო წყევლასა და შეჩვენებას გადაარჩინე, საშინელ ცოდვაში ფეხი არ ჩამადგმევინე!“ ასეთი ხალხი მართლაც უნდა უმრავლოს ჩვენს ქვეყანას. ამის შემდეგ ამ კაცს ასჯერ და ათასჯერ ვაფასებ, ხშირადაც ვნახულობ ხოლმე, ტელეფონითაც ხშირად ვკითხულობთ ერთმანეთის ამბავს.



აკაკი (კაკო) ფცქიალაძე დაიბადა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბანში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იმყოფებოდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში, დაამთავრა სავაჭრო მრეწველობის ინსტიტუტი, მუშაობდა თბილისში, პარალელურად რამდენიმე წელი ცეკვაავდა სუნიშვილების მოცეკვავეთა ანსამბლში, დაბრუნდა ლაგოდეხში და წლების განმავლობაში მუშაობდა ლაგოდეხის კულტურის სახლში. შემდეგ 8 წელზე მეტი მუშაობდა ვარდისუბნის კოლ-

მეურნეობის პროფკავშირის თავმჯდომარედ, შემდეგ სოფელ ვარდისუბნის საკრებულოს თავმჯდომარედ.

იგი აღიზარდა დამსახურებული ცნობილი პედაგოგის ქალბატონი მარო ლეჟავას ოჯახში, რომელიც ბავშვობიდან უნერგავდა სკოლაში თავის აღსაზრდელებს, ასევე ოჯახში შვილებს ურთიერთპატივისცემის რწმენას და ყველა იმ სიკეთეს, რაც უნდა ჰქონდეს ყველა ადამიანს. მართლაც სიკეთით განვლო თავისი ცხოვრების გზა, ცხოვრობს თავის მამისეულ ოჯახში, სოფელშიც ერთ-ერთი მართლაც გამორჩეული პიროვნებაა, იმიტომ რომ მასზე ვერაფერ იტყვის უნამუსო კაციაო. სიგლაზე ვინმემ რომ დაავალოს კი არა, რომც დაუწეროს, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ შეასრულებს.



ამბროსი მაჭარაშვილი დაიბადა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბანში, დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აგრონომიული სპეციალობით. დიდხანს მუშაობდა აგრონომად, შემდეგ - ვარდისუბნის აგროფირმის დირექტორად. ამჟამად არის სოფელ ვარდისუბანში ფერმერთა მომსახურეობის ცენტრის დირექტორი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოაქვთ მარცვლოვანი კულტურების - ხორლისა და სიმინდის მაღალმოსავლიანი უნიკალური ჯიშები, ხელს უწყობს რაიონის ფერმერებს სათესლე მასალითა და შხამქიმიკატებით მომარაგებაში. მე პირადად დიდი ხანია ვიცნობ მას, როგორც საქმიან და სოფლის მეურნეობაში გამოცდილ აგრონომს.



თენგიზ ნოზაძე დაიბადა ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენში, წლების განმავლობაში მუშაობდა აფენის კოლმეურნეობაში საწარმოო ბრიგადის ბრიგადირად. როდესაც 1997 წელს ლაგოდეხში ჩემი ინიციატივით დავიწყეთ თამბაქოს კულტურის ხელმორედ აღდგენა, იგი ავირჩიეთ სოფელ აფენში ხელმძღვანელად. როგორც უკვე აღნიშნული მაქვს, რომ არ ყოფილიყო რაიონის მაშინდელი გამგებლის

- ნ. კაკიაშვილის ხელისშეშლა, ახლა ვირჯინიის ჯიშის თამბაქოს წარმოება ბალეურიკებში ხმობთ, რაიონში ალბათ 3 ათას ტონამდე იქნებოდა მიღწეული. თენგიზ ნოზაძე თავისი საქმითა და შრომით, ადამიანური თვისებებით სოფელში უაღრესად დადებითი პიროვნებაა.



ბონდო კობაძე - 30 წელზე მეტია არის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენების“ ხელმძღვანელი. დაიბადა ლაგოდეხის რაიონის სოფ. გურგენიაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი სპეციალობით ქიმიკოს-ტექნოლოგი. წლების განმავლობაში მისი ინიციატივით საქართველოში ეწყობა დიდი ქართველი მწერლებისა და მოღვაწეების: ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, გ. ტაბიძის, ს. საბა ორ-

ბელიანის, გ. ლეონიძისა და სხვათა გახსენების საიუბილეო საღამოები, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ მთავრობის პასუხისმგებელი მუშაკები. ბ. კობაძე უაღრესად განათლებული და ლაგოდეხელი კაცის სამაგალითო პიროვნებაა.

ლაგოდეხის კულტურის ძეგლები, ლეგენდები და სინამდვილე

წიგნის ამ ნაწილში უფრო ვრცლად გაგაცნობთ არქეოლოგთა მიერ ლაგოდეხის რაიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს მოკვლეულ მასალებს; წარმოგიდგენთ მეფე პოეტების – თეიმურაზისა და არჩილ ბაგრატიონების ლიტერატურულ ნაწარმოებებს, სადაც მოქმედებები მიმდინარეობდა ლაგოდეხ-ბელაქან-ჭიაურის ტერიტორიებზე. იოანე და ვახუშტი ბატონიშვილების ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაშრომებს, რომლებშიც აღწერილია ჰერეთისა და კახეთის ალაზანგამოღმა მხარის ისტორიული ძეგლები და ტოპონიმები – სოფლების, ტაძრის, ციხესიმაგრის, მდინარის, ხეობისა და სხვა ისტორიული თუ გეოგრაფიული ადგილების სახელწოდებები. გადმოგცემთ ჰერეთისა და კახეთის შესახებ საინგილოს გამოჩენილი მკვლევარის ინგილო პროფესორის მოსე ჯანაშვილის მოსაზრებებს.

გაგაცნობთ ლაგოდეხის რაიონის ისტორიის მკვლევარების პროფესორ ტარიელ კვანჭილაშვილის, ისტორიკოსების შოველი კაპანაძის, ბონდო ჩიკვაიძისა და სხვათა მიერ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში მოძიებულ და რაიონულ გაზეთ „გამარჯვების დროშაში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს.

ლაგოდეხის რაიონის ტერიტორიაზე დღემდე მიკვლეულია და აღრიცხულია 50-ზე მეტი ისტორიული ძეგლი, ციხესიმაგრეებისა თუ ტაძრების სახით. აქედან ჰერეთის ისტორიული პერიოდის ძეგლებს მიეკუთვნებიან ლაკუასტისა და ტრაწაყალის ციხესიმაგრეები, ლაგოდეხის სამონასტრო კომპლექსი, მაჭის (თოლას) ციხე ეკლესიითურთ, კართუბნის ციხე, თელის გორაზე შემორჩენილი ციხე-გალავანი, ეკლესიის ნიმუშები ჭიაურის ტერიტორიაზე, მაწიმისა და კაბლის ხეობებში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც VIII საუკუნით თარიღდებიან.

ლაგოდეხის რაიონის ტერიტორიაზე შემორჩენილია გვიანფეოდალური ხანის ისტორიული ძეგლებიც. მათ შორის ინტერესს იწვევს – ლელიანის წმინდა თეოდრეს (X-XI ასა), ფონის სამების (XVII ს.),

არეშფერანის ხოშატის (XVII ს) ტაძრები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მიუხედავად მტრის მრავალგზის შემოსევებისა, ამ ადგილებში ხალხი განაგრძობდა ცხოვრებას და მამაცურად ებრძოდა დამპყრობლებს.

ლაგოდეხის რაიონში ისტორიულ ძეგლებს კიდევ შეემატა 1991—1995 წლებში ლაგოდეხის მკვიდრის პირადად ნუგზარ კაკიაშვილის პირადი ინიციატივით აშენებული ორი ეკლესია. ცოდნისკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობის დროს სოფელ თელაზე 1991 წელს, რომელიც წმინდა გიორგის სახელისაა და რაიონის გამგებლად მუშაობის დროს 1995 წელს ლაგოდეხის ცენტრში აშენდა სამების ეკლესია, რომელიც საქართველოს პარტიარქის ილია მიორის მიერ იქნა კურთხეული, მაგრამ მარტო ეკლესიების აშენება არაა მთავარი.

ლაგოდეხის რაიონის ისტორიის შესწავლის საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეაქვს 1970 წელს შექმნილ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომელშიც თავმოყრილია საინტერესო არქეოლოგიური და ენთოგრაფიული ექსპონატები.

მუზეუმის დაარსების ინიციატორი იყო იმ დროს ლაგოდეხის პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ისტორიკოსი შოველი კაპანაძე, რომელიც ამავე დროს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის რაიონულ საბჭოს ხელმძღვანელობდა. ბატონი შ. კაპანაძის, პარტიის რაიკომის ყოფილი მდივნის, ქალბატონ თინა მანისურაძის და ჩემი ერთობლივი მუშაობით, მუზეუმში თავი მოვუყარეთ რაიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა წლებში მოკვლეული რაიონის მოსწავლეთა სასახლეში, სკოლებში ცალკე ოჯახებში გაბნეულ ნივთებს, მუზეუმს დიდხან ხელმძღვანელობდა მარიკა ალექსიშვილი.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ვარდისუბნის საშუალო სკოლის ისტორიის მოსწავლელის გრიგოლ ნოზაძის პირადი ფონდი, რომელმაც შემდგომში ასევე მუზეუმში დაიმკვიდრა ადგილი.

რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება 1967 წელს ვარდისუბნის ტერიტორიაზე, მდინარე მშვიდობანის ნაპირზე წარმოებული გათხრების შედეგად აღმოჩენილ სამარხში ნაპოვნი კერამიკული ნივთები, რომლებიც X—XII საუკუნით თარიღდება. აქვეა დაცული 1966 წელს ყარსუბანში არხის გაჭრის დროს ნაპოვნი ბრინჯაოს იარაღები—შუბი, ხანჯალი, ცული და სხვა.

ლაგოდეხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთებიდან საინტერესოა პატარა თასები, რომლებიც სარიტუალო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო, ყურადღებას იპყრობს აგრეთვე, სამფეხა თასები, თუნგები, ქოთნები და დერგები.

პროფესორი გ. ნიორაძე ალაზნის ველის ტიპის კერამიკას მია-

კუთვნებს ლაგოდების რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ნივთებს, რომელთაც ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნით ათარიღებს.

ალაზნის ველის კულტურის მეცნიერული ანალიზის შემდეგ პროფ. გ. ნიორაძე დასძენს: „... თუ ... ალაზნის ველის კერამიკას ჩვენ საერთოდ განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ამ კერამიკის მქონე ხალხს კარგად ჰქონიათ განვითარებული მიწათმოქმედება; იცოდნენ ვაზის მოვლაც, რაზედაც მიგვითითებს მთელი რიგი სხვადასხვა სახის საღვინო ჭურჭელი. ჩვენ როდესაც ვამბობთ,—განავრძობს პროფ. გ. ნიორაძე,—ალაზნის ველის კერამიკის მქონე ხალხი იყო მიწათმოქმედი, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მესაქონლეობას არ მისდევდნენ. საამისო პირობები რასაკვირველია მათ ჰქონდათ და ამის ნიშნებიც მოიპოვება, მაგრამ მიწათმოქმედება მათთვის იყო მთავარი საარსებო წყარო ცხოვრებისა. ამას ნათლად ადასტურებს არქეოლოგიური გათხრები ალაზნის ველისა...“¹.

აქედან ჩანს, რომ ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ლაგოდების ტერიტორიაზე საკმაოდ მაღალი მატერიალური კულტურის მქონე ხალხს უცხოვრია.

ლაგოდების შესახებ, საინტერესო წერილობით ცნობებს გვაწვდის „ქართლის ცხოვრება“. აქ იხსენიება ნუხპატის ხეობა, რომელსაც ახლა მაწიმის ხეობა ეწოდება და მდებარეობს ლაგოდების რაიონში. ეს ცნობა მიეკუთვნება ადრეფეოდალურ ხანას და ეხება ამ ხეობაში ქრისტიანობის გავრცელებას.

ამ ფაქტს მემატინე უკავშირებს არჩილ მეფეს, (688—718 წწ), რომელმაც „ხევსა ლაკუასტისასა ალაშენა ციხე... და ალაშენა ციხე—ქალაქი ერთი ნუხპატის ორთა წყალთა შუა“.

აქედან ირკვევა, რომ წარმართი ნუხპატელები ძალით მოუქცევიათ ქრისტიანობაზე, რომლის შესახებ აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავს, რომ ხელისუფლებას მკაცრი ზომების მიღება დასჭირდა ნუხპატელთა წინააღმდეგ. „ყოველივე ამას თან სდევდა ციხე ქალაქის გაძლიერებული მშენებლობა, რაც ერთი მხრით, უფრო მტკიცე ორგანიზაციას უქმნის ამ იძულებას, მეორე მხრივ კი—ეკონომიკური ინტერესების ხასიათს ამყლავნებს“.

მემატინის ცნობით ასეთივე მშენებლობა ჩაუტარებია ლაგოდებში მეფე არჩილს, სადაც აუშენებია ციხე ლაკუასტისა და მაჭის ხეობაში მეფეთა სასახლე თოლა. ამაზე დ. ჯანაშვილი შენიშნავს—„რას დაჰხარბდა მეფე არჩილი, რომ ლაგოდები აირჩია რეზიდენციად. აქ ბუნება, მართალია, ძალიან მდიდარია ყოველის მხრით, ხეილითა, ტყეებითა, ანკარა მთის წყლებით, მაგრამ აქ მცხოვრები ხალხი მეტისმეტად

¹ გ. ნიორაძე, „ალაზნის ველის გათხრები“. თბილისი 1940.

გაუთლელი და ხეპრე იყო და საჩოთირო ზნე-ჩვეულება ჰქონდა. იმათ
ერქვათ „ნუხპატელნი“ ადგილისა გამო... ცხადია, როცა ქრისტიანობა
გავრცელდა ლაგოდებში, მას შემდეგ აშენდა აქ ეკლესიები“.¹

„ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ნუხპატელნი უწინარეს
იყვნენ კაცნი წარმართნი და მხეცის ბუნებისანი“.¹

რა არის მიზეზი, რომ არჩილ მეფის ცხოვრების აღმწერი ჯუან-
შერი ნუხპატელებს ასე აუგად იხსენიებს?

მემატინე ჯუანშერი კერპთაყვანისმცემლობას ქრისტიანული
რელიგიის პოზიციებიდან უყურებდა. ქრისტიანული რელიგიის იდეო-
ლოგს კი კერპთაყვანისმცემელი მხეცად იხსენიებს.

სამწუხაროდ, ნუხპატელების შესახებ წერილობითი ცნობები არ
შემონახულა. ისტორიამ მათ მწარე ბედი არგუნა. ნაწილი მტერს
შეაკვდა, ნაწილმა კი იმ კახელების ბედი გაიზიარა, რომლებიც მტარ-
ვალმა შაჰ-აბასმა მშობლიურ კუთხეს მოსწყვიტა და შორეულ ისპა-
ჰანს, მავანდერანსა და ფერეიდანს გაუყენა.

არჩილ მეფის ბრძოლას ნუხპატელთა წინააღმდეგ, როგორც
დავინახეთ, შედეგი გამოუღია. ამ ფაქტს აკად. ს. ჯანაშია რამდენჯერ-
მე იხსენიებს. იგი იმდენადაა საყურადღებო, რამდენადაც კახეთში
მოსულ არჩილს ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან ერთად
ფეოდალური ურთიერთობის გაბატონებაც უცდია, რასაც მემატინე
ჯუანშერიც აღნიშნავს და ამბობს: „მოვიდა არჩილ კახეთად და ყო-
ველი ტაძრულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყენა იგინი“²

მოკლედ შევხებით თვით სახელწოდება ლაგოდების ტოპონიმს,
მოსახლეობაში ლაგოდების ეტიმოლოგიაზე რამდენიმე შეხედუ-
ლება არსებობს, სახელდობრ:

1. სახელწოდება „ლაგოდები“ წარმოსდგა რუსეთის ჯარის
დასასვენებელი ადგილიდან „ლაგერ ოტდისადან“.

2. ლაგოდებმა სახელი მიიღო გენერალ ლაგოდასაგან, რომელიც
რუსეთის ჯარის პოლკოვნიკი იყო.

თავი, რომ დავანებოთ რუსულ ენაზე არსებულ ლიტერატურას,
ისტორიულ ციხე-სიმაგრეები—ლაგოდები და კართუბანი, დიდი ხანია
ფიგურირებდა რუსეთის სამხედრო უწყებების მიერ გამოცემულ რუქებ-
ში და გეგმებშიც.

როგორც წიგნის სხვადასხვა ადგილზე მოცემული გვაქვს მართ-
ლაც, რომ დიდია ალაზანგამოღმა ჰერეთის მხარის ალორძინების საქ-
მეში უკანასკნელი ორი საუკუნის (მე-17—მე-18 სს) თავდაცვითი
საკორდონო ხაზის მშენებლობისა და შტამ-ბინის დაარსების მაგალითი.

¹ დ. ჯანაშვილი ჰერეთის აღწერა, მოგზაური, ტფილისი, 1901 წ. № 2.

² „ქართლის ცხოვრება“, თბილისი 1955 წ.

ლაგოდების დაარსების ისტორიის შესახებ აღნიშნული დოკუმენტების შემდგენლებს უნდა სცოდნოდათ, რომ კავკასიის სამხედრო ხელისუფლებამ და ადმინისტრაციამ შტაბ-მონა (შტაბ—კვარტირა) დაარსეს ლაგოდების ისტორიული ციხე-სიმაგრის მიდამოებში და ამ ახალ, ამჟერად რუსულ დასახლებას ძველი სახელწოდება ეწოდა და ჯარის ნაწილების ჩამოყვანის ადგილიც აღნიშნულია ლაგოდები.

ზემოდსხენებულ მცდარი აზრი შეიქმნა XIX ს. II ნახევარში ლაგოდების სამხედრო ნაწილის ოფიცრების ორი წერილის შედეგად, რომლებიც ლაგოდების დაარსებას და აქედან ტოპონიმის შექმნას მიაწერენ პოლკოვნიკ ლაგოდას. წერილები დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში და თარიღდება 1877 და 1879 წლებით.

ისტორიული წყაროებიდან დგინდება, რომ ტოპონიმ „ლაგოდეს“ (და ეს ჯუანშერის ზემოდმოყვანილი ცნობიდანაც ჩანს) საფუძვლად უდევს ადგილის გამომსახველი სახელი ლაკო-ლაკუასტ-ლაკვათი.

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, ჰერეთ—კახეთისა და კერძოდ საინგილოს მკვლევარი მოსე ჯანაშვილი თავის ლექსიკონში შემდგენიარად გვიხსნის: „ლაგოდები არის ცვლილება მის თავდაპირვანდელი სახელისა ლაკვასტი. აღსანიშნავია ისიც, რომ შემდეგ აქ არსებულ ლაკუასტის ციხე-სიმაგრესა და მონასტერს ლაგოეთს და ლაგოდეს უწოდებდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ლაგოეთთან და ლაგოდებთან ერთად მემატინენი ზოგჯერ კუთხურ ლაგოდასაც ხმაზობდნენ, ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კიდევ ერთ გვიანდელ დოკუმენტს. მეფე არჩილ II (1647—1713 წწ) კრებულიდან „არჩილიანი“.

გავიხსენოთ მოკლე ისტორია არჩილ II ხან იმერეთს მეფობდა ხან ქართლ-კახეთს. 1661 წელს 14 წლის ჭაბუკს იმერეთის ტახტზე სვამენ, 3 წლის შემდეგ კი კახეთის სამეფოს ტახტზე აღმოჩნდება, რომელსაც 1664—1675 წლებში მართავდა. 1667 წელს 20 წლის მეფე ცოლად ირთავს თეიმურაზ I შვილიშვილს ქეთევანს. რომანტიკოსი მეფე ქორწილს ლაგოდების ულამაზესი ბუნების წიაღში იხდის—თოდის ანუ მაჭის სამეფო საზაფხულო რეზიდენციაში.

მეფის საყვარელ სანადირო ადგილს ქიაურის დაბურული და ნადირო—ფრინველით სავსე ტყე წარმოადგენდა. მეფე ქორწილისა და ქიაურის ტყეში ნადირობის ამბავს გადმოგვცემს თავის პოემაში არჩილიანი“.

მოვიყვანოთ, ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე სტროფი:

„ქიაურთავან წასულნი იმ დამეს არბუსს დავდექით.

წმინდის თევდორეს საყდარსა ვილოცეთ ცისკრად ავდექით
თორღას ვადექით ოდეს ვქენ ქორწილი გამოჩინება“
თაფლობის თვეებში და ნადირობაში გართულ მეფეს გადაუწყვე-
ტია ჰერეთის ამ უღამაზეს მხარეში გამოზამთრება.

„აწ ზამთარი შემოვისწროთ თოღასა და მოეთანსა“
ბოეთანი ეს არის დასახლება ვახუშტის რუკის მიხედვით. იგი მდებარეობდა ბელაქნის სამხრეთით კატეხის წყლისა და ალაზნის შესართავთან.

აღნიშნულ ლიტერატურულ ნაწარმოებში ერთი ასეთი საინტერესო ამბაცია აღწერილი.

ჭიაურის ტყეში მონადირეებს ლეკების ბრბო დასხმით თავს. ყაჩაღებს თავად დავით ასლანიშვილი და გარსევან ჭავჭავაძე მოუტაცნიათ და მღვერებს ლაგოდებთან დაუხსნიათ ტყვეები.

„ლაგოდებთან წაუწივნენ, გარსევან ჰყავთ ხელშეკრული ნახა წინა ამხანაგმა, აუფეთქდა წინამ ვული“.

როგორც ვხედავთ მეფე არჩილი საკმაოდ უხვად გვაწვდის საინტერესო ცნობებს ლაგოდების რაიონისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმების შესახებ.

ტოპონიმ „ლაგოდებს“ მეცნიერულად სრულ ახსნას გვაძლევს მ. ჯანაშიელი. მისი კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი რაიონისა და მისი ცენტრის სახელწოდება მიღებულია ტოპონიმ „ლაკოდან“ რომელმაც დროთა განმავლობაში განიცადა სახეცვლილება. მისი აზრით ლაგოდები მრავლობით ფორმად და ნიშნავს ბევრ ლაკოს, ბევრ წყალს თუ წყლიან ადგილს. სუფიქსი „ხი“ მრავლობითობის გამომხატველია. აღსანიშნავია, რომ „ეხითა“ და „ხითი“ დამოლოგებული ტოპონიმები განსაკუთრებით ბევრი ვხვდებოდა კახეთ-ჰერეთში. ასეთებია არბუხი, მუხახი, კარდანახი“ კატეხი, მაქეხი, მაქიხი—ლაგოდები და მრავალი სხვა.

ვფიქრობთ ამიერიდან მაინც ლაგოდების რაიონის მოსახლეობას და არა მარტო მათ, სწორი წარმოდგენა ექნებათ ტოპონიმ „ლაგოდების“ ქართული წარმომავლობისა და ლაგოდების დასახლების ისტორიის შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მემატიანე ჯუანშერი მეფეს არჩილ სტეფანოზის ძეს (688—718 წწ) მიაწერს ლაკუსტის ციხის აშენებას: „მოვიდა არჩილ კახეთად... და ხევსა ლაკუსტისასა ალაშენა ციხე“¹.

ლაკუსტის ციხე ლაგოდებში მდებარეობს, მეცნიერული ლიტე-

¹ „ქართლის ცხოვრება“, თბილისი, 1955 წ. გვ. 243.

რატურის მიხედვით სახელწოდება ლაგოდების ლაკუასტის ციხეს უკავშირდება.

ერთხელ კიდევ გავეცნოთ ფაქტიურად ლაგოდების მოკლე ისტორიულ მონაცემებს. არჩილ სტეფანოზის ძე ქართლის ერისმთავარი, მეფედ წოდებული, მოღვაწეობდა ქვეყნის მწიგნობრობის ჟამს, როცა მირის სიკვდილის შემდეგ (ნაშ. წ.) გამეფდა. შემდეგ ამისა არჩილმა თავისი დღენი დალია სამეფოს მოვლამოწყობასა და შენებაში. 12 წელიწადი მან დაჰყო, იმერეთსა და გურიაში. 680 წლიდან მეფე ქართლს გადმოვიდა რადგან მცხეთა აეოხრებინა მურმანს და მასში აღარ ედგომებოდა. მეფე შევიდა კახეთში. ამ კურთხეულ ქვეყანას და აქ ყოფნისას შეირთო ცოლად გურამ კურაპალატის ასული დარია, მერე დაჯდა წუქეთს (საინგილო) ააწენა კასრი (საყდარი) კაკში) და ციხე ლაკუასტის ხევში.

საქართველოს არამი დამპყრობლები შემოესივნენ. იგი ქვეყანას 50 წლის განმავლობაში მართავდა. მის სამრძანებელში შედიოდა ეგრისი, არჩილ მეფეს მიაწერენ რეფორმებს, რომლის ძალითაც ქვეყნის ნახევარი ერისთავებს გადასცა სამკვიდროდ და სამამულოდ, იგი აღმშენებლობას მისდევდა. უყურადღებოდ არც კახეთი — ჰერეთი დაუტოვებია. მათიანე სწორედ მას მიაწერს აქ ეკლესია—მონასტრების, სოფლების, და მათ შორის ლაგოდების ციხე-სიმაგრისა და მონასტრის აშენებას, ეს ხდებოდა 680 წლის შემდეგ, როცა მეფე ხან ზიდარს (ქართლი) იდგა და ხან წუქეთს (საინგილო).

ქრისტიანულ და მაჰმადიანურ რელიგიათა ქიდილში არჩილს იძულებით გაუქრისტიანებია ნუხპატელები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარწმუნეობისათვის არც თვითონ უღალატია და არ მიუღია არაბთა მიერ შეთავაზებული ისლამი, რის გამოც წამებით მოუკლავთ გმირი მეფე.

ტომონიმი ლაგოდების XII საუკუნეშიც იხსენიება. 1020 წლით დათარიღებულ მცხეთის ერთ საეკლესო გუჯარში, რომელიც ეკუთვნის მელქისედეკ კათალიკოსს. ვკითხულობთ: „მოვიგე... ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა ლაგოდები და ჰერეთსავე კატინისა ეკლესია, შესავლითა მისითა.“¹ ესაა პირველი ცნობა, რომელშიც უკვე ლაგოდებია დასახელებული.

სახელწოდება ლაგოდები“ შემდეგაც რამდენჯერმე იხსენიება. იგი გვხვდება მცხეთის საეკლესიო მუმულების 1482 წლის გუჯარში. ცნობა „ლაგოდების“ შესახებ დაცულია კიდევ 1579 წლის გუჯარში. რომელიც ეკუთვნის ნიკოლოზ კათალიკოსს.

¹ თ. ჟორდანი, ქრონიკები ნ. წ. მე-2, ტფილისი, 1897 წ. გვ. 33.

ტანტო ქალაქს უშუალო საფრთხე ელოდა, რადგან მათ შორის ასეთი ძლიერ გამაგრებული ციხე-სიმაგრე აღარ იყო.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით 1614 წელს თოლას სწვევია ქართველი ხალხის დაუძინებელი მტერი შაჰ-აბასი: მოვიდა თუესა იანვარსა ხუთსა... და აღილო ციხე თოლასა შაჰ-აბას და გამოილო ყოველივე საგანძურ კახეთისა.“¹

ეს ფაქტი ფრიად საყურადღებოა, თოლა იმდენად ძლიერი და მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ შაჰ-აბასმა თოლადან „გამოილო ყოველი საგანძური კახეთისა“.

შაჰ-აბასის ყოფნა მაჭის (მაწიმის—მაზიმჩაის) ხეობაში სხვა წყაროებით არ დასტურდება, მაგრამ მემატიანეს ეს ცნობა მიუთითებს იმაზე, რომ ლაგოდეხის ტერიტორიაზე წარმოადგენდა არა მარტო მნიშვნელოვან სტრატეგიულ ცენტრს, არამედ მდიდარ სამეფო ციხე-ქალაქსაც. ციხის მიწისქვეშა დილეგში, კლდეში ჩატარებული ყოფილა სიგრძით ერთ არშინის და სიგანით ნახევარ არშინის ქვა. რომელზედაც ნუსხა—ხუცური წარწერა იყო გაკეთებული, მაგრამ აქამდე არავის გადმოუწერია... უეჭველია მისი შინაარსის წაკითხვა რაც გაარკვევს ჰერეთ-კახეთის ისტორიას და ნათელს მოჰყენს წარსულს მაჭის საერისთაოსას.“²

თოლა მოზრდილი ციხე-ქალაქი ყოფილა. მისი სამხრეთ-დასავლეთი მხარე 70—80 მ სიმაღლის კლდითაა შემოზღუდული. ციხე-ქალაქის კედლების სიგანე ზოგ ადგილას 1,5 მეტრს აღწევს. კედლებში ეხლაც ეტყობა გრძელი, მრგვალი ხერხელები, ალბათ კედელზე მიშენებული იყო ოთახები.

ციხე-ქალაქში, დილეგის სიახლოვეს 15 მეტრის დაშორებით მდებარეობს ჭა, რომლის დიამეტრი—50 სანტიმერი, სიღრმე—10 მეტრამდე იქნება. (სიღრმის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან იგი ამოვსებულია მიწით), ნაშენებია კირითა და ქვით.

ციხე—ქალაქის ტერიტორიაზე დღემდე კარგადაა შემონახული ერთი ეკლესია, რომელიც მეცნიერთა აზრით გვიან ფეოდალურ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. კერძოდ მე-15—16 საუკუნეებს.

ფრიად საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს იმავე არჩილ მეფის აშენებული ციხე ლაკუასტისა. იგი თვით ქალაქ ლაგოდეხში მდებარეობს, რომლის ნანგრევები დღესაც არის შემორჩენილი. სამხედრო ნაწილის ეზოებში.

¹ „ქართლის ცხოვრება“ მე-2, გვ. 395.

² დ. ჭანაშვილი, ჰერეთის აღწერა, „მოგზაური“, 1901 წელი № 11.

როგორც მოტანილი ცნობებიდან ჩანს, ლაგოდეხი მცხეთის-საეკლესიო მამულების სამწყვოსში შედიოდა 1020 წლიდან.

როგორც აღვნიშნეთ ლაგოდეხის მიდამოები მდიდარია ისტორიული ძეგლებით, უმეტესი მათგანი განადგურებულია მტრისაგან; მაგრამ ის, რაც ნგრევას გადაურჩა, მცირე ნაწილის გარდა, არ არის არამც თუ შესწავლილი, არამედ აღნუსხული და დაცულიც.

ლაგოდეხის რაიონში კულტურის ძეგლთა სიმრავლეს სახელოვანი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავს: „ამ მიწა-წყლის ჩრდილოეთ არს ველსა ზედა ციხე ტრაწყალისა აწ უქმი ამას ზეით, ჩრდილოეთ კერძ ველსა ზედა, ციხე ლაკვათისა და მეფის არჩილისაგან ქმნილი და აწ ლაგოეთად წოდებული, მაგარი, დიდშენი გარნა აწ ოხერი.“¹

ლაგოდეხის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლთაგან ფრიად საყურადღებოა მეფეთა სასახლე თოღა, რომელიც სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროებში ხშირად თორღვადაც იხსენიება.

მეფეთა სასახლე თოღას აშენება, როგორც აღვნიშნეთ, მეფე არჩილს მიეწერება, იგი მდებარეობს ორი ხევის შესაყართან, მისი ფართობი 3,5 ჰექტარს აღწევდა, მეფეთა სასახლის ქვევით, მიწაში. ოთახებია ძლიერი სვეტებით, რომლებიც გარკვეულ პერიოდში, როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, კახეთის მეფეთა დილეგს (საპატიმროს) და თავშესაფარსაც წარმოადგენდა.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით, კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574—1605) შეილებს დავითსა და გიორგის შორის ტახტის დაკავებისათვის უთანხმოება ჩამოვარდნილა. დავითმა „მაშინ შეაპყრა თავისი ძმა გიორგი და რამდენიცა იყვნენ კახნი შეფიცულნი მის თანა... და წამოიყვანა ძმა თავისი და თორღას ციხეში პატიმარ ყო.“²

ამასვე მიუთითებს აკადემიკოსი ბ. ბროსეც გიორგიმ განიზრახა დავითის დაპატიმრება და კახეთის დაპყრობა. დავითმა შეატყო ეს განზრახვა და თვითონ შეიპყრო იგი თოღას ციხეში“³.

მაწიმის ხეობის ტერიტორიაზე მეფეთა სასახლე თოღაში დღესაც კარგადაა დაცული მიწისქვეშა ოთახები, რომლებიც თავიანთი სიდიდითა და შესანიშნავი ნაკეთობით მნახველთა ყურადღებას იპყრობს. იგი მეცნიერთა შესწავლის საგანს წარმოადგენს.

თორღა ფეოდალურ ხანაში კახეთის სამეფოს თვალსაჩინო ციხესიმაგრედ ქცეულა, რადგან სტრატეგიულ ადგილას მდებარეობდა. დაღესტნიდან კახეთის სატახტო ქალაქ გრემისაკენ მიმავალი გზა თოღაზე გადიოდა. თუ მტერი თოღას ხელში ჩაიგდებდა, კახეთის სა-

¹ ვ. ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. თბილისი 1941, გვ. 98:

² ქართლის ცხოვრება 1959 წ., გვ. 382.

³ ბ. ბროსე, „საქართველოს ისტორია“ ნაწილი II, ტფილისი, 1900 წ.; გვ. 82:

ლაკუასტის ციხის ისტორიასთან დაკავშირებულია მეტად საინტერესო ამბავი საქართველოს ისტორიიდან, რაც მხატვრულად აქვს აღწერილი გამოჩენილ ქართველ მწერალს ვასილ ბარნოვს თავის ისტორიულ მოთხრობაში „ხაზართა სასძლო“.

რატომ წამოიწყო არჩილ მეფემ ლაგოდეხის მიდამოებში მშენებლობა? ამის მიზეზი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მდგომარეობდა.

მე-7 საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველო არაბთა ბატონობის ქვეშა მოქცეული, ქართლის სამეფო კარი ჯერ ეგრისში, შემდეგ კი ჰერეთში გაიხიზნა, ეკონომიკურად მდიდარი ქართლის მეფე არჩილი ნუხატის ხეობაში გამაგრდა, რის გამოც აქ სწრაფად დაიწყო გაძლიერებული ციხე—ქალაქების მშენებლობა, ნუხატის (მაჭის) ხეობა ძლიერ სტრატეგიულ პუნქტად იქცა.

როგორც მემათიანე ჯუანშერი აღნიშნავს წუქეთში მისულ არჩილს აუშენებია კასრი, ლაკუასტის ხევში კი ციხე სიმაგრე ლაკუასტი და ნუხატში ორი ხევის შესაყართან მეფეთა სასახლე — თორღა. კახეთში მოსულმა არჩილმა, მიუთითებს აკად. მ. ბროსე, „თითონ ააშენა იქ ციხე კასრი ლაგოეთის ხეობაში... და აქაურნი მკვიდრნი მოაქცია ქრისტეს სჯულზე.“¹

ლაკუასტის ციხე და თორღა მე-8 საუკუნის დასაწყისშია აშენებული, ამ მოსაზრების სასარგებლოდ რამდენიმე დამადასტურებელი საბუთი ლაპარაკობს. ლაკუასტის და თორღას ციხეების დათარიღების საკითხს სწორად წყვეტს ერთი საკითხის მართებულად გადაჭრა, კერძოდ, როდის მოვიდა არჩილ მეფე კახეთში და როდის დაიწყო ციხის მშენებლობა.

არჩილ მეფის დასავლეთ საქართველოში ყოფნას აკად. მ. ბროსეც აღნიშნავს: არჩილმა „დაჰყო ეგერიაში 12 წელიწადი და შემდეგ კახეთში წავიდა.“² ამრიგად, 688 წელს გამეფებული არჩილი 12 წელს ეგერიაში იმყოფება და 12 წლის შემდეგ ე. ი. 700 წელს კახეთში მიდის. მაშასადამე, ლაკუასტის და თორღას მშენებლობა მე-8 საუკუნის დასაწყისშია დაწყებული. აღნიშნული ციხეების აშენება 700—718 წლებს შორის.

ტრაწაყალის ციხე გვიან ფეოდალური პერიოდის ძეგლს წარმოადგენს. იგი მე-16—17 საუკუნეებს მიეკუთვნება. მისი სამხრეთი კედლის სიგრძე 20 მეტრია, სივანე—ერთ მეტრზე მეტი. ციხე სიმაგრეს აქვს სათოფურები. ტრაწაყალის ციხე ნაშენებია რიყის ქვით

1 მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ტფილისი, 1895 წ. გვ. 11;

2 მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ტფილისი, 1895 წ. გვ. 111.

ზოგიერთ ადგილზე დატანებული აქვს კარგად გამომწვარი აგური, ციხე როგორც ეტყობა, რამდენჯერმე უნდა იყოს შეკეთებული.

ლაგოდეხიდან ყვარლისაკენ მიმავალი გზის მარჯვნივ ველზე სოფელ კაბალში მდებარეობს კართუბნის ციხე-სიმაგრე. იგი ნაგებია რიყის ქვით და კარგადაა შემონახული. აღნიშნული ციხე მე-16—17 საუკუნის ძეგლია, რომელიც სტრატეგიულ ადგილას მდებარეობდა და ალაზნის მარცხენა მხარეზე გადასასვლელი გზების ცენტრში იყო მოთავსებული. მის დანიშნულებას ალბათ მოთარეშე ლეკთა შეკავება შეადგენდა.

ფრიად საინტერესო ძეგლს წარმოადგენს ლაგოდეხის მახლობლად ქოჩალოს ფერდობზე მდებარე მონასტერი, რომელიც მე-X საუკუნეშია აშენებული. საინტერესოა აგრეთვე სოფელ ფონასთან მდებარე მე-16—17 საუკუნის ბაზილიკა და ლელიანის წმინდა თევდორეს ეკლესია (X—XI ს), რომელიც ორიგინალური ფორმით გამოირჩევა.

ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიულ—გეოგრაფიულ ნაშრომს „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (XVIII საუკუნე) დაერთვის ავტორის მიერვე შედგენილი ატლასი.

ატლასი წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა პერიოდისა და სხვადასხვა კუთხის რუკებს. ერთ-ერთი რუკიდან ამოვიღეთ ფრაგმენტი რომელზეც ალაზნის მარცხენა მხარეა აღნიშნული, რუკას ჰქვია „რუკა კახეთისა და ჰერეთისა, აწ კახეთად წოდებულისა“. სწორედ ვახუშტი ბატონიშვილის ეს შრომა უნდა მივიჩნიოთ ლაგოდეხის რაიონის ისტორიის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ, აი, როგორ აგვიწერს ვახუშტი ბატონიშვილი ლაგოდეხის ტერიტორიას.

„ბელაქნის წყლის შესართავს ზევით მოერთვის ალაზანს მაჭის წყალი, გამოსდის ხუნზახსა და ამას შორის კავკასს, მოდის ჩრდილო აღმოსავლეთ შუადან დასავლეთ სამხრეთის შუა, ამ ხევზედ არის მთასა შინა თოლა, სასახლე მეფეთა, ფრიად მშუენვარე ზაფხული ამას ეწოდა მაჭი. აქ ეყრებინ ხევი სხუა, მოდის აღმოსავლეთიდან დასავლეთად. გამომდინარე მისივე კავკასიდან. ამ ხეობათა ზედა ყოფილა შენობა კაცთა სიმრავლით, არამედ შემდგომ შაჰაბაზის ლეკთა მიერ ოხერ არიან. ამ მაჭის წყლის ჩრდილოეთ არს ველსა ზედა ციხე ტრაწაყალისა და აწ უქმი, ამის ზევით, ჩრდილოეთ ველსა და ზედა ციხე ლაკუათის, მეფე არჩილისაგან ქმნილი და აწ ლაგოეთად წოდებული. მაგარი დიდშენი, გარნა აწ ოხერი. ამან მეფემანვე აღაშენა სამშორისის ციხე და ეკლესია. მაჭის წყლისა და ამ

ლი, გამოსდის ჰერეთისას, ანუ ცივის მთას, მოუღდის დასავლეთიდან აღმოსავლად. ხოლო ნეინის წყლის ზეით ჩრდილო კერძ ველსა ზედა არს ციხე კართუბანისა და აწ ცალიერი. მას ზეით ჩრდილოეთკენ ველსა ზედა, „გორისწყლის“ ციხე და აწ უქმი. ამით ზეით ერთვის ალაზანს ბედიყრის წყალი გამოსდის კავკასიის კალთას და ჩრდილო-აღმოსავლის შუადაბ, მოღდის დასავლეთს—სამხრეთს—შუა. ამაზედ არს სტეფან წმინდის მონასტერი, მამათგან ანუ წმინდის ეფთიმესაგან აღმენებული“.

შევადართ „აღწერის“ ეს ტექსტი რუკას და დავრწმუნდებით რომ ლაგოდების რაიონის ტერიტორია ჰერეთის, შემდგომში კახეთის მჭიდროდ დასახლებულ ნაწილს წარმოადგენდა XVII საუკუნის დასაწყისამდე. შემდეგ კი შაჰ-აბაზისა და ლეკთაგან იავარდქმნილი უნახავა იგი ვახტანგ VI-ძეს ვახუშტი ბაგრატიონს თუ უცნობ მემატანეს.

ვახუშტი ლაგოდების მხრის აღწერას იწყებს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ბელაქანის წყალზე მდებარეობდა დასახლებული ადგილი ბელაქანი და ბოეთანი მაწის წყალზე მაჭის ანუ თოღას „სასახლე—მეფეთა“, რომელიც ქართველ მეფეთა საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა.

დღევანდელი ლაგოდების ტერიტორიაზე ორი მოზრდილი ციხე-სიმაგრის ტრაფაყალისა და ლაგოეთის აშენება იმაზე მეტყველებს, რომ იგი წარმოადგენდა „შენობას კაცთა სიმრავლით“, „მაგარსა და დიდშენს“, შემდგომ კი შაჰ-აბაზისა და ლეკთა მიერ ოხრად“ ქმნილს (1615—1616 წწ) გავისხენოთ, რომ ლაგოდები—(ყოფილი—ლაკუასტი—ლაკუათი—ლაგოეთი—ლაგოდები) „აღაშენა მეფემან არჩილ „668—718 წლებში.

ნეინის წყალი მდინარე კაბალის ძველი სახელწოდებაა. მას შემდგომში კართუბანის სახელიც ეწოდა დასახლებული ციხე-სიმაგრის მიხედვით ალაზნის შესართავთან მდებარეობდა დასახლებული ადგილი ჭიაური, რომელიც საერისთაოების გაუქმების შემდეგ ერთ დროს სამოურავოს ცენტრსაც წარმოადგენდა. მის ზემოდ კი ქვაბლოვანი მდებარეობდა (ჰერეთი XI საუკუნეში სამოურავოებად დაყო კვირიკე კახთა მეფემ, საქართველოში გიორგი პირველის გამეფების შემდეგ. ელისენის, წუქეთისა და ჭიაურისა).

კართუბანი დღევანდელი კაბალის ტერიტორიაა, ხოლო გორისწყალი—თელა როგორც ვიცით ორივე სოფელი მდინარე კაბლის მარცხენა მხარეს მდებარეობს. ბედიყრის წყალი კი თანამედროვე მდინარე აფენია, რომლის მარჯვენა მხარესაც მდებარეობს სტეფანწმინდის მონასტერი.

ასე წარმოგვიდგინა ვახუშტი ბატონიშვილმა ლაგოდების რაიონი!

საისტორიო შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

სახელი „ჰერეთისკარი“, დაერქვა სოფელ ერეთს, რომელიც მდებარეობს მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ჭიაურის ტერიტორიაზე. ზოგი მკვლევარი სოფლის სახელს უკავშირებს ჰერეთს.

ჰერეთის სამთავროში რამდენიმე საერისთაო არსებობდა, რომელთაგან აღსანიშნავია მაჰის საერისთაო, რომელიც მაწიმის (მაჭის) ხეობაში მდებარეობდა. მაჭის საერისთაო საუკუნეთა მანძილზე ჰერეთ—კახეთის სამთავროსა და სამეფოში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მაჭის ერისთავის რეზიდენცია მეფეთა სასახლე თორღა წარმოადგენდა, მაჭის ხეობაში დღესაც მრავლად მოიპოვება მატერი-ალური კულტურის ძეგლები და ნაშთები, რომლებიც ცხადყოფენ მაჭის საერისთაოს ძლიერებას.

საქართველოს სამ სამეფოდ დაყოფის შემდეგ, კახეთის სამეფო მნიშვნელოვან ტერიტორიას მოიცავდა. ცალკეულ სამეფო—სამთავროებად დანაწილებული საქართველო შინაფეოდალური ომების ასპარეზად იქცა.

ლაგოდების რაიონში ძველ სოფლებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ, მათზე ცნობებიც ძნელად შემონახულა. მათგან ერთი ასეთია: ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „მოერთვის ალაზანს ნეინის—წყალი გამოსდის ლეკეთსა და ამას შორის კავკასსა და მოდის აღმოსავლეთიდან დასავლეთად და ველს ზედა ფრიად გრეხით. ამ წყალზედ არის ჭიაური და ქვაბლოვანი“.¹

ისტორიკოსი დ. ჯანაშვილი „ჰერეთის აღწერაში“ ყურადღებას ამახვილებს ჭიაურის ჩრდილოეთით მდებარე სოფელ კაბალაზე, რომელსაც საინგილოს განთქმულ სავაჭრო ქალაქ კაბალას მეტოქედ თვლის.

ლაგოდების რაიონში არის საკმაოდ დიდი სოფელი კაბალი, რომელიც 1880—85 წლიდან არის დასახლებული და აქაური მოსახლეობა სოფლის სახელის წარმოშობას, კაბალას—ექსპლოატაციას უკავშირებს. ამ წლებში შეიძინა აზერბაიჯანელი მწყემსი მოსულა და დასახლებულა აქ. ამ შვიდმა ოჯახმა ისე იხარა და იბარტყა, რომ სოფელი კაბალი დღეს ლაგოდების რაიონში ყველაზე მრავალრიცხოვანი დასახლებაა, სადაც ცხოვრობს 9970 აზერბაიჯანელი, რაც რაიონის მოსახლეობის 25,6 პროცენტს შეადგენს, სადაც ერთ ამ სოფელში ორი საშუალო სკოლაა, სამი არსებული საშუალო სკოლა-დმერთმა ამრავლოთ, მაგრამ ეროვნული საკითხი ხომ ქართველთა გამრავლებაზეა დამოკიდებული. დიდი მგოსანი ილია ჭავჭავაძე

¹ ვ. ბატონიშვილი, „აღწერ საქართველოს სამეფოსა“, თბილისი, 1941 წ. გვ. 98.

თავის დროზე ხომ ამბობდა ერის დაცემა მაშინ იწყება როცა ადამიანი თავის საუბედუროდ კარგავს თავის მიწა-წყალს და არ მრავლდება.

მეტად საინტერესო ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს ხოშატი¹ს ეკლესია, რომელიც გვიან ფეოდალური პერიოდის ძეგლია. მისდამი ინტერესს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ მის სახელწოდებასთან არის დაკავშირებული ფრიად საინტერესო ლეგენდა, რომელიც „ხოშატიანის“ სახელითაა ცნობილი.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ არეშფერანის ტერიტორიაზე მდებარეობს ხოშატიანის ეკლესია კახეთის ზოგიერთ რაიონში და ლაგოდეხშიც დღესაც გვიამბობენ მეტად საინტერესო ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ მოუკლავს გველეშაპი თავდადებულ ვაჟკაცს ხოშატს, რის შემდეგაც გაუნთავისუფლებია ხალხი მტარვალისაგან.

ისტორიულ წყაროებში თითქმის არაფერია დაბეჭდილი ამის შესახებ, მაგრამ არის მოკლე მიმოხილვა, როგორც ამ ლეგენდის ტექსტიდან ირკვევა მისი ავტორი გურჯაანელი სახალხო მთქმელი მიხეილ ჭაჭავაძე ყოფილა (გარდაიცვალა 1924 წელს), რომელსაც გაულექსავს ხალხში გავრცელებული ლეგენდა. ეს ლეგენდა ავტორს თბილისში 1904 წელს სხვა ლექსებთან ერთად გამოუქვეყნებია. აი მისი მოკლე შინაარსი:

შორეულ წარსულში, მდინარე ალაზნის მიდამოებში დიდი ტბა მდგარა, ამ დროს მეფის სასახლეს ვეჯინის ციხე წარმოადგენდა. ქვეყანას მოევიწინა გველეშაპი, ურჩხულს ბინა კავკასიონის მთებში ჰქონდა, გამოდიოდა კავკასიონის მთიდან, დაეშვებოდა ტბაზე, რომ საკვები მიეღო.

„ხალხსაც ჭამდა და საქონელს, დიდ ტბასთან ჰქონდა ბინაო,
იმის ელდამ და შეხედვამ არავინ დააძინაო,
დაშინდა მთელი სოფელი, ვერვინ რჩებოდა შინაო,
შეითქვა იგი ქვეყნები, მეფენიც შეაშინაო“.

გველეშაპმა ხალხს საშინელი ტანჯვა მიაყენა. იგი პირიდან შხამს ღვრიდა და ხალხს წამლავდა, სამეფო კარმა ბევრი იღონა, მაგრამ საშველი არსად იყო. მეფის დავალებით დაიწყეს ხალხში ისეთი გმირის ძებნა, რომელიც შეძლებდა გველეშაპის მოკვლას. სოფელ გაგაზში (ყვარლის რაიონი) უცხოვრია ორ ძმას, რომლებიც ვანთქმულნი ყოფილან გმირობით. უფროსს ერქვა ეგრეზი, უმცროსს — ხოშატი. მეფემ თავისთან დაიბარა ეგრეზი და გველეშაპის მოკვლა დაავალა, ეგრეზმა მეფეს უარი უთხრა—მე ვერ შევძლებ გველეშაპის მოკვლასო და თავის უმცროს ძმაზე, ხოშატზე მიუთითა.

„ეს ორი ძმანი ცხოვრობდნენ ამალით სხვადასხვებითა,
ვაკაცობაში შებმულნი ერთმანეთს დაჯიბრებითა,
ხან მეფესთან სარდლობდნენ, ხან იყვნენ ნადიმ შვეებითა,
ვეფხვებს იჭერდნენ ცოცხლებსა, ლომებს აბამდნენ ყბებითა“.

აი ასეთი ვაკაცო გამოუძახებია მეფეს და გველეშაპის მოკვლა დაუვალებია. ხოშატი დათანხმებია და ხელმწიფისათვის ხელოსნები და ხის მასალა მოუთხოვია. ხოშატს წინასწარ, ღამით აუშენებია სიმაგრე. იგი წარმოადგენდა ვიწრო არხს, რომელსაც დიდ ტბასთან გუბეები ყოფდა. ღამით ტბაში თორმეტი უღელი კამეჩი ჩარეკეს, რომლებიც გველეშაპს უნდა შეექამა, რათა გამძღარ და გამერილი არხში ვერ გამოტეულიყო.

უცებ ქუხილი მოისმა—იქ მთებმა დაიგრიალა,
თორმეტ უღელმა კამეჩმა სულ ერთად დაიღრიალა,
დაეცა ზედა ვეშაპი, თვალები დააბრიალა,
დანთქა, დაყლაპა სუყველა, თავები გაატიალა.
ვეშაპი თვალებს ანათებს ზედ ჯანლი ადგას შავითა,
რომ დაინახა ხოშატი სანგარში მოუძრავია,
ზედ დაეტანა მრისხანედ, იმის დღევ მოდის შავიო,
მაგრამ დულაბმა უმუხლა, შიგ გაეჩხირა თავიო.

გმირმა ხოშატმა მოკლა გველეშაპი, მაგრამ თვითონაც მოიწამლა შხამით. მიადწია სახლამდე და იქ დალია სული. მეფე პირადად ესტუმრა გმირის ოჯახს. მოსახლეობა ძაძით შემოსა, ხოშატი დიდის ამბით დამარხა და მეფის ბრძანებით ზედ ეკლესია ააშენეს, რომელიც დღესაც ხოშატში მდებარეობს და ხოშტიანის სახელითაა ცნობილი. ამ სოფლის ტერიტორიაზე ხოშტიანის ეკლესიასთან დღესაც ცოცხლობენ მუხები, რომლებიც შესწავლილია და სხვადასხვა მკვლევარების მიერ დათარიღებულია მე-17 საუკუნის პირველი ნახევრით.

ლაგოდენის ომგადახდილი ეს უტყვი ძეგლები მოწამენი არიან იმ საშინელი აოხრებისა და ნგრევისა, რაც ამ მხარემ განიცადა, განსაკუთრებით მე-17 საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც იგი გადაიქცა ირან-ოსმალეთის საცილობელ საგნად. მათივე წაქეზებითა და ხელის შეწყობით ამას დაემატა დალესტენელ—ლექ აბრაგების გამუდმებული თარეშიც.

შაჰ-აბაზმა კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს კახეთის ჩრდილო აღმოსავლეთი მხარე მოსთხოვა. „ალექსანდრე მეფემ შაჰ-აბაზს დაუთმო კახეთის კარი: კაც ენისელი. აქედან შაჰმა ცალკე მაჰმადიანური

სასულთნო შეჰქმნა და ერთ რენეგატ კახელ თავადს უწყალობა. კაკ ენისელის სულთან ამიერიდან შაჰს ემორჩილებოდა“.¹

აღნიშნული აქტის განხორციელება ლაგოდებისათვის საბედისწერო შეიქმნა. კახეთის აღმოსავლეთის საზღვარი უშუალოდ ლაგოდებს მიეზღვნა. მის მეზობლად ყაჩაღური ტომებით დასახლებული კაკ ენისელის სასულთნო შეიქმნა. აქამდე საქართველოს გავლენა მორჩილების ქვეშ მყოფი დაღესტანი თანდათან შეტევაზე გადმოვიდა და ჭიურის სამოურავოს უშუალო საფრთხე შეუქმნა.²

შაჰ-აბაზის მრისხანე შემოსევები 1614—1616 წწ. კახეთში ლაგოდებისთვისაც საბედისწერო შეიქმნა, ლაგოდებში მცხოვრებ ქართველებს სიცოცხლე გაუმწარეს ლეკ-აბრაგებმა, რომლებიც შაჰ-აბაზის და მისი მემკვიდრეების უშუალო წაქეზებით მოქმედებდნენ.

დაღესტანის მოთარეშე ლეკების მუდმივი მოქმედების დასადასტურებლად იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“. აღწერაც კმარა ვაშლოვანი, ეს სახელი დღემდე შემორჩა ლაგოდებში სახელმწიფო ნაკრბალში მიმავალ ცენტრალური ქუჩის ტერიტორიას. დიდი მწერლის ამ ნაწარმოების მოკლედ გახსენება უთუოდ დაამშვენებს ამ წიგნს.

პერეთში სოფელი ვაშლოვანი ერთ-ერთი მოზრდილი და ლამაზი სოფელი იყო, ჩრდილოეთით ერტყმოდა ხშირი ტყე და ამით ესაზღვრებოდა დაღესტანი. ვაშლოვანში ტყის ახლოს იდგა მშვენიერი ორსართულიანი სასახლე, ირგვლივ შემკული ლამაზი მოაჯირებით. რომელიც ეკუთვნოდა თავად ზურაბ ქართველამეს, იგი განთქმული იყო მთელ კახეთში თავისი სიმდიდრით. ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი მაგდანა, ჰყავდათ ერთადერთი გოგონა ქეთო.

კახეთში და კერძოდ ვაშლოვანშიც ხშირად ლეკები დაიარებოდნენ, ამ გზით დადიოდნენ ლეკები სიღნაღის ბაზრობაზეც. ორმა წყალწოდებულმა ლეკმა გამდიდრების მიზნით გადაწყვიტეს ვაშლოვანიდან ქეთოს მოტაცება იმ განზრახვით, რომ ქეთოს მამა ზურაბი შეძლებული თავადი იყო ქეთოსათვის არაფერს დაზოგავდა.

დაღესტანში ცხოვრობდა ერთი ლეკთა მეთაური მდიდარი ნაიბი, რომელსაც შვილი არ ყავდა, ლეკებმა მოტაცებული ქეთო თავის

1 ნ. ბერძენიშვილი, „რუსეთ—საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“, თბილისი, 1944 წ. გვ. 144.

2 მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის ინგილოს ისტორიიდან, თბილისი 1953, წ.

მატონს მიუყვანეს და უთხრეს, რომ გზაზე ვიპოვეთ და წამოვიყვანეთ.

ნაიბმა და მისმა ცოლმა ისე შეაყვარეს ქეთოს თავი, რომ მის მესხიერებაში თანდათან ჩააქრეს ღვიძლი დედ-მამის სიყვარული. ქეთომ დედის მშვენიერი სიმღერის ხმა თანდათან დაივიწყა. სამი—ოთხი წლის შემდეგ ზურაბმა შეიტყო, რომ ქეთო იმყოფებოდა დალესტინს ერთ-ერთ თავადთან, ამის შემდეგ ზურაბმა გადაწყვიტა თავისი შვილი დაეხსნა ძალით. ზურაბმა მოიხზრო ერთი დიდი ხნის ნაცნობი იქაური ლეკი და გაიმძღვარა წინ და თან წაიყვანა მხოლოდ ათი კარგად შეიარღვეული ვაჟკაცი. მეორე დღეს ტყეში მოხერხებულ ადგილზე დაბინავდნენ. ჩაუსაფრდნენ ქეთოს იქ, სადაც უნდა გამოეგლო ტყის პირას, ზურაბი წინ გადაუდგა ფრთხილად და უთხრა. ნუ გეშინია შვილო შენი მამა ვარ, მოვედი აქ რომ დედასთან წაგიყვანო. ზურაბმა ფრთხილად წაავლო ხელი ქეთოს და ტყისაკენ გაიტაცა. ქეთომ საშინელი კივილი მორთო. რამდენიმე კაცი წავიდა ნაიბთან. როცა უთხრეს ეს ამბავი, შეწუხდა და თქვა უთუოდ ქართველამე წაიყვანდაო. ნაიბმა შეკრიბა ოცდაათი შეიარაღებული ვაჟკაცი და ვაშლოვანისაკენ გაუყენა მაგრამ ვაშლოვანამდე ქეთოს კვალს ვერ მიაგნეს.

ვაშლოვანში როცა მიღწიეს და ქეთო სახლში მიიყვანეს, სიხარულისაგან გატაცებული მაგდანი შეეგება და გულში ჩაიკრა. ამის შემდეგ გადიოდა დღეები, დედამ შეამჩნია ქეთოს სანუგეშო ცვლილებები და სრულიად უნებურად თავისთვის დაიწყო ივენანას სიმღერა, მანამდე მაგდანის სიმღერის ხმა აღარავის გაუგია, ეს პირველი სიმღერა იყო ათი წლის დუმილის შემდეგ. ქეთომ უცებ დაიძახა სანატრელი ხმით „დედაც“ სწრაფად მივარდა მაგდანასთან და გადაეხვია, ქეთომ იმ დღის შემდეგ ჩაიცვა ქართული ტანისამოსი და ყველაფერი დაივიწყა ლეკურის, ქეთოს თანდათან გადაეშალა თვალწინ თავისი სიბატარავის პერიოდი, ეწაფებოდა ათ წელიწადს მოკლებული თავის უსაყვარლეს სიამოვნებას, დედის ამ ტკბილ სიმღერას.

როდესაც ქეთომ გული იჯერა ახალი ცხოვრებით ერთხელ ჰკითხა დედას, არ შეიძლება, რომ დალესტინში მოკითხვა ვისიმე პირით შევთვალთო? შენ და მამაჩემი მიყვარხართ როგორც ღვიძლი მშობელნი, მათ კი პატივსა ვცემ როგორც ჩემს მოამაგეს და ჩემს აღმზრდელს. მოკითხვა შეუთვალეს ნაიბს და მის ცოლს საგანგებოდ გაგზავნილი კაცით და შემოდგომით რთველშიც მოიპატიეს. ზურაბი და ნაიბი დამეგობრდნენ და ყოველ შემოდგომაზე მათი რთველში მოწვევა წესად დადეს.

თავის ცხოვრებაში ქეთომ განიცადა ნაღველიც და სიხარულიც, ცრემლიც და ალერსიც, ამიტომ მას თავისიანად მიაჩნდა ქართველე-

მიც და ლეკებიც, საქართველოც და დაღესტანიც, აქედან წარმოიშვა ორ ხალხს შორის პატივისცემა, სიყვარული და მეგობრობა, რომელიც ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა და დღესაც გრძელდება.

ალაზნის მარცხენა მხარეს მდებარეობს ჭიჭი (ჭერეთისკარი) თავისი ბერძენებით. მის მშენებას დღესაც უხილავი ძაფებით ქარგავენ ტანაშველტილი ხეები, მათ თვალწარმტაცი მინდვრები ენაცვლებიან, მაგრამ მაინც განუშეორებელ კოლორიტს ქმნიან ასწლოვანი მუხები, რომლებიც დღემდე მცირედ შემორჩა. დილიდან საღამომდე არ წყდება მუხის ფოთლების შრიალი, რომლებიც გარდასულ დღეთა ამბებს ჰყვებიან, ეს მუხები სამი საუკუნის ისტორიას წარმოადგენს.

სოფელი ჭერეთისკარი ლაგოდეხის რაიონის შესასვლელშივე მდებარეობს, გზის გადასახვევთან ახლოს. ამ სოფელმა ისტორიული ჭერეთის მიწაზე გული გაუხსნა სტიქიისაგან დაზარალებულ აჭარელებს. 1989 წელს ხულოს რაიონიდან ჩამოსახლებულია 80-ზე მეტი ოჯახი. რაიონის ხელმძღვანელობამ მათ ორსართულიანი სახლები დაახვედრა. აივნებზე გამოფენილან აჭარელი თურმანიძეები, დუმბაძეები, ბერიძეები, აბაშიძეები, ხოზრევანიძეები. ბავშვების ჟრიაბულმა განაახლა ცხოვრება ჭერეთის ამ უძველეს მიწაზე. სოფელში ჩამოსახლებულ ყველა ოჯახს კარგად ესმის, რომ შრომის გარეშე შეუძლებელია კეთილი ცხოვრება. ყველა მათგანს თამბაქოს მოყვანის მდიდარი გამოცდილება აქვს და აქაც სასახელოდ შრომობენ. თვითეული ოჯახი 1 ტონაზე მეტ თამბაქოს ამზადებდა და გრძელდება ჭერეთის ამ უძველეს მიწაზე მათი ცხოვრება.

ჭერეთის მიწის თითოეული გოჯი ქართველი ხალხის უტყუარი მემკვიდრეა. ამ ადგილებს ბევრჯერ ახსოვთ ურიცხვ გადამთიელთა შემოსევა, ნანგრევებად ქცეული ციხე-დარბაზები და რაც მთავარია, ძველი ჭერეთის ტრაგედია. დღეს ამაზე დიდი დანაშაული თითქმის არ არსებობს, რომ ისტორიულად საქართველოს განმგებლობაში ეს ძველი ჭერეთის დიდი ნაწილი ქ. ნუხამდე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში აღმოჩნდა საქართველოს საზღვრებს გარეთ.

საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ როდისღაც ხომ უნდა იფიქროს ჭერეთის ამ ძირძველი ტერიტორიების საქართველოს გამგებლობაში მოქცევისათვის თავისი ძირძველი ინგილოების მოსახლეობით. როგორც ავღნიშნე მე-7 საუკუნიდან არჩილ მეფის ხანიდან ეს ტერიტორიები საქართველოს კუთვნილება იყო. აზერბაიჯანი კი საერთოდ არ არსებობდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრამდე.

ლაგოდენის ნარსულის სოფლის მეურნეობის ისტორია და აღმშენებლობა

საქართველო სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვიჩვენებს, რომ ჰერეთში გავრცელებული იყო მეხილეობა, მეცხოველეობა, მებაბრეშუმეობა. ფართოდ მისდევდნენ მარცვლეული კულტურების მოყვანას.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ნიადაგის სახნავ იარაღებად ძველთაგანვე გამოყენებული იყო, როგორც მარტივი, ისე რთული სახენებები, რომელსაც მხოლოდ მიწის აქეჭვა, აჩეჩვა შეეძლო.

პროფესორ გ. ჩიტაიას თავის ნაშრომში განხილული აქვს კახეთში თანმიმდევრობით მარტივიდან რთული ქართული სახენელი იარაღები. ესენია: თუშური კავი, ჩეთი, ქართული გუთანი, დიდი გუთანი, იმერული გუთანი, კაკაბური გუთანი და სხვა. სადაც გამწევ ძალად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იყო გამოყენებული.

მარცვლის სალენად იყენებდნენ კევრს, რომელიც მე-XX საუკუნის ორმოციან წლებამდე ფართოდ იყო გამოყენებული, ლიტერატურული წყაროებიდანაც ნათლად ჩანს, რომ კევრს საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს.

1921 წლამდე მიწათმოქმედების ტექნიკაში, როგორც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, ისე ლაგოდენში, ღარიბი და უღარიბესი გლეხობისათვის ეს იარაღებიც კი მიუწვდომელი იყო. მიუხედავად ამ სიძნელებისა, XIX საუკუნის 90-იან წლებიდან, ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონების მსგავსად ლაგოდენშიც იწყება ძველთაგანვე ცნობილი მემცენარეობის დარგებისა და იმდროინდელი იარაღების აღდგენა, რომელიც ეკუთვნოდათ მსხვილ მემამულეებს,

ძველი დროიდანვე შიდა კახეთისა და მათ შორის ალაზნანგამოღმა მხარის მიწები გამოყენებული იყო სათესი კულტურების, მრავალწლოვანი ნარგავებისა და საძოვრებისათვის. მიწების უმრავლესობა ზამთრის საძოვრებად, მომთაბარე მეცხოველეობისათვის იყო განკუთვნილი. აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივი კლიმატური პირობები განაპირობებდა აქ სარწყავი სისტემის მოწყობის აუცილებლობას. უძველესი ქართული ისტორიული წყაროები და მატერიალური კულტურის ძეგლები მიუთითებენ, რომ მიწების მორწყვას ოდითაგანვე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. მეტადრე ალაზნის ველი ძველთაგანვე განთქმული ყოფილა მაღალნაყოფიერი მიწებით, რის შესახებაც ცნობებს გვაძლევს ვახუშტი ბატონიშვილი: „ქვეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირი-

თა, ფრინველითა, თევზითა, არამედ უფროს ჰერეთი“. მეორე ადგილას აღნიშნავს: „და არს ადგილი ესე ზამთარი თბილი, ბალახიანი, მცირეთოვლიანი, ნადირფრინველიანი, ჰავითა მშვენიერი, ხოლო ზაფხული ცხელი, ხაშმიანი“. ასეთ კლიმატურ პირობებში ჰერეთის მიწა-წყლის მორწყვას ბუნებრივია, ძველთაგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონია.

როგორც მრავალ ისტორიულ წყაროებშია ნაჩვენები, საქართველოში ირიგაციული მშენებლობა განსაკუთრებით გაიშალა XII საუკუნეში, თამარ მეფის ხანაში, რასაც ხელი შეუწყო ქვეყნის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძლიერებამ. ამ პერიოდს მიეკუთვნება იმ დროის ყველაზე დიდი სარწყავი სისტემის—ალაზნის არხის მშენებლობა. იგი საქართველოში დღემდე შემორჩენილ არხებს შორის ყველაზე დიდია. მისი სიგრძეა 118 კილომეტრი, რომელიც 53 ათას ჰექტარ ფართობს რწყავდა. ამჟამად თანამედროვე მძლავრი სარწყავი სისტემა, რომელიც 1921 წლის შემდეგ აშენდა ალაზნის ველის მარჯვენა სანაპიროზე 20465 ჰექტარ ფართობს რწყავს.

შიდა კახეთის ტერიტორია უკანასკნელ პერიოდში შედიოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის I ზონაში. ალაზნის ველის მევენახეობისა და მეთამბაქოეობით, იგი აერთიანებდა ხუთ ადმინისტრაციულ რაიონს; ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის და ლაგოდეხის ტერიტორიას. ამ ზონის ბუნებრივი მონაცემები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის.

მე-II ზონას წარმოადგენდა გარე კახეთის ზეგანი, რომელიც მარცვლეულ—მეცხოველეობის მიმართულებისა იყო, ამ ზონაში გაერთიანებული იყვნენ: საგარეჯოს, სიღნაღისა და წითელწყაროს ადმინისტრაციული რაიონები. ამ რაიონებში განვითარებული იყო მევენახეობაც.

საარქივო დოკუმენტებითა და სხვადასხვა ლიტერატურული წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ 1900 წლამდე ლაგოდეხის რეგიონში დასახლებული იყო მხოლოდ ლაგოდეხი, კაბალი, მიხაილოვკა (დღევანდელი ნინიგორი) და ჭიაურა. დანარჩენი ტერიტორია სახაზინო ტყეს წარმოადგენდა ან მემამულეების თამბაქოს პლანტაციები და ყანები იყო გაშენებული, სადაც გამოყენებული იყვნენ ქიზიყის დაქირავებული გლეხები, დიდი წინააღმდეგობების გადალახვით 1905 წლის შემდეგ გაშენდა სოფელი შრომა, ვარდისუბანი, ყარსუბანი, მაისუბანი, შემდეგ წლებში, არეშფერანი, აფენი, ლელიანი და სხვა სოფლები.

ლაგოდეხის რაიონულ გაზეთ „ბრძოლა თამბაქოსათვის“:

1939 წ. 3 ივლისის ნომერში მოთხრობილია სოფელ შრომის დაარსების ისტორია, რომ 34 წლის უკან, ერთ ღამეს, ვინმე ზაქარია გელაშვილს უდაბური ტყე გაუჩნებავს და პირველი ქოხი ჩაუდგამს, რასაც მოჰყვა მეორე, მესამე და ასე შემდეგ. აქ ძირითადად დაქირავებული გლეხები დასახლებულან. სოფელი შრომა კი ამ დასახლებისათვის თავად ზაქარიას დაურქმევია.

გაზეთ „ივერიის“, 1886 წლის თებერვლის № 32 აღნიშნულია, რომ სიღნაღის ბაზარი ერთ-ერთი დიდი ბაზარია და გასაოცარია ვაჭრობითა და აუარებელი ხალხით.

ბაზარს ორი მეიდანია აქვს: ზემო მეიდანზე, სადაც ქალაქის სასწორია, მომეტებულად ფქვილი და სხვა შორიდან ურმით თუ სხვა რითიმე მოტანილი საქონელი იყიდება. განთიადიდან კარგა ხშირ ბინდამდე არ წყდება მიმავალ-მომავალთ მსვლელობა. რა ხალხი გსურთ, აქ არ შეგხვდეთ—შორით მოსულ ინგილოს, ლეკს თავისი პურიით, ქერით და სხვადასხვა ხილეულით დატვირთული ურმებით. შეგხვდებით მალაკან არუსებს—ხახვით, კანტოფილით და კომპოსტოთი დატვირთული „პოვოსკებით“. ქვედა მეიდანია უფრო შინაური მეიდანია. აქ დილაადრიან გროვდება მახლომელ სოფლებიდან დედაკაცობა, რომლებსაც მოაქვთ სოფლის ნაწარმი გასაყიდად. აქ არსებულ მეიდნებზე ღუქნები და სარდაფებია გამართული, სადაც თევზეულობაც უხვად იყიდება. აქ თბილის გუბერნიიდანაც ჩამოდიოდნენ სავაჭროდ.

სიღნაღი, როგორც დასახლებული პუნქტი საარქივო წყაროებში პირველად XVIII საუკუნის პირველ ნახევარში იხსენიება, 1762 წელს ერეკლე მეორემ ძველი ციხის ნანგრევებზე ააშენა გალავანი და სიღნაღი სამეფო ქალაქი გახდა, მას ქიზიყის მოურავი განაგებდა.

1770 წლისათვის აქ 100 კომლი ვაჭარ—ხელოსანი ცხოვრობდა. ამ ციხე—გალავანს თითქმის 40 ჰექტარამდე ფართობი უჭირავს, გალავანში დატანებულია 23 კოშკი და 5 ჭიშკარი. კოშკების დიდი ნაწილი ორსართულიანია, თვითეულს აქვს სათოფური.

1921 წლამდე და შემდეგ პერიოდშიც, მთელ სიღნაღის მაზრაში ზოდებისხევის ბაზარი იყო გამორჩეული. აქ კახეთში ერთ-ერთი ცნობილი და დიდი ბაზრობა იმართებოდა. ხუთშაბათობით იმართებოდა ბაზრობის დღე. აქ თავს იყრიდა ყველა ჯურის ვაჭარი. ამ დროს გადმოდიოდნენ ხოლმე მოთარეშე ლეკები, მდინარე ალაზნის მიდამოებში ჭიანჭურის ტყეში, სხვებოდნენ საბაზროდ მომავალ გლეხებს, ართმევდნენ ნავაჭრს, ფულს, საქონელს, ბევრი შეტაკება ტრაგიკულად მთავრდებოდა, მაგრამ გლეხკაცი ახალი ცხოვრების იმედს მაინც არ კარგავდა. . .

ლაგოდების რაიონის სოფლის მეურნეობის დასახასიათებლად,

ალბათ, საჭიროა ზოგადად გადავხედოთ, თუ როგორი იყო სოფლის მეურნეობის მდგომარეობა, რა დონეზე იდგა მიწათმოქმედების კულტურა და ა. შ.

1921 წლამდე ლაგოდეხში უაღრესად ჩამორჩენილი იყო სოფლის მეურნეობა, ამ დარგში წამოწყებულ რაიმე ინიციატივას ვასაქანნი არ ჰქონდა. მცირე მიწიანობა ღარიბ და საშუალო გლეხობას აუტანელ მდგომარეობაში აყენებდა. დაბალი იყო სოფლის მეურნეობის კულტურათა მოსავლიანობა, არ იყო ცნობილი ნიადაგის გამოკვლევისა და გამოკვების საშუალებები, ნაკლები ყურადღება ექცეოდა როგორც მემინდვრეობის, ისე მეცხოველეობის განვითარებას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერის 1923 წლის მონაცემებით, ლაგოდეხში შექმნილი იყო შემდეგი სათემო კომიტეტები: ლაგოდეხი, ბაისუბანი, ვარდისუბანი, ყარსუბანი, აფენი და ლელიანი, რომელშიც შედიოდა 63 სოფელი. ეს თემები და სოფლები განეკუთვნებოდნენ სიღნაღის მაზრას.

1917 წლისათვის სიღნაღის მაზრაში პურეულის ნათესი ფართობი შეადგენდა 42435 დესეტინას, საიდანაც ლაგოდეხში ითესებოდა 9583 დესეტინა, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობა აღწევდა 63000 სულს, ლაგოდეხში იყო 11420 სული. მიწების დიდი ნაწილი ეკუთვნოდათ კერძო მფლობელებს. მიწის დამუშავების უცოდინარობის გამო დაბალი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების დონე 1917 წლისათვის სიღნაღის მაზრის მოსახლეობა შეადგენდა 113121 კაცს.

საქართველოს სტატისტიკური ცენტრალური სამმართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემების მიხედვით, სიღნაღის მაზრაში შედიოდა 124 სოფელი. მათ შორის ლაგოდეხში იყო 63. მოსახლეობა მთლიანად მაზრაში 1917 წელთან შედარებით გაიზარდა 129306-მდე. აქედან ლაგოდეხში ცხოვრობდა 25747 კაცი. საკარმიდამო ნაკვეთი სიღნაღის მაზრაში თუ შეადგენდა 3469 დესეტინას ლაგოდეხის მოსახლეობაზე 1084 დესეტინა მოდიოდა. ანუ ერთ სულ მოსახლეზე 0,04 დესეტინა. მაზრაში სახნავი ფართობები შეადგენდა 45661 დესეტინას, აქედან ლაგოდეხზე მოდიოდა 11098 დესეტინა, ვენახი მაზრაში თუ იყო 4158 დესეტინა. ლაგოდეხში იგი შეადგენდა 93 დესეტინას, თამბაქოს მაზრაში თუ ირგვებოდა 531 დესეტინა. ლაგოდეხში—404,5 დესეტინა ირგვებოდა. ლაგოდეხში სიმინდი ითესებოდა 4918, შემოდგომის ხორბალი—3745, გაზაფხულის—1326, შემოდგომის ქერი—1073, გაზაფხულის—28,9. შემოდგომის ჭვავი 30,2, გაზაფხულის 8,6 და ფეტვი 72,2 დესეტინა ითესებოდა.

სიღნაღის მაზრაში შემავალი სათემო კომიტეტები და სოფლები
ლაგოდეხის რაიონიდან
(სტატისტიკური მონაცემები 1923 წ.)

1. ლ ა გ ო დ ე ხ ი ს თ ე მ კ ო მ ი	კაბალი
სლობოდკა (ლაგოდეხი)	ლაფნიანი
ცოდნა	მსხალგორი—ზემო
ვაშლოვანი	მსხალგორი—ქვემო
შრომა	პატარა—გორი
კავშირი	ფონა
ვანათლება	ხეჩილი ზემო
გელათი	ხეჩილი ქვემო
ვრაფოვკა	5. ა ფ ე ნ ი ს თ ე მ კ ო მ ი
გურგენიანი	აფენი
ხიზაბავერა	არეშფერანი
მიხაილოვკა	ბარვის წილი
2. ვ ა რ დ ი ს უ ბ ნ ი ს თ ე მ კ ო მ ი	ბაღდადი
ვარდისუბანი	ბოლქვი
ახალ-გორი	გვიმრიანი
თამარიანი	გიორგეთი
მშვიდობიანი	ვერხვის მინდორი
სვიდება	ნაშოვჯარი
ჩადუნეანი	ფიჩხის პოგირი
ცოდნისკარი	ფოდანი
ჭიაური (ახალი საქობო)	ქევხიანი
ჰერეთისკარი	ა. ლ ე ლ ი ა ნ ი ს თ ე მ კ ო მ ი
3. ყ ა რ ს უ ბ ნ ი ს თ ე მ კ ო მ ი	ლელიანი მეორე
ყარსუბანი	ლელიანი პირველი
ბოლოკიანი	ბაღთა
ნაინდროვალი	ბოლქვი—ზემო
ნაწისქვილარი	ბოლქვი—ქვემო
წიფლის წყარო	თასოშვილთა—უბანი
ხელიკიანი	მირსკისეული
4. ბ ა ი ს უ ბ ნ ი ს თ ე მ კ ო მ ი	ნამესრალი
ბაისუბანი	ონანაური
გუჯარეთი	ქალქვა
ეშმაკის ყურე	ჭაბუკიანი
თელა	ხოშატანი—ზემო
	ხოშატანი—ქვემო

1923 წლისათვის მაზრაში სახნავი მიწების ფართობი შეადგენდა 59726 დესეტინას აქედან ლაგოდეხში იყო—14333 დესეტინა, იჯარით მაზრაში თუ გაცემული იყო 612,5 დესეტინა სახნავი, ლაგოდეხში მოსახლეობაზე მოდიოდა 268 დესეტინა, რომელიც აღებული ჰქონდა იჯარით 295 გლეხს. (იხილეთ სტატისტიკური მონაცემები 1923 წ.).

თუ როგორი მდგომარეობა იყო სოფლის მეურნეობაში მესაქონლეობის გამოყენების მხრივ, ამაზე ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემები.

თუ 1923 წლისათვის სიღნაღის მაზრაში იყო 68305 მსხვილფეხა საქონელი, აქედან ლაგოდეხში იყო 13502 სული; ხარკამეჩი მაზრაში თუ იყო 29452 სული, ლაგოდეხში ყავდათ 5257, ცხენი-სიღნაღის მაზრაში თუ ითვლებოდა 8742, ლაგოდეხში იყო 787, ვირი მთლიანად მაზრაში თუ იყო 6966, ლაგოდეხში აღრიცხული იყო მხოლოდ 21. ძროხა მთლიანად მაზრაში თუ იყო 14126, ლაგოდეხში—8006 სული. ცხვარი მაზრაში თუ იყო 137812, ლაგოდეხში იყო 954 სული, მაზრაში ამ დროისათვის თუ ითვლებოდა 51 ხის გუთანნი, აქედან ლაგოდეხში იყო 34; რკინის გუთანნი სიღნაღის მაზრაში თუ ჰქონდათ 1201 ცალი, ლაგოდეხში იყო 167 და ფარცხი—59 ცალი; ხოლო ადგილობრივ დამზადებული ფარცხი იყო 109 ცალი; მოსახლეობაში გამოყენებული იყო 1796 ურემი, 401 საზიდავი და ფურგუნი.

ამ პერიოდში აღინიშნება, როგორც მარცვლეულის ისე ტექნიკური კულტურების დაბალი მოსავლიანობა. დაბალი მაჩვენებლები იყო მეცხოველეობაშიც. სოფლის მეურნეობის განვითარების ასეთი მდგომარეობა აიხსნება მატერიალური ბაზის დაბალი დონით. რაც გამოწვეული იყო არა მარტო მიწათმოქმედების ტექნიკის ჩამორჩენით, არამედ იმითაც, რომ სოფლის მაშინდელი გლეხობა არ იყო უზრუნველყოფილი საწარმოო საშუალებებით.

ზემოთ მოყვანილი ციფრები არსებული მუშა საქონლის უზრუნველყოფის შესახებ, ამტკიცებს, რომ სოფლის მეურნეობაში სახნავი ფართობების გადიდება დაკავშირებული იყო სწორედ მუშა საქონლის რაოდენობის გაზრდასთან.

1921 წლიდან საქართველოს მთავრობამ მიზნად დაისახა აღდგინა კატასტროფამდე მიყვანილი სოფლის მეურნეობა. მემამულეებსა და მსხვილ კერძო მიწათმოქმედთ ჩამოერთვათ წარმოების ძირითადი საშუალებანი. კერძო საკუთრება გამოცხადდა სახალხო საკუთრებად.

სასოფლო-სამეურნეო კოლექტიური მეურნეობების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში 1922 წლიდან დაიწყო. სიღ-

საქართველოს 1928 წლის სახელმწიფო-სამეურნეო აღწერა
(სტატისტიკური ცენტრალური სამმართველო)

თ ე მ ბ ი	ოჯავნბდაყო აღწმსაყოფიყო	ოჯანაყოფაყო	დანაწილუბა სახმარი მიწების დუსტანთი							-ნეიფ -აწმსაყოფიყო	-ნეიფ -აწმსაყოფიყო	-ნეიფ -აწმსაყოფიყო	
			საყოფიყო	საყოფიყო	საყოფიყო	საყოფიყო	საყოფიყო	საყოფიყო	საყოფიყო				
1	ლაგოლები	11	5359	2629	2463,8	10,6	78,6	3356,5	146,4	3502,9	521	115,4	114
2	ვარდსუბანი	9	3566	160,2	1506,4	1,0	1,5	2039,7	40,9	2080,6	878	76,8	28
3	ყარსუბანი	6	2427	100,0	1197,5	16,4	—	1932,5	53,0	1385,5	176	7,3	11
4	ბაისუბანი	12	5547	250,8	2196,4	30,1	4,0	2492,1	52,3	2544,4	352	14,0	44
5	აფენი	12	4609	149,0	1839,9	13,9	0,5	2392,6	134,4	2527,0	748	16,6	49
6	ლელოანი	12	4239	161,2	1894,1	21,1	0,1	2237,9	54,6	2292,5	835	37,8	49
7.	სულ ლაგოლებში	62	25747	1084	11098	93	84,7	13,851	482	14,333	3,510	268	295
	სულ სინალის გაზარში	124	129,306	3467	45,661	4,158	3347	58,904	832	59736	20181	612,5	1368

შ ე ა შ ე ნ ა: 1 დუსტანა შუაღვენლა 1,09 ჰექტარს (XII) საუენის და XX საუ-
კუნის 20-იანი წლებების მიწის ფართის ძირითადი საზომი ერთეუ-
ლი რუსეთში)

ნალისა და თელავის მაზრებში, უმიწაწყლო გლეხებს მიწათმფლობელთა მამულებიდან დაურიგდათ მიწები. გლეხები გაერთიანდნენ და საზიარო შრომით დაიწყეს მეურნეობების წარმოება, ასე შეიქმნა პირობები სამიწათმოქმედო კოლექტივების დაარსებისათვის. ყველაზე განვითარებული კოლექტიური მეურნეობების სურათს გვაძლევს სიღნაღის მაზრა.¹

ფუნქციონირებდა შემდეგი კოლექტივები:

1. მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა—12
2. სამიწათმოქმედო არტელი — 9
3. სასოფლო-სამეურნეო კომუნა 2

მაზრაში არსებული 23 სხვადასხვა კოლექტიური მეურნეობის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი 12 ამხანაგობიდან ლაგოდეხში შექმნილი იყო—4. თამარიანის „ალორძინება“ (1925 წლიდან), ვარდისუბნის „სხივი“ და ჩადუნიალის „სურვილი“ (1926 წლიდან), ბაისუბნის „ბოგანო“ (1927 წლიდან). მათში გაერთიანებული იყო 68 ღარიბი და საშუალო გლეხი.

საინტერესოა, თუ რა სახის და რა რაოდენობის მიწას ამუშავებდა საზოგადო შრომითი დამმუშავებელი ამხანაგობა. ვარდისუბნის „სხივი“, სადაც გაერთიანებული იყო 20 წევრი, ამუშავებდა 30 დესეტინას, ჩადუნიალის „სურვილის“ 25 წევრი, ამუშავებდა 43 დესეტინას, თამარიანის „ალორძინების“ 7 წევრი—18 დესეტინას, ბაისუბნის „ბოგანოს“ 16 წევრი კრამიტს აწარმოებდა. როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, შრომის საზიარო ამხანაგობაში მისდევდნენ მემინდვრობასა და კრამიტის წარმოებას.

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს მიწის საზოგადო შრომითი დამმუშავებელი ამხანაგობა უმარტივესი ტიპის კოლექტიურ მეურნეობას წარმოადგენდა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა რიცხობრივად და თვისობრივად. კოლექტიური მეურნეობის ეს მარტივი სახე პრაქტიკულად უფრო ხელსაყრელი და რეალური გახდა, რომელიც გასაგები იყო იმდროინდელი გლეხობისათვის. შემდეგ ხდება კოლექტიური მეურნეობის სხვადასხვა ფორმებზე თანდათანობით გადასვლა. კოლექტიური მეურნეობის ამ უმარტივეს ფორმაში გაერთიანებული ადამიანები მხოლოდ შრომითი საქმიანობით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი. წევრთა პირადი მეურნეობა და ოჯახი კი ხელუხლებელი რჩებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული კოლექტიური მეურნეობები უმთავრესად საშუალო და უღარიბესი გლეხობისაგან შედგე-

ხაზოფლო-სამეურნეო კოლექტივები და სამანქანო ამხანაგობები
(ხტატისტის ცენტრალური სამმართველო)

კოლექტივის სახელწოდება (სახელობის)	შექმნის წელი და თვე	კოლექტივებში გაერთიანებული გლეხი	
		გლეხური მეურნეობა	მოსახლეობა
1. გემრიანი (ჯუღელის სახელობის)	1929/IV	11	40
2. ვარდისუბანი (იმელი)	1927/V	20	83
3. გურგენიანი (მთ. კახიანის)	1929/III	13	64
4. წითელი გორი (ახალი დასაწყისი)	1928/XI	45	202

მიწის საზოგადოებრივი შრომის დამუშავებელი ამხანაგობა

1. ალექსეევკა (წითელი ოქტომბერი)	1929/V	11	57
2. გიორგეთი (გლეხის მეგობარი)	1928/X	36	142
3. არეშფერანი (ხურზარის)	1928/X	16	87
4. ულიანოვკა (ბედნოტა)	1928/V	12	53
5. საქობო (გლეხის ხმა)	1928/III	10	46
6. თამარიანი (წინსვლა)	1927/IX	10	27
7. ანანაური (გლეხის სიმართლე)	1928/III	19	93
8. აფენი ((სტალინის სახელობის)	1928/IX	39	197
9. აფენის თემის ზემო ბოლქვი (ყაიართის სახ.)	1928/X	34	238
10. ჭაბუკიანი (ახალი ცხოვრება)	1929/V	27	127

სამანქანო ამხანაგობა

1. ლელიანი (გლეხის გზა)	1928/VI	23	121
2. ლელიანი (ფ. მახარაძის)	1927/IX	26	118
3. ცოდნისკარი (გლეხის ცხოვრება)	1927/X	11	50
4. ჩადუნიათი (სურვილი)	1926/X	25	111
5. კაბალი (რაიათის)	1928/IX	20	97
6. კავშირი (ახალი ყვავილი)	1927/IX	18	97
7. ანანაური (გლეხის სიმართლე)	1928/III	15	80
8. ნამესრალი (ქლიავის მეგობარი)	1929/III	26	148
9. ხელიკიანი (სინათლე)	1927/X	11	87

ბოდა, მათ მიიწვინა შეძლეს შეეძინათ ტექნიკურად გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები.

ასე მაგალითად: 1926 წელს ვარდისუბნის „სხივმა“ შეიძინა „ფორზონის“ სისტემის ტრაქტორი, სარკვევი მანქანა „ტრიერი“ და სამჭედლო მოწყობილობა; ჩადუნიათის „სურვილმა“ შეიძინა „ფორზონის“ სისტემის ტრაქტორი; 1925 წელს თამარიანის „ალორძინებამ“ შეისყიდა „ფორზონის“ სისტემის ტრაქტორი, სარკვევი მანქანა „ტრიერი“, ერთი სათესი მანქანა და ორი რკინის ფარცხი.

რა თქმა უნდა, ეს მანქანა-იარაღები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში კოლექტიურმა ამხანაგობებმა შეძლეს მათი გამოყენება სოფლის მეურნეობაში.

1927—28 წლებში ლაგოდების სოფლებში—ცოდნისკარში, კავშირში, კაბალში, ლელიანში თანდათან იქმნება სამანქანო ამხანაგობები. ეს მოვლენა წარმოადგენდა მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის წინამორბედს.

სოფლის მეურნეობის სწრაფი აღდგენისათვის ლაგოდებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1929—30 წწ. მთავრობის მიერ გატარებულ მთელ რიგ ღონისძიებებს გლეხობის სოციალისტურ მშენებლობაში ჩამოსათვის. საზოგადოებრივ სექტორში ნათესი ფართობების ხვედრითი წილი თანდათანობით მნიშვნელოვნად იზრდებოდა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა მეცხოველეობის განვითარებასაც.

ლაგოდებში რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით, 1929 წლისათვის სახსხავი ფართობები გაიზარდა 19200 ჰექტარამდე აქ მოჰყავდათ ისეთი ტექნიკური კულტურები, როგორცაა თამბაქო და ბამბა. დიდი რაოდენობით თესდნენ მარცვლეულ კულტურებსაც.

1922—1931 წლებში სიღნაღში გამოდის საქართველოს კ სიღნაღის სამაზრო კომიტეტის და აღმასკომის ყოველკვირეული გაზეთი „სიმართლე“, რომლის 1925 წლის 17 სექტემბრის ნომერში აღნიშნულია, რომ ლაგოდები სიღნაღის მაზრის ერთ-ერთ საუკეთესო მხარეს წარმოადგენს, სადაც მოჰყავთ მაღალი ხარისხის თამბაქოს ჯიშები „სამსუნი“ და „ტრაპიზონი“. ეს ჯიშები გამოირჩევიან დიდი მოსავლიანობითა და მაღალი ხარისხით. გაზეთი აღნიშნავს მიღწევებს მეფუტკრეობის დარგშიც, სადაც 1925 წლისათვის ითვლებოდა 2000-მდე ძირი სკა.

როგორც ლიტერატურულ წყაროებშია მითითებული, 1925—26 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობა განვითარების პერიოდში შედის. საგულისხმოა, რომ ლაგოდების რაიონში ამ წლებიდან იწყება სოფლის მეურნეობის ყველა დარგის თანდათანობითი ზრდა. წვრილმა, დაქუცმაცებულმა გლეხურმა მეურნეობებმა ძირითადად 1928 წლისათვის ამოწურა შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების შესაძლებლობანი.

1929 წლის ნახევრიდან ისე, როგორც საქართველოს რაიონებში, ლაგოდებშიც დაიწყო საშუალო გლეხთა შესვლა კოლმეურნეობებში. პირველი არტილები შეიქმნა კალინოვკაში, შრომაში, ბუდიონოვკაში, ცოდნისკარში, ვარდისუბანში, ჩადუნთანში, ულიანოვკაში, ყარსუბანში, ბაისუბანში, გიორგეთში, არეშვერანში, აფენსა და ლელიანში, სადაც გაერთიანებული იყო გლეხთა უმრავლესობა. გაერთიანებები შეიქმნა კერძო მეურნეობათა ბაზაზეც. ინერგებოდა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებული ფორმები.

1929—32 წლებში მთავრობის მოწოდების პასუხად დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს „ოცდახუთათასიანლებმა“, რაიონის კოლმეურნეობებში თბილისიდან სამუშაოდ გამოგზავნილი იქნენ მოწინავე მუშები: ვარლამ მურუსიძე, ზინაიდა შეველუგა, ალექსანდრე ნადირაძე, მიხეილ ზაპოლსკი, დიმიტრი ნასიძე, ნიკო ჯულუხიძე, ვანო მასურაძე, ბესო ჯავახიშვილი, და სხვა მრავალი, რომლებიც იღწვოდნენ სამეურნეო და რიგით სამუშაოებზე.

როგორც ცნობილია 1929 წლიდან ფართოდ გაიშალა საკოლმეურნეო მოძრაობა. დაიწყო მასობრივი კოლექტივიზაცია. ეს იყო პარტიის მიერ გლეხებზე ძალით თავმოხვეული ღონისძიება, რომელიც მთელს ქვეყანაში მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა.

ამიერკავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ კახეთის ოლქში (ქ. გურჯაანი) მოავლინეს 10 კაცი. მათ შორის: ს. ნიკოლაიშვილი, ვ. ღვინჯილია, ჯ. კიკაჩიშვილი და ა. ზაქარიაძე ლაგოდების სოფლებში სასოფლო-სამეურნეო არტელების შესაქმნელად.

საკოლმეურნეო მოძრაობის გაძლიერებისა და ორგანიზაციული დახმარების გაწევის მიზნით ლაგოდების რაიონში შეიქმნა სამი საორგანიზაციო ჯგუფი. ერთ-ერთ ჯგუფს ხელმძღვანელობდა მაშინდელი რაიადმასკომის თავმჯდომარე ს. მაზლაძე. მიწათმოქმედების განყოფილების გამგე ტ. პივნევი და რაიკომის მუშაკი ლ. ჭიჭინაძე. ხელმძღვანელობის შტაბის ცენტრი დაბინავდა ზემო ყარსუბანში სინო გელაშვილის სახლში, სადაც პირველად დაირწა რაიონის კომუნის აკვანი, რომლის პირველი თავმჯდომარე იყო და მისი სასოფლო-სამეურნეო არტელად გადაკეთების შედეგაც, მიხა კურტანიძე ეღვა სათავეში. მოკლე ხანში მათ შეძლეს ორგანიზებულად ჩამოეყალიბებინათ კომუნები და სასოფლო-სამეურნეო არტელები—პატარა გორში, შეერთებაში, გელათში, ნაენდროვალში, ზემო და ქვემო ბოლქვში, ქალქვა—ნამესრალში და სხვა.

1928 წლიდან ლაგოდების სოფლებში მასიურად ყალიბდებოდა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები და სამანქანო ამხანაგობები. გლეხებმა თანდათან დაინახეს წინათ შექმნილი მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობის სიკეთე.

ლაგოდების რაიონში სახალხო მეურნეობის ყველა დარგი ძალზე ჩამორჩებოდა. მოსახლეობა მოწყვეტილი იყო სამრეწველო და სავაჭრო ცენტრებს. მიწათმოქმედება წარმოებდა პრიმიტიული წესით. სოფლის მეურნეობასთან შედარებით კიდევ უფრო მეტი ჩამორჩენა იყო მრეწველობის დარგში. ამ დროისათვის არცერთი თვალსაჩინო სამრეწველო ხასიათის ობიექტი არ არსებობდა. გვხვდება მხო-

ლოდ კერძო პირების მიერ მოწყობილი ხე-ტყის სახერხი დანადგარები და პატარა მდინარეებზე აგებული წისქვილები. 1921 წლის შემდეგ ჩამორჩენილი სახალხო მეურნეობის აღდგენა დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული.

ლაგოდეხის რაიონის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის ცალკე გამოყოფის შემდეგ სწრაფად იწყება სოფლის მეურნეობის განვითარება და საფუძველი ეყრება სამრეწველო ხასიათის ობიექტების მშენებლობას. მწვობრში დგება ლაგოდეხის თხმბაქოს საფერმენტაციო ქარხანა. უფრო ადრე, ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, ლაგოდეხში აიგო ელექტროსადგური. აგურის და ხეტყის სახერხი ქარხნები აშენდა ჭიათურში. მოეწყო ავეჯის და ფეხსაცმლის კერვის წარმოება და სხვა.

რაიონის ლამაზი ბუნება, ნაყოფიერი ნიადაგი, კლიმატური პირობები თავიდანვე ქმნიდა პირობებს მიწათმოქმედებისა და მრეწველობის განვითარებისა და მოსახლეობის ზრდისათვის. ლაგოდეხში ჩამოსახლდნენ მუდმივ საცხოვრებლად საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენლები, ლაგოდეხის მოსახლეობის შემადგენლობა მრავალენოვანი და მრავალეროვნული გახდა.

კოლექტივიზაციის პოლიტიკის გატარების პერიოდში, რესპუბლიკის სხვა რაიონების მსგავსად კახეთის ოლქშიც დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა განსაკუთრებით 1930 წლის დასაწყისიდან კოლექტივიზაციის გატარების დროს დაშვებული იქნა მრავალი შეცდომა. ძალდატანება საშუალო და ღარიბ გლეხობაზე, მეტისმეტი სიჩქარე, თითქმის ყოველივე ქონების გაერთიანება, საოჯახო ნივთებისაც კი. ხდებოდა არტელის მაგივრად პირდაპირ კომუნაზე გადასვლა და სხვა. ადგილებზე სწორი ხელმძღვანელობის უქონლობა, ხელმძღვანელობის მხრიდან უხეში მოპყრობა კოლექტივის წევრებთან, ამას ზედ დაერთო კულაკებისა და სხვა მოწინააღმდეგე ელემენტების აგიტაცია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ჩასაშლელად, რამაც ზოგიერთ ადგილზე მიიღო უკვე აშკარა ანტისაკოლმეურნეო გამოსვლების ხასიათი. ყოველივე ამის გამო კახეთის ოლქში რამდენჯერმე იმყოფებოდნენ საქართველოს მაშინდელ სახალხო კომისართა საბჭოს და მთავრობის ხელმძღვანელი მუშაკები, განსაკუთრებით ლაგოდეხის და აფენის თემში, გამართულ კრებებს ესწრებოდნენ დიდძალი ხალხი. მშრომელები გამოთქვამდნენ წინადადებებს კოლმეურნეობების უკეთ მოწესრიგებისათვის.

ლაგოდეხის რაიონში საკოლმეურნეო მშენებლობის დროს დაშვებული შეცდომების შედეგად მშრომელი გლეხკაცის უკმაყოფილებამ გამწვავებული ხასიათი მიიღო აფენის თემში შემავალ სოფლების

გლახობაში, რომლებიც ოფიციალურად მოითხოვდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელების ჩასვლას შექმნილი მდგომარეობის გამო. მთავრობის ხელმძღვანელები მიუხედავად იმისა, რომ ისინი უკვე იყვნენ ლაგოდენის რაიონის მშრომელთა გლახობის საერთო კრებაზე 1930 წლის 28 მარტს იძულებულნი ყოფილან კახეთის ოლქის სხვა რაიონებიდან დაბრუნებულიყვნენ და კიდევ შეხვედროდნენ მათ.

კახეთის ოლქი გადავიდა მთლიან კოლექტივიზაციაზე. აქ დამახინჯებული იქნა პარტიის და მთავრობის პოლიტიკა საერთოდ კახეთის ოლქს მისცეს სასოფლო-სამეურნეო კომუნის სახე დაიწყეს ეზოების, საქონლის, საოჯახო ნივთების, ღვინის, ჭიქების გაერთიანებაჲ კი, რაც დაუშვებელი იყო, ამან გამოიწვია არევა-დარევა. აქ გამოდიოდნენ მოქალაქეები და ეუბნებოდნენ ხალხს; „თურმე თუ არ შეხვალთ კოლექტივში, ჩამოგართმევთ ყველაფერს, კოოპერატივიდან არაფერს არ მოგცემთ, გადაგასახლებთ და სკოლაში გაეშვება არ შეგაყვანიებთო... და მართლაც, ამის შემდეგ გლახები იძულებული იყვნენ შესულიყვნენ კოლექტივში, მაგრამ როდესაც ხალხმა გაიგო რომ პარტია ნებაყოფლობით პრინციპებზე დგას კოლექტივიზაციის განხორციელებაში, დატრიალდა ტალღა და ხალხი როგორც შევიდა ისე გამოვიდა კოლექტივიზიდან. ახლა აქ იბადებოდა კითხვა? როგორ წავიდოდა მომაჯალში კოლექტივიზაციის საქმე? ძალდატანება შეუძლებელია, მთავარი ახლა სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომლის წესდება უკვე გამოქვეყნებული იყო. არტელები არამც თუ იარსებებენ, არამედ გამარჯვებაც მათ მხარეზე იქნება. შეცდომები იყო, მაგრამ არცერთი ახალი საქმე არ გაკეთებულა უშეცდომოდ“.

რასაკვირველია, მოტანილი ამონაწერი ნათელ სურათს იძლევა აფენის თემში მთლიან კოლექტივიზაციის გატარებასთან დაკავშირებით. დაშვებული შეცდომების გამო წარმოქმნილია უკმაყოფილებამ საბაბი მისცა ყველა ჯურის ადამიანს გაეგრცვლებინათ სხვადასხვა ჭორი, რომელიც მიმართული იყო საკოლმეურნეო მშენებლობის წინააღმდეგ. აფენის თემში ჩატარებულ კრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამ კრების მეოხებით მყისვე გაიფანტა ის პროვოკაციული ცილისწამება, რაც შეთხზული იყო ანტისაბჭოთა და ანტისაკოლმეურნეო ელემენტების მიერ, კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. მაგრამ ყველაზე უფრო საეულისხმოა ის, რომ აფენის თემის მშრომელი გლახობის უდიდესი ნაწილი სრულებით არ გაურბოდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. პირიქით, ისინი თავიანთი სურვილით კვლავ შედიოდნენ კოლმეურნეობებში.

1929 წლიდან რაიონში ჩამოყალიბდა სამანქანო-სატრაქტორო კოლონა ლაგოდენის და აფენის ზონაში, რომლის გაზა-

ზეც 1930 წლის შემდგომ ჩამოყალიბდა ლაგოდების სამანქანო-სატრაქტორო სადგური. ამას მოჰყვა ვარდისუბნისა და აფენის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შექმნა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა თავის დროზე დიდი როლი შეასრულეს ლაგოდების რაიონის კოლმეურნეობების განმტკიცების საქმეში.

სახალხო მეურნეობის განვითარების II ხუთწლედის პირველი სოციალისტური შეჯიბრება და სტახანოვური მოძრაობა, რომელშიც ლაგოდების რაიონის მშრომელებიც ჩაებნენ. სტახანოვურ მოძრაობას აქტიურად გამოეხმაურნენ ლაგოდის მეთამბაქოეები და მექანიზატორები, რომელთა მონაწილეობითაც მოხდა ახალი მიწების ათვისება. სოფელ შრომაში, ნინიგორში, ყარსუბანში, ბაისუბანში, აფენში და მთელ რიგ სხვა სოფლებში.

ლაგოდის გლეხობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობებს, რომლის მაგალითებზეც სხვა სოფლის გლეხობამ დაინახა მსხვილი მეურნეობების ხელსაყრელობა და გადაწყვეტი უპირატესობა წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობასთან შედარებით.

1930 წლის შემდეგ ლაგოდებელმა მშრომელებმა კიდევ უფრო აქტიურად და მასობრივად დაიწყეს გაერთიანება კოლმეურნეობებში: ლაგოდის რაიონში კიდევ ჩამოყალიბდა 6 კომუნა, რომელშიც გაერთიანებული იყო 2516 გლეხი. სასოფლო-სამეურნეო არტელთა რაოდენობამ მიაღწია 34-ს, რომელშიც ჩაბმული იყო 5108 კოლწევრი, მიწის საზოგადო შრომის დამამუშავებელი ამხანაგობაში ჩაება 1098 მშრომელი, სულ 1930 წლისათვის ლაგოდის რაიონში იყო 49 კოლმეურნეობა. საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმული იყო 8722 კაცი.

1931—32 წლებში ფართოდ გაიშალა მუშაობა ახალი არტელების შექმნისათვის. ამ პერიოდში ლაგოდის რაიონში არსებობდა 69 სოფელი. გაერთიანებულ 8 სასოფლო საბჭოში ითვლებოდა 74 კოლმეურნეობა.

1929 წელს სოფელ შრომაში დაარსებული იყო—„შრომისა“ და ტელმანის სახელობის კოლმეურნეობები. 1930—31 წლებში რაიონში შეიქმნა კოლმეურნეობა „წინსვლა“, „შრომის იმედი“, „გორის წყარო“, „შრომის კალო“, „დამკვრელი“, „ლენინის ანდერძის“ სახელობისა—ვაშლივანში. „პრავდის სახელობისა“—ლაგოდისში, სოფელ კავშირში „შემკობილი“, შემდეგ კი შეიქმნა შრომის ერთი კოლმეურნეობა საკოლმეურნეო შრომის საქმიანობაში ჩაება 644 კოლწევრი, კოლმეურნეობის სარგებლობაში იყო 2416 ჰექტარი მიწა.

1933 წელს სოფელ გურგენიანში არსებობდა ოთხი კოლმეურნეობა. მათ შორის; „სიმართლე“, „კახიანი“, „დიმიტროვი“ და „ნიზაბაჯ-

რა“. ეს კოლმეურნეობები შემდგომში გაერთიანდნენ გურგენიანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში. უფრო გვიან მათი გაერთიანება მოხდა ნინიგორის „დრუჟბის“ სახელობის კოლმეურნეობაში.

სოფელ ყარსუბანში 1930 წელს შექმნილი იყო „პრავდის“, „წითელი სხივის“ და ნაწისქვილარის კარლ-ლიბკნეხტის სახელობის კოლმეურნეობები. 1931 — 32 წლებში შეიქმნა „წითელი მრანევიკის“, ბოლოკიანის ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის, ყარსუბნის „კომუნისტის“, „გამარჯვების“ „საქართველოს 10 წლისთავისა“ და ნაინდროვალის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობები. კოლმეურნეობების გამსხვილების შემდეგ ისინი წარმოადგენდნენ ერთ გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობას, სადაც საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმული იყო 925 შრომისუნარიანი კოლწევრი. კოლმეურნეობის სარგებლობაში იმყოფებოდა 2900 ჰექტარი მიწის ფართობი.

ასე მოხდა რაიონის სხვა სოფლებშიც. კოლექტივიზაციამ ძირეული გარდატეხა მოახდინა მიწათმოქმედების განვითარებაში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ნათესი ფართობების გადიდებაში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო წარმატება თამბაქოსა და ეთერზეთების ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულის და მარცვლეული კულტურების წარმოებაში.

1930 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობებით ლავოდების რაიონში მიწის საერთო ფართობი გაიზარდა 89500 ჰექტარამდე აქედან საკარმიდამო ნაკვეთი შეადგენდა—1400 ჰექტარს, ვარგისი მიწები—72700 ჰექტარს, ხოლო უვარგისი გამოუყენებელი—16800 ჰექტარს. მათ შორის სახნავი ფართობი იყო 19200 ჰექტარი. ვენახს ამ დროისათვის ეკავა მხოლოდ 597 ჰექტარი, ლავოდების რაიონში თამბაქო ირგებოდა 1130 ჰექტარზე. სიღნაღის რაიონში 300 ჰექტარზე..

კოლექტიურ მეურნეობებში გლახთა გაერთიანებამ მტკიცე საფუძველი შექმნა მიწათმოქმედების კულტურის ასამაღლებლად და იმ დროინდელი სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღების რაციონალურად გამოსაყენებლად.

საქართველოს კპ/ზ ლავოდების რაიკომის, რაიაღმასკომისა და კოლმეურნე კავშირის ექსპლდირი ორგანო გაზეთი „ბრძოლა თამბაქოსათვის“, რომელიც 1932 წლის 25 თებერვალს გამოვიდა პირველი ნომერი აღნიშნულია, რომ ლავოდებში შექმნილია ლავოდების სამანქანო-სატრაქტორო სადგური (დირექტორი მიხეილ ზაპოლსკი, მოადგილე კალენიკე ლეჟავა), რომელსაც გააჩნია 56 ტრაქტორი და 70 გუთანი; საიდანაც 37 „ფორზონის“ და 19 „ინტერის“ სისტემის

ტრაქტორებია. სამანქანო-სატრაქტორო სადგური ემსახუ-
ბოდა რაიონის კოლექტიური მეურნეობის 76 პროცენტს, ტექნიკას სა-
გაზაფხულო საშუაოებისათვის მთელი დატვირთვით იყენებდნენ, მაგ-
რამ პრიმიტიული იარაღებისა და გამწევი ძალის გამოყენებას ჯერ კიდევ
დიდი ადგილი ეკავა. გარდა აღნიშნულისა 1930—33 წლებში იქ-
მნებოდა სატრაქტორო კოლონები და რაზმები, 1947 წლიდან შეიქმნა
აფენისა და ვარდისუბნის მტს-ბი.

1932 წლიდან თანდათან ძლიერდება ლაგოდების სოფ-
ლის მეურნეობის წამყვანი დარგი მეთამბაქოეობა, ამ კულ-
ტურის ფართობები გაიზარდა 3000 ჰექტრამდე. ამ წლებიდან
რაიონში მეთამბაქოეობის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ლაგო-
დებში დაარსებულმა თამბაქოს და წეგოს კრასნოდარის საკავშირო ინს-
ტიტუტის საცდელმა სადგურმა (ვიტიმი), რომლის პირველი დირექტო-
რი იყო თამბაქოს კარგი მცოდნე გრიგოლ სეფერთელაძე. მის მიერ
შემუშავებული და გამოცემული თამბაქოს წარმოების სახელმძღვანე-
ლოთი სარგებლობდნენ არა მხოლოდ ლაგოდების, არამედ კახეთის და
აზერბაიჯანის ბელაქნისა და ზაქათალის რაიონების მეთამბაქოეები.

საინტერესოა რაიონის მეცხოველეობის განვითარების ზოგიერთ
სტატისტიკური მონაცემებიც. 1930—31 წლებში ლაგოდების კოლ-
მეურნეობებში თავმოყრილი იყო 3599 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყ-
ვი (მოსახლეობას ყავდა 10081 სული) ცხენი კოლმეურნეობებში აღი-
რიცხებოდა—1083, ხოლო მოსახლეობაში—460 სული. კოლმეურნეო-
ბებს ყავდათ 2016 სული ღორი, მოსახლეობის—22305 სული და ა. შ.

საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნე-
ლობა ქონდა დამკვერელ კოლმეურნეთა I სრულიად საკავშირო ყრილო-
ბას, რომელიც ჩატარდა 1933 წლის თებერვალში. მიიღეს სასოფლო-
სამეურნეო არტელის ახალი წესდება, იგი გახდა საფუძველი კოლ-
მეურნეობების განვითარებისა, მან დადებითი გავლენა მოახდინა
სოფლის მეურნეობის ყველა დარგზე, შრომის დისციპლინის გან-
მტკიცებასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე.

აღსანიშნავია, რომ დამკვერელ კოლმეურნეთა I საკავშირო ყრილო-
ბას ლაგოდების რაიონის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ესენი
იყვნენ ცოდნისკარიდან დავით ბატიაშვილი და დავით მანგოშვილი
ხოლო მეორე და მესამე ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდ-
ნენ. მანგოშვილი რესპუბლიკის წარგზავნილთა შორის.

ომის წინა ხუთწლეულების გეგმების წარმატებით განხორციელე-
ბამ კიდევ უფრო განავითარა ლაგოდების რაიონის ეკონომიკა და კულ-
ტურა, რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები 1936 წლისათვის თვალ

საჩინო წარმატებებს აღწევენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღების საქმეში. აღსანიშნავია ისიც, რომ 1935 წელს მოსკოვში პარტიისა და მთავრობის მიწვევით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავთან დაკავშირებით, ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობაში იყო შრომის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ლენინის ორდენოსანი პლატონ ბარბაქაძე.

ვაზეთი „ბრძოლა თამბაქოსათვის“ 1933 წ. 8 ივნისის ნომერში მოგვითხრობს სოფელ კალინოვკის კალინინის, ბუდიანოვკის ბუდიონის და ჩადუნინის „ოქტომბრის ქარიშხლის“ სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელების მშრომელთა საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით მიმდინარეობაზე „შევხვდეთ კუბინიშევის ოლქის ზენჩუკის რაიონიდან ჩამოსულ დელეგაციას“.

საგაზეთო წერილში—„ვიწვევთ ბეზენჩუკელ მშრომელებს“ ვგებულობთ, რომ 1933 წლის გაზაფხულზე კალინოვკის კოლმეურნეობაში (თავმჯდორამე მ. შევჩენკო) ითვლებოდა 19 კომლი, რომელსაც შეემატა ბევრი ახალი წევრი და ივნისში 49 კომლს მიღწია. ჩადუნინის „ოქტომბრის ქარიშხლის“ სახელობის არტელის (თავმჯდომარე გ. ქშუტაშვილი) გაერთიანებული კრების ოქმში ჩაწერილია სოფლის მეღწევეების შესახებ. არტელის მშრომელები იწვევენ ბეზენჩუკელ კოლმეურნეების დელეგატებს მათი მიღწეების გასაზიარებლად. რისთვისაც სოფელში მიმდინარეობს სხვადასხვა ნაგებობათა მშენებლობა, ესენია: თამბაქოს 10 თვლიანი ფარდული, საწყობი და ფერმა. უკვე მზად იყო ხილის გადამამუშავებელი და აგურის ქარხანა, სამჭედლო, წისქვილი, საბავშვო ბაღი და სხვა ობიექტები

ლაგოდების რაიონული ვაზეთი „ბრძოლა თამბაქოსათვის“ (1938 წ. 20 ივლისი) მოგვითხრობს ახალგაზრდა სტახანოველების შრომითი მიღწევების შესახებ, რომელთა შორის იყვნენ საფერმენტაციო ქარხნის მუშები: ალექსანდრე ზახაროვა და ნიკალა მიკირტიჩიანი ვანო ლომაშვილი—შრომის კოლმეურნეობის წევრი, თამარ არაბიძე ცოდნისკარის კოლმეურნეობის წევრი მეთამბაქოე.

ამავე ვაზეთში დაბეჭდილია წერილი სათაურით „ვემზადოთ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის“, რომელიც ეხება სოფელ ახალი ულიანოვკის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებას, რისთვისაც მათ მოაპოვეს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება. ლაგოდების მშრომელები წარმატებით ჩაებნენ მესამე ხუთწლიანი გეგმის (1938—1942) შესრულებისათვის ბრძოლაში, რომელიც ითვალის-

წინებდა ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და მშრომელთა კულტურული დონის საგრძნობ ამაღლებას, სახალხო მეურნეობის განვითარების, კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებას, აგრეთვე ითვალისწინებდა ქვეყნის თავდაცვითი პოტენციალის განმტკიცებასა და თავდაცვითი მრეწველობის დაჩქარებულ განვითარებას.

1939 წლის 8 აპრილს ჩატარდა ლავოდების რაიონის მეთამბაქოეობის დარგის სტახანოველთა შეკრება, სადაც მიიღეს მეთამბაქოე სტახანოველთა მიმართვა საქართველოს მეთამბაქოეობის რაიონების კოლმეურნეობების და კოლმეურნე სტახანოველებისადმი. (გაზეთი „ბრძოლა თამბაქოსათვის“ 1939 წლის 14 აპრილი).

1939 წლის ივლისში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებთან ერთად ლავოდების რაიონიდან მონაწილეობა მიიღო სოფლის მეურნეობის 113 მოწინავე მუშაკმა. მათ შორის იყვნენ: პლატონ ბუცხრიკიძე—რაიადმასკომის თავმჯდომარე, ილია პატიაშვილი—რაიმიწვანის, გამგე, გიორგი ნატროშვილი — სოფელ შრომის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პლატონ ფედერენკო—სოფელ ჩადუნინის კოლმეურნეობა „წითელი დროშის“ თავმჯდომარე, ალექსანდრე შავლაყაძე—მანქანა-ტრაქტორთა სადგურის უფროსი აგრონომი, მიხეილ ჯიშიაშვილი — სოფელ ქვემო ნაშოვარის კოლმეურნეობა „ლენინის ხსოვნის“ თავმჯდომარე (გაზეთი „ბრძოლა თამბაქოსათვის“, 1939 წ. 27 ივლისი).

1939 წლისათვის ლავოდების რაიონში ითვლებოდა 66 კოლმეურნეობა, მასში გაერთიანებული იყო გლეხურ კომლთა 84,3 პროცენტი. ამ დროისათვის კოლმეურნეობების უვადო სარგებლობაში იმყოფებოდა 31929 ჰექტარი სახნავი ფართობი. საკოლმეურნეო სექტორში 1938 წლისათვის რაიონში დარგული იყო 3056 ჰექტარი თამბაქო. სახელმწიფოს ჩაბარდა—3269 ტონა თამბაქო, საიდანაც პირველი ხარისხისა იყო—309 ტონა; მეორე ხარისხისა—1210 ტონა, მესამე ხარისხისა—857 ტონა, მეოთხე ხარისხის 893 ტონა.

რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსაგან მიიღეს 16 მილიონი მანეთი, ჯილდო წანამატის სახით 3,5 მილიონი მანეთი. (გაზეთი „ბრძოლა თამბაქოსათვის“ 1939 წლის 14 აპრილი).

1940 წლისათვის პურეულის ნათესი ფართობები გაიზარდა 4000 ჰექტარამდე. მოსავლიანობა რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით ჰექტარზე 5—6 ცენტნერიდან გაიზარდა საშუალო 15—18 ცენტნერამდე. თამბაქოს მოსავლიანობამ ჰექტარზე მოწინავე კოლმეურნეობებში მიაღწია 15—20 ცენტნერს.

ლავოდებში პირველად 1939—1940 წლებიდან დამკვიდრდა

ნაწევრალზე სიმინდის თესვა მწვანე მასის და მარცვლის მისაღებად. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემცენარეობის კათედრის მიერ ჩატარებული ცდების შედეგად მიღებული რეკომენდაციებით, რაც დიდ ეფექტს იძლეოდა მარცვლეულის წარმოების გადიდების და პირუტყვის საკვების განვითარებისათვის.

1946—50 წლების მეოთხე ხუთწლიანი გეგმის უმნიშვნელოვანეს ამოცანად პარტიამ მიიჩნია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონის აღდგენა და გადაჭარბება. სოფლის მეურნეობა აღიჭურვა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით, დაიწყო სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მსხვილ კოლმეურნეობებში უფრო სრულყოფილად იყენებდნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. ლაგოდების მშრომელები დიდ-პატარიანად შეუღდნენ ომის შედეგად მიყენებული ჭრილობების მოშუშებას, სახალხო მეურნეობის აღდგენას. ომის შემდგომ პერიოდში თავი გამოიჩინა ლაგოდების აფენისა და ვარდისუბნის მტს-ების მოწინავე კომბაინერებმა ვლადიმერ მანაგაძემ, სერგო ჭაბაშვილმა, ფირუზა რიჟამაძემ და სხვებმა.

1948—1950 წლებიდან რაიონის კოლმეურნეობებში მასიურად იწყებენ მეცნიერებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. კალინოვკის კოლმეურნეობის ბაზაზე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა ჩაატარა ცდები ნაწევრალზე სასიდეარაციო კულტურათა შერჩევაზე. ამ წლებიდან რაიონის კოლმეურნეობები ნაწყებენ საშემოდგომო თავთავიანი კულტურების აღების შემდეგ სასილოსე სიმინდის თესვას.

1953 — 1955 წლებში ფართოდ გაიშალა მუშაობა სიმინდის მეორე მოსავლის მისაღებად მემინდვრეობის ინსტიტუტის ლაგოდების საცდელ მინდვრებზე (სოფელი მშვიდობიანი) ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების დასაანერგად თავთავიანი კულტურების და მრავალწლიანი ბალახების (იონჯა, სამყურა) წესის დანერგვისათვის. ფართოდ იყენებდნენ რაიონის კოლმეურნეობები.

ომის შემდგომ პერიოდში ლაგოდებლები, ისევე როგორც რესპუბლიკის მშრომელები, მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობას შეუდგნენ.

გამოეყო რა სიღნაღის მაზრას, ლაგოდები, 1930 წლიდან დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ რაიონად ჩამოყალიბდა. პარტიის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ნიკოლოზ გველუკაშვილი. 1932 წლიდან საქართველოს კ. (გ) ლაგოდების რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდნენ, ვაბო გარსევანიშვილი, ვიორგი ნუცუმიძე, პავლე აზარაშვილი, ვალერიან იმედაძე, ამბროს რამიშვილი, ხოლო 1937 წლის

დეკემბრიდან 1950 წლის დეკემბრამდე პარტიის ლაგოდების რაიკომის პირველი მდივანი იყო შალვა ნუცუბიძე. უფროსი და შემდგომი თაობის ლაგოდებელებს დღესაც კარგად ახსოვთ ამ მტკიცე რკინისებური დისციპლინის ხელმძღვანელის შესანიშნავი ორგანიზატორის მოღვაწეობა. რაიონის ხელმძღვანელობა მას მოუხდა უაღრესად რთულ ომისწინა და ომისდროინდელ პერიოდში, რასაც წარმატებით გაართვა თავი. იგი არ ყოფილა „კაბინეტის კაცი“. დღე და ღამე შრომობდა და სხვასაც მუხლჩაუხრელად ამუშავებდა. იგი ოპერატიულად ადგილზე წყვეტდა საჭირო ბოროტო საკითხებს. ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის სასოფლო რაიონებს შორის ლაგოდების რაიონი ერთთავად მოწინავეთა რიგებში იმყოფებოდა.

1955 წლიდან რაიონის კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფულადი შემოსავალი. ყოველწლიურად იზრდებოდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება. შემოსავლის ზრდამ საშუალება მისცა კოლმეურნეობებს გაეტარებინათ დიდი ღონისძიებები კაპიტალური მშენებლობის დარგში.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად რაიონი ყველა სახეში გადაჭარბებით ასრულებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის დავალებებს. თამბაქოს სასაქონლო პროდუქციის წარმოების გაზრდასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა ჭარისხის გაუმჯობესებას; ცალკეული კოლმეურნეობების მიხედვით რაიონში იყენენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის ოსტატები, სოციალისტური შრომის გმირები და მრავალი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულნი.

1938 წლიდან თვალსაჩინო მუშაობა წარმოებდა რაიონში მარცვლეულის სახელმწიფო ჯიშთა გამოცდისა და 1950 წლიდან არსებულ ციტრუსოვან ნარგავთა საცდელ ნაკვეთებში. ჯიშთა გამოცდის შედეგად რაიონის პირობებისათვის დადგენილია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ვარგისიანობა და ციტრუსოვან ნარგავთა პირობები.

1950 წლიდან ლაგოდების რაიონში დაიწყო წვრილი კოლმეურნეობების თანდათან გამსხვილება. 1951 წლისათვის რაიონში თუ იყო 35 კოლმეურნეობა, 1957 წელს მათი რიცხვი 29-მდე შემცირდა გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია, შეიცვალა ნათესი ფართობების კულტურა. 1959 წელს კოლმეურნეობათა გამსხვილების შედეგად რაიონში მათი რიცხვი 21-მდე შემცირდა.

1959 წელს სოფელ ცოდნისკარში შეერთდა ძერჟინსკისა და ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობები. ორივე კოლმეურნეობების წევრებმა ერთსულოვნად მოიწონეს კოლმეურნეობის გამსხვილების ღონისძიებები, საერთო კრებამ მიიღო დადგენილება კოლმეურნეობისა-

ლაგოდების რაიონის კოლმეურნეობები 1957 წლისათვის

№ კოლმეურნეობების დასახელება	საბჭოს თავმჯდომარე	კოლმეურნეობის თავმჯდომარე
1. ორჯონიკიძე (მკჩბი)	რ. ლაშვი	ბ. ბეგაშვილი
2. კალინინის სახელობის	ა. ხატიაშვილი	ლ. დობრონეცი
3. ლენინის ანდერძის	ე. ჭაბაშვილი	გ. სიყმაშვილი
4. ბუდიონის	ლ. სოფრომაძე	ტ. პიენევი
5. ფრუნზეს	" " " " " "	ზ. აბაზაძე
6. შვერნიკის	" " " " " "	დ. კურტანიძე
7. ძერჟინსკის	ბ. ქუშუტაშვილი	ა. ცინცაძე
8. მ. გორკის	ბ. კაპანაძე	ტ. კაპანაძე
9. მოლოტოვის	" " " " " "	ბ. სჭისიტაშვილი
10. პირველი მაისის	" " " " " "	რ. კოვლაშვილი
11. მალენკოვის	დ. მჭედლიშვილი	ე. დუქმასოვი
12. წითელი ოქტომბრის	" " " " " "	ი. პრანჩუკი
13. გაზეთი პრავდა	დ. ზარნაძე	ფ. ხუციშვილი
14. წაბავის	" " " " " "	ზ. შველუგა
15. სტალინის გზით	ბ. მუმლაძე	ს. გელაშვილი
16. ლენინის	" " " " " "	ა. ლაცაბიძე
17. გაზეთი კომუნისტის	რ. ფაევი	ბ. ყოჩიევი
18. რუსთაველის	მეტრეველი	ა. ლობჯანიძე
19. კვცხოველის	" " " " " "	გ. ჩაჩანიძე
20. ჭავჭავაძის	კაპანაძე	ივ. ყაველაშვილი
21. სტალინის	" " " " " "	მ. მეტრეველი
22. წინსვლის	" " " " " "	დეკანოიძე
24. ნინოშვილის	ბ. ქუმბურაძე	ი. აბრამიშვილი
23. ენგელსის	" " " " " "	ბ. ჭაჭანიძე
25. ხეთაგუროვის	შ. გოგოლაევი	ა. გიგოლაევი
26. გაზ. ზარია ვოსტოკის	" " " " " "	ა. ტალახაძე
27. კომინტერნის	აბდურახმან ამით ოღლი	ბ. ასლანოვი
28. კიროვის	" " " " " "	მ. ალაჩანოვი
29. სტალინური კონტროლის	" " " " " "	კ. ფაშა ოღლი

თვის ძერჟინსკის სახელობის მინიჭების შესახებ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ერთხმარ აირჩიეს სოფლის მეურნეობის სპეციალისტი იოსებ ჭანტურია. შემდეგ წლებში კი ამ სოფელს დიდხანს ხელმძღვანელობდა საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანი გრიგოლ კაპანაძე.

1963—64 წლებში მოხდა ლაგოდეხის და ცოდნის, ნინიგორისა და გურგენიანის, ულიანოვკის და თამარიანის, ვარდისუბნის და საქობოს კოლმეურნეობების გამსხვილება, ასე მოხდება სხვა წვრილი კოლმეურნეობების გამსხვილებაც, რის შედეგადაც რაიონში 16 კოლმეურნეობა დარჩა. 1990 წლამდე მათ განკარგულებაში იყო 36200 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული.

ლაგოდეხში სათანადო ყურადღება ექცეოდა ვენახების ფართობის გაშენებას და საპექტარო მოსავლიანობის თვალსაჩინო ზრდას, ფართოდ იყო განვითარებული მეაბრეშუმეობა. აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლისათვის ლაგოდეხელი მშრომლები თავდადებულად მუშაობდნენ და ყოველწლიურად საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებდნენ პარკის ჩაბარების გეგმას.

რაიონში 1960-დან 1990 წლამდე დიდი ყურადღება ექცეოდა მრეწველობის შემდგომ განვითარებასა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების გადიდებას. ძლიერდებოდა ყველა სამრეწველო ობიექტების ტექნიკური სიმძლავრე ახალი საამქროების მშენებლობის და არსებული რეკონსტრუქციის ხარჯზე. საგრძნობლად ფართოვდებოდა ადგილობრივი მრეწველობის ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას.

1958 წლიდან რაიონის კოლმეურნეობების უკეთ მომსახურების მიზნით ლაგოდეხის, აფენის და ვარდისუბნის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ბაზაზე შეიქმნა ცოდნისკარის მტს-ი. 1948 წლიდან ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის დირექტორად მუშაობდა პართენ ქემოკლიძე, რომელიც 1954 წლიდან არჩეული იყო საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1990 წლამდე ლაგოდეხი რესპუბლიკაში ტექნიკური კულტურების ერთ-ერთი დიდი მწარმოებელი იყო. რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები ძირითადად აწარმოებდნენ მარცვლეულს (ხორბალს, ქერს, სიმინდს), ტექნიკურ კულტურებს (თამბაქოს, გერანს, რეჰანს). ყურძენს, აბრეშუმის პარკს, მეცხოველეობის პროდუქტებს (ხორცს, რძეს) ლაგოდეხის რაიონი აწარმოებდა რესპუბლიკაში მოყვანილი თამბაქოს 70 პროცენტს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ასეთი ზრდა მიღწეული იყო იმით, რომ რაიონის კოლმეურნეობებში განმტკიცებული იყო შრომის დისციპლინა და შრომის ანაზღაურება, რაშიც დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა სოფლის მეურნეობაში მეცნიერებისა და მოწინავეთა მიღწევების დანერგვას.

თამბაქოს მოსავლიანობის გაზრდის და ახალი ჯიშების გამოყვანის საქმეში ყოველთვის ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ლაგოდების თამბაქოს საცდელი სადგური. თანამშრომელთა ერთმა ჯგუფმა, სელექციის განყოფილების გამგის, ელდარ კაპანაძის ავტორობით გამოიყვანა და 1987 წელს დაინერგა თამბაქოს ახალი ჯიში „ტრაპიზონი—538“, რომელიც „ტრაპიზონ—285-თან“ შედარებით მაღალმოსავლიანი აღმოჩნდა.

1988 წლის პირველი იანვრისათვის რაიონის 16 კოლმეურნეობაში ირიცხებოდა 24.102 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. აქედან სახნავი—18340 ჰექტარი. მრავალწლიანი ნარგავები გაშენებული იყო 3433 ჰექტარზე. მათ შორის ვენახი—2920 ჰექტარზე, მეცხოველეობისათვის საძოვრად იყო 2329 ჰექტარი.

ლაგოდების რაიონში 1988 წლამდე ფართო სამუშაოები მიმდინარებდა სანიმუშო თანამედროვე ტიპის ფერმების მშენებლობისათვის. მექანიზებული ფერმები აშენდა რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში, ბოლოს ექსპლოატაციაში შევიდა კიდევ ორი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფერმები: სოფელ ვარდისუბანში და ცოდნისკარში, რომლებიც ძირითადად სარძეო სასაქონლო მიმართულების იყო.

1990 წლისათვის ლაგოდების საზოგადოებრივ მეურნეობებში ირიცხებოდა—10 ათასზე მეტი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 426 ტრაქტორი, 105 კომბაინი, 50 სიმინდისა და სილოსის ამღები აგრეგატი, 296 სატვირთო ავტომანქანა, სათესი და სათიბი მანქანები, თამბაქოს სარგავი, სანემსი და მრავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. . .

დღეს ყველაფერი ეს ისტორიის კუთვნილებაა. აქ მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა როგორც სპეციალობით აგრონომი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

მართალია დღევანდელი დემოკრატიის პირობებში როგორც ბევრ სხვა საკითხში ისე საკოლმეურნეო პირველი კომუნების და კოლექტივების შექმნის შესახებ შეიქმნა ორაზროვნება და ზოგიერთი თვლის, რომ ვითომ ეს ფორმა არ იყო გამართლებული და წერდნენ ბევრს უარყოფითს, მაგრამ თუ დავეყრდნობით პირველ საკოლმეურნეო მოძრაობის მონაწილეებს, კობა ჩოხელის, მიხაკო ორაგველიძის, არსენ კობაიძის, ნიკო ყოჩიაშვილის და მრავალ სხვათა მიერ, სხვადასხვა დროს დაწერილ და გამოქვეყნებულ მასალებს გაზეთებსა და ჟურნალებში, რომლებსაც პრაქტიკულად მიუღიათ მონაწილეობა, თავიანთ მხრებზე გადაუტანიათ ყველა სიძნელე და საქმის სიმძიმე, თვლიდნენ, რომ ეს იმ დროისათვის გამართლებული და აუცილებელი ფორმა იყო. ასეთ მოსაზრებებისა იყვნენ და არიან ლაგოდებელი საკოლმეურნეო მოძრაობის მომსწრენიც. ისე რომ ამ ეტაპიდან იმ დროის შეფასება ასე ადვილი არაა, რადგან დღეს რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში კიდევ

.არიან ცოცხალი მატრიანეები და დადებითად აფასებენ პირველი საკოლმეურნეო ფორმის შექმნის აუცილებლობას.

1991 წლიდან როგორც მთელს საქართველოში ისე ლაგოდეხშიც დაიწყო ახალი ცხოვრება, დაიშალა და დაინგრა ის, რაც 70 წლის იმპერიის პერიოდში აშენდა. მოხდა მიწების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, კაპიტალური ფერძების და თამბაქოს საშრობების პრივატიზაცია—კერძო საკუთრებაში გადაცემა გაყიდვა და დანგრევა.

როგორც ბევრი სპეციალისტი, პროფესორი და თვით მაღალი რანგის მუშაკები გამოსატყვევან თავიანთ აზრს აქაც დაშვებულია შეცდომები ისე როგორც 1929—32 წლებში. დღეს სოციალისტური საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ობიექტების გადაცემაში რაიონის ეკონომიკის წინსვლა შეჩერებული იქნა 1991 წლიდან, როცა მოხდა საბჭოთა კავშირის დაშლა და სოციალიზმის უარყოფა. რაიონში სოფლის ბევრმა ხელმძღვანელმა პირადი შეხედულებით წარმართეს სოციალიზმიდან კაპიტალისტურ რელსებზე გადასვლის ეს მესამე პროცესი, რამაც გამოიწვია ის რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი დარჩა ქონების გარეშე და დაუსაქმებელი, მოსახლეობამ მიიღო დამატებით მხოლოდ მიწა რაც მათ უკვე ქონდათ XXI საუკუნის დასაწყისში, ალბათ როგორც ყველგან ისე ლაგოდეხშიც ჩამოყალიბდება ახალი სისტემა და კვლავ ვიხილავთ ლაგოდეხის მაღლიან მიწაზე მშრომელ მოსახლეობას აყვავებულსა და აღორძინებულს.



ლაგოდეხელი დიდ საგაგულო ომში ფაშის წინააღმდეგ ბრძოლაში

. . . . ჯერ ქონხანები დატოვა სიღარიბემ, მერე თვით ქონხანებიც გაიჭრიფნენ სოფლებიდან და მათ ადგილზე ოღა სახლები წამოი-
მართნენ, ცხოვრება წინ მიიწევედა. 1941 წლის 22 ივნისის ღამეს,
როგორც ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთ, ისე ლა-
გოდეხელ მშრომელებსაც მშვიდად ეძინათ. მეორე დღეს გაიგეს რა
უბედურებაც დაატყდა თავს ჩვენს ქვეყანას.

შეწყდა ადამიანების მშვიდობიანი შრომა. სხვებთან ერთად ფა-
შის წინააღმდეგ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება ლაგო-
დეხის რაიონის 8306 წარმომადგენელი. სახლში დარჩენილებმა შრომის
ფრონტს შეუტიეს ჯარში გაწვეულები მოხუცებმა, ქალებმა და მოსწავ-
ლე ახალგაზრდობამ შეცვალა. თავდადებული შრომის შედეგად ფრონტ-
ზე იგზავნებოდა ლაგოდეხელთა ამაღლები.

ი. ბ. სტალინმა 1941 წლის 3 ივლისს რადიოთი მიმართა საბჭოთა
ხალს, წითელი არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის მებრძოლებს.
ამ ისტორიულ გამოსვლაში ქვეყნის მეთაურმა და თავდაცვის სახელ-
მწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ მოახდინა მიმდინარე ამბების ღრმა
ანალიზი და განსაზღვრა არმიისა და ხალხის ამოცანები. სამშობლოს
დაცვისათვის. ამ მოწოდებით საბჭოთა ადამიანებს, სწორად უნდა გაე-
გოთ იმ საფრთხის მთელი სიძიმე, ქვეყანას რომ ემუქრებოდა, გარდა-
ეჭმნათ მთელი მუშაობა და დაექვემდებარებინათ იგი ფრონტის ინტე-
რესებისა და მტრის განადგურების ამოცანებისადმი.

1941—1945 წლებში გერმანელი ფაშისტი დამპყობლების წინა-
აღმდეგ ბრძოლაში, სამხედრო კომისარიატის მონაცემებით ლაგოდე-
ხის რაიონიდან მონაწილეობდა 8306 კაცი. დაიღუპა 3677. ომის დამ-
თავრებობ შემდეგ მშობლიურ კერას დაუბრუნდა 4629 მეომარი. რო-
მელთა დიდი უმრავლესობა მშვიდობიან შრომის ფერხულში ჩაება.

ომამდელ ხუთწლედში რაიონის სოფლის მეურნეობაში დიდმნიშვნე-
ლოვანი ღონისძიებები განხორციელდა. მაგრამ სამამულო ომის წლებში
მწვავედ დადგა მეცენარეობაში მოსავლიანობის გადიდებისა და სა-
ზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საჭიროება. დაიწყო
სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა.

ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ლაგოდეხელი მამაკაცების
დიდი ნაწილი გაიწვიეს ჯარში. აღსანიშნავია, რომ რაიონის სამხედრო
კომისარიატში მასობრივად შექტონდათ განცხადებები წითელი არმიის
რიგებში მოხალისედ ჩარიცხვისა და ფრონტის მოწინავე ხაზზე გაგზავ-
ნის შესახებ.



სურათზე: სოფელ ბაისუბანში ხუთი ძმა ნოზაძეები, რომლებიც დაეცნენ ფრონტის ქარცეცხლში.

ძნელია ნარკვევში ყველა ფრონტზე გაწვეულის მონაწილის შესახებ თხრობა, ამიტომ მოგითხრობთ მხოლოდ იმაზე. ვინც დიდების ფურცელი ჩაწერა მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში და ასახელა თავისი რაიონი თუ სოფელი...

ლაგოდების რაიონის სოფელ ბაისუბნის მკვიდრთ იასონ და თეკლე ნოზაძეებს ხუთი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი ჰყავდათ, ხუთივემ ფრონტის ქარცეცხლი გამოიარა:

მიხეილ ნოზაძე დაიბადა 1906 წელს. 8 წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ლაგოდების მეთამბაქოეობის სახელმწიფო ტექნიკუმში. მუშაობდა ბაისუბნის კოლმეურნეობაში. ამ პერიოდში დაოჯახდა და ორი ვაჟი შეეძინა. 1941 წლის 13 აგვისტოს გაიწვიეს დიდ სამამულო ომში. დაიღუპა 1942 წლის ივნისში ქერჩში. ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

ივანე ნოზაძე დაიბადა 1911 წელს. 8 წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ჯერ ლაგოდების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში სწავლობდა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1939 წელს დაამთავრა. იმავე წელს ბაისუბანში ქიმიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. პარალელურად ლაგოდების ეთერზეთების ქარხანაშიც საქმიანობდა ქიმიკოს—ტექნოლოგად. შემდეგ მუშაობდა ბაისუბნის საშუალო სკოლის დირექტორად. 1940 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის

დაუსწრებელი ფაკულტეტის მსმენელი. ამავე პერიოდში დაოჯახდა. ორი ვაჟიშვილი შეეძინა. ივანე ნოზაძე მოხალისედ წავიდა ფრონტზე. იენისის ბოლოს იბრძოდა ანაპის 414-ე ქართული მსროლელი წითელდროშოვანი დივიზიის 1375-ე მსროლელ პოლკში ოცეულის მეთაურად უფროსი ლეიტენანტის ჩინით. დაიღუპა 1944 წლის 5 მაისს სევასტოპოლში „საბუნ—გორას“ განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეს ამბები აღწერილია ვ. ჯანჯღავას წიგნში „414 წითელდროშოვანი“. ივანე ნოზაძე დაკრძალულია ბალაკლავის რაიონში, სოფელ ჩერნორეჩის ძმათა სასაფლაოზე. დაღუპულთა მემორიალურ დაფაზე მოთავსებულია მისი პორტრეტი.

შალვა ნოზაძე დაიბადა 1914 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბაისუბნის კოლმეურნეობაში ზეინკლად, ომში გაიწვიეს 1941 წლის აგვისტოში, დაიღუპა 1942 წელს ბელორუსიაში.

ვლადიმერ ნოზაძე დაიბადა 1917 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ლაგოდენის ტექნიკუმში. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს 1940 წლის 31 იანვარს. დაიკარგა უზგო-უკვლოდ.

ლევან ნოზაძე დაიბადა 1919 წელს. დამთავრა ლაგოდენის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. ჯერ კიდევ ომამდე გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. 1939 წელს პერმში დამთავრა საფრენოსნო სკოლა, საიდანაც პირდაპირ ომში მოუხდა წასვლა. პირველმა საბრძოლო ფრენამ მოუწია ბლოკირებულ ლენინგრადში. მის შესახებ მოგვითხრობს დ. შანშიაშვილი წიგნში—„ქართველი შევარდნები“, 1945 წლის თებერვალში ბუქარესტთან ჩამოაგდეს მისი თვითმფრინავი, პარტიზანების დახმარებით გადაარჩა ცოცხალი. ჭრილობების მოსაშუშებლად გამოაგზავნეს სამშობლოში, იგი მშობლიურ სოფელში 1945 წლის მარტის ბოლოს ჩამოვიდა. გაიგო რა თავის ძმების დაღუპვის ამბავი. შურისძიებამ კვლავ აღანთო და თვითმფრინავს დაუბრუნდა. ორი თვის შემდეგ მისი თვითმფრინავი უნგრეთში ჩამოაგდეს. მამაცი მფრინავი განისვენებს პენჩის ძმათა სასაფლაოზე.

ბაისუბნისა და ლაგოდენის რაიონის მშრომელები არასოდეს ივიწყებენ ნოზაძეების ვაჟკაცობას, სამშობლოს დაცვის თავდადებისათვის.

წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს არა მარტო რიგითი მუშაკები, არამედ პარტიული, სამეურნეო, კომკავშირული ხელმძღვანელები მუშაკებიც, რომლებიც თავიანთი სურვილით მიდიოდნენ ფრონტზე.

1939 წლის თებერვლიდან ლაგოდენის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა ავაბო ხარაძე, რომელმაც ომის დაწყებისთანავე მიიღო გადაწყვეტილება—სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში ჩამდგარიყო. 1941 წლის 21 ოქტომბერს. ავაბო ხარაძე განცხადებით

გამოცხადდა კომისარიატში და ფრონტზე მონაღისედ წასვლა ითხოვა. იგი ბაქოში გააგზავნეს პოლიტმოსამზადებელ კურსებზე, სადაც უფროსი ლეიტენანტის წოდება მიიღო. აქედან ახალგაზრდა პოლიტმუშაკი ქერჩთან მდგარ მოქმედ არმიაში გაუშვეს პოლიტგანყოფილების უფროსად. იბრძოდა ფრონტის წინა ხაზზე. სამშობლოს ველარ დაუბრუნდა ჭაბუკი მეთაური. ვაჟკაცურად შესწირა თავი გამანთავისუფლებელ ბრძოლას.

1935—1937 წლებში ლაგოდების კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა ვასილ ლობჯანიძე, შემდეგ კი სამეურნეო სამუშაოზე მოუხდა საქმიანობა. ომის დაწყებისთანავე ჩაება გიორგეთელი ვაჟკაცი სამკვდრო—სასიცოცხლო ბრძოლაში. კონსტანტინე ლესელიძის არმიაში მებრძოლი ერთ-ერთი დავალების შესრულების დროს გერმანელთა ცეცხლის რკალში მოჰყვა, რომელმაც ტყვედ ჩაეარდნას სიცოცხლესთან გამოთხოვება არჩია ვაჟკაცურად—თავისი ხელით მოიკლა თავი. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება გიორგეთელების გულში. აღსანიშნავია, რომ ვასილ ლობჯანიძის საფლავი 30 წლის შემდეგ იპოვეს ყაბარდო-ბალკარეთში ქალაქ მაისკის მახლობლად ნორჩ კვალმადიებელთა დახმარებით.

1939 წლიდან ლაგოდების განათლების განყოფილების გამგის მოვალეობას ასრულებდა პორფირე ლომია, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ განაწილებით მოხვდა ლაგოდებში. ომის გამოცხადების პირველ დღეებშივე მოკლევადიანი სამხედრო გადამზადების შემდეგ უკვე უფროსი ლეიტენანტი ფრონტზე გაგზავნეს. მონაწილეობას ლეზულობდა კურსკის ბრძოლებში. მას ღრმად სწამდა გამარჯვება ვერაგ მტერზე და ამის შესახებ ფრონტიდან გამოგზავნილ წერილებშიც იუწყებოდა, მაგრამ განათლების ახალგაზრდა მუშაკი 1943 წელს, მტერთან გააფრთხულ ბრძოლაში დაიღუპა.

გენერალ-მაიორი გ. ყრუაშვილი წიგნში „ძმათა სისხლით“ მოგვითხრობს ლაგოდების რაიონის სოფელ ჭაბუკიანის ოთხი მკვიდრი ძმის ცერცვაძეების საბრძოლო მამაცობის შესახებ. უგზო უკვლოდ დაიკარგა და შინ აღარ დაბრუნებულა ივანე ცერცვაძე. ალექსანდრე ცერცვაძე ღმირულად დაეცა სევასტოპოლის მისადგომებთან. ტრიფონ ცერცვაძეს ბრძოლა მოუწია ბელორუსიის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალების პირნათლად შესრულებისა და მამაცობისათვის სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. მან დიდი საბრძოლო გზა განვლო. ომი მტრის ბუნჯაში დაამთავრა და შინ გამარჯვებული დაბრუნდა. მის მეგრის მთავრობის რვა ორდენი და მედალი

უმშენებდა სოფელს დაბრუნებული ვაჟკაცი შრომის ფრონტზეც დაუ-
ლაღვად იღწვოდა.

ღენტორი ცერცვაძე სამამულო ომის დაწყების პირველ დღე-
ბიდანვე ჩადგა. სამშობლოს დამცველთა რიგებში. 1942 წლის მიწუ-
რულში მშობლებს წერილთ ატყობინებდა თავის საბრძოლო თავგა-
დასავალს, აქედან მოყოლებული მის შესახებ აღარაფერი იციან.

ყარსუბნელი უფროსი ლეიტენანტი ვასილ ხაჩიძე თავის—
მშობლებს სახელზე გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერს: „როგორ
ხართ მუდამუამს მოსაგონარო საყვარელო მშობლებო! მე კარგად ვარ,
ირგვლივ ცეცხლია გაჩაღებული, გვიშენენ გერმანელი ფაშისტები, მაგ-
რამ არც ჩვენ ვრჩებით ვალში. გამანადგურებელ დარტყმებს ვაყენებთ
შავი ჭირივით შემოსეულ ჰიტლერელებს. სანგარში ვზივარ და ვწერ
ამ წერილს, როგორაა ჩემი ძმის გიორგის ამბავი, მომწერეთ სად და
რომელ ფრონტზე იმყოფება, იქნებ აქ სადმე ჩემთან ახლოსაცაა. ჩემი
ძმისშვილი პატარა ჯემალი როგორაა, დამიკოცნეთ, როცა დავბრუნდე-
ბი გამარჯვებული, ახლოს მოვეფერები, ვასილ და გიორგი ხაჩიძეები
ველარ დაუბრუნდნენ მშობლიურ მიწა-წყალს. ისინი გმირულად დაილუპ-
ნენ ბრძოლის ველზე.“

სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგნენ ბრძოლაში თავი გამო-
იჩინეს. მაგრამ მშობლიურ კერას ველარ დაუბრუნდნენ და ავოდების
რაიონიდან ომში წარგზავნილი მეომრები:

ლაგოდეხიდან—გიორგი ხოსიტაშვილი, ვასილ ზადროტყნი; სოფელ
ცოდნიდან—ივანე მჭედლიშვილი, კონსტანტინე მიკუჩაძე, გრიგოლ
ბერიაშვილი, შალვა ძამიაშვილი, ნიკოლოზ აბულაშვილი, დავით
მოდებაძე . . .

სოფელ შრომიდან—მიხეილ მახაშვილი, აპოლონ ჭაბაშვილი,
ალექსანდრე ქადაგიშვილი, ვალერიან მემარნიშვილი, შალვა ქადაგი-
შვილი, ალექსანდრე ყანჩაშვილი. . .

სოფელ ნინიგორიდან—ალექსანდრე გაჩეჩილაძე, გრიგოლ მუმ-
ლაძე, ნიკოლოზ ჭაბაშვილი, სერგო ბესთავეი. . .

სოფელ ცოდნისკარიდან —მიხეილ აბულაშვილი, აკაკი კვირიკა-
შვილი, გიორგი მოსაშვილი, ვლადიმერ ბალაშვილი, გიორგი ლომიძე,
თედო ხატიაშვილი.

სოფელ ვარდისუბნიდან—სამსონ კაკიაშვილი, ანზორ კაპანაძე,
ალექსანდრე ლომიძე, ივანე მჭედლიძე, ბიგენტი კაპანაძე, ზაქრო
მჭედლიძე. . .

სოფელ ყარსუბნიდან—შოთა გოგოლაძე, ბესარიონ გრიგალაშვი-
ლი, გალაქტიონ ლომიძე, გიგლა ნოზაძე, არჩილ ლაცაბიძე, ზაქრო
კიკნაძე, ძმები ვასილ და გიორგი ხაჩიძეები. . .

სოფელ ულიანოვკიდან—იოსებ ჯავაშვილი, კონსტანტინე კირი-
ჩენკო, გრიგოლ შიშკინი, ომარ სუხიტაშვილი, ივანე კახიძე. . .

სოფელ ბაისუბნიდან—გრიგოლ ხარაიშვილი, ნიკოლოზ ბარბაქა-
ძე, ივანე მუმლაძე, ივანე ნოზაძე და მისი ოთხი ძმა. . .

სოფელ კაბლიდან—სოინ ანაგიევი, ისმაილ კასუმოვი, მუსაილ
აჯიევი, ბახრამ მუსაევი. . .

სოფელ ფონიდან—პლატონ თედეევი, გრიგოლ პარასტაევი, სევას-
ტი ქოზაევი, ნოე თაგაევი. . .

სოფელ გიორგეთიდან—თევდორე ლობჯანიძე, ვლადიმერ ჩიხრა-
ძე, გიორგი ლობჯანიძე, ვასილ ლობჯანიძე. . .

სოფელ აფენიდან—პლატონ მაჭარაშვილი, გრიშა გოგოლაძე,
აპოლონ და გიორგი ტალახაძეები, აკაკი კაპანაძე, ზაქრო ხუციშვილი,
ანზორ გომეჯიშვილი. . .

სოფელ ჭაბუკიანიდან—ვალერიან მოდებაძე, იროდიონ გელა-
შვილი, შალვა გოგობერიშვილი, ონისიმე მეტრეველი, ვლადიმერ
რეხვიაშვილი. . .

სოფელ ლელიანიდან—ამბროსი ბოჭორიშვილი, ვლადიმერ ტყე-
მალაძე, ალექსანდრე ქუმბურიძე, ზაქრო და ივანე მიწაძეები, ზაქრო
მუშალაძე. . .

სოფელ არეშფერანიდან—მიხეილ ცხოვრებოვი, ანზორ თედეევი,
მელიტონ ვანეევი, ალექსი გაგიევი, ზაქრო და ივანე ბაგაევი, ნიკოლოზ
სოკოევი. . .

ცოდნისკარში მცხოვრებ ხოსიტაშვილების ოჯახმა 1985 წლის
აპრილში ვოლგოგრადის ოლქის ქალაქ ლენინსკის სკოლის პიონერე-
ბისაგან მიიღო ბარათი, რომ ამ ქალაქის ძმათა სასაფლაოზე განისვენებს
მებრძოლი ილია ხოსიტაშვილი. 40 წლის წინ მიიღო ოჯახმა ილიას
უკვლოდ დაკარგვის ცნობა მოჰყვა. ყოველი წლის 9 მაისს მიემგზავრე-
ბოდნენ მამაც მებრძოლის ახლობლები ლენინსკში და მშობლიური
სოფლის ერთ მუჭა მიწას აბნევდნენ მის საფლავს. . .

აგერ უკვე **75**ე გაზაფხულია მეორე მსოფლიო ომის დამთავრები-
დან, ნეტავ კიდევ სადმე გამოჩნდებოდეს ფრონტის ველზე უგზოუკვა-
ლოდ დაღუპული ლაგოდებელი მეომრების საფლავები, ასე ელიან
დღესაც ომში დაღუპულთა ოჯახის შვილები და შვილიშვილები თა-
ვიანთ ახლოს მოუსიყვარულებელ მამებს და ბაბუებს.

ძნელია ამ პატარა წიგნში ჩამოვთვალოთ მეორე მსოფლიო ომში
მონაწილე ყველა ლაგოდებელის სახელები და გმირული საქმეები, 3677
დაღუპული ლაგოდებელი მეომრის სამკუთხა წერილები და სურათები
ყოველთვის ნათელ სახედ დარჩება ომის შემდეგ დაბადებული თაო-
ბების წარმოდგენაში.

გავიხსენოთ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში დაღუპუ-

ლი პოეტის მირზა გელოვანის სიტყვები, რომელიც ფრონტიდან თავის მშობლებს სწერდა: „ომში ბევრი წასულა, მაგრამ ყველა შინ ხომჯერ დაბრუნდებო“.



ვასილ ხაჩიძე



გიორგი ხაჩიძე

1941



1945

ძმები ხაჩიძეები.

ომმა, სად არ ატარა,

კერას ველარ დაუბრუნდნენ,

ჩაქრა ბუხარი, ჩაქრა ფიქრები.

ლაგოდეხედი პოეტისგან გიორგი ჩიკვაძე

გიორგი ლევანის ძე ჩიკვაძე დაიბადა 1909 წელს ლაგოდეხში და საშუალო განათლებაც აქვე მიიღო. 1928 წელს 19 წლის ჭაბუკი თბილისში გაემგზავრა, სადაც შევიდა ამიერკავკასიის მეთაურთა სამხედრო სკოლაში. სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1932 წელს იგი ოსეულის მეთაურად დანიშნეს თელავში მღვარ ქართულ პოლკში.

1934 წელს გ. ჩიკვაძე მუშაობს ასეულის მეთაურის მოადგილედ, სამწყობრო ნაწილში, ხოლო 1935 წლიდან პოლკის უმცროს მეთაურთა სკოლის უფროსის მოადგილედ გადააყვავებ.

1937 წელს გიორგი ჩიკვაძემ მორიგი დაწინაურება დაიმსახურა და იგი იგზავნება ასეულის მეთაურად, ხოლო შემდეგ ბატალიონის

მეთაურის მოადგილედ და მეთაურად დასავლეთის საზღვრებზე ქალაქ პერემიშლში უკრაინის ტერიტორიაზე.



1940 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრ-მა ტიმოშენკომ შეამოწმა მათი დივიზიის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება და საუკეთესო მაჩვენებლებისათვის გ. ჩიკვაიძეს ვაღა-მდე ადრე მიანიჭეს კაპიტნის წოდება და მთავრობის ჯილდოზე წარა-დგინეს.

სამამულო ომის დაწყების პირველ დღესვე ჩაება ბრძოლებში და თავის ბატალიონით, 99-ე მსროლელი დივიზიის სხვა ქვედანაყოფების მხარდამხარ იგერიებდა მტრის გააფთრებულ იერიშებს.

პერემიშლის ბრძოლები იმით იყო აღსანიშნავი, რომ სამამულო ომის ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო, როცა კონტრშეტევაზე გა-დავიდნენ საბჭოთა არმიის მებრძოლენი და გაანთავისუფლეს პერემიშ-ლი. სწორედ ამ ბრძოლაში გამოიჩინა თავი გიორგი ჩიკვაიძემ, რისთვის-საც ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

1941 წლის სექტემბერში მიმედ დაიჭრა და ჰოსპიტალში მოათა-ვსეს. განკურნების შემდეგ იგი 194-ე კურსანტთა ბრიგადის ცალკე ბატალიონის მეთაურად დანიშნეს. მამაცურად იბრძოდა ქერჩის ნახევარ-კუნძულზე დესანტთა შემადგენლობაში. სარდლობის საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულებისა და ბატალიონის იშვიათი ხელ-მძღვანელობისათვის გ. ჩიკვაიძე წითელი ვარსკვლავის ორდენით და-აჯილდოვეს.

დაძაბული ბრძოლები ქერჩის ნახევარკუნძულზე არ შენელებულა. 1942 წლის 28 აპრილს გაჩაღებულ ბრძოლაში გ. ჩიკვაიძე მეორედ დაიჭრა და კვლავ ჰოსპიტალში გადაიყვანეს. განკურნების შემდეგ სამხედრო სასწავლებლის კურსანტთა ბატალიონის მეთაურად დანიშნეს. სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებულებთან ერთად სტალინგრადის ფრონტზე გაგზავნეს, სადაც მათგან შეიქმნა მსროლელი პოლკი. პოლკის მეთაურად გ. ჩიკვაიძე აღინიშნა, სტალინგრადში ჩასვლისთანავე პოლკი ჩაება დაძაბულ ბრძოლებში. გ. ჩიკვაიძემ პოლკის ხელმძღვანელობის დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა. მისი ნაწილი ზედიზედ იგერიებდა მტრის, გააფთრებულ იერიშებს. მამაცი მეთაური მუდამ ფრონტის უბანზე იყო, სადაც საშიშროება ჩნდებოდა და მისი რკინისებური ნებისყოფა და ტექნიკური მოქმედების უნარი სძლევდა მტრის წინააღმდეგობას. ამ ბრძოლებში, ლაგოდესელი მეთაური მესამეჯერ დაიჭრა. სტალინგრადის დაცვისათვის იგი წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვეს. ამის შემდეგ გ. ჩიკვაიძე 151-ე მსროლელი დივიზიის 638-ე პოლკის მეთაურად დაინიშნა და ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე იბრძოდა.

1943 წლის აგვისტოში გ. ჩიკვაიძე 54-ე გვარდიული დივიზიის 162-ე პოლკის მეთაურად გადაიყვანეს- ამ დროს ბრძოლები უკვე უკრაინის ტერიტორიაზე წარმოებდა. გიორგის ხელმძღვანელობით პოლკი თავგანწირულად უტევდა მტერს და მიერეკებოდა უკრაინის მიწიდან, იგი სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის კვლავ წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა და 1944 წლის თებერვალში დააწინაურეს 132-ე მსროლელი დივიზიის მეთაურის მოადგილედ.


გ. ჩიკვაიძე ოთხი წელი იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე. მრავალი გამოცდა ჩააბარა, ბევრი ოფლი და სისხლი ღვარა მრავალჯერ დაჭრილი სიკვდილთან ჰიდელში პოლკოვნიკის სამხედრო წოდებით დაბრუნდა სამშობლოში. მან პირნათლად შეასრულა თავისი მეომრული ვალი სამშობლოს წინაშე.

1948 წლიდან გ. ჩიკვაიძე დიდხანს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატში მუშაობდა. გადამდგარი პოლკოვნიკი გ. ჩიკვაიძე ხშირად სიყვარულით და სიამაყით ივონებდა გადახდილ ბრძოლებს და თავის ერთგულ თანაბოლკელებს. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მშობლიურ ლაგოდესში იმყოფებოდა.

1997 წელს გარდაიცვალა სამშობლოსათვის თავდადებული ქართველი მეთაური. იგი ლაგოდესის მშობლიურ მიწას მიაბარეს.

ვაჟკაცთა მხარდამხარ

ირინე არსენის ასული ტივიშვილი დაიბადა 1921 წელს ლაგოდნოში მოსამსახურის ოჯახში. 1937 წელს ფრიადზე ამთავრებს საშუალო სკოლას და მოსკოვის სტალინის სახელობის ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. ერთდროულად დაუსწრებლად სწავლობდა მოსკოვის იურიდიულ ინსტიტუტშიც.



სამამულო ომის დაწყებამ ი. ტივიშვილს მოსკოვში მოუსწრო და მონაწილეობა მიიღო მოსკოვის საჰაერო თავდაცვის მუშაობაში, 1942 წლის მარტში თავის მეგობრებთან ერთად მოხალისედ მიდის მოქმედი არმიის 103-ე ნაწილში. ამ ნაწილის მოვალეობას წარმოადგენდა არმიის შეტევებისათვის სამანქანო გზებით და ხიდებით უზრუნველყოფა. ბრძოლებში მონაწილეებთან ერთად ირინე ასრულებდა მხაზველ კონსტრუქტორის მოვალეობას, სადაც კი იწყებოდა შეტევები, ეს ნაწილიც იქ მიიწვედა წინ. იბრძოდნენ ჯერ ვოლხოვის ფრონტზე, შემდეგ ლენინგრადისა და ბოლოს საბჭოთა ჯარების გამორული შეტევის და გამარჯვების დროს, უკრაინის ფრონტზე. ომის დამთავრების პერიოდში მიაღწიეს გერმანიის ტერიტორიაზე და საბოლოოდ გამარჯვებაც იქ იზეიმეს.

მიღებული აქვს დიდი სამამულო ომის მეორე ხარისხის ორი ორდენი და მედლები. ომგადახდილი ირინე ტივიშვილი დაუბრუნდა მშობლიურ ლაგოდნოს, რამოდენიმეჯერ დატყრილი, ომით დაქანცული, გამოჯანმრთელების შემდეგ შრომით საქმიანობაში ჩაება.

ფრონტის მეომარი და მუდამ წარმატებული სოფლის ბრიგადირი

ვასილ ცუცქერიძე დაიბადა ლაგოდეხის რაიონის სოფელ მსხალგორში, ომის დაწყების პირველივე დღეებში გაწვეული იყო ფრონტზე, იბრძოდა უკრაინის დაცვის მეორე ფრონტზე და სხვასახვა ფრონტის ადგილებში. 1943 წელს დაიჭრა უკრაინის ფრონტზე ერთ-ერთი ძლიერი შეტევის დროს, რამდენიმე კვირა იწვა ჰოსპიტალში, გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ ფრონტის წინა ხაზზე მოუწია ბრძოლები. უკრაინის დაცვის ფრონტზე მამაცობისთვის მიღებული აქვს მრავალი მედალი. ომის დროს და თვეზე მეტი იწვა სავიწრო ჰოსპიტალში, რამდენჯერმე კიდევ დაჭრილი ომის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა შშობლიურ რაიონს, თავის სოფელ მსხალგორს.

ომიდან დაბრუნების შემდეგ რაიონის ხელმძღვანელობამ როგორც ფრონტზე გამოვლილი მუშაკი გააგზავნეს სამუშაოდ ვარდისუბნის კოლმეურნეობაში ერთ-ერთი საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელად, შემდეგ დაოჯახდა და დასახლდა სოფელ ვარდისუბანში, 35 წელზე მეტი მუშაობდა ამ სოფლის კოლმეურნეობაში ხან ერთ, ხან მეორე საწარმოო ბრიგადის ბრიგადირად, შრომის პერიოდშიც როგორც მოწინავე ხელმძღვანელი ბრიგადირი და კარგი ორგანიზატორი დაჯილდოებული იყო შრომის საპატიო მედლებით და საპატიო სიგელებით.



ომგადახდილი ზურაბ (ლუტო) გელენიძე

დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროში, 18 წლის ჭაბუკი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, პირველივე დღეებში პირდაპირ ფრონტზე მოუწია ბრძოლები. იბრძოდა ქერჩის ფრონტზე 414-ე დივიზიაში, იგერიებდნენ მტრის გააფრთხულ იერიშებს. წარმოებული ზოლოდებში სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და გამოჩენილი მამაცობისათვის სამამულო ომის დროს ფრონტზე მიღებული აქვს პირველი ხარისხის ორდენი და რამდენიმე მედალი, ფრონტზე ორჯერ მძიმედ იყო დაჭრილი ჰოსპიტალში ორი თვე იყო მოთავსებული. შემდეგ ისევ ფრონტის წინა ხაზზე მოიწია ბრძოლები და კიდევ მძიმედ დაჭრა. 1943 წელს საფრონტო კომისიის მიერ ხუთ ადგილზე მძიმედ დაჭრილი მეომარი ფრონტიდან დაბრუნდა ზესტაფონის რაიონის თავის სოფელ ცხრაწყაროში და სახლში განაგრძობდა ხანგრძლივ მკურნალობას.

ომის დამთავრების შემდეგ წლებში დაოჯახდა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბანში მცხოვრებ მარო ხაჩიძეზე, რამდენიმე წელი ცხოვრობდა ლაგოდეხში, შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა მეუღლესთან ერთად ბორჯომში, რადგან მისი მეუღლე მარო ხაჩიძე განათლების სამინისტროს მიერ მასწავლებლად გააგზავნეს ბორჯომის რაიონის სოფელ რველის საშუალო სკოლაში, დასახლდნენ სოფელ რველში. ომგადახდილი მეომარი ზურაბ გელენიძე წლების განმავლობაში თითქმის 45 წელი მუშაობდა ბორჯომის ჩამომსხმელ ქარხანაში. იგი როგორც ომისა და შრომის თავდადებული ადამიანი, ყოველთვის კარგი ავტორიტეტით ქარხნის თანამშრომელთა შორის.



თბილისის პედაგოგი

კონსტანტინე ხარბიჭაძის ქე სხირტლაძემ გურჯაანის პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრებისთანავე მშობლიურ სოფელს ლელიანს მიაშურა, სადაც არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.



1939 წლის ნოემბერში, ფინეთთან ომის დროს, იგი ფრონტზე გაიწვიეს, უყოყმანოდ ჩაღვა სამშობლოს დამცველთა რიგებში. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ კონსტანტინე სხირტლაძეს ლიტვის ქალაქ მარიამპოლში მოუსწრო. ამ დღიდან იწყება მისი შემდგომი გმირული საბრძოლო გზა ოცმეთაურიდან—ბატალიონის მეთაურამდე. ნოვგოროდთან ახლოს გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა და მოათავსეს კემეროვს ოლქში სამხედრო ჰოსპიტალში. გამოჯანმრთელების შემდეგ 1942 წელს ჩაირიცხა გომელის 96-ე წითელდროშოვან დივიზიაში. აქ გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის „ალექსანდრე ნეველის“ ორდენით დაჯილდოვდა.

ქის მარჯვენა ნაწილს უტევდა. ფაშისტებმა ველარ გაუძლეს ჩვენი ჯარების მედგარ წინააღმდეგობას და უკან დაიხიეს დასავლეთის მიმართულებით, ამ ისტორიულ ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის ზედიზედ ორჯერ დაჯილდოვდა სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.

ჩადგა ომის ქართველი. კვლავ აღორძინდა მშვიდობიანი ცხოვრება, ომგადახდილი პედაგოგი კვლავ საყვარელ პროფესიას მოუბრუნდა. მუშაობა დაიწყო მშობლიურ სოფელ ლელიანის საშუალო სკოლაში. ამავე დროს დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. 1953 წლიდან ამავე სკოლის დირექტორად მუშაობს, ხოლო 1969 წლიდან პენსიაში გასვლამდე ხელმძღვანელობდა აფენის საშუალო სკოლას. მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. იგი არასდროს ივიწყებდა ფრონტზე გმირულად დაცემულ რაინდთა ხსოვნას. მას მიმოწერა ჰქონდა თავის თანამებრძოლებთან, გომელის სახელობის 96-ე წითელდროშოვანი დივიზიის ყოფილ მეთაურთან, ქ. ყაზანში არმიის გადამდგარ გენერალ ბულატოვთან და მის ოჯახთან. ქართველი კ. სხირტლაძისა და თათარი კ. ბულატოვის მიმოწერა და ოჯახების მეგობრობა კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იყო. რამდენიმე წელია თანასოფლელებმა და მისმა აღზრდილებმა ვალმოხდილი მიაბარეს მშობლიური სოფლის მიწას.

აკანთეზა აკამიანუს

გიორგი ზაქარიას ძე ბეგაშვილი დაიბადა 1915 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბეში, ლარიბი გლეხის ოჯახში. 1924 წლიდან მისი მშობლები გადმოსახლდნენ ლაგოდეხში და დასახლდნენ სოფელ ვაშლოვანში. სწავლას აგრძელებს ლაგოდეხში ახლად გახსნილ პედაგოგიურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ლაგოდეხის ილ. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლაში უფროს პიონერხელმძღვანელად.

1937 წლიდან გ. ბეგაშვილი აირჩიეს საქართველოს ალკ ლაგოდეხის რაიკომის მდივნის მოადგილედ და მოსწავლეთა განყოფილების გამგედ. 1939 წლის ოქტომბერში გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მსახურობდა თურქმენეთის ქალაქ ჩარჯოუში მე-100 მსროლელ ლეგიონში. 1940 წლის მაისში დაამთავრა ლეგიონის კურსანტთა სკოლა და ამავე ლეგიონის მეორე ასეულში დანიშნეს ნაღმტყორცნელთა ათეულის მეთაურად.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე გ. ბეგაშვილმა მოქმედ არ-



მიაში გაგზავნა მოითხოვა. 1941 წლის ივლისში ჩააბარებინეს გამოცდა ოფიცრის ჩინის მისაღებად და მიანიჭეს უმცროსი ლეიტენანტის წოდება. დივიზიის შტაბში იგი მიავლინა ქალაქ ალმატაში, სადაც 39-ე მსროლელი ბრიგადა შეიქმნა გ. ბეგაშვილი დანიშნეს ნაღმტყორცნელთა ბატალიონის ოცეულის მეთაურად.

1941 წლის დეკემბერში მისი ბრიგადა გაიგზავნა კალინინის ფრონტზე, 1942 წლის მაისში ბრიგადის ბაზაზე ჩამოყალიბდა დივიზია. გ. ბეგაშვილი ამ დივიზიის 426 მსროლელ ლეგიონში დაინიშნა მეოთხე მსროლელი ბატალიონში ნაღმტყორცნელთა ასეულის მეთაურად. მისმა ასეულმა ბრძოლით გაიარა კალინინისა და სმოლენსკის ოლქები, 1942 წლის სექტემბერში გამოჩენილი მამაცობისათვის დააჯილდოვეს წითელი ვარსკვლავის ორდენით. ამის შემდეგ დივიზია მონაწილეობდა ქ. სმოლენსკის განთავისუფლებაში.

1944 წლის ზაფხულში გ. ბეგაშვილმა თავისი ასეულით მონაწილეობა მიიღო ბელორუსიის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში. გამოჩენილი მამაცობისათვის იგი დააჯილდოვეს სამამულო ომის II ხარისხის ორდენით.

1944 წლის ნოემბერში გ. ბეგაშვილმა საზღვრის გადალახვით გამოწვეული სიხარული განიცადა. მისი ასეული ერთ-ერთი პირველი შევიდა აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე. აქ გაჩაღებულ მძიმე სისხლისმღვრელ ბრძოლებში სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვდა.

აღმოსავლეთ პრუსიის ციტადელის განადგურებისა და ამ ტერი-

ტორიის განთავისუფლებაში გამოჩენილი მამაცობისათვის ასეულის მე-
თაურს კაპიტნის ჩინი უბოძეს მის მკერდს ახლა მსოფლიო ომის II
ხარისხისა და ბოგდან ხმელნიცკის მესამე ხარისხის ორდენი ამშვენებს.

1945 წლის აპრილში, გ. ბეგაშვილის დივიზია უკრაინის ფრონტის
შემადგენლობაში გადაიყვანეს, რომელთანაც ერთად ჩეხოსლოვაკიაში
შევიდა. ომის დამთავრებას ამ დივიზიას ჩეხეთის მიწაზე მოუწია,
ჩეხოსლოვაკიაში წარმოებულ ბრძოლებში სარდლობის დავა-
ლებათა სანიმუშოდ შესრულებისა და გამოჩენილი მამაცობისათვის
გ. ბეგაშვილი კვლავ დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით და ამავე
დროს დაინიშნა ბატალიონის მეთაურის მოადგილედ.

1945 წლის დეკემბერში, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, დემო-
ბილიზებული კაპიტანი გ. ბეგაშვილი ლავოდენში დაბრუნდა. ომგადა-
ხდილი თამბაქოს საფერმენტო ქარხნის დირექტორის მოადგილედ
დანიშნეს.

1952—1957 წლებში გ. ბეგაშვილი მუშაობდა საქართველოს კპ
ლავოდენის რაიკომის მდივნად, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომა-
რის მოადგილედ და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად.

გ. ბეგაშვილმა განვლო ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა.
6 ორდენისა და მედლების კავალერი ამჟამად პერსონალური პენსიონე-
რია.

ოჯახი და ომის შემდგომი

შალვა პანტელეიმონის ძე ჯინჭარაძე დაიბადა 1924 წელს ჩოხა-
ტაურის რაიონში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1942 წელს დაამთავრა
ჩოხატაურის რაიონის ერკეთის საშუალო სკოლა. სრულიად ახალგაზრ-
და, 19 წლის ყმაწვილი, 1942 წლის ოქტომბერში გაიწვიეს ჯარში.
პირველმა სამბძოლო ნათლობამ ქალაქ ტუაფსეს მისადგომებთან 1942
წლის დეკემბერში მოუწია. 1943 წლის იანვარში მძიმედ დაიჭრა და
მოხვდა სოჭის სამხედრო ჰოსპიტალში. განკურნების შემდეგ 815-ე
მსროლელ ლეგიონის შემადგენლობაში იბრძოდა ჩრდილოეთ კავკა-
სიაში. აქ მძიმედ დაიჭრა და ცოტა ხნით გამოეთიშა ბრძოლას. გამო-
ჯანმრთელობის შემდეგ იგი 414 ქართული დივიზიის 1375 მსროლელ
ლეგიონში მოხვდა, რომლის შემადგენლობაშიც მოუწია ბრძოლები
ანაპის, სევასტოპოლის ფრონტებზე. ამ დივიზიის მიერ წარმოებულ
ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის სხვადასხვა
დროს დაჯილდოვდა დიდების მესამე ხარისხისა და სამამულო ომის
მეორე ხარისხის ორდენებით, მედლებით—მამაცობისათვის და კავკა-
სიის დაცვისათვის.

სრულიად ახალგაზრდა, 20 წლის ყმაწვილი შ. ჯინჭარაძე ოჯახში



გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერდა: „გერმანელთა მხეცობის შესახებ ჩვენი პრესა უფრო ნაკლებს წერს, ვიდრე სინამდვილე შია, ვეცდებით, სამაგიერო მივუზღოთ ამ ყაჩაღებს ჩვენი ქალაქების და სოფლების ასეთი გაჩანაგებისა და დარბევისათვის, ხალხის ასეთი წამებისათვის. ახლა უფრო მეტად დავრწმუნდი, თუ რა საჭიროა, რომ ყველა იყოს ფრონტზე, ვისაც კი უყვარს ჩვენი სამშობლო, მისი ღირსება და თავისუფლება. შეიძლება ბევრის გაკეთება არ შემეძლოს, მაგრამ ერთი ცხადია, მე ძალიან საჭირო აღმოვჩნდი აქ. მემამყება, რომ ვიცავ ჩემი სამშობლოს მიწა-წყალს. . .“

დემობილიზაციის შემდეგ შ. ჯინჭარაძე მოეწყო თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1951 წელს დაამთავრა, რის შემდეგაც განაწილებით გაიგზავნა ლავოდების რაიონში ისტორიის მასწავლებლად.

1952 წელს საქართველოს კპ ლავოდების რაიონის ბიუროს დადგენილებით გადაჰყავთ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ. 1954 წლიდან რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგედ. ამ პერიოდში დიდი ენერჯია და ცოდნა მოახმარა რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელის დაწესებულებათა გაფართობას. მისი მუშაობის პერიოდში ერთი ორად გაიზარდა რაიონის კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რაოდენობა, განმტკიცედ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მშრომელთა მომსახურების დონე.

1961 წლიდან შ. ჯინჭარაძე პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს. იგი განათლების განყოფილების გამგედ გადაჰყავთ. მისი მოღვაწეობა

განათლების ფრონტზე ყოველთვის ნაყოფიერი იყო და დღესაც ენერ-
გიულად, თავდაუზოგავად ემსახურება ახალგაზრდების აღზრდას,
ამჟამად ბატონი შალვა, ეს უაღრესად ერუდირებული თავმდაბა-
ლი, გულისხმიერი და ყველასათვის საყვარელი ადამიანი, ლაგოდების
მეორე საშუალო სკოლის დირექტორია და ჩვეული ენერგიით ემსახუ-
რება ახალგაზრდა თაობის აღზრდას, სამშობლოს წინაშე
შ. ჭინჭარაძემ განათლების ფრონტზეც გამოიჩინა თავი, რისთვისაც
იგი 1985 წელს შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს
და დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიანიჭეს.

სახელმწიფო მემორი, აკადემიკოსი

გიორგი ალექსის ძე გოგიშვილი 1935 წელს დაამთავრა გურჯა-
ანის რაიონის კარდანახის საშუალო სკოლა. მოგვიანებით კი ბაკურ-
ციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. ამის შემდეგ სწავლა განაგრ-
ძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც
1940 წელს დაასრულა. ინსტიტუტმა იგი ლაგოდების რაიონში გაანა-
წილა, სადაც მიწვანის აგრონომად დანიშნეს. 1941 წლის ივნისში
თადარიგი უმცროსი ლეიტენანტი გიორგი გოგიშვილი წითელ არმიას
გაიწვიეს. სხვადასხვა დროს იბრძოდა ყირიმის, სამხრეთ დასავლეთისა
და სტალინგრადის ფრონტებზე, ჯერ როგორც ქვეითი ჯარის ოცეულის
მეთაური და შემდეგ ასეულის მეთაური.



1942 წელს დაიჭრა სამხრეთ დასავლეთის ფრონტზე ქალაქ ციმი-
ლიანსკის მისადგომებთან. იწვა პოსპიტალში სტალინგრადის ახლოს

მდებარე დაბა ახტურაში. გამოჯანმრთელების შემდეგ, როცა გერმანიის ფაშისტური არმიის ნაწილები სტალინგრადს მიუახლოვდნენ გ. გოგიშვილი ბრძოლას აგრძელებს სტალინგრადის 62-ე არმიაში, რომელსაც მეთაურობდა ცნობილი გენერალი ვ. ჩიუკოვი.

სტალინგრადის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის გ. გოგიშვილი დააჯილდოვეს „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით, მაგრამ პირადად არაფერი სცოდნია ამის შესახებ, ვინაიდან მძიმე დაჭრილი იწვა ხუთი თვის მკურნალობის შემდეგ გაავზავნეს ზურგში და ირიცხებოდა სარეზერვო არმიაში.

1945 წლის სექტემბერში, არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ გ. გოგიშვილი ლაგოდეხის რაიონს დაუბრუნდა, სადაც სხვადასხვა სამუშაოზე მუშაობდა. ლაგოდეხში მუშაობის პერიოდში რაიონის სამხედრო კომისარიატის მიმოწერის შედეგად გახდა ცნობილი პირადად მისთვის ამ ორდენის დაჯილდოების ფაქტი, ომის დამთავრების 20 წლის შემდეგ გადაეცა გ. გოგიშვილს ეს ორდენი.

1965 წელს დაინიშნა ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარ აგრონომად და სამმართველოს უფროსის მოადგილედ. შემდეგ იყო საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე.

ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი აღარ ეწევა შრომით საქმიანობას. იგი სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდი და რესპუბლიკის მნიშვნელობის პენსიონერია.

ბატონ გოგისთან ჩემი პირადი დამოკიდებულება და დაახლოება უფრო გაღრმავდა მაშინ, როცა მომიწია ლაგოდეხის აგროსამრეწველო გაერთიანებაში თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობა, მასთან ყოველთვის სასიამოვნო იყო საუბარი, თავის ცოდნას და გამოცდილებას უშურველად გადასცემდა ახალგაზრდობას.

ასე იბრძოდნენ

1942 წლის იანვარში სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა ლაგოდეხელი შოთა ბაძგარაძე. ეს დღე სამარადუაშოდ დაუვიწყარია ჩემთვის იგონებდა იგი, — მაგრამ იხსენებდა ხშირად მამის სიტყვებს: „აბა შენ იცი, შვილო, ყველაზე პატარა ხარ. გამოუცდელი; ვინ იცის, სად გიმტყუნებს ბედი, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ სჯობს დაიღუპო სახელოვნად, ვიდრე ჩამოხვიდე ლაჩრულად. დაიცავი სამშობლო შენი“.

კურსკის ფრონტზე გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა; გერმანელი დამპყრობლები გაშმაგებით უტყევდნენ ფლანგებიდან. ხაბაროვსკის სამხედრო სკოლიდან დაბრუნებულ ლეიტენანტ შ. ბაძგარაძის

ოცეული გმირულად იცავდა მინდობილ პოზიციას. მაგრამ ეს ოცეული მალე მტრის გარემოცვაში მოექცა და განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ოცეულის მეთაურმა შ. ბაძგარაძემ მტრის რკალიდან გასვლის გეგმა შეიმუშავა. მოულოდნელი კონტრიერით გააღწიეს. თავი ალყას და თავის ნაწილს შეუერთდნენ, ამ მამაცობისათვის სარდლობამ შ. ბაძგარაძეს ასეული ჩააბარა.

კვლავ ბრძოლები და შეტევა. მტერთან ერთ შეტაკებაში მძიმედ დაიჭრა და გონს მხოლოდ კურსკის ჰოსპიტალში მოვიდა. აქ გაიგო ბრძანებულება, რომლითაც იგი წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს, არც გამოჯანმრთელების შემდეგ შეუქცევია მტრისათვის ზურგი, ისევ ბრძოლის ველს მიაშურა. . .

ომი დასრულდა. შ. ბაძგარაძე მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. მის მკერდს ამშვენებდა—წითელი ვარსკვლავის ორდენი და მრავალი მედალი, დემობილიზაციის შემდეგ შ. ბაძგარაძემ მეომრის ფარავა მენახაძრის ტანსაცმლით შეცვალა. ხანგრძლივი დროის მანძილზე ლავოდების სახანძრო საზოგადოებას ხელმძღვანელობდა. იგი როგორც ომისა და შრომის ფრონტის თავდადებული ადამიანი, რამდენიმე წელია სოფელ შრომის თანასოფლელებმა მშობლიურ მიწას ვალმოხდილი მიაბარეს.

ომგადასდინი ქადიშვიდი ნინო შევარდენიძე

დაიბადა 1921 წლის იანვარში, თბილისის 32-ე საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქმავალ ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მოანგარიშედ დაიწყო მუშაობა, მაგრამ დიდხანს არ დასცალდა მშვიდობიანი შრომითი საქმიანობა.

დაიწყო დიდი სამამულო ომი და ნინო, სხვა მამულიშვილებთან ერთად, მოხალისედ წავიდა სამშობლოს დასაცავად. კარგად ახსოვდა 1942 წლის აპრილი, როდესაც თბილისის ვაგზალზე თავი მოიარეს ომში მიმავალმა ახალგაზრდებმა. ახალგაზრდებს ღიმილი რომ დასთამაშებდათ, უკანასკნელად შეჰკივლა ორთქმავალმა და მატარებელი დინჯად მოსწყდა ბაქანს.

ფაშისტები ელვისებური სისწრაფით მოიწვედნენ საბჭოთა ტერიტორიისაკენ, ვერაგი მტერი კავკასიის საზღვრებსაც მოადგა. საზენიტო ნაწილი, რომელშიც ნინო შევარდენიძე იმყოფებოდა გროზნოში იდგა. მამაცი ქალიშვილი საპროექტორო სადგურს ედგა სათავეში, უკვირდა, რატომ არ ბომბავდნენ ქალაქს გერმანელთა თვითმფრინავები. თურმე, მტერს ნავთობის ქალაქის უბრძოველად ჩავდებდა სურდა, შოლოს დაბომბვაც დაიწყეს. ქალაქის დამცველებმა ბრწყინვალედ გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. მათ წარმატებით შესძლეს მტრის თვითმფრინავების მოგერიება.

მანც ავიაციისკენ მიუწევდა. მისი ოცნება იყო ლაგოდებსში სამოქალაქო აეროპორტი გახსნილიყო. ეს ოცნება აუსრულდა 1956 წელს. იგი დაინიშნა ლაგოდების სამოქალაქო აეროპორტის უფროსად, რომელსაც სამი ათეული წელი ხელმძღვანელობდა.

სახელოვანი მეომარი, სახედაწიფო მოღვაწე

როცა, საქართველოს კვ ლაგოდების რაიკომის ყოფილი პირველი მდივნის, ამბროსი რამიშვილის ბიოგრაფიას გავეცანი, მასში არაერთი სასახელო ფრონტელი მეომარის ფურცელი აღმოვაჩინე.

ამბროსი რამიშვილი დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ დიდვანში. მამა ადრე გარდაცვლიდა. ობლად დარჩენილა ექვსი დაძმა. მათ შორის ყველაზე უფროსი ამბროსი ყოფილა. იგი დედასთან ერთად მზრუნველობდა უმცროს დაძმებს.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1923—1924 წლებში, სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1926 წელს იგი უკვე თბილისშია. სამხედრო სკოლის კომისრის მოადგილედ ინიშნება. 1928 წელს იგი გადააყავთ პირველი ქართული მსროლელი დივიზიის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსად, ზოლო მომდევნო წლიდან დაწინაურდა და დაინიშნა პირველი და მეორე მსროლელი დივიზიების სამხედრო პროკურორის თანამდებობაზე. 1929 წელს ა. რამიშვილი გადააყავთ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, 1931—1934 წლებში მუშაობდა ჯერ ლანჩხუთის პარტიის რაიკომის მდივნად, შემდეგ ფოთის ქალაქკომის პირველ მდივნად.

1935 წლიდან კვლავ თბილისშია იურიდიული საქმის მცოდნე და კარგი ორგანიზატორი საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისრის და რესპუბლიკის პროკურორის თანამდებობაზეა.

1936 წელს ამბროსი რამიშვილს ირჩევენ საქართველოს კვ ლაგოდების რაიკომის პირველ მდივნად. 1938 წლიდან თბილისში საქართველოს აბრეშუმის ტრესტის მმართველია. სწორედ ამ პოსტზე მოუსწრო ნიჭიერ პარტიულ და სამეურნეო მუშაკს ომმა. მიუხედავად ჯავშნისა პატრიოტი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. იგი 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის 183-ე პოლკის კომისრად დაინიშნა.

1941 წლის დეკემბრის ბოლოს, მონაწილეობდა ქერჩის და ფეოდოსიის ცნობილ სადესანტო ოპერაციებში. ჩაება რა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლებში, ქართველმა მეომრებმა, თავიანთი სახელოვანი კომისრის წინამძღოლობით, სძლიეს დამპყრობლებს და უკუაქციეს. რამდენიმე დღეში, მათ მთელი რიგი

გაბედული ოპერაციები განახორციელეს და მტერს ბევრი დაკავებული პუნქტი დაათმობინეს.

224-ე დივიზიის ყოფილი მეთაური გენერალ მაიორი ვ. კობახიძე იგონებს „1942 წელს თებერვალში დამნიშნეს ამ დივიზიის მეთაურად, რომელიც ფრონტის წინა ხაზზე, ქერჩის მისადგომებთან იბრძოდა, ის 183-ე პოლკის სამხედრო კომისარი იყო. პოლკის მებრძოლებს ამხნევებდა და ამალგებდა მათში ბრძოლისუნარიანობას. მას არაერთი მძიმე ოპერაცია განუხორციელებია. 1942 წლის მაისის შემდეგ აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს. ვიცოდი, რომ მის პოლკს მძიმე დავალება ჰქონდა შესასრულებელი, და რომ ეს დავალება დიდი მსხვერპლის გაღებით იქნა შესრულებული. . .“

ქერჩთან წარმოებულ ბრძოლებში გმირულად დაეცა სამშობლო-სათვის თავდადებული, ქართველი ვაჟკაცი, კომისარი ამბროსი რამიშვილი. ქმრის დაღუპვის ამბავი რომ შეიტყო მისმა მეუღლემ ექიმმა მერი რამიშვილმა, რომელიც იმ დროს თბილისის ერთ-ერთ ჰოსპიტალში მუშაობდა ფრონტზე წასვლა ითხოვა. მესამე რანგის ექიმი სამედიცინო სამსახურის კაპიტანი მერი რამიშვილი წავიდა მოქმედ არმიასში, იგი სანიტარულ ბატალიონში მკურნალობდა დაჭრილებს, ომის ბოლო წლებში მძიმედ დაჭრილი და დაინვალიდებული დაბრუნდა თბილისში.

მეორე მსოფლიო ომის მრავალ ლაგოდებელ მონაწილეთა გულმკერდს ამშვენებს საბრძოლო ჯილდოები, ეს ხალხი გადაურჩა მძვინვარე ქარცეცხლს, ათეული წლები ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ შრომობდნენ და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ლაგოდებელთა შრომით საქმიანობაში: წარმოვიდგენთ ზოგიერთ მათგანს. მიშა გრიგალაშვილი, ილია წიკლაშვილი, შოთა გველესიანი, გერმანე გრიგალაშვილი, ვასო ცუცქერიძე, არამ პოლოსოვი, ვიორგი სიყმაშვილი, ალექსანდრე კაკაშვილი, ვიქტორ ქულუხოვი, ვალერიან ტაბატაძე, გრიგოლ ბატიაშვილი, რომანოზ ხაჩიძე, ქარუმა პავლიაშვილი, მამიკა ოვაკიმოვი, მიხეილ შუკაკიძე, დავით მენტეშაშვილი. მიხეილ ბაბილოვი, მიხეილ გოგოლაძე, ვიორგი ჭიოქვი და მრავალი სხვა, რომელთაგან ბევრი ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ ლაგოდებში სხვადასხვა დარგსა და თანამდებობაზე მუშაობდნენ.

ომში ვაჟკაცების მხარდამხარ ლაგოდებელი ქალებიც მონაწილეობდნენ, საბრძოლო დავალებათა სანიმუშო შესრულებისათვის ბევრი ჰათვანი ორდენებითა და მედლებითაა დაჯილდოებული. აი ისინიც: გულო მირზოშვილი, მარია სმირონოვა, ნინა ლეკიშვილი, თამარ ბაბუნიძე, ვარო ხუციშვილი, თამარ მანგოშვილი, კაბა ბაბილევა, გალინა გაიქინა, ნატო ტალახაძე, მარო ლომიძე და მრავალი. აქ ჩამოთვლილი იქომრებიდან ბევრი მათგანი დღეს აღარ არიან ცოცხლები, მაგრამ

მათი სახელები კეთილმოსაგონლად დღესაც ახსოვთ ლაგოდებელებს, მათ ფრონტელ თუ შრომაში ერთად მყოფ მეგობრებს.

ალბათ ბევრი ომიდან დაბრუნებული თუ შინმოუსვლელი დარჩა ჩემი ყურადღების მიღმა რისთვისაც ბოდიშს ვუსხდი. მაგრამ ამ წიგნს ლაგოდებიდან ომში მონაწილე ყველა მეომარს ვუძღვნი.

სამარადისო დიდება მათ!

ლაგოდების რაიონის ყველა სოფელში მოწყობილია ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად შინმოუსვლელთა მემორიალები. პირველად 1967 წელს სოფელ გელათში შინმოუსვლელთა ძეგლი აიგო და გაიხსნა სოფლის სკოლის კეთილმოწყობილ ეზოში, რომლის ინიციატორი იყო ამ სოფლის მკვიდრი პეტრე ხარატიშვილი. 1967—1970 წლებში რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობის პირადად ვახტანგ უნგიაძის მხარდაჭერით და სოფლის მშრომელთა ინიციატივით შინმოუსვლელთა სკვერები, ობელისკები მოეწყო სოფელ აფენში, ჭაბუკიანში, ლელიანში, ცოდნისკარში, ვარდისუბანში ყარსუბანში, ბაისუბანში და თითქმის ყველა სოფელში, ხოლო თვით ლაგოდების ცენტრში აღმართულია შინმოსვლელთა მემორიალი, რომელიც ერთ-ერთი უწმინდესი ადგილია ლაგოდებელი ვეტერანი მებრძოლებისათვის. აქ ყოველი წლის 9 მაისს ეწყობა შეხვედრები ომის ვეტერანებთან, და ყვავილებით ამკობენ ამ ადგილს.

ჩვენო პატივცემულ ლაგოდებელო მკითხველო! ამ წიგნში მოყვანილი დიდ სამამულო ომში ყველა ლაგოდებელი დაღუპული მებრძოლის თავდადება და გმირობა, უპირველეს ყოვლისა შენ გეკუთვნის. გულდასმით წაიკითხე ყველა სტრიქონი და აღივსე სევდით იმის გამო, რომ ამ ამაღლეცხმელი, პატრიოტული და საოცრად ადამიანური თავგანწირვის ბრძოლების მონაწილენი დღეს ბევრი აღარ არიან ცოცხალთა შორის. ჩაუკვირდით ყველას, სამშობლოსადმი მათ პატრიოტულ გრძნობებს და აღივსე სიამაყით, რომ ჩვენ შვილები ვართ ან ახლობლები იმ შესანიშნავი ხალხისა ვინც სიცოცხლე შესწირა სამშობლოს, დღევანდელ მომავალ თაობას, მათ ძლიერებას, უნდა ჩავუკვირდეთ პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, რადგან ვალად გვადევს ყველას განვაგრძოთ დიადი საქმე, რომლის დაცვასაც შეეწირნენ ჩვენი მამები, ძმები, ბიძები, დები და ახლობლები.

ო. ბ. სტალინმა დიდი შეფასება მისცა ომის დამთავრების შემდეგ მეორე მსოფლიო ომში სამჭოთა ხალხის და უწინარესად რუსი ხალხის დამსახურებას. უკანასკნელ ხანებში ბევრი რამ დაიწერა სტალინის შესახებ, დღეს ალბათ ძალიან ძნელია ახალი რამ ითქვას ამ მიმართულებით, მაგრამ ერთი კი ცხადია, იგი ხან ცაში აჰყავთ, როგორც ღმერ-

თი, ხან კი სატანად ნათლავენ. იგი დღესაც განსაკუთრებულ პიროვნებად ითვლება. მისი პიროვნების თვისებების დადგენა დღეს ძალიან ძნელია. ერთი კი მართლაც ნათელია: რომ მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებაში მისი დამსახურება მართლაც ძალზე დიდია. თუ დავერწმუნებით ომის მონაწილე რუსი გენერლების ჟუკოვის, ვასილევსკის, რაკასოვსკის, შტემენკოს, იაკოვლევის მიერ ომის დამთავრების შემდეგ გამოცემულ წიგნებს. როცა წაიკითხავ უკრაინელი მწერლის ივანე სტალინუკის წიგნს, როგორ შეიძლება არ დაიჯერო და არ ირწმუნო მათი სიტყვებისა ი. სტალინის პიროვნებას რომ ეხება. მსოფლიო ხომ ამ გამარჯვებით გადაურჩა ფაშიზმს.

როგორც ბევრი მკვლევარი აღნიშნავს სტალინის შეცდომები ქონდა, განა შეიძლებოდა უშეცდომოდ ყველაფრის წარმართვა ამ უზარმაზარ ქვეყანაში? ნებისმიერ სახელმწიფოში ყოველი ახლის შექმნას შეცდომა ყოველთვის თან ახლდა, უშეცდომოდ. არც მის შემდეგ და არც ეხლა მიმდინარეობს ცხოვრება, შეცდომები რაც ჰქონდა საკმარისია. მაგრამ ხელოვნურად მიმატება არაა მართებული დღევანდელ დემოკრატიის პირობებში. 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ასეთი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში, როგორ შეიძლება რაიმე შეცდომა არ მოსვლოდა სახელმწიფოს ხელმძღვანელს, თანაც ახალი ცხოვრების ჩამოყალიბების პროცესში, რადიომიმღებები და ტელევიზია ხომ საერთოდ არ არსებობდა, ერთადერთი იყო გაზეთი რომელსაც ყოველ სოფელში მოსახლეობა კვირაში ერთხელ ერთ გაზეთს ღებულობდა, ზოგიერთ სოფლებში კი თვეობითაც ვერ ღებულობდნენ.

როგორ დაასაფლავეს თავვეზა კატა, ი. სტალინის გარდაცვალების დამე

როდესაც მეორე მსოფლიო ომში, ლაგოდენელი მეომრების გმირულ მომენტებს ვიხსენებთ, აქვე მინდა მკითხველს შევთავაზო საინტერესო უცნობი ამბავი, რომელიც 1963 წელს დაბეჭდა ფრანგულმა ერთ-ერთმა გაზეთმა; სტალინის სიკვდილის დამე ანუ „როგორ დაასაფლავეს თავვეზა კატა“

1969 წელს შვებულებაში ყოფნის დროს, კომკავშირის ცეკას განყოფილების „სპუტნიკის“ მიერ 21 დღით ვიმყოფებოდი ყოფილ დემოკრატიულ გერმანიაში ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელად, იქ ყოფნის დროს „გიდმა“ მაჩუქა გაზეთის ქსერო ასლი, რომელშიც აღწერილია სტალინის გარდაცვალების დამე, მინდა გავაცნო მკითხველს შემოკლებულად მთავარი მომენტები.

1953 წლის 5 მარტს ოფიციალური ცნობებით მოსკოვში გარდაცვალა ი. სტალინი-ჯულაშვილი. იყო გამოქვეყნებული 3 ოფიციალური

ცნობა მისი ავადნყოფობის და სიკვდილის შესახებ. გაზეთში აღნიშნულია, რომ ზამთრის თებერვლის ბოლო დღეებში მოსკოვში აღინიშნებოდა უხვი თოვლიანი დღეები, 1 მარტს იყო დიდი ყინვები და ძლიერი ქარები, მოსკოვის ქუჩები ძლივს იწმინდებოდა თოვლისგან, მაღალმა ყინვებმა კვლავ გაყინა გზებზე თოვლი, ქალაქგარეთ კი მოძრაობა მოსიპულ გზებზე კიდევ უფრო გაძნელებული იყო.

პოლიტიუროს წევრებიდან ყველაზე დიდი შიში იმ დამეს ჰქონია ხრუშჩოვს, როცა დაურეკეს პოლიტიუროს ყველა წევრებს და მ.შ. ხრუშჩოვს სახლის ტელეფონზე გვიან ღამით. მას ჯერ კიდევ არ ეძინა, აუღია ყურმილი, იყო ღამის 12 საათი, მოემზადა იმ ადამიანის გასალანდლავად, რომელმაც ასე გვიან დაურეკა, ხმაზე იცნო სტალინის დაცვის უფროსის ხმა, რომელმაც უთხრა, თქვენ სასწრაფოდ გთხოვენ მოხვიდეთ მის აგარაკზე, გულმა უცებ დაუწყო აჩქარებული ცემა. არ შეიძლებოდა არავითარი მიზეზი გვიანი დრო ან საშიშროება ქალაქგარეთ მგზავრობის მოსკოვიდან 84 კმ-ით. მას დარჩენოდა მხოლოდ ეპასუხა, გადაეცით ამხ. სტალინს, ვიქნები რაც შეიძლება სწრაფად.

ხრუშჩოვმა დარეკა კრემლის გარაჟში და გამოიძახა მანქანა. ცოლი ეხმარებოდა ჩაცმაში. როდესაც ჩაიცვა ბეწვებიანი ქურქი, გაემზადა წასავლელად, ცოლს არყის გრაფინიდან დაუსხია ერთი ჭიქა და უცებ დაუღვია. მეორე ჭიქაც მოუთხოვია და ისიც უცებ დაუღვია წასვლის წინ. „მოვეხვით ცოლს და არც გამიცია ხმა, ჩვენ ვიცოდით, როცა მე მიძახებდა სტალინი ადვილი შესაძლებელი იყო აღარასოდეს დაებრუნდებოდი მით უმეტეს, ასე გვიან“. კაშირის გზაზე მან შენიშნა სხვა მანქანებიც, რომლებიც მიდიოდნენ ზოგი წინ ზოგი უკან, პარტიის ცეკას პრეზიდენტის 7 წევრი, მოლოტოვი, ბერია, მალენკოვი, ბულგანინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი და ხრუშჩოვი.

ხრუშჩოვს პირადი შიში ცოტა მოეხსნა, როცა დაინახა მთავრობის მანქანებიც, მაგრამ გადაიზარდა დიდ საშიშროებად, რაც შეიძლება ახსნილიყო მხოლოდ ერთით; ომი. მაგრამ ვისგან ან ვის საწინააღმდეგოდ. 7 მანქანისაგან შემდგარმა კორტეჟმა მიაღწია მოკლე დროში და გამოჩნდა აგარაკი. ეს შენობები აშენებული ყოფილა მე-18 საუკუნეში გრაფ ორლოვის მიერ და 1917 წლამდე ეკუთვნოდა ორლოვების ოჯახს, ის აღმართული იყო ნაძვის ტყეებსა და გაშლილ ბაღებს შორის, გარშემორტყმული მუხებით. აქ ყველაზე ხშირად სტალინი ჩადიოდა ზამთარში, რათა დაევიწყებინა თავისი საცხოვრებელი პატარა ბინა კრემლში.

ჭიშკარი გაიღო, შეიღმა მანქანამ ერთდროულად გაიარა და კარი მაშინვე ჩაიკეტა. იმ წამსვე აინთო შუქები, რომელიც დადგმული იყო შენობასთან. დახვდნენ 12 კაცი ავტომატებით, ესენი იყვნენ სტალინის

პირადი დაცვიდან ქართველები, ერთ-ერთმა დარეკა ტელეფონზე, როცა მან დაკიდა ყურმილი, გაგვიჩრიკეს ერთი მეორეზე ყველა, ახსნა ხრუ-შჩოვმა. სტალინი დარწმუნებული იყო, რომ ჩვენგანს ვინმეს მასთან შეხვედრების დროს თან ჰქონოდა იარაღი, ამიტომ მკაცრად კონტროლ-დებოდა.

სტალინი, რომელსაც ჩვენ და მსოფლიო იცნობდა, როგორც უზომოდ გამბედავს, განსაკუთრებული ნიჭითაც ვამყობდით, რომელმაც გადაარჩინა ქვეყანა ავანტურისტებისაგან, რომელმაც გადაარჩინა საბჭოთა კავშირი თავისი ხუთწლიანი გეგმებით, რომელმაც, რუსების აზრით, მოიგო ომი, ის ნელ-ნელა ჩაიკეტა თავის თავში და აღარავის აღარ ენდობოდა. ბოლო თვეებში ის ცხოვრობდა სრულ მარტობაში, თავისი შიშის ტყვედ, ამით აიხსნებოდა ის საგანგებო სიფრთხილის ზომები, რომლითაც სტალინმა გარშემო გაამკაცრა. კიდევ ერთი მომენტი; აგარაკებზე ყოფნის დროს ხშირად თვითონვე გამოდიოდა სპეციალურად ძველი მანქანით მძღოლით, ჩაცმული ძველი ტანსაცმლით სოფლის აფთიაქში წამლებს თვითონ ყიდულობდა, რომელიც დანიშნული ქონდა ექიმებისაგან, კრემლის აფთიაქში აღარ ყიდულობდა.

სტალინმა, ომის შემდეგ შეცვალა ორლოვების სასახლის ოთახების განლაგების არქიტექტურა, ერთი ოთახი მისაღები მნახველებისათვის, შემდეგი სამი ოთახი შედგებოდა ერთნაირი ოთახებისაგან, ყოველ მათგანში იყო რკინის კარი. ერთ ოთახში იყო თეთრად შეღებილი ხის კარადა, რომელშიც ეკიდა მარშლის კოსტუმი, მაგიდა რომელზეც იდგა ტელეფონი, მონოგრაფი და უამრავი ფირფიტები- მხოლოდ რუსული და ქართული სიმღერები, თავის ხელით ფირფიტების ყდაზე ეწერა; კარგია, საშუალოა, შესანიშნავია, უფარგისია. მეორე მაგიდაზე ეწყო გაზეთებიდან წერილების ამონაჭრები. ყველა დაბარებულ მნახველს სტალინი ღებულობდა სამუშაო კაბინეტში პირველ სართულზე, დაცვის უფროსის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ.

ყოველი ოთახი დაფარული იყო რკინის კარით და ჰქონდა გაკეთებული გამოსაშლელი, რომელზეც ეტეოდა ფოდნოსი, იღებოდა ელექტრომექანიზმის საშუალებით, ეს მექანიზმი დაყენებული იყო სასაღილო ოთახში. ამ კარების მეთრე მხარეს მოწყობილი იყო ოთახი, სადაც მუდმივად იმყოფებოდა 5 ქართველი, შეიარაღებული როგორც ომის დროს 4 დარაჯი დამათი უფროსი. ოთახში იდგა ხის სკამები მაგიდა ტელეფონით პირდაპირი ხაზით თვითუფლ ოთახთან.

1953 წლის 1 მარტს სტალინმა ჩვეულებრივ შეუკვეთა სადილი 7 საათზე, მაგრამ 10 საათზე ჩაი აღარ შეუკვეთა, 2 საათის განმავლობაში დაცვის უფროსი ელოდა ზარს, შემდეგ მან გადაწყვიტა თვითონ დარეკა ტელეფონით სამივე ოთახში, სტალინი არცერთ ზარს აღარ პასუხობდა. მაშინ დაცვის უფროსმა გადაწყვიტა დაერეკა 7 ადამიანისათვის, რომ-

ლებსაც იძახებდა ყველაზე უფრო ხშირად. დაცვის ფროსმა ვერ აიღო თავის თავზე კარების შემტვრევა. მოსულებითგან, მოლოტოვმა მიიღო გადაწყვეტილება შეეტეხათ კარები, დაცვის უფროსმა თქვა რკინის ინსტრუმენტების გარეშე შეუძლებელია რკინის კარის შემტვრევა. კაგანოვიჩს მოუვიდა ახრი მოეტანათ დანკრატი, ურო და ლომები. დაცვის უფროსმა თავის ხალხს დაურიგა ინსტრუმენტები.

გაიარა მძიმე ხანგრძლივმა წუთებმა, ვიდრე პირველი კარი გააღეს, ამით ღერეფანში შესვლის საშუალება მიეცათ. ყველას შეეკრა სუნთქვა, ამ ხმაურზე სტალინის ხმის გაგონების მოლოდინში. საჭირო იყო ღერეფანში მყოფების მიერ სამივე ოთახების კარების შემტვრევა. ერთ-ერთი ოთახის კარების შემტვრევის შემდეგ წინ მდგომი დაცვის უფროსი შევიდა, ადგილზევე გაიყინა, ბერიამ გასწია გვერდით და შევიდნენ ყველა, მათ თვალწინ წარმოდგა სტალინი მარშლის ტანსაცმელში, იატაკზე მწოლიარე ზურგზე. დავინახეთ თვალები რომელიც ყველას გვიყურებდა, ეს არ იყო მიცვალებულის თვალები, ეს იყო ცოცხალი სტალინის თვალები. არასდროს დამავიწყდება ის კანკალი, რომელიც ყველას დაგვემართა და დავიხიეთ ღერეფანში. იყო დილის 5 საათი, როდესაც მალენკოვმა დარეკა კრემლში და გამოიძახეს სტალინის ექიმები.

ექიმების მოსვლამდე თათბირობდნენ, დიდი სიფრთხილით გამოცხადებულყო სტალინის სიკვდილის შესახებ. ამით აიხსნება მიღებული გადაწყვეტილება სტალინის ცხედრის კრემლში გადასვენება და მისი სიკვდილის გამოცხადების გადატანა 3-5 დღით. მერე წამოიჭრა პრობლემა იმისა, თუ ვინ იქნებოდა მისი შემცვლელი, რომ დადებულყო შეთანხმება პრეზიდენტის წევრებს შორის. მემკვიდრე სტალინს არ ყავდა, ამიტომ განისაზღვრა ტრიუმფირატი; მოლოტოვი, მალენკოვი, ბერია.

2 მარტს დილით სასწრაფოდ როდესაც ექიმები ჩამოვიდნენ აგარაკზე, ერთი საკთხი იყო მთავარი; როგორი დიაგნოზით შეაფასებდნენ ისინი სტალინის გარდაცვალების მდგომარეობას. უფროსმა ექიმმა თქვა; ეს ღამე რომ უფრო ხელისშემწყობი ყოფილიყო და უფრო ადრევე ჩამოვსულიყავი, ჩვენ შევძლებდით დიდი სტალინის გადარჩენას, ესლა უკვე არაფრის გაკეთება და შველა აღარ შეიძლება. ჩამოვარდა ხანგრძლივი დუმილი და უცებ ყველას აუვარდა ტირილი, მხოლოდ ბერიამ გაყინული ხმით იკითხა, რისგან გარდაიცვალა? ექიმების პასუხი იყო; ტვინში სისხლის ჩაქცევა, დამბლა, გაგუღვა.

აი, ასე დაასრულა თურმე ინტერვიუ ხრუშჩოვმა; „თავებმა იმ ღამეს დაასაფლავეს კატა“.

რამდენიმე თვის შემდეგ ბერია შეეცადა ძალაუფლება ჩეკისტურად ჩაეგლო ხელში, ამას მოჰყვა მისი დაპატიმრება და სასწრაფო დახვეწა. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით სახელმწიფო მართვის ხელმძღვანელო-

ბა დაევალა გიორგი ძალენკოვს, რომელმაც 1 წლამდე უხელმძღვანე-
ლა ქვეყანას, მათგან თითქმის ყველაზე ახალგაზრდა იყო სრუშჩოვი,
რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის რომ ხელში ჩაეგდო სახ-
ელმწიფო ხელმძღვანელობა და მიადწია კიდეც, 11 წელი ათასგვარი
სისულელების შედეგად ეს უძლიერესი ქვეყანა კინალამ შიმშილის
ზღვარზე მიიყვანა. სრუშჩოვის მაშინდელი სიტყვებია ბერიას დახვრე-
ტის შემდეგ: „после смети сталина како не будет в кремле“, მერე რაც
მოხდა სრუშჩოვის წინააღმდეგ ყველასათვის ცნობილია, პოლიტიბუროს
დავალებით საქართველოს უშიშროების მინისტრის დიდი ჩეკისტის
ალექსანდრე ინაურის ხელმძღვანელობით იქნა დაპატიმრებული სოჩაში
დასვენების დროს.

გიორგი (გოგობა) გოგობერიშვილი – ლაგოდესელი პოლკოვნიკი



დაიბადა ლაგოდესის რაიონის სოფელ გელათ-
ში 1964 წლის 19 სექტემბერს. შემდეგ
ცხოვრობდა ქ. რუსთავეში, 1990 წლის დეკემ-
ბრიდან ქართული ჯარის შექმნის დღიდან
გარდაცვალებამდე მსახურობდა საქართველოს
თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული
ძალების რიგებში, პოლკოვნიკი გ. გოგობერ-
იშვილი მონაწილეობდა საქართველოს ერ-
თიანობისათვის წარმოებულ სამხედრო კონ-
ფლიქტებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.
სამხედრო სამსახურის პერიოდში მიღებული

აქვს მედალი მხედრული მამაცობისთვის, ღირსების მედალი, მე-2
ხარისხის უწყებრივი მედალი, მედალი „სამშობლოსათვის თავდადებუ-
ლი“, შემდეგ მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება, იყო ომისა და სამხედრო
ძალების ვეტერანი.

პოლკოვნიკი გ. გოგობერიშვილი გარდაიცვალა 2015 წლის 27 დე-
კემბერს. იგი დასაფლავებულია მშობლიურ სოფელ გელათში. ქვეყნის
წინაშე მისი გაწეული სამსახურის უკვდავსაყოფად, საქართველოს თავ-
დაცვის სამინისტროს, ვეტერანთა საქმის სახელმწიფო სამსახურის შუა-
მდგომლობით, ასევე ლაგოდესის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებუ-
ლოს ჩართულობით, ლაგოდესის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019
წლის განკარგულებით, მის მშობლიურ სოფელ გელათის ცენტრალურ
ქუჩას მიენიჭა პოლკოვნიკ გიორგი გოგობერიშვილის სახელი.

ამის ინიციატორი არის თავდაცვის სამინისტროს საფინანსო დეპარ-
ტამენტის ერთ-ერთი სამართველოს უფროსი, დავით ხაჩიძე სადაც ბოლო
წლებში მუშაობდა გიორგი გოგობერიშვილი.

ვასილ მჟავანაძის საინტერესო სტუმრობა ლაგოდეხში

საქართველოს მოსახლეობა და ლაგოდეხელები ომის შემდეგ რომ ეკონომიურად გაძლერდნენ, ეს ვასილ მჟავანაძის დიდი ზრუნვისა და სიკეთის დამსახურებაა ეს რომ უდავოა, სწორედ ამით მინდა დაიწყო



საუბარი. „არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორი მიზნები, განზრახვები და რწმენა აქვს ადამიანს, მას მისი საქმეების მიხედვით აფასებენ“ დიან, ომში გამოვლილი გენერალ-ლეიტენანტი ვასილ მჟავანაძე საქართველოს ისტორიას და განსაკუთრებით ლაგოდეხის რაიონს სწორედ 1953-1972 წლებში კომპარტიის ცეკას პირველი მდივნობის პერიოდში, თავისი კეთილი და მნიშვნელოვანი საქმეებით შემორჩა.

ეს ის წლებია, როდესაც ლაგოდეხის მოსახლეობას რუსეთის ბაზრებში გაქონდათ ივნისივლისში პომიდორი, რა თქმა უნდა, ჭირდა სატვირთო ავტომანქანები, ამიტომ მოსახლეობის მოთხოვნით, ვ. მჟავანაძის დაავლებით თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებიდან ლაგოდეხში ჩამო-

დიოდა მანქანები. ორი ოჯახის მოყვანილ პომიდორს ერთი მანქანით ტვირთავდა და აგზავნიდნენ რუსეთის ბაზრებში. ტვირთის პატრონები კი ლაგოდეხიდან თვითმფრინავით თბილისამდე და იქიდან დანიშნულების ადგილზე მიფრინავდნენ. ამ წლებში აშენდა ლაგოდეხში ორსართულიანი სახლები.

ისტორიას შემორჩა, როგორ დაიწყო ვასილ მჟავანაძის პირველი სამუშაო კვირის დღეები. ერთ-ერთი უშიშროების მაღალჩინოსანი შედის მის კაბინეტში, ხელში საქალაქე უჭირავს და ეუბნება ვასილ პავლოვიჩ, აი, იმ პირთა სია, რომელთა მიმართ სასწრაფო ზომების მიღებაა საჭირო, ორ მწკრივად წერია სახელები, გვარები და თანამდებობები, პირველ მწკრივში წერია „დასახვრეტები“! მეორე მწკრივში წერია „დასაპატიმრებლები“, ვასილ მჟავანაძეს გადაუთვალა იერებია ეს სია და მოჭრით უთქვამს „მე აქ ხალხის დასახვრეტად და დასაჭერად არ მოვსულვარ, მკაცრად და მოჭრით პასუხობს, მე აქ სიკეთის საკეთებლად მოვედი და ჩამოართვა მას ეს საქალაქე და უთქვამს რამდენიმე დღეში მე თვითონ დაგებარებო.

ეს ის პერიოდია როცა მისი წინამორბედი ცეკას პირველი მდივნები კანდიდ ჩარკვიანი და აკაკი მგელაძე გადასახლებულები იყვნენ. ეს იყო ქვეყანაში ომის შემდგომი ურთულესი წლები, მაგრამ ომში ნაწრთნობ გენერალს ხალხთან ურთიერთობა და მათი გაჭირვების წუხილი არ ეშლებოდა, ამიტომაც 19 წელი მოუწია საქართველოს ხელმძღვანელობა ხალხის კეთილდღეობის ამადლებისათვის.

ახლა მინდა გავიხსენო ჩემი ლაგოდესში 27 წლის მუშაობის პერიოდში ერთი მნიშვნელოვანი მომენტი რაც ვასილ მჟავანაძის 1969 წელს ლაგოდესში სტუმრობას ეხება. ამ პერიოდში მე ვიყავი ლაგოდესის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი და პარტიის რაიკომის ბიუროს წევრი. იყო სექტემბრის დასაწყისი როდესაც კახეთში რთველი უკვე იწყებოდა, იქნებოდა დღის 3 საათი, ლაგოდესში ველოდებოდით ვასილ მჟავანაძეს, რაიკომის წინ მოვიდა შავი „ზიმი“, გადმოვიდა ვასილ მჟავანაძე, ერთი დაცვის წევრი და ცეკას თანამშრომელი, შეეგება პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვახტანგ უნგიაძე და ჩვენ ბიუროს წევრები, შევედით ყველა პირველი მდივნის კაბინეტში, 30 წუთი გვესაუბრა, მოიკითხა რაიონში მიმდინარე სამუშაოები და შემდეგ მოითხოვა ერთ-ერთ კოლმეურნეობაში რთველის დაწყების მდგომარეობა და კოლმეურნეობის ბრიგადირებთან შეხვედრა-გასაუბრება.



გაზეთი „ასავალ-დასავალი“. ზეიმი ყაზბეგის რაიონში

წავედით ცოდნისკარის კოლმეურნეობაში, სადაც იმ პერიოდში კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო ავთანდილ კაპანაძე. ჩავედით სოფელში, კოლმეურნეობის ეზოში გველოდებოდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბრიგადირები, საბჭოს თავმჯდომარე და სკოლის დირექტორი. შევედით კოლმეურნეობის შენობაში, თავმჯდომარის კაბინეტში

ერთი საათი გაესაუბრა ბრიგადერებს და მოითხოვა მოწინავე მევენახის გრიგოლ ხარშილაძის ვენახის დათვალიერება, ამ კაცზე როგორც მოწინავე მევენახე გაზეთებში ხშირად იწერებოდა და იქიდან ახსოვდა.

კოლმეურნეობის შენობიდან რომ გამოვედით ეზოში ყოფნის დროს ვასილ მჟავანაძეს მოესმა მუსიკის (დოლ-გარმონის და კლარნეტის) ხმა, იმ წამსვე იკითხა, ეს რა მუსიკის ხმა ისმის, რა ხდებაო, უცებ ვახტანგ უნგიაძე დაიბნა, რა ეპასუხა არ იცოდა რადგან მისთვისაც მოულოდნელი იყო, გვერდზე მდგომ ავთანდილ კაპანაძემ უთხრა, ვასილ პავლოვიჩ, აქვე ახლოს ერთი მოწინავე ოჯახი ცხოვრობს, ახალგაზრდები შეუღლდნენ და ოჯახში ქეიფით აღნიშნავენო. ყველას გვეგონა იტყოდა გახურებული სასოფლო სამეურნეო სამუშაოების პერიოდი, რა დროს ქეიფიაო.

გაეხარდა, უცებ შემობრუნდა დაემშვიდობა ბრიგადერებს და ავთანდილ კაპანაძეს უთხრა გაგვიძეხი წინ მივიდეთ და ჩვენც მიულოცოთ ახალგაზრდებს ახალი ოჯახის შექმნაო. წავედით ფეხით, გზის მეორე მხარეს მივედით ოჯახში, ეზოში იყო გაშლილი 150 კაციანი სუფრა, შესვლის დროს ხალხმა რომ დაინახა ვასილ მჟავანაძე, ხალხი თანდათან წამოდგა ფეხზე, ვასილ მჟავანაძემ მოიკითხა ოჯახის უფროსი და ეუბნება გვაპატიეთ დაუპატიჟებლად, რომ მოვედითო, მივიდა მეფე-პატარძალთან გადაკოცნა, მოითხოვა ყანწით ღვინო, ადგივრძელა დალოცა, ამოიღო ჯიბიდან ფული, მისცა ახალგაზრდებს და უთხრა მეტი არა მაქვს, რაც მაქვს გაძღვეთ და ჩემგან სამახსოვროთ რაც თქვენ გინდათ იყიდეთო. ეზოდან გამოსვლისას კი მოითხოვა ერთ ჭიქაც შემივსეთ, ამით ლაგოდეხელი მშრომელი ხალხი უნდა დაგლოცოთო. აი ასეთი ჰუმანური და ხალხის მოამაგე კაცად დარჩა ქვეყნის ისტორიაში.

ვასილ მჟავანაძეს, როგორც ომში ნამყოფ და მებრძოლ კაცს, ალბათ იქიდანაც შემორჩა იალალებთან სიახლოვე და სიყვარული, ახლოს მეგობრობდა ულიანოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ევგენი დუგმასოვთან, რომელიც იყო რამდენიმე არჩევის ცეკას წევრობის კანდიდატი, ვ. მჟავანაძეს უყვარდა ნადირობა ლაგოდეხის ჭიაურის ტყეში გარეულ ღორზე, აქ ამ ტერიტორიაზე დღესაც არის ევგენი დუგმასოვის მაშინდელი აშენებული ღამის გასათევი მონადირეთა სახლი, რომელსაც მჟავანაძის სახლს ეძახიან ლაგოდეხელები. იყო ერთი ასეთი ნადირობის ნამდვილი ამბავი რომელიც ბევრმა დღესაც არ იცის, ვ. მჟავანაძეს მოსკოვიდან ჰყავდა სტუმარი, ეტყობა, თავისავეთ გარეულ ღორზე მონადირე, ნადირობაში არის ზოგჯერ ყოველთვის არ გაგიმართლოს 2-3 დღე ინადირო და ვერაფერი მოკლა, ამიტომ ე.დუგმასოვმა მონადირეები წინასწარ გააგზავნა ღორზე სანადიროთ, მოკლეს ერთი

გარეული ღორი, გარეული ღორი გარეგნობით ძალიან წააგავს კახური-იმერულ ღორს, ნადირობის წინა დღეს მონადირეებმა ერთი ასეთი ღორი წაიყვანეს ტყეში თოკით დააბეს სამონადირეო ადგილზე. გამთენიისას როცა დაიწყო ნადირობა ძაღლებმა დაიწყეს ყეფა და მიადგნენ დაბმულ ღორს, მოსკოველმა და მჟავანაძემაც ესროლეს და მოკლეს ღორი, მივარდა მონადირე და ვეხზე დანით თოკი მოაჭრა, გაგრძელდა ნადირობა. ამასობაში გათენდა დღის 2 საათზე დამთავრდა ნადირობა, მონადირეთა სახლში მივედით, მონადირეებმა შეცვალეს მოკლული ღორი და მოსკოველ სტუმარს ვასილ მჟავანაძემ გაატანა მოსკოვში.



სურათზე: ცენტრში – ვასილ მჟავანაძე – საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი. მარჯვნიდან: ზესტაფონის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი თემურ კაკოჩაშვილი, სკოლის მოსწავლე, სიღნაღის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი გივი სომხიშვილი, ზუგდიდის რაიონის მეჩაიე, ლაგოდეხის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ჯემალ ხაჩიძე

აქვე მინდა ერთი პატარა მომენტიც გავიხსენო ვასილ მჟავანაძის შესახებ, 1967 წელს, როდესაც ამირჩიეს ლაგოდეხის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად, მე და რამდენიმე რაიონის პირველ მდივნებს გვამტკიცებდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე, როცა წაიკითხეს ჩემი ბიოგრაფიული და ოჯახური მონაცემები ფეხზე

ვიდექი, როცა აღინიშნა, რომ დედა მასწავლებელი, მამა დაიღუპა დიდ სამამულო ომში, თვითონაც ადგა ფეხზე, დამიქნია ხელი და მითხრა მოდი ახლოსო, ყველა განცვიფრებით გვიყურებდა, ჩამომართვა ხელი, გადამკოცნა და ბატონ ოთარ ჩერქეზიას კომკავშირის ცეკას პირველ მდივანს და ბიუროს წევრს უთხრა, კარგი კანდიდატურა შეგიჩვენებიათო, ასეთ ახალგაზრდებს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოთო.

საქართველოს გადარჩენისათვის, წინა საუკუნეებში მებრძოლი წინაპრების უამრავი ძეგლებია საქართველოში, რაც ძალიან კარგია, მაგრამ მე-20 საუკუნეში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ქვეყნის გაძლიერების და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ზრუნვისათვის განსაკუთრებული დიდი წვლილი მიუძღვის ვასილ მჟავანაძეს. მე როგორც პოლიტიკოს და მეცნიერს დიდ სირცხვილად მიმაჩნია, რომ თბილისში დგას აზერბაიჯანის რესპუბლიკის ყოფილი ცეკას პირველი მდივნის, ჰეიდარ ალიევის ძეგლი და არსად არ დგას ვასილ მჟავანაძის ძეგლი. სხვათა შორის, აზერბაიჯანელ ჩემს მეგობრებსაც უკვირთ და მეკითხებიან ხოლმე ამ ძეგლის არსებობის შესახებ.

თუ გადავხედავთ საქართველოს კომპარტიის ისტორიას 1921 წლის 20 მაისიდან 1991 წლის 26 მაისამდე, საქართველოში მოღვაწეობდა ცეკას 19 პირველი მდივანი. საქართველოს იმდროინდელი პირველი პირების არცერთი ძეგლი არ დგას თბილისში. ვასილ მჟავანაძე 19 წელი ურთულეს პერიოდში მოღვაწეობდა, მისი ძეგლი თბილისში ნამდვილად უნდა დაიდგას, ის იყო უდიდესი მამულიშვილი, მისი დამსახურება საქართველოს წინაშე განუზომელია, მან მთელი თავისი ენერგია შეაღია ჯერ დიდ სამამულო ომს და შემდეგ საქართველოს აღმშენებლობას.

კიდევ ერთი საინტერესო გაცხენება გაზეთი „კომუნისტიდან“ 1972 წელს ვასილ მჟავანაძე როდესაც გადადგა საქართველოს ცეკას პირველი მდივანობიდან, მოსკოვში გადავიდა სამუშაოდ და მიფრინავდა, აეროპორტში აცილებდნენ ცეკას ბიუროს წევრები, შოთა ჭანუყვაძეს თვითმფრინავის ტრაპიდან უთხრა ედუარდ შევარდნაძეზე, ეს ყველაფერი შენი ბრალია, შენ რომ არა, ის ეხლაც ისევ მამათში ჩარჩებოდა ამბულატორიის ფერშლად ან სკოლის ისტორიის მასწავლებლადო. ვასილ მჟავანაძემ თავისი ჰუმანურობით ყველა გამცილებელი გადაკოცნა, დაემშვიდობა და წარმატებები უსურვა საქართველოს.

ლაგოდესში ჩემი განვლილი წლები და რესპუბლიკის ხელმძღვანელობის სტუმრობა

აქ ჩემი ინდივიდუალური ბიოგრაფიის წარმოჩენა კი არ მინდა, არამედ ერთიანად ათეული წლების მანძილზე ჩემთან ერთად ყველას გაბმული ძაფის გასხენება მინდა ხალხის უკეთესი ცხოვრების და ქვეყნის კეთილდღეობისათვის. სანამ ვინმე ჯეროვნად და საფუძვლიანად შეგვაფასებენ ლაგოდესში ჩემი განვლილი გზით, ვფიქრობ, თავადაც მაქვს სრული უფლება და მოვალეობა, რომ გავიხსენო, შევაფასო სინამდვილე, რაც არ შეიძლება 21-ე საუკუნეში მიეცეს დავიწყებას.

თავის ქება ჩირადაც არ ფასობს, მაგრამ როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ მე-20 საუკუნის საქართველო ახალგაზრდობისა და მისი წარმართველი ძალის გარეშე, როგორ შეიძლება ღირსეულად არ დავაფასოთ ცხოვრების ნებისმიერ სფეროში დღევანდელი გადასახედიდან „ჩემი და ჩემი უფროსი თაობის ადამიანები“. ახლა რამდენიმე მათგანი ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ ისინი თავიანთი გაკეთებული საქმეებით, ისტორიული მქსიერებიდან არასოდეს წაიშლებიან თავიანთი კაიკაცობით.

ამიტომაც მინდა გავიხსენო ჩემს წიგნში რამდენიმე მათგანი, ვისთანაც უშუალოდ საქმიანი შეხება მქონდა ახალგაზრდობის 8 წლის განმავლობაში კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობის დროს: ოთარ ჩერქეზია, როინ მეტრეველი, ჯუმბერ პატიაშვილი, ჟიული შარტავა, ლაგოდესის კომკავშირის რაიკომის მუშაკები, რომლებიც დღედაღამ დაუღალავად ვმუშაობდით და ჩაბმულები ვიყავით რაიონის ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდისა და მათი პოლიტიკურად მომზადებისთვის.

იქნებ უცნაურადაც ჩანდეს, მაგრამ იმ პერიოდში თითქმის ყველაფერი თანდათან საუკეთესო იქმნებოდა და კეთდებოდა. მე ლაგოდესის წარსულიც კარგად ვიცი და დღევანდელობაც. სადაც კი მიმუშავია, ჩემს ხელმძღვანელებთან მუდამ კარგი ურთიერთობა მქონია, ვიდრე ბოლოდროინდელ ზოგიერთ პირველ პირებს. ი. ჭავჭავაძის ბრძნული ნათქვამია „ვინც წარსულს არ შეაფასებს, ის მომავლისათვის ბრმა არისო“. მთავარი ის არის – რომ შეაფასო, ხომ უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო ვიღაცისგან სიმართლის აღიარება და შემდეგ ხალხში გადაიტანო. თავისთავად ისმება კითხვა: რა გვაქვს დღეს საამაყო ბოლო 30 წლის განმავლობაში? 70-წლიანი სოციალიზმის ეკონომიკის შემდეგ – ბევრი არაფერი.

კაპიტალიზმმა დასავლეთისა და ევროპის ქვეყნების დიდი უმრავლესობა აყვავებულ სახელმწიფოებად აქცია. მათ 7 ათეული წლები დასჭირდათ სწორი კაპიტალისტური მართვისათვის და არა ისე, როგორც საქართველოში – იხარჯება მილიარდები კაპიტალიზმის სისტემის არასწორად ჩამოყალიბებისთვის. ზოგს ჰგონია, შაბათ საღამოს სოციალიზმში „მძინარეს“, ორშაბათს კაპიტალიზმში „გაგვეღვიძება“. ამიტომ საჭიროა გავაკეთოთ ის, რაც 50 წლის წინ ჩინეთმა გააკეთა სტალინის პროგრამით.

ოთარ ჩერქეზია სულ სხვა ღიმილის კაცი იყო



ვინც ბატონ ოთარ ჩერქეზიას, ახლოს იცნობდა პოლიტიკაში მართლაც სულ სხვა ღიმილის და საქმის კაცი იყო, ჩემი პირველი შეხვედრა მასთან იყო როდესაც სრულიად ახალგაზრდა, როგორც ლაგოდენის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი მოსკოვში ოთხი თვით კომკავშირულ-პარტიულ სკოლაში ჩემი კანდიდატურა შეირჩა და 1967 წლის აგვისტოში სხვა ჩემ 4 მეგობართან ერთად შევხვდით გასაუბრებისათვის.

გასაუბრებაზე შეგვიყვანა ბატონ ოთარისთან ცეკას პროპაგანდის განყოფილების გამგემ ბატონ ნუგზარ წერეთელმა. ესენი იყვნენ (თბილისიდან ვასიკო ჩომახიძე, ენდი ზარაძე და ნუგზარ ფოფხაძე, ცხინვალისა და იური ჯუსოვი, წაღენჯიხიდან ნანა პაპასკირი). ენდი ზარაძე და ნანა პაპასკირი გასაუბრება-შეხვედრის შემდეგ კაბინეტიდან ადრევე გაუშვა, ჩვენ დაგვტოვა და ჩავკითხეთ მამაკაცური გაფრთხილება, რომ მოსკოვში კომკავშირულ-პარტიულ სკოლაში არიან საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსული ახალგაზრდებიც და გვთხოვა ჩვენ როგორც საქართველოს წარმომადგენლები განსაკუთრებით ქალების მიმართ წესიერად მოვქცეულიყავით. რადგან წინა წლებში ყოფილა ფაქტები უცხო ქვეყნის ქალებზე ნამეტანი ქართული ყურადღების გამოხატვის და მერე ცუდად დამთავრებულა.

მეორე მასთან შეხვედრა შედგა მოსკოვში საკავშირო კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში, როდესაც ბატონი ოთარი ჩამოსული იყო მოსკოვში და რამდენიმე დღეში სერგეი პავლოვთან ერთად საზღვარგარეთ მიდიოდა, ჩვენ ხუთივენი დაგვიბარეს და გაგვესაუბრა.

ბატონი ოთარის ყოველი გაბრაზებაც საოცარი ღიმილით მთავრდებოდა, ეს მე პირადად მაქვს შეგრძნებული მასთან კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს პირველ სხდომაზე როდესაც ახალი არჩეული ვიყავი ლაგოდენის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივანად, რაღაც საკითხები შემეკითხა და დავიბენი პასუხის გასაცემად მიხვდა ამას, როგორც უაღრესად გამოცდილი პოლიტიკოსი და თვითონვე გამოიყვანა უხერხულობიდან, შემდგომი სხვა ბევრი შეხვედრების შემდეგ ჩემში დარჩა თბილი მოგონებები.

ბატონი ოთარი, შემდეგ დიდხან მუშაობდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში განყოფილების გამგედ და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარედ. გულახდილად მინდა ვთქვა, რომ ბატონი ოთარი მართლაც სულ სხვა კაცი იყო და ეს იცოდა ყველამ, ვინც მასთან მეგობრობდა.

როინ მეტრეველი – აკადემიკოსი, პოლიტიკური და დიდი მეცნიერული მოღვაწე



1957 წელს ჩაირიცხა თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაასრულა 1962 წელს, აღნიშნულ პერიოდში უნივერსიტეტში სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ბატონი როინი აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურმოღვაწეობასაც ეწეოდა. 1968-1970 წლებში იყო საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე, ბიუროს წევრობის კანდიდატი.

ბატონი როინი არის ისტორიკოსი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1993 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის თორმეტტომეულის გამოცემის ავტორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი (1991-2004 წწ.), არის 300-ზე მეტი წიგნისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

აქვე აღვნიშნავ, მე დიდ პატივად მიმაჩნია რომ ბატონ როინ მეტრეველთან მომიწია ახალგაზრდობის წლებში ლაგოდეხის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივანად მუშაობა, ჩემთვის პატივია ისიც რომ დღესაც კარგი ურთიერთობა მაკავშირებს.

ჯუმბარ პატიავპილის სტუმრობა ლაგოდეხში



21-ე საუკუნეში ადამიანთა გარკვეულის მოსაზრებით და განსაკუთრებით ახალგაზრდების შეფასებით კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე ყოფნას ცოდვად თვლიან, რასაც მე პირადად ვერც დავეთანხმები და ვერც მივიღებ ასეთ სულელურ მოსაზრებას. ზოგიერთი ადამიანი, რომელსაც ერთი მცენარის ნერგიც არ დაურავს პოლიტიკოსად წარმოგვიდგება, თან გაიძახის 20-25 წელზე მეტია სულ ოპოზიციაში ვარო, ზოგმაც შრომის წიგნაკები პარლამენტის დეპუტატობიდან, ზოგმა მინისტრის მოადგილეობიდან გახსნეს. წარსულის

ცხოვრების ლანძღვა-გინება მიუღებელია, უნდა ვიფიქროთ მომავალზე, უკეთესი ცხოვრების აშენებაზე, ახალგაზრდობის აღზრდაზე.

მე პირადად ბედნიერად და საამაყოთ მიმაჩნია რომ საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდობიდანვე ჩემ მშობლიურ ლაგოდეხის რაიონში 27 წლის განმავლობაში მომიწია მუშაობა კომკავშირულ-პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი თანამდებობებზე, ასევე აგრარულ უნივერსიტეტში 10 წელი სამეცნიერო სამუშაოზე, მე დღეს არ ვიცი ორი რამ პირველი; რა ხდება კოსმოსში და რა ხდება ციხეებში, დანარჩენი ნორმალური ცხოვრების ყველა გზა გავლილი მაქვს ჩემი დაუღალავი შრომით.

ასევე ბედნიერად და საამაყოთ მიმაჩნია რომ ლაგოდეხში ახალგაზრდობის წლებში 8 წელი მომიწია მუშაობა ლაგოდეხის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად, ეს იყო წლები როდესაც კომკავშირის ცეკას პირველი მდივნები იყვნენ, ბატონი ოთარი ჩერქეზია, ბატონი როინ მეტრეველი, ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი და ბოლო 5 თვე ბატონი ჟიული შარტავას მეორე მდივნობის დროსაც მომიწია მუშაობა, ბატონი ჟიული მეუბნებოდა შენ იმ დროს მიდიხარ კომკავშირული სამუშაოდან როცა მე მოვედი კომკავშირის ცეკას პირველ მდივნად. ეს წლები იყო ჩემთვის მეორე დიდი ინსტიტუტი და აკადემიაც. თუ რამე ვისწავლე წესიერება, პატიოსნება, პოლიტიკური ხელმძღვანელობა მათგან ვისწავლე მეც და ჩემი თაობის მთელმა საქართველომ.

1969 წლის შემოდგომა კომკავშირის ცეკას გრაფიკით საქართველოს ყველა რაიონში ტარდება პლენუმები, ლაგოდეხში პლენუმზე გვესწრებოდა ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი, როგორც კომკავშირის ცეკას მეორე მდივანი, ბატონმა ჯუმბერმა საკმაოდ დადებითი შეფასება მისცა ჩვენი რაიკომის და ლაგოდეხელი ახალგაზრდების მუშაობას სოფლის მეურნეობის ყველა უბანზე; თამბაქოს, აბრეშუმის, მევანახეობის და მეცხოველეობის მიმართულებით, განსაკუთრებით სოფელ აფენის კოლმეურნეობაში, სადაც იმ დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარეთ მუშაობდა სერგო ცოტაძე ყოველმხრივ ხელს გვიწყობდა ჩვენი წინადადებების განხორციელებაში, შეგვქმენით მეთამბაქოების კომკავშირულ ახალგაზრდული ბრიგადა, ამ ბრიგადაში საპატიო წევრად ავირჩიეთ ჭადრაკში



ახალგაზრდა ჩემპიონი ნანა ალექსანდრია, ასევე ამავე კოლმეურნეობაში შეეკმენით და დავაკომპლექტეთ ახალგაზრდებით მევენახეობის ბრიგადა 4 მცირე ტიპის ტ-25 ტრაქტორებით, მათგან ტრაქტორებზე მუშაობდა ორი გოგონა, რომლებიც მუშაობდნენ ვენახების წამლობაზე, სიმინდის კულტივაციებზე და სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო სამუშაოებზე.

პლენუმის დამთავრების შემდეგ ბატონმა ჯუმბერმა მოითხოვა ენახა მექანიზატორი გოგონების მუშაობა, რომლებზეც გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „სოფლის ცხოვრება“ ხშირად წერდნენ ამის შესახებ. როცა ჩავედით მოულოდნელად აფენის კოლმეურნეობაში, შევხვდით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ეს გოგონები ამ დროს ტრაქტორზე მიბმული ლაფეტებით მინდვრიდან საშრობებში ეზიდებოდნენ დაკრეფილ თამბაქოს, ბატონი ჯუმბერი გაესაუბრა მათ, იქვე მყოფმა ახალგაზრდა საშუალო სკოლადამთავრებულმა გოგონამ სთხოვა ბატონ ჯუმბერს, რომ მასაც უნდოდა ტრაქტორზე მუშაობა, მაგრამ ასეთი ტიპის ტრაქტორი კოლმეურნეობას მეტი აღარ ჰქონდა, ბატონი ჯუმბერი დაპირდა, რომ ეცდებოდა და სთხოვა სოფტექნიკის მმართველს, რომ ერთი ასეთ ტრაქტორს მოკლე ხანში გადმოგვცემდა ამ ახალგაზრდისათვის, ამ დაპირებით გახარებული იყო, მაგრამ დრო იყო საჭირო.

1970 წლის 27 მარტს გაიმართა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, ბატონი ჯუმბერი აირჩიეს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანად, დაიწერა ეს გაზეთებშიც, ერთი თვის შემდეგ მაისის დასაწყისში როდესაც უკვე იწყება საგაზაფხულო სამუშაოები, ეს გოგონა მოდის ჩემთან რაიკომში და მეუბნება ხვალ მივდივარ კომკავშირის ცეკაში, ბატონი ჯუმბერი შარშან რომ შემიპირდა ტრაქტორს უნდა შევასწავლო ეხლა ხომ უკვე პირველი მდივანი იაო.

მე როგორ ვეტყოდი არ წახვიდე, მართლაც ბატონ ჯუმბერს შეხვედრია ცეკაში და ურეკავს სოფტექნიკის მმართველს ბატონ დ. სარიშვილს რომ ლაგოდეხიდან ის მექანიზატორი გოგონა ჩემთანაა კაბინეტში, დაპირებულ ტ-25 ტრაქტორზე რა გადაწყვეტილება მივიღოთ, მას უპასუხია რომ 15 ასეთ პატარა ტრაქტორებს ელოდებიან და ერთს აუცილებლად გამოუყოფდა, თან ბატონ დ. სარიშვილს უთქვამს თუ შეიძლება ჩემთან გამოგზავნე ეს გოგონა, მეც მინდა გავესაუბროვო.

მართლაც, 20 დღეში დანაპირები ტრაქტორი ლაგოდეხის სოფლის მეურნეობის სამმართველოში მის სახელზე მოვიდა და როგორც წესი. წნორის ბაზაში მივიღეთ. ამით იმის თქმა მინდა, რომ მაშინდელი საქართველოს მთავრობა, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ყველა შესაბამისი სამსახურები, რაიონებში სოფლად ყველა ფიქრობდა ახალგაზრდობის დასაქმებაზე.

დამაგრებაზე, დოვლათის შექმნაზე, ახლის ძიებაზე და ქვეყნის მომავალ განვითარებაზე. ეს გოგონა გახარებული დარჩა დანაპირებით და ამაზეც გაზეთებში ბევრი სტატიები დაიბეჭდა.

ლაგოდენში ბატონი ჯუმბერ პატიაშვილის შემდეგი ჩამოსვლა კიდევ დაიგეგმა 1974 წელს ლაგოდენის პარტიის რაიკომის პლენუმზე, როგორც კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი. ბატონი ჯუმბერი სხვა რაიონებშიც ხშირად დადიოდა, მაგრამ ლაგოდენი მაინც ცოტა განსაკუთრებული იყო მისთვის რადგან ლაგოდენში იყო დაბადებული და ბავშვობის წლების მოკლე პერიოდი ლაგოდენში ჰქონდა გატარებული, ეს ის წლებია როდესაც ბატონი ილია პატიაშვილი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ლაგოდენში იყო გამოგზავნილი და მუშაობდა რაიონის (მიწვანი) შემდგომში სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარ აგრონომად, იმ წლებში საქართველოს მთავრობა ახალგაზრდა სპეციალისტებს აგრონომებს, მასწავლებლებს, ექიმებს, მექანიზატორებს სამუშაოდ აგზავნიდნენ სასოფლო რაიონებში.

პლენუმის დამთავრების შემდეგ ბატონი ჯუმბერი შეგხვდა კომკავშირის რაიკომის თანამშრომლებს, გამოიკითხა ჩვენი საქმიანობა, შემდეგ დაინტერესდა და უნდოდა იმ ადგილის ნახვა, სადაც ომამდე ლაგოდენში ჩამოსული სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის აშენებული ყოფილა ოთხი ოჯახისათვის ფინური ტიპის აგროსახლი იდგა, რომელიც მდებარეობდა (ამჟამად რაიონული სავაჭროს) ეზოში, ამ ადგილს მივაგენით იმით რომ ამ აგროსახლის გარშემო მათ დაურგავთ 15-მდე ნაძვის ხეები, რომლებიც დღესაც არის, იმ ფინურ სახლში ცხოვრობდა ჩამოსული ოთხი ოჯახი, ილია პატიაშვილი, აკაკი ცინცაძე, სოსო ჭანტურია და ალექსანდრე შავლაყაძე. აქედან აკაკი ცინცაძე იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი და აურჩევით სოფლის კრებას ცოდნისკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ალექსანდრე შავლაყაძე მუშაობდა აფენის მანქანა-სატრაქტორო სადგურის დირექტორად, სოსო ჭანტურია – ვარდისუბნის მანქანა-სატრაქტორო სადგურში დირექტორად.

ბატონი ჯუმბერ პატიაშვილის კარიერული გზა საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში კომკავშირული მოღვაწეობით დაიწყო. სხვადასხვა თანამდებობების გავლის შემდეგ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა, რომელიც ახორციელებდა ქვეყნის განვითარებას ხალხის კეთილდღეობის ამარლებისათვის, მაგრამ შემდეგ მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო, მე ამის გაანალიზებას აქ ვერ მოვახდენ, მაგრამ ჩემი პოლიტიკური გამოცდილებიდან

და გადასახედიდან თამამად შემიძლია ვთქვა რომ ეს იყო დაგეგმილი ვილაცეების მიერ მაშინდელი ქვეყნის ხელმძღვანელობის და პოლიტიკური ბიუროს წინააღმდეგ, მაგრამ ერთი კი თამამად შემიძლია დამაჯერებლად ვთქვა რომ, ბატონ ჯუმბერ პატიაშვილის ქვეყნის ეროვნულ ინტერესებში ეჭვის შეტანა შეუძლებელია ვინც ახლოს იცნობდა მას.

ბოლო წლებში, კომკავშირულ-პარტიული, სამეურნეო ორგანიზაციის გაუქმების შემდეგ, განსაკუთრებით 2000 წლებიდან, შემთხვევითმა ხალხმა დაიწყეს რევიონების და ქვეყნის მართვა, ინსტიტუტი თუ უნივერსიტეტი ადამიანს აძლევს ზოგად სპეციალურ განათლებას, ხოლო შემდეგ ყველამ უნდა გაიაროს რამდენიმე წელი რიგითი თანამდებობა, მაღალკვალიფიციური ადამიანებისაგან უნდა ისწავლონ მუშაობა, რომ მართონ წარმოება, დაწესებულება, სამინისტრო, რომ შეგეძლოს ქვეყნის მართვა, როგორ შეიძლება 2012 წლიდან 8 წელიწადში შეიცვალოს ნ-ჯერ ქვეყნის ხელმძღვანელი პირველი პირი, იმიტომაც ვართ ასეთ დღეში. მაშ, როგორ უხელმძღვანელა 19 წელი ვასილ მჟავანაძემ, დიანაც, უხელმძღვანელა და აშენდა ქვეყანა კიდეც.

ჟიული შარტავას ხშირი სტუმრობა ლაგოდეხში



ჩემი წიგნის გამოცემისათვის მომზადებას დაემთხვა ჟიული შარტავას 76 წელი, 1944 წლის 7 მარტი მისი დაბადების დღეა. სიკვდილი ყველაფერს არქმევს თავის სახელს. სწორედ მისი გმირული სიკვდილის გადასახედიდან მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა ჩემი ასაკის და ახალგაზრდობის წლების მუშაობის მეგობარ ჟიული შარტავას ცხოვრებაზე და მის საქმეებზე.

1968-1970 წლებში ჟიული შარტავა მუშაობდა თბილისის კომკავშირის ქალაქკომის პირ-

ველი მდივნის ვილი ალავიძის მოადგილედ, კომკავშირის ქალაქკომის და განათლების სამინისტროს ერთობლივი ღონისძიება ტარდებოდა, თბილისში სკოლებში სწავლის დამთავრების შემდეგ ქალაქში რჩებოდა მოსწავლეთა უმრავლესობა, ისეთი ბავშვები, რომლებსაც სკოლის შემდეგ ზაფხულის პერიოდში სჭირდებოდათ მკაცრი ყურადღება უდელ-მამო მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, მარტო ბები-ბაბუების მზრუნველობა და კონტროლი არ იყო საკმარისი.

ლაგოდეხში, განათლების სამინისტროს მიერ ახალი აშენებული იყო 200-ადგილიანი სკოლა-ინტერნატი კახეთის რაიონების მოსწავლეებისათვის. 3 წლის განმავლობაში ლაგოდეხში ჩამოჰყავდათ მთელი ზაფხულის განმავლობაში თბილისის სკოლების მოსწავლეები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. ყოველივე ამ ღონისძიებას ხელმძღვანელობდა და აკონტროლებდა ახალი შარტავა, თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ლაგოდეხში ჩამოდიოდა.

მეც ამ წლებში ვმუშაობდი ლაგოდეხის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად, ხშირად გვქონდა საქმიანი შეხვედრები, მოდიოდა ჩვენთან რაიკომშიც, თუ რამე შეიძლებოდა დახმარება პარტიის რაიკომთან ერთად ყველაფერში ვეხმარებოდი. ხშირად როცა კი ნახულობდა ოდნავ დროს აინტერესებდა სოფლის ახალგაზრდების საქმიანობა კოლმეურნეობებში. ლაგოდეხელი სკოლის მოსწავლეებისათვის ყოველწლიურად ზაფხულის პერიოდში ჩვენ გვქონდა მოწყობილი „კაბალგესის“ ტერიტორიაზე პიონერთა და მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკი 150 ბავშვზე, ხშირად აქაც ვსტუმრობდით.

ზოგჯერ სუფრაზეც გვქონდა შეხვედრები, აკვირდებოდა ჩემს თამაშობას და ღვინის სმას, ერთხელ ხუმრობით და სიცილით მეუბნება, კომკავშირის ცეკას თანამშრომლები შენზე ამბობენ ლაგოდეხში ყველას გვათრობს სუფრაზე, ერთი ამიხსენი როგორ ათრობ ცეკას მოქიფე ბიჭებსო, მეც სიცილით ვუთხარი, რომ ავიხსენი, თბილისში რომ ჩახვალ თუ არავის ეტყვი, ავუხსენი, რომ 4-5 სადღიგრძელს შემდეგ მერე მიყვარს 3-ჭიქიანი დიდი სასმელით განსაკუთრებული სადღეგრძელობის შესმა, თანაც ისეთი სასმისით რომელიც გაუმჭვირვალეა, ჩემ ჭიქაში ნახევარს ვასხამ, მათ კი პირამდე ვუვსებ ხოლმე, ასეთი სასმისით სტუმრებს ვასმეც ხშირად სანამ არ დავათრობდი. აი, ასეთმა შეხვედრებმა დაგვაანლოვა, დაგვამეგობრა მე და ახალი შარტავა.

ახლა ისევ ბატონი ახლის შესახებ, ის რაც აზრს აძლევს სიცოცხლეს, აზრს აძლევს სიკვდილსაც, იგი მოკვდა იმისთვის რისთვისაც ცოცხლობდა სამშობლოსათვის, მისი თავისუფლებისა და მთლიანობისათვის, იგი ბუნებამ ისეთ ადამიანად გააჩინა, რომელსაც არ შეეძლო

უჩუბრად, შეუმჩნეველად, მშვიდად ეკეთებინა ყოველთვის სიკეთე, მისი ცხოვრების მიზანი ყოველთვის იყო, ქვეყნის ინტერესები პირად კეთილდღეობაზე მაღლა დაეყენებინა და ასე გაეგლო სიცოცხლის წლები.

ყოული შარტავამ თვალნათლივ ისიც დაუმტკიცა თავის სამშობლოს, რომ ქვეყნისათვის თავგანწირვა ყველას ერთნაირად ევალება. იგი დარჩა აფხაზეთში ბოლო წუთებამდე, როგორც ამ რეგიონის მთავრობის თავმჯდომარე, მას ვერ წარმოედგინა თუ აფხაზეთში დიდი თუ პატარა მას სასიკვდილო ტყვეას ესროდა. თანაც დარჩა ბოლო წუთებამდე იმიტომ, რომ სიკვდილის წინა დღეს მოსკოვიდან აფხაზეთში ჟიულის რამდენჯერმე თხოვნით უნდა ჩამოფრენილიყო ბორის პასტუხოვი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, რომელსაც კარგად იცნობდა კომკავშირის ცეკადან და მასთან კარგი საქმიანი ურთიერთობაც აკავშირებდა.

შეთანხმებული დღის ნაცვლად ბორის პასტუხოვი ჩამოფრინდა მეორე დღეს. აფხაზეთის მთავრობის ადმინისტრაციაში ჟიულისთან შესახვედრად მისულს ჟიული და მასთან ერთად მყოფი ქართველები და დაცვის წევრები სეპარატისტების მიერ იმ დამეს გამთენიისას დახვრეტილი დახვდა, ეს იყო 1993 წლის 27 სექტემბერს. ბორის პასტუხოვის ჩამოსვლით ჟიულის ალბათ უნდოდა იქნებ ომი დროებით შეეჩერებინათ და დაწყებულიყო მოლაპარაკებები, ისე, რომ ერთი დღის დაგვიანებამ იმსხვერპლა გმირული ბუნების კაცის სიკვდილი, მე ვიცი მისი გამბედავი და გაუტეხელი ბუნება, ჩემის აზრით ომი დროებით შეწყდებოდა, ჟიული ბორის პასტუხოვთან ერთად აფხაზეთიდან მოსკოვში წავიდოდა და მისი დიდი დიპლომატიური გამოცდილებიდან გამომდინარე დაიწყებოდა შეძღვომი საქმიანი მოლაპარაკებები, მაგრამ ყველაფერი დამთავრდა ისე, როგორც დამთავრდა. კიდევ ვიმეორებ, ეს გამოიწვია ბორის პასტუხოვის ერთი დღით დაგვიანებამ.

საქართველომ, ჟიული შარტავას სახით, მშობლიურ მიწაზე შეყვარებული, კიდევ ერთი სახელოვანი, გმირული ბუნების შვილი ერისკაცი დაკარგა. სიკვდილის შემდეგ მას ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, როგორც აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე და გენერალ-მაიორი დააჯილდოვეს ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

ყოული შარტავას განსენებები არ აკლია მაგრამ, მე ვფიქრობ, ჩემს წიგნში მისი განსენება, როგორც პიროვნებისა და მოქალაქისა, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწისა, ახალგაზრდობის წლებში აღიარებული ლიდერისა და ჩემთან ლაგოდენში მოკლე საინტერესო შეხვედრებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილადაც ჩავთვალე, რომ გამეხსენებინა.



ია გამრეკელი, საქართველოს კომკავშირის ცეკას მდივნის სტუმრობა საინგილოში კახის და მიმდებარე ქართულ სკოლებში 1970 წლის სექტემბერია, სასწავლო წელი ახალი დაწყებულია, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, განათლების და კულტურის სამინისტრომ დაგეგმეს საინგილოს სკოლებში ერთობლივი ღონისძიება. დამიკავშირდა ტელეფონით ბატონი ია გამრეკელი, რომ ეწყობოდა ასეთი ერთობლივი ღონისძიება და მეც უნდა წავ-

სულიყავი მათთან ერთად, რადგან ლაგოდეხი როგორც მოსაზღვრე რაიონი თითქმის ყოველწლიურად ჩვენ დაგეგმილი გვქონდა საინგილოს სკოლებთან და სოფლებთან სპორტული და კულტურული ღონისძიებები, ვიწვევდით ლაგოდეხში და ჩვენც ვაწყობდით საინგილოში გასვლით ღონისძიებებს, ეს იცოდა კომკავშირის ცეკამ და მოწონებული იყო მათგან ჩვენი რაიკომის ღონისძიებების ეს გეგმა.

თვითონ ბატონი ია, ბუნებით ძალიან თბილი და კეთილშობილი ხასიათის პიროვნება იყო, შემდეგ მოუწია პარტიულ სამუშაოზე თიანეთის პარტიის რაიკომის პირველ მდივნად და კულტურის სამინისტროში მინისტრად დიდხანს მუშაობა, მაგრამ ჯამრთელობის გამო ადრე ახალგაზრდობის ასაკში გამოაკლა ქვეყანას, მეგობრებს, მეც ბედნიერად მიმაჩნდა მასთან ახალგაზრდობის წლებში საქმიანი ურთიერთობა.

ბატონი ია გამრეკელი, იყო საინგილოში ამ ღონისძიების ხელმძღვანელი, მას თან ახლდა განათლების და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად პოეტები: ჯანსუღ ჩარკვიანი და ზაურ ბოლქვაძე, წასვლის მიზანი იყო შეხვედრები ქართულ სკოლებში, გადაცემა ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების, სასწავლო რუქების, ფიზიკის და ქიმიის ლაბორატორიებისათვის ინვენტარი, ქართული მხატვრული წიგნების და უამრავი სხვადასხვა სპორტული ინვენტარი. ლაზის მარკის ავტობუსი თითქმის სულ სავსე იყო ინვენტარით. მე წინასწარ წერილობით შევატყობინე კახის საშუალო სკოლის დირექტორს არჩილ ოთარაშვილს დაგეგმილი ღონისძიების შესახებ, რომელსაც ძალიან ახლოს ვიცნობდი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მაშინ არ არსებობდა საქართველო-აზერბაიჯანს შორის არავითარი საბაჟო სასაზღვრო კონტროლი, ჩავედით კახის საშუალო სკოლაში, გახმაურდა ჩვენი დელაგაციის ჩასვლის მიზანი, მეორე დღეს სკოლის ეზოს და ჩვენც გვაკონტროლებდნენ აზერბაიჯანის სამართალდამცავები, დავრჩით 3 დღე, წავედით მიმდე-

ბარე კიდევ რამდენიმე ქართულ სკოლაში, სამართალდამცავები ყველგან აკონტროლებდნენ ჩვენს გადაადგილებას და უჩუმრად თან დაგვყვებოდნენ.

სკოლებში შეხვედრების დროს პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი და ზაურ ბოლქვაძე გამოდიოდა სიტყვით თავისი ლექსებით და გადასცემდა თავის წიგნებს. ამით იმის თქმა მინდა, რომ კომუნისტების დროსაც იყო საინგილოში ჩასული ქართული დელეგაციების კონტროლი აზერბაიჯანის მხრიდან გამოუმჟღავნებლად და შეუმჩნეველად. მაგრამ ბოლო პერიოდებში უკვე დიად აფიქსირებს აზერბაიჯანის მთავრობა და პირდაპირ გვეუბნება ლავოდების საბაჟო სასაზღვრო გამშვებ პუნქტს აქეთ არაფერი გესაქმებათო, თუნდაც დღეს არსებული გამწვავებული დავით გარეჯის ტერიტორიის საკითხი. ვიტოვებ იმედს, რომ საქართველოს რომელიმე ეროვნული ხელისუფლება თანდათან მოლაპარაკებებით წამოსწევს ამ მეტად ძირძველი 150 კილომეტრი ტერიტორიის ისტორიული ჰერეთის საკითხს.



1970 წელი, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, კაკლის ხეივანი საინგილოსკენ მიმავალი გზა

ჩემი ლაგოდეხის სიყვარულით

ასე ვიყავი ახალგაზრდობიდანვე განწყობილი, რომ ვისაც თავისი რაიონი, თავისი სოფელი არ უყვარს, იმას არც საკუთარი მშობლები, ბებია-ბაბუები არ ეყვარება. როდესაც ლაგოდეხის რაიონი 1962-1964 წლებში ჯერ სიღნაღის რაიონს, მერე ყვარლის რაიონს შეუერთეს ლაგოდეხის რაიონში ამ სამი წლის განმავლობაში დაგროვდა უამრავი პრობლემები მოსახლეობის და ახალგაზრდობის წინაშე, 1965 წლის იანვრიდან ლაგოდეხის რაიონის გამოყოფის დღიდანვე როდესაც დაგროვილ პრობლემებს ვხედავდით ჩვენ კომპაგშირის რაიკომის მუშაკებს არ შეგვეძლო არ წამოგვეწყო მრავალი ინციატივა, შაბათობების სახით, ლაგოდეხის რაიონის აღორძინებისათვის შემუშავებული გეგმონდა სამუშაო გეგმა და ვასრულებდით კიდევ პარტიის რაიკომთან შეთანხმებით.

როგორც იტყვიან, რაიონში დაიწყო ახალგაზრდული მჩქეფარე ცხოვრება, რომლებმაც ჩემთან ერთად გაიარეს ლაგოდეხში ჩემი თაობის პოლიტიკური გზა. თითქმის ერთად აღვიზარდეთ 8 წლის განმავლობაში. ყოველდღე ახალი ინციატივები, თვეში 2-3 ჯერ შაბათობების მოწყობა ახალგაზრდობის ძალებით, ცხოვრება ყოველდღე მართლაც ხალისიანი იყო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წელიწადში ერთხელ ვატარებდით მოსწავლეთა მსატრული თვითშემოქმედებითი ოლიმპიადას, სოფლის ახალგაზრდობის კულტურის შემოქმედებით კონცერტებს, ხდებოდა ღონისძიებების შეჯამება და დაჯილდოება. 9 ათასი ახალგაზრდა ჩაბმული იყო სწავლაში და შრომაში, მათი ხელმძღვანელობა ჩვენ გვექონდა ვალდებულებად.

ჯონი ევეტაშვილი და იმიკო წიქარიშვილი – კომპაგშირის რაიკომის მერე მდივნები; ნანა კოჭლამაზაშვილი და იოსებ გოზალიშვილი – სასკოლო განყოფილების გამგეები; ჯონდო კობერიძე და ვაჟა პავლიაშვილი – საორგანიზაციო განყოფილების გამგეები; ლევან ზავრაშვილი, ნაიბ ჩიკვილაძე და ამირან წიქარიშვილი – ინსტრუქტორები; შალვა ქათამაძე – მდივანი და ბიუროს წევრი, ჭაბუკიანის კოლმეურნეობის კომპაგშირის მდივანი; ელზარი ქადაგიშვილი – აღრიცხვის სექტორის გამგე, ახალგაზრდობის ასაკში გამოგვაკლდა.

დღეს ღმერთის წყალობით უმრავლესობა ცოცხლები ვართ, მაგრამ რამდენიმე მეგობარი ადრე ასაკში წავიდა ჩვენი მეგობრობის რიგებიდან. როცა ასაკში შედის ადამიანი და გადახედავს განვლილ წლებს, უკვე ის ხალხი ვისაც წლობით ჩემთან უმუშავია, მარტო თანამშრომლებად და მეგობრებად კი არა, ნათესაებად მიმაჩნია. როცა კი ვნახულობ დროს, ყოველთვის ვაკითხავ და ვკითხულობთ ერთმანეთის ამბავს, ვისხენებთ განვლილ წლებს და ვფიქრობთ დარჩენილ გასავლელ გზაზეც.

აქ, ნინიგორის ამ ფერდობზე, ნაძვის ხეივნის გაშენება კომპაგშირის რაიკომის ყველა თანამშრომლის წვლილია იმდენად, რომ 3 წლის განმავლობაში ზაფხულის პერიოდში მორიგეობით ვუვლიდით ახალგაზრდული ძალებით, ვედროებით ვრწყავდით თვეში ორჯერ. ასე გავაზარეთ ამ მიუღვომელ ადგილზე ნაძვის ხეივანი.

დღევანდელ გამგებლებს, პირველ პირებს ვაკეზე ერთი ნერგიც არ დაურგავთ, თუ რამეს აკეთებენ, ისაა, რომ ხარჯავენ ბიუჯეტის ფულს, საერთოდ, შაბათობა რაა, არ იციან.



2020 წელი. ნინიგორის გორაზე ჩემი გაშენებული ნაძვის ხეივანი



1970 წელი – ნინიგორის გორაზე ნაძვის ხეივნის გაშენება. ჯემალ ხაჩიძე – კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი; ალექსანდრე სიდემული – ტექნიკუმის მასწავლებელი, კომკავშირის მდივანი

ისტორიული კანონომიერების შედეგი, რომელიც აღარ მთავრდება

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია

ისტორია ყოველ ახალ საუკუნეში ახლებურად ვითარდება, მაგრამ ყოველი ახალი—კარგად დავიწყებული ძველია. ისტორია ერთი მთლიანი ჯაჭვია, რომელიც ვითარდება და არ შეორდება. შეიძლება ესა თუ ის ეპოქა წააგავდეს ერთმანეთს, მაგრამ განმეორება არ ხდება. დღევანდელ საქართველოში რაც მოხდა და მოვლენები, რომლებიც ჯერ კიდევ მიმდინარეობენ და მივყავართ ქვეყნის ვითარების სტაბილიზაციისაკენ, ეს ჩვენი ისტორიის განვითარების შედეგია. მე-20-ე საუკუნის დამლევის ბოლო წლები—შიდააშლილობა, არეულობა, პარტიების დაპირისპირება და სხვა ძალიან ჰგავს საუკუნის დასაწყის პერიოდს, მაგრამ განმეორებით არ მეორდება.

თავის დროზე დიდმა ილიამ წამოაყენა დევიზი—ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთნოდესო, ეს ოდითგანვე იყო ქართველი კაცის ოცნება. რომელიც ყოველ ეპოქაში პოულობდა გამოვლინებას. ამის ყველაზე ნათელი, მაგრამ ხანმოკლე გამოვლინება იყო საქართველოსათვის 1918—1921 წლები, როცა საქართველო ბევრმა ქვეყანამ სცნო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. დღევანდელობას თუ შევადარებთ იმ პერიოდს მსგავსებაზე მეტს ალბათ განსხვავებას დავინახავთ. დღეს საქართველოს მთავრობა ცდილობს დახვეწოს თავისი, როგორც საშინაო ისე, საგარეო პოლიტიკა. რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას ის მართალია პატარა ნაბიჯებით, მაგრამ მტკიცედ მიაბიჯებს და საბაზრო ეკონომიკის ყველა სტადიებს წარმატებით გადალახავს.

რამდენ ქართველს გაუძლო და გადაურჩა ქართველი კაცი და ქართველი მიწა, რამდენი სისხლისღვრა გამოიარა კახეთის რეგიონმა: არაბთა და სპარსთა შემოსევები, არაბობა საქართველოში VII საუკუნიდან მოყოლებული IX საუკუნემდე, არჩილ მეფის ხანა ჰერეთის სამთავროში და სხვა. ქართველი კაცი მისმა დიდმა რწმენამ გადაარჩინა, ქრისტიანობას ის ყოველთვის იცავდა და კვლავაც დაიცავს. მართალია ბოლო 70 წელიწადს ჩვენი რწმენისათვის და ეროვნული თვითშეგნებისათვის კარგი არაფერი მოუტანია, მაგრამ ბოლო წლებში ქართველმა ხალხმა მთავარ მიზანს მაინც მიაღწია.

დღეს დამოუკიდებელ საქართველოში, რომელიც ამკვიდრებს დემოკრატიას, სიტყვის თავისუფლებას და სხვა პროგრესულ ინსტიტუტებს. გამოითქმება ისეთი მოსაზრებები და ვითარდება მოვლენები, რაც სულ ცოტა 30 წლის წინ წარმოუდგენლადც კი მიგვაჩნდა. ჩვენი ხელისუფლების დღევანდელი გეზი მიგვიყვანს სოციალური და ეკონომიკური განვითარების უმაღლეს საფეხურებამდე და საქართველოს ერთიანობამდე.

როდესაც ქვეყანაში დიდი და ახალი საქმეები ხორციელდება, ამ

პროცესს აუცილებლად თან ახლავს ნაკლოვანებებიც, ქვეყნის საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის დროა საჭირო. ჩვენ ვერ დავასახელებთ მსოფლიოში ვერც ერთ ქვეყანას, რომელიც დემოკრატიას ეზიარა და წინსვლა—განვითარება შეცდომების გარეშე შესძლებოდა.

დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოსათვის აფხაზეთი და შიდა ქართლი, იქ დატრიალებული, სისხლიანი შეტაკებები დიდი და ძნელად მოსაშუშებელი იარაა, რომელიც ყველა ჩვენთაგანს კარგად აქვს გაცნობიერებული.

საქართველოს **ხეივანეების** ძალისხმევით საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება მშვიდობიანი გზით გადაწყდება, ყველა საკითხში გამოინახება გზები შიდა ქართლში ქართველი და ოსი ხალხის მომავალში მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის. ასევე წარიმართება გზები ქართველ და აფხაზი ხალხის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის, ქართველისათვის, წმინდათაწმინდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ხელი-სუფლების სწორი მიმდინარე პოლიტიკის შედეგად არ იქნება არავითარი ფაქტი და გამოვლინება ამ მთლიანობის დარღვევისა.

ლაგოდეხის რაიონში არის ოსური დასახლების სოფლები: არეშფერანი, ბოლქვი, ფიჩხისბოგირი, ფონა, ხეჩილი—სადაც ძირითადად ოსები ცხოვრობენ. 1991—1993 წლების პერიოდში როცა ცხინვალის რეგიონში ატეხილი იყო მთელი უბედურება, ამ დროს ლაგოდეხის რაიონში ოსებს და ქართველებს შორის ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ერთი რაიონი მსგავსი ცუდი დამოკიდებულების ფაქტიც არ მომხდარა. დღეს ლაგოდეხის რაიონის ოსური დასახლების სოფლებში ოსი მოსახლეობა ფაქტობრივად აღარ ცხოვრობს, არის რამდენიმე ოჯახები მოხუცებით. სოფელ ფონის მოსახლეობის მიტოვებულ სახლებს მიმდებარე სოფელ კაბლის მოსახლეობა მასიურად ყიდულობს. ასეთივე მდგომარეობა არეშფერანის და სხვა სოფლებშიც.

ის მოვლენები, რაც მოხდა და ხდება შიდა ქართლში და აფხაზეთში ეს ეროვნული კონფლიქტები არ ყოფილა, ეს იყო არა ეთნოკონფლიქტები, არამედ პოლიტიკური ამბიციები ცალკეული პირებისა და დაჯგუფებებისა, რომელთა მიერ ხალხის წაქეზებამ იქამდე მიიყვანა ქვეყანა, რომ დაიღვარა მრავალი ახალგაზრდის სისხლი. მოვა დრო და როგორც ერთი ისე მეორე საკითხი დადებითად გადაწყდება და მომავალში ერთიანი, დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო თავისი ხელშეუხებელი ტერიტორიით, ერთიანი ცხოვრებით იცხოვრებს, ესეც ისტორიის შედეგი იქნება.

ისტორიის შედეგია აგრეთვე 1989 წლის 9 აპრილის სამი დღე, რუსთაველის პროსპექტი, მთავრობის სახლის კიბეები, ათ-

სობით ადამიანი თაიგულებითა და ანთებული სანთლებით, დღეს ამ ყვავილებში ჩაძირულია დაღუპულთა ფოტოსურათები. ეს ~~თქვა~~ სახე მშვიდად შემოგვეცქერიან თვალებში, უპირატესად არიან ქალები, ქალიშვილები ორი მათგანი კი მთლად ყმაწვილია. 9 აპრილის დამე დაუვიწყარია, როცა თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე ტანკები და ჯავშნოსანი მანქანები შეიჭრნენ, რამდენიმე მსუბუქი მანქანა ღრჭიალებდა ტანკების ქვეშ და ასანთის კოლოფებივით იჭყლიტებოდა. ხალხს კიდევ არ სჯეროდა, რომ უიარაღო და მშვიდობიანი დემონსტრაციის წინააღმდეგ შეიძლება რაიმე საომარი მოქმედება მომხდარიყო. მაშინაც კი როცა მოახლოებული ჯარებისა და ქვემეხების გრიალზე საქართველოს კათალიკოს—პატრიარქი ხალხის წინაშე გამოვიდა და თავისთან ეკლესიაში მიიწვია, საშიშროება ამცნო.

9 აპრილის დამეს იმ ტრაგიკულად დაღუპულთა შორის ერთ-ერთი მამუკა ნოზაძე ლაგოდეხელთა თანამემამულეა, რომელიც იმ წლებში თბილისში სამშენებლო ტექნიკურ სასწავლებელში სწავლობდა. ლაგოდეხელი ახალგაზრდები თანამემამულენი და თანასოფლელები მამუკა ნოზაძის ხსოვნის და 9 აპრილის სადღეგრძელოს 21-ე საუკუნეშიც არ ივიწყებენ.

კიდევ ერთი ლაგოდეხელთა თანამემამულეა გიორგეთელი ჯიმი მაისურაძე, რომელმაც შეუპოვარი მართლაც გამირული ძალით 1992 წლის სექტემბერში სოხუმიდან თბილისში დაბრუნების დროს სახელმწიფოს მეთაურს ელუარდ შევარდნაძეს სიცოცხლე შეუნარჩუნა. დღეს სოფელ გიორგეთში რაჭველების ამ პატარა სოფელში მისი საფლავის გვერდით როგორც ობელისკი ისე დგას მისი თვითმფრინავი. საქართველოს პრეზიდენტმა ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაშიც გაიხსენა, „რომ არა ჯიმი მაისურაძის თავგანწირვა და მოხერხება სახელმწიფო მეთაურის, მისი დაცვის და სხვა თანმხლები პირების სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა“, ტყვიამფრქვევების სროლის გარემოციდან იხსნა სახელმწიფოს მეთაური, თვითონ კი 1992 წლის 21 დეკემბერს კოდორის ხეობაში საბოლოოდ შეეწირა საქართველოს მომავალ ბედნიერებას, სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს—ეს სამი სიტყვა ქ. თბილისში, აღმოსავლეთის და დასავლეთის რეგიონებში დიდი ხანია გამოჩნდა, შენობის კედლებზე, სკვერებში, სპორტულ მოედნებზე და ცენტრალური ქუჩების ყველა მოსაცდელ ადგილებზე.

ეს სამი სიტყვა ბევრის მაჩვენებელია და ბევრ შრომასაც მოითხოვდა, იგი დაუფარავად და ყოველგვარი შიშის გარეშე გაისმა ჯერ კიდევ 1989 წლის ნოემბრიდან მთავრობის სახლის წინ გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე, მის შემდეგ ბევრი სასიკეთო ნაბიჯიც გადაიდ-

გა, ღმერთმა. ქნას და მე ვფიქრობ მშვიდობიანად ასეც დამთავრდება. მაგრამ საჭიროა დრო, რაც შეეხება ჩემს პირად მონაწილეობას და წვლილს დამოუკიდებელი საქართველოს გამარჯვებაში ყოველთვის ვიყავი იმ დროს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სახელოვან კოლექტივთან ერთად.

დამაბული განვლილი ცხოვრების პირობებში ხდება ამ წიგნის გამოცემა, არაა გამორიცხული ზოგიერთი რამ ვინმეს შეიძლება სხვანაირად მოეჩვენოს, რადგან ცხოვრებაში შემოჭრილმა საჯაროობამ და დემოკრატიამ წარმოშვა ბევრ საკითხში ორაზროვნება და აზრთა შეპირისპირება, რომელიც ასე ადვილად ჯერ ვერ გადაწყდება, ყოველივე ამას ბევრი პრობლემები უღვევს გასავლელ გზაზე.

რუსეთ—საქართველოს ურთიერთშორისი დამოკიდებულებისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ გამოკვლევანი და საგაზეთო წერილები წინათაც საკმაოდ გამოქვეყნებულა, მაგრამ ავტორებს რუსეთში არსებული პოლიტიკური სიმკაცრის პირობებში სრული გულახდილობით აზრის გამოთქმა არ შეეძლოთ, მაგრამ 1989 წლის ნოემბერში ლევან თოიძის მიერ გაზეთ კომუნისტში გამოქვეყნებულ სტატიებში „მხოლოდ სიმართლე“ თვალნათლივ ჩანს ცხოვრებისეული წარსულის ყველა დეტალები.

1991 წლის 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა, რუსეთის იმპერიის ცარიზმმა. 1801 წელს დაარღვია საქართველოსთან 1783 წელს დადებული გიორგევსკის სამოკავშირო ხელშეკრულება და მოახდინა მისი ანექსია. გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ქართველი ხალხი იმთავითვე იბრძოდა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

საუკუნეზე მეტი კოლონიური ყოფის შემდეგ 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციის შედეგად დაინგრა რუსეთის იმპერია 1918 წლის 26 მაისს საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ეს იყო ეპოქალური მოვლენა იმ დროს ქართველი ხალხის ისტორიაში. გამოცხადდა დამოუკიდებელი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, რომელმაც 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე იარსება.

ლაგოდნელი მშრომელი ხალხი, ახალგაზრდობა არასოდეს ივიწყებს რაიონის იმ ადამიანებს სახელებს, რომლებიც ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან 1918—21 წლების პერიოდში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მშრომელთა საპროტესტო გამოსვლებში აქტიურად მონაწილეობდნენ. ასეთები იყვნენ გიორგი მირიანაშვილი, ნიკოლოზ ქიტიაშვილი, გიორგი ლვედაშვილი, დანიელ ივანოვი, ნიკო ქემაშვილი, ვასილ ნიკოლაიშვილი, გაბრო ერიაშვილი, გიორგი დემუროვი, ლუარსაბ

ლობჯანიძე, იოსებ გელაშვილი და მრავალი სხვა.

1919 წელს ალაგირიდან 300-მდე მცხოვრები საქართველოსაკენ რომ გამოეშურა ლუარსაბ ლობჯანიძის ხელმძღვანელობით სიღნაღის მაზრის ლაგოდენის ტერიტორიაზე მდ. კაბლის მარჯვენა ნაპირზე უღრან დაჭაობებულ ტყეში დაიწყო სოფლის გაშენება და სოფელს გიორგეთი შეარქვეს. ლუარსაბ ლობჯანიძე ჯერ ლაგოდენის თემკომის და შემდეგ პარტიის რაიკომის მდივნად მუშაობდა. დღეს ლაგოდენში ყველა ლაგოდენელი სათუთად ინახავს და იგონებს მის გმირულ სახელს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სიღნაღის მაზრის სოფელ ლაგოდენში 1865 წელს დაბადებული სტეფანე ალექსის ძე დანდუროვი. მას პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიუღია, შემდეგ ჩარიცხულა თბილისის რეალურ სასწავლებელში, რომელიც დაუმთავრებია 1885 წელს. ამის შემდეგ სწავლა გაუგრძელებია მოსკოვის პეტროვსკო-რაზუმოვსკოეს აკადემიაში და ვარშავის მახლობლად ახალი ალექსანდრიის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. აქ იგი როგორც რევოლუციის ერთ-ერთი მონაწილე 1890 წელს დააპატიმრეს და სანქტ-პეტერბურგის ციხეში ჩასვეს. 1891 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ ე. ნინოშვილთან და სხვებთან ერთად მონაწილეობდა არალეგალურ შეკრებებში, ხოლო შემდეგ წლებში დიდხანს მუშაობდა თბილისის რევკომში (ქართ. ენციკლოპედია ტ. 3).

დღეს მთავარია ისტორიულ მეცნიერებაში დაიწეროს ობიექტური ისტორია, რომლის საფუძველსაც იძლევა საქართველოში დაწყებული დემოკრატია, ხოლო თუ გადავხედავთ საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსთა მრავალ გამოქვეყნებულ მოსაზრებებს დღეს ბევრი მოსაზრება აშკარად მიუღებელი ხდება გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლის დროს.

გარდაქმნის და საჯაროობის წლებმა, სხვა სიკეთესთან ერთად, ადრე გაყალბებული, დამახინჯებული თუ შელამაზებული ისტორიის მართალი თვლით დანახვის შესაძლებლობა მოგვცა. ბევრი რამე და ბევრი ვინმეც სულ სხვაგვარად წარმოსდგა ხალხის წინაშე.

გარდაქმნის და საჯაროობის პერიოდმა ყველაფრის ცოდნის საშუალება უნდა მოგვცეს, ცივილიზებული და დემოკრატიული სამყაროს შესაქმნელად აუცილებელი პროცესი დიდის ენთუზიაზმით უნდა გავიაროთ, ყოველდღიურად და ყოველწლიურად მოვლენები ისე ვითარდება, რომ ძნელია ავხსნათ რა მოხდება ყოველი ერთი თვის ან ერთი წლის შემდეგ და ბოლოს როგორი დასასრული გვექნება.

1989 წლის აპრილის დღეების თავდადება საქართველოს გაერთიანებისა და მის პოლიტიკური იდეალების განხორციელებაა, ერმა ამ დღიდან ნამდვილად დაიწყო გამოღვიძება, დაიწყო ახალი ცხოვრება.

დღეს ის დიდი იმპერია სასოკედლოდ დაჭრილი სულს ლაფავს, ირღვევა ძალით შეერთებული პატარა ქვეყნები და თანდათან **გაქრულ** ცენტრს.

წლების მანძილზე დამკვიდრებულმა მეტისმეტმა ცენტრალიზაციამ საკავშირო ორგანოების მკაცრმა დიქტატმა, ადგილობრივი უწყებების უფლებებისა და ინიციატივების შეზღუდვამ თითქმის ყველა დარგი დააზიანა.

მარტო ერთ წელში 1989 წლის 9 აპრილიდან 9 აპრილამდე ბევრი რამ მნიშვნელოვანი გაკეთდა საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის. ამ დღის მოვლენები მხოლოდ ერთი შეხედვით აღიქმება სტიქიურ მოვლენად და ქართველი ერის თავისუფლებისაკენ სწრაფვის გამოვლინებად, იგი საოცარი კანონზომიერებით ხასიათდებოდა, ამ ფაქტის მიზეზი გაცილებით ღრმად არის, იგი ქართველი ერის, ისტორიულ წარსულშია. დღევანდელი მოვლენები კიდევ ერთხელ ცხადყოფენ, რომ ქართველი ერი, ახალგაზრდობა კვლავ მზად არის იბრძოლოს თავისი ელემენტარული უფლებებისათვის, რაც ~~სა~~საუკუნის 20-იან წლებში ქვეყანას უკვე ჰქონდა მოპოვებული. ყოველ ეროვნულ მოძრაობაში საქართველოს ახალგაზრდობას, სტუდენტობას, ინტელიგენციას ყოველთვის გვერდში ედგა ლაგოდეხის ახალგაზრდობა და ინტელიგენცია.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული დღია იყო რეაქციული ძალების ცლა ჩაქვშოთ საქართველოში წამოწყებული ეს დიდი მოძრაობა. ეს იყო გაუგონარი შემთხვევა **ნინა** საუკუნეში, როცა ერის სამსჯავროზე თვით სამხედრო შეიარაღება წარსდგა და ქართველი ერი გამოეცხადებინათ დამნაშავედ, საქმეც ზომ თავდაპირველად სწორედ ასე დაიწყო. ბოლოს გაირკვა რომ სამხედრო ძალების მოქმედება არ იყო მიმართული არასანქცირებული მიტინგის დასაშლელად, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო დამსჯელი ოპერაცია ხალხის დასაშავებლად და ამოსახოცათ, ამაზე უკვე შედეგებიც კარგად მეტყველებენ.

ყოველივე ზემოთ თქმულ სამინელ სურათს მოჰყვა ქართველი ხალხის კიდე ვუფრო კონსოლიდაცია, შემდგომში უფრო რეალისტური დამოკიდებულება ყოფილ საბჭოთა არმიისადმი და იმპერიისადმი, ამ პროცესმა კიდევ ერთხელ დაანახვა ყველას, რომ ეროვნული პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია სისხლითა და ძალადობით, რომ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული ერების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ შეუქცევადი პროცესი **გახლბა**.

იმ ეპოქაში, როცა მსოფლიომ იზეიმა აფრიკის უკანასკნელი კოლონიის განთავისუფლება, შეუძლებელია ახალი კოლონიური სისტემების შექმნა გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის ხანაში, რომელიც თვით იმპერიულმა მთავრობამ წამოიწყო და ეხლა მისი მართვა თვითონვე აღარ შეუძლია.

ლაგოდნელი მამუკა ნოზაძე

საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელისუფლებაში მ. გორბაჩოვის და მისეული თანამოაზრეების მოსვლის შემდგომ გამოცხადებულმა ე. წ. „პერესტროიკამ“ გამოიწვია საქართველოში 1989 წლის 9 აპრილი და შექმნა ახალი ეპოქა. ამ ტრაგედიიდან 31 წელი სრულდება საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით, როდესაც ქართველებს რუსული ტანკები დაუპირისპირდა, მაშინ 21 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ათეულობით დაშავდა, 2000-მდე ადამიანი მოიწამლა დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებით. მათ შორის მომიტინგეთა შორის იყო ლაგოდნელი ხელი 22 წლის მამუკა ნოზაძე, რომელიც იმ პერიოდში სამშენებლო



ტექნიკურ სასწავლებელში სწავლობდა. 8 აპრილს საღამოდან ტექნიკუმის თავის რამდენიმე მეგობართან ერთად იმყოფებოდა რუსთაველზე გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე სადაც დილას გამთენიისას მოხდა ეს ტრაგედია. მის მშობლიურ სოფელ კართუბანში რამდენიმე წელია და ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ყოველი წლის 9 აპრილს იმართება ლაგოდნის რაიონის მოსახლეობის შეკრება, ტარდება სხვადასხვა სახის რაიონული სპორტული ღონისძიებები, რომელიც მისი სახელის გახსებასთანაა დაკავშირებული. მის მშობლიურ სოფელ კართუბანში სადაც ცხოვრობდა ცენტრალურ ქუჩას მინიჭებული აქვს მისი სახელი, ლაგოდნეში და სოფელში მის

სადღეგრძელოს ყოველთვის აღნიშნავენ.

რადგან 9 აპრილის და ლაგოდნელი ამ პატარა ბიჭის მამუკა ნოზაძის ტრაგედიას შეეხებ, ეგებ უპრიანიც იყოს 9 აპრილის დაგეგმვაში ერთი მთავარი ღირიჟორის ნუგზარ ფოფხაძის, როგორც ცეკას მდივნის როლს შეეხებო. 4-9 აპრილი ეს იყო საქართველოში და თბილისში სისხლიანი კვირა, რომელიც მზადდებოდა მოსკოვის მიერ.

როგორც საგაზეთო მასალებში და ინტერნეტში ფართოდაა გაშუქებული, 1989 წლის 9 აპრილის მიტინგის მონაწილეთა ძალისმიერ დარბევას კატეგორიულად მოითხოვდა საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი იდეოლოგიის დარგში ნუგზარ ფოფხაძე. ეროვნული მოძრაობის აღიარებულ ლიდერებს, მიტინგის ორგანიზატორებს ზვიად გამსახურ-

დიას, მერაბ კოსტავას, გიორგი ჭანტურიას, ირაკლი წერეთელს და სხვებს კრიმინალებად მოიხსენიებდა და მთავრობის სხდომაზე თითის ქნევით, როგორც ეს ხშირად ჩვევია საკუთარ გამოსვლებში, განმარტავდა რომ „მხოლოდ სიტყვით საბჭოთა სისტემის მტრებთან ბრძოლა არ შეიძლება,“ როცა ამ სიტყვებს ტრუბუნიდან ხმაამალა ამბობდა ნ. ფოფხაძე, სიტყვიერი ბრძოლის მაგიერ ეტყობა გულისხმობდა რუსულ ტანკებს და ნიჩბებით ბრძოლას. მას ამ გამოსვლით და ქმედებით არ სურდა დამოუკიდებელი საქართველო.

მისი აქტიურობით და დაჟინებული წინადადებით მიღებული იქნა დადგენილება, რომ მიტინგის აღკვეთის ოპერაციის ხელმძღვანელობა და რუსული სამხედრო ძალების ჩართვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს, გენერალ ივორ როდიონოვს დაევალა და შეასრულა კიდევ. როგორც გაზეთებშია აღნიშნული იმ დროს შსს. მინისტრი შოთა გორგოძე თვითონ იღებდა ვალდებულებას, რომ რამდენიმე დღით გადაეწიათ რუსული ჯარის გამოყენებით მიტინგის დაშლის ღონისძიება, თვითონ შეხვდებოდა მიტინგის ორგანიზატორებს და პოლიციის გამოყენებით უმტკივნეულოდ დაშლიდნენ მიტინგს, მაგრამ აქაც ნუგზარ ფოფ(ო)ხაძე წასულა წინააღმდეგი, რადგან მოსკოვის დავალება მალე უნდა შეესრულებინა.



სურათზე საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი ნუგზარ ფოფხაძე

8 აპრილს ქალაქის ცენტრის ქუჩებში რუსული ტანკი გაატარეს, ხოლო თბილისის ცაზე რუსული ვერტფრენები გამოჩნდნენ, რამაც უფრო დაძაბა ვითარება, ამას საპირისპირო შედეგი მოჰყვა და მიტინგის მონაწილეთა რიცხვი მთავრობის სახლის წინ უფრო გაიზარდა.

როგორც პრესიდანაც დასტურდება ბატონ ჯუშუბერ პათიაშვილს უნდოდა გასულიყო მომიტინგეებთან შეხვედრაზე, მაგრამ სწორედ ნუგზარ ფოფ(ო)ხაძე ყოფილა სასტიკი წინააღმდეგი ბიუროს წევრების მომიტინგეებთან შეხვედრაზე, რადგან შემდეგ მომიტინგეთა დარბევა რუსული ჯარით ვეღარ მოხდებოდა. 9 აპრილის ტრაგედია ივორ როდიონოვთან ერთად ნუგზარ ფოფ(ო)ხაძის სინდის-ნამუსზეა.



მე პირადად ნუგზარ ფოფხაძეს ძალიან ახლოს ახალგაზრდობის წლებიდან ვიცნობ, მაშინ ჩვენ 24 წლის ასაკში ვიყავით, როდესაც საქართველოს კომკავშირის ცეკადან 1964 წლის სექტემბრიდან სხვა კიდევ 3 კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნებთან ერთად გაგვაგზავნეს მოსკოვში უმაღლეს კომკავშირულ-პარტიულ სკოლაში, ჩვენ ვიყავით 4 თვით, ხოლო ნუგზარ ფოფხაძე 1 წლით. მოსკოვში ყოფნის ამ ხნის განმავლობაში იგი ხშირად დადიოდა უშიშროების სამსახურში, ხვდებოდა ვიღაც მაღალჩინოსნებს, ამას ჩვენთან არც თვითონ მალავდა, ეს ჩვენც ვიცოდით, მაგრამ მე მაშინ ბევრ საკითხში გამოუცდელი ვიყავი და ამისთვის არც იმ დროს და არც მის შემდეგ არ მიმიქცევია რაიმე დიდი მნიშვნელობა, სანამ ურემი 9 აპრილს ბოლომდე არ გადააბრუნა და მის შესახებ გაზეთებში უამრავი სტატია არ დაიწერა. ამიტომ მინდა მკითხველს შევთავაზო ნ.ფოფ(ო)ხაძე ჩემი დანახული თვალით.

მოსკოვიდან მისი დაბრუნების ერთი წლის შემდეგ, თბილისის კომკავშირის ქალაქკომის განყოფილების გამგის თანამდებობიდან სწრაფად იცვლიდა თანამდებობებს, ყველას გვიკვირდა. სულ მოკლე დროში გახდა კომკავშირის ცეკას განყოფილების გამგე, ხოლო 1970 წლის 27 მარტს კომკავშირის ცეკას პლენუმზე აირჩიეს მდივანად, რამდენიმე წლის შემდეგ გახდა საქართველოს კომპარტიის ცეკას პროპაგანდის განყოფილების გამგე იდეოლოგიის დარგში და 1988-1989 წლებში პარტიის ცეკას მდივანი იდეოლოგიის დარგში.

ელცობა, მოსკოვს და უშიშროების კომიტეტს საქართველოში სჭირდებოდა სწორედ ასეთი კაცი. ყველამ იცოდა, რომ ნ. ფოფხაძე თავის დროზე ძალიან ახლო ურთიერთობაში იყო მოსკოვში ელუარდ შევარდნაძესთან და საქართველოს უშიშროების მინისტრთან გივი გუმბარიძესთან, მოსკოვში მართლაც ახლოს იცნობდა ცეკაში და უშიშროების სამსახურში ბევრ მაღალჩინოსნებს, როგორც თვითონაც ასახელებდა გასულ წელს ერთ-ერთ სატელევიზიო 2 საათიან ინტერვიუში. ამიტომაც 9 აპრილს ტრაგედია რაც მოხდა, მოხდა მისი უშუალო მონაწილეობით, ქართველი ხალხის მიმართ მას ბევრი რამ აქვს მიქარული.

ისე ადამიანს რაც აქვს ბუნებით თანდაყოლილი არ უნდა დაუკარგო, ნუგზარ ფოფხაძე უთუოდ არის უაღრესად ნიჭიერი და განათლებული პიროვნება, იცის პოლიტიკური გათვლები და შესაბამისი სვლებიც, მაგრამ ბევრი აქვს ღვარძლი, იცის წლობით ღვარძლის გულში ჩადება, პოლიტიკური ხრიკები, ადამიანის ამოძულება, რაც ყოველთვის დამღუპველია ყველა ასეთი პოლიტიკოსისათვის. ეს არის კაცი, რომელიც თანამდებობების მწვერვალზე მოსკოვში ჩვენი ერთად ყოფნის დროიდან სიზმარში ხედავდა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ აღწევდა კიდევ. მას შეუძლია ნებისმიერ არასწორ საკითხში, დაარწმუნოს ნებისმიერი ადამიანი დამაჯერებელი საუბრით, არ უყვარს სხვისი აზრის გაზიარება, რაც ასეთი პოლიტიკოსი ყოველთვის საშიშია.

ბატონ ჯუშუბერ პატიავილეს სამშობლო რომ უყვარს, აქ ორი აზრი არ არსებობს, ამას წყალი არ გაუვა, ქვეყნის პატრიოტი კაცი იყო და არის. ნუგზარ ფოფხაძეს ენდობოდა კომკავშირის ცეკაში ერთად მუშაობის პერიოდიდან, პარტიის ცეკაში კი, როგორც იმ დროს ცეკას მდივანს იდეოლოგიის დარგში, როგორც უკვე აღვნიშნე, ცეკას შენობაში მას ბევრი რამ აქვს მიქარული, საქართველოს და ქართველი ხალხის მიმართ, ისე როგორც თავის დროზე ნიკიტა ხრუშჩოვს.

მე მრცხვენია რომ ნ.ფოფ(ო)ხაძე ოდესღაც „მოკლე დროით“ ჩემი მეგობარი იყო მოსკოვში გატარებული წლებიდან. მან არა ერთ ჩვენი თაობის მეგობარსაც ატკინა გული თავისი დაბოლმილი ქცევით, იმითომაც 2005 წლის 18 ნოემბერს ჩვენი თაობის კომკავშირის ცეკას მუშაკების და კომკავშირის რაიკომის პირველი მდივნების 130 კაციან შეხვედრაზე მოსასვლელი პირი არ ქონდა და ვერც მოვიდა. ნ.ფოფ(ო) ხაძე მართლაც რომ ასეთი დაბოლმილი პიროვნებაა ახალგაზრდობის წლებიდან, ამისათვის მინდა გავიხსენო რამდენიმე საინტერესო მომენტი მოსკოვში ჩვენი ერთად ყოფნის და შემდგომი წლების პერიოდიდან;

7 ნოემბერი ჩემი დაბადების დღეა, სწორედ მოსკოვში ჩემს ყოფნას დაემთხვა ეს დღე. სასწავლებლიდან ორგანიზებულად წავიყვანეს

ავტობუსებით წითელ მოედანზე 7-ნოემბრის პარადზე გამოსასვლელად, ამხანაგმა ფოფ(ო)ხაძემ არ იკადრა წამოსვლა, დილის 8 საათზე წასულებს საღამოს 4 საათზე მოგვიწია ჩვენ სასწავლებელს გავლა მთავრობის ტრიბუნის წინ. საღამოს პარადიდან დაბრუნების შემდეგ გვინდოდა ჩემი დაბადების დღის აღნიშვნა, საერთოდ სასწავლებელში მიღებული იყო დაბადების დღის მილოცვა, ყვავილებით, წიგნის ჩუქებით და სხვა ღონისძიების აღნიშვნით, ამ დღისათვის ლაგოდეხიდან მომივიდა 15-მდე ამანათი (ფანერის პასელკა) მამიდედიდან, დეიდედიდან, ბებია-ბაბუასგან ჩურჩხელები, ხილი, დაშვებული იყო ერთ ყუთში 1 ლიტრა ჭაჭის სასმელიც.

საღამოს ჩემს ოთახში მოვაწყეთ ქართული სუფრა ხილით და სასადილოდ ამოტანილი საჭმელებით, შევიკრიბეთ 12-15 ახლო ურთიერთობის მეგობრები ბიჭები და გოგონები. ამხანაგი ნუგზარი საერთოდ არ მოვიდა, როცა ჩემი კეთილი განწყობით წინა დღეს ვთხოვე თამაღობა, ვიფიქრე გაეხარებოდა, მე რა ვიცოდი თურმე დაბოლმილი ყოფილა ამდენი ამანათები რომ მომივიდა, როცა უკვე ყველა შევიკრიბეთ შემოგვითვალა თავის ოთახიდან ბევრი სამეცადინო მაქვს და ქეიფისთვის არ მცალიაო. მართლაც თავის ოთახში ბიბლიოთეკებიდან გამოტანილი ქონდა 100-დე წიგნები, თბილისიდან წამოღებული ქონდა პატარა საბეჭდი მანქანა და მთელი დღეები იჯდა ოთახში ბეჭდავდა და ბეჭდავდა წიგნებიდან ტექსტებს.

ბატონი ოთარ ჩერქეზია ნოემბრის ბოლოს ჩამოსული იყო მოსკოვში კომკავშირის ცეკაში, იქ ჩვენთან შეხვედრის დროს ბატონ ოთარის ეუბნება ამხანაგი ნ. ფოფ(ო)ხაძე, ამხანაგმა ხაჩიძემ 7 ნოემბრის პარადის შემდეგ დაბადების დღეს ქეიფი და ღრეობა გამართა სასწავლებლის საცხორებელში, 15 პასელკა მოუვიდა არყებით. ბატონმა ოთარმა ჯერ გაიკვირვა რა 15 პასელკა და არყებით, მერე მე მკითხა შემინებულმა, რაიმე ინციდენტი ხომ არაფერი მოხდაო, მე აუხსენი ყველაფერი, სხვა არც არაფერი მნიშვნელობა არ მიუცია ფოფ(ო)ხაძის ამ მიწოდებული ინფორმაციისათვის და თვითონვე დარჩა გაწბილებული, უფრო გაბრაზებული იმაზეც რომ ბატონმა ოთარმა მკაცრად არ მისაყვედურა. ამის შემდეგ მოსკოვში ჩვენი ურთიერთობა ცოტა დაიძაბა, დეკემბრის ბოლოს ჩვენ დავბრუნდით საქართველოში, მან კი გააგრძელა თავისი ერთწლიანი მეცადინეობა, ის კი მითხრა წამოსვლისას როგორი ძლიერი მუშაკი იქნები ვნახოთო.

მართალია, ცოტა გამიგრძელდა ნ. ფოფ(ო)ხაძეზე საუბარი, შიძლება არც ღირდეს წიგნში მისი ამდენი ხსენება, მაგრამ ერთიც მინდა ვუამბო მკითხველს მისი ბოლმის შესახებ. ლაგოდეხის რაიონი კომკავშირის

ცეკაში მიჩნეული იყო როგორც მოწინავე, წარმატებული ორგანიზაცია, მართლაც დღედაღამ ვმუშაობდით, მრავალ ღონისძიებებს ვატარებდით, ცეკას ბიუროებზე და თათბირებზე დადებითად ვიყავი ხოლმე შეფასებული, ეტყობა ეს ამხანაგ ფოფ(ო)ხაძეს არ მოსწონდა, ერთხელ ცეკას თათბირზეც მკაცრადაც გამაკრიტიკა არაფრის გულისთვის.

1970 წლის შემოდგომა საქართველოს ყველა რაიონში გრაფიკით ტარდება პლენუმები, ამხანაგი ნ.ფოფ(ო)ხაძე ამ პერიოდში არის კომკავშირის ცეკას მდივანი იდეოლოგიის დარგში, მე ლაგოდეხის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი, პლენუმებზე გრაფიკით ესწრებიან ცეკას მუშაკები და რესპუბლიკის ხელმძღვანელი პირები, მივიღეთ პლენუმების ჩატარების გრაფიკი, შემოდის კაბინეტში სექტორის გამგე და სიხარულით მეუბნება ჩვენთან პლენუმზე დასასწრებად ჩასმულია შენი მეგობარი ნუგზარ ფოფხაძე. რომ გადავიკითხე გრაფიკი ოფლმა დამასხა, თავი გავიქნიე და მაგიდაზე ორჯერ მსუბუქად დავარტყი მუშტი. შემდეგ შემოვიყვანე თანამშრომლებიც, მეორე მდივანი ჯონი ეგეტაშვილი მეუბნება რა იყო ბატონო ჯემალ არ გაგეხარდა? მოსკოვში თქვენ ხომ ერთად იყავით. მერე კი ავუხსენი თანამშრომლებს ყველაფერი და ვუთხარი რომ პლენუმში უნდა მოვამზადოთ მაღალ ღონეზე, მაგრამ მკაცრი კრიტიკა საყვედურები მაინც მოგველის.

მეორე დღეს დავრეკე ცეკაში, საორგანიზაციო განყოფილების გამგეს ბატონ ამირან როგავას უდიდეს კარგ კაცს ვალაპარაკე, ვთხოვე რომ ნ.ფოფხაძის მაგიერ სხვა ჩაესვათ ჩემთან პლენუმზე დასასწრებად. მითხრა, რომ გრაფიკის შედგენის დროს შენთან დასწრება თავის ხელით ჩაწერა, ბიუროზეა დამტკიცებული გრაფიკი და მე ვეღარ შევცვლიო, ამან უფრო ცუდად იმოქმედა ჩემზე და თანდათან შევეგუე რაც მომივიდოდა.

პლენუმის ჩატარების დღეს 30 წუთით ადრე ჩამოვიდა თბილისიდან, ჩვენთან კი არ შემოვიდა თანამშრომლებთან პირდაპირ პარტიის რაიკომის პირველ მდივანთან ნდომებია შესვლა, რადგან დაკავებული ყოფილა პირველი მდივანი შესულა მეორე მდივანთან. მირეკავს მეორე მდივანი ი. ტყემალაძე აველი კაბინეტში მეც და ცეკას ინსტრუქტორი რომელიც წინა დღეს იყო ჩამოსული, შევხვდი 5 წუთი, მკითხა პლენუმის შესახებ და წამოვედი.

ზუსტად დანიშნულ დროს დავიწყეთ პლენუმის სხდომა, პლენუმზე გვესწრება პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ბატონი ვახტანგი უნგიაძე. ამხანაგ ნ.ფოფ(ო)ხაძემ პლენუმზე თავის გამოსვლაში თითის ქნევით მიწასთან გაგვასწორა, მეც და მოგვთხარა მთელი რაიონი, სკოლები, რაიონის პირველადი ორგანიზაციები, ბოლოს დასძინა, რომ

ლაგოდენში ჩაშლილია ახალგაზრდებთან ყოველგვარი კომკავშირული მუშაობა. დარბაზში შეიქმნა განსაკურებული დამაბულობა, თითქმის ყველა უხერხულად და შეურაცყოფილად გრძობდა თავს, დარბაზიდან ყველა მე მიყურებდა, მე კი ხანდახან დიპლომატიურად ვიღიმიებოდი.

პლენუმზე თავი ვეღარ შეიკავა დამსახურებულმა პედაგოგმა აფენის სკოლის დირექტორმა, სამამულო ომის მონაწილემ კოტე სხირტლაძემ და ითხოვა 5 წუთიანი სიტყვა, ბოლოს უთხრა ბატონ ფოფ(ო)ხაძეს, აქ ლაგოდენში ჩვენ სალანძღვად ჩამოხვედი თუ რაიკომთან ერთად ჩვენი ერთობლივი გაკეტებული საქმეების მოსასმენად, პასუხი ვერ გასცა, მერე სიტყვა ითხოვა ჭაბუკიანის კოლმეურნეობის კომკავშირის მდივანმა შალვა ქათამაძემ, მანაც უთხრა რომ თქვენი გამოსვლა იყო დაბოლმელი პოლიტიკური მუშაკის გამოსვლა, თქვენგან ჩვენ მომავალში რა უნდა ვისწავლოთო. ამხანაგ ჯემალ ხაჩიძესთან თქვენ თუ რაიმე პირადული გაქეთ აქ მაგის ადგილი არააო.

დარბაზში მსხდომი ყველა ნათლად მიხვდა, რომ რაღაც პირადულ ინტერესს მართლაც ჰქონდა ადგილი. პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ვახტანგ უნგიაძემ საერთოდ ვერაფერი ვეღარ თქვა, ერთი კი თქვა, რომ ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხებს და გაცნობებთ წერილობითო. პლენუმის დამთავრებისთანავე არც არავის დაემშვიდობა დაჯდა მანქანაზე და გაიპარა. ჩვენ კი საღამოს 12-15 ადამიანი მომზადებულ სუფრაზე დავსხედით და ცეკას ინსტრუქტორთან ერთად ასე გადავაგორეთ ის საოცარი დღე.

მას ეგონა მისი ასეთი კრიტიკული თითის ქნევით გამოსვლის შემდეგ დადგებოდა ჩემი განთავისუფლების საკითხი, კომკავშირის ცეკაში ან პარტიის რაიკომში. რამდენიმე დღის შემდეგ ჩავედი კომკავშირის ცეკაში შევხვდი მეორე მდივანს ბატონ ია გამრეკელს, ჩემი თხოვნით შეხვედრა გვქონდა ნ. ფოფხაძესთან და განყოფილების ორ გამგესთან ერთად, განვიხილეთ მისი პლენუმზე გამოსვლის საკითხები და პირიქით შემდეგ კიდე მომიწია 3 წელი მუშაობა.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, 1974 წელია კომკავშირის ცეკას მეორე მდივანია ყიული შარტავა, იგი 5 თვე ხელმძღვანელობდა კომკავშირის ცეკას, ცეკაში დამდგარა საკითხი ჩემი და თელავის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივნის რობერტი ღარიბაშვილის ცეკაში გადმოყვანაზე, აქაც ნ.ფოფ(ო)ხაძე ყოფილა სასტიკი წინააღმდეგი ჩემი დაწინაურების 8 წლის მუშაობის შემდეგ. ასე ჩაიშალა ესეც, ხოლო რობერტი ღარიბაშვილი გადაიყვანეს კომკავშირის ცეკაში ერთ-ერთ განყოფილებაში გამგის მოადგილედ.

Резюме; ამხანაგი ნ.ფოფ(ო)ხაძის მიერ საქართველოში წლების განმავლობაში მოღვაწეობა ყოველთვის იყო ლიტონი სიტყვებით მოცული, ამბობდა ერთს და კულისებში აკეთებდა მეორეს, მას შეეძლო მომენტების გამოყენება სათავისოთ, შეეძლო თავის განდიდებისათვის სხვა გაეწირა, როგორც საჭადრაკო დაფაზე ძლიერი ფიგურაც, ამაში მას უთუოდ ჰქონდა დიდი ნიჭი, ცხადია ამ წესით ყოველთვის მიდიოდა წინ, ... წინ....წინ „კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.“



1970 წელი ლაგოდეხში, პლენუმის სხდომათა დარბაზი
სადაც ბატონი ნ. ფოფხაძე ესწრებოდა

21-ე საუკუნის გაელვება „ქართული ოცნება“ „ნაციონალური მოძრაობა“ ზიძინა ივანიშვილისა და გიორგი მარგველაშვილის სტუმრობა ლაგოდეხში

2012 წლის 27 სექტემბერს საპარლამენტო არჩევნების წინ კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბატონი ბიძინა ივანიშვილი და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები; რეჟისორები ქეთი დოლიძე და რეზო ესაძე, ასევე მსახიობები სოსო ჯაჭვლიანი, ნინელი ჭანკვეტაძე და გია ბურჯანაძე ჩამოვიდნენ ლაგოდეხში მოსახლეობასთან შესახვედრად, „ქართული ოცნების“ ლაგოდეხის მაჟორიტარობის კანდიდატის ლუკა კურტანიძის მხარდასაჭერად, მოსახლეობის წინაშე წამოაყენეს კანდიდატურა რომელსაც ლაგოდეხთან არასოდეს არავითარი კავშირი არ ჰქონია, იმიტომაც სამარცხვინოდ წააგო „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატთან გია გოზალიშვილთან და მის შემდეგ ალაზნას აქეთ აღარც ლუკამ კურტანიძე და აღარც მისი მხარდამჭერები აღარ გამოჩენილან.

ლაგოდეხში შესასვლელ ხიდიდან ცენტრისკენ „ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის კორტეჟს ცხენებზე ამხედრებული „ქართული ოცნების“ 41 ნომრის მაისურებში ჩაცმული ახალგაზრდები მიუძღვოდნენ. კორტეჟს „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები დახვდნენ, (ნაციონალური მოძრაობის პარტიის თავმჯდომარე გურამ კაკალაშვილი, რაიონის გამგებელი დიმიტრი ლოლაძე, რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე გია გოზალიშვილი, როგორც პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი „ნაციონალური მოძრაობიდან“ და მათი აქტივისტები) რომლებმაც გზა გადაუღობეს კორტეჟს და მათი მისამართით საახალწლო ასაფეთქებელი მანათობელი შაშხანების სროლა დაიწყეს.

გამგებელმა დიმიტრი ლოლაძემ, „ნაციონალების თავმჯდომარემ“ გურამ კაკალაშვილმა კი აღნიშნეს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები აქციას ვმართავდით ჩვენი კანდიდატის მხარდასაჭერად, რომელიც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა ლაგოდეხში ჩამოსვლით ჩაგვიშალესო.

„ქართული ოცნების“ მომხრეები ბ. ივანიშვილის მანქანას და კორტეჟს გარს შემოერტყნენ და ლაგოდეხის ცენტრში შესვლა ასე მოახერხეს, ბ. ივანიშვილმა საკმაოდ კარგად დაახსიათა ლუკამ კურტანიძე, როგორც კარგი მოჭიდავე, ლაგოდეხის მოსახლეობას სთხოვა მხარი დაეჭირათ მათი კანდიდატისათვის, არჩევნებზე ხელისუფლება ვერცერთი ხმის გაყალბებას ვერ მოახერხებდა. 8 წლის შემდეგ რა

მივიღეთ, დაპირება დაპირებად დარჩა, უარესობისკენ წავედით ლაგოდებლები.

„ქართულმა ოცნებამ“ პირადად კ. კალაძემ 2013 წელს ლაგოდების გამგებლად დაგვინიშნა პაწაწინა „კაცუნა“ კროლო ჯამბურია, რომელიც არც ცოდნით, არც ხელმძღვანელობის გამოცდილებით არ იმსახურებდა, ამიტომაც ლაგოდებს მნიშვნელოვანი და სასიკეთო მოსახლეობას ეკონომიკის გაუმჯობესების მხრივ დღემდე არაფერი დადებითი არ შეტყობია.



სურათზე: ლაგოდებში ბიძინა ივანიშვილი და დეპუტატობის კანდიდატი ლუკაშ კურტანიძე

სიტყვით გამოსვლისას ლაგოდების ნაკრძალის ყოფილმა დირექტორმა მარატ წიქარიშვილმა ბატონ ბიძინა ივანიშვილს ნატურალური კავკასიური ჯიხვის 2 ყანა გადასცა, ლაგოდებში ჩამოსულ სტუმრებს მადლობა გადაუხადა და ბიძინა ივანიშვილს იქ შეკრებილი ხალხის სახელით მხარდაჭერა აღუთქვა. შეხვედრის დროს წამოიჭრა თამბაქოს კულტურის აღდგენის და მოსახლეობის მუდმივი დასაქმების საკითხიც,

სიტყვაში გამოსვლისას ბიძინა ივანიშვილი ლაგოდების მოსახლეობას დაპირდა თამბაქოს ნედლეულის აღდგენას, თანამედროვე ევროპული გადაამაშევებელი ქარხნის აშენებას და ხალხის მუდმივ დასაქმებას. ამის შემდეგ გავიდა 8 წელი, ლაგოდებში აღარც

ბიძინა ივანიშვილი ჩამოსულა, აღარც ს/მ რომელიმე მინისტრი, არც თამბაქოს ნედლეულის წარმოების და ეთერზეთების ნედლეულის აღდგენა გახსენებია არავის და არც მისი გადაამაშევებელი საწარმო აშენებულა, ესაა ფაქტები და რეალობა. ლაგოდებელი მოსახლეობა და მეცდიდ იმედს ვამყარებდით სახელმწიფოს ამ თავკაცზე, მაგრამ ქვეყანაში „ქართული ოცნების“ ბევრი დაპირება დაპირებად დარჩა.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ დღემდე თვითონ არ დარჩა პრემიერ მინისტრად და თვითონვე არ იკისრა ქვეყნის ხელმძღვანელობა და მართვა.

ივანიშვილი არის „ქართული ოცნების პოლიტიკოსი“ ერთმმართველი თავმჯდომარე.

ლაგოდების მიმართ მათ დაუშვეს ბევრი შეცდომები კადრების შერჩევის საკითხში.

შეცდომა-1; 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ლაგოდეხის დეპუტატობის კანდიდატი შეარჩიეს როგორც უკვე ავღნიშნე შემთხვევითი პიროვნება „ლუკაშ“ კურტანიძე, რომელსაც ლაგოდეხთან არასდროს არავითარი შეხება არ ჰქონია, ჩემი კანდიდატურა კი, რომელსაც ლაგოდეხის „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი მოსახლეობა განცხადებით ითხოვდა დამალეს და არც განიხილეს, ამიტომაც სამარცხვინოთ წააგო. ბიძინა ივანიშვილი, ან ქართული ოცნების ვინმე მაღალჩინოსანი ეტყობა დავალებული იყვნენ ლუკაშ კურტანიძის მიმართ და ერთი წლის შემდეგ სიით მაინც შეიფყანეს პარლამენტში დეპუტატად.

შეცდომა-2; 2014 წლის თვითმართველობის არჩევნებში კახი კალაძე როგორც „ქართული ოცნების პოლიტიუროს“ გენერალური მდივანი თვითონ ჩამოვიდა ლაგოდეხში და პარტიის სახელით ნეპოტიზმით წამოაყენა კარლო (კახა) ჯამბურიას კანდიდატურა. მკითხველი იკითხავს რა ახლობლობა აკავშირებთ? კახა ჯამბურიას დედა იყო კალაძე, ლაგოდეხში ყველა კარგად იცნობდა კარლო კალაძეს ფიზიკა-მათემატიკის უდიდეს მასწავლებელს, რომელიც ომის წინა წლებში განაწილებით გამოიგზავნა ლაგოდეხში და მუშაობდა ლაგოდეხის პირველ საშუალო სკოლაში. წარმოშობით იყო სამტრედიიდან. კახი კალაძის მამის და კარლო კალაძის ოჯახი სამტრედიიაში ცხოვრობენ ახლოს გვერდი-გვერდ და იყვნენ ბიძაშვილები, ლაგოდეხში ჯამბურიასაც ბაბუის სახელი „კარლო“ იმიტომ დაარქვეს.

ლაგოდეხის „ქართული ოცნების“ მოსახლეობის მიერ მეორეჯერ განცხადების თხოვნით წამოყენებული ჩემი კანდიდატურა რაიონის გამგებლად თბილისში პარტიის „პოლიტიუროში“ არც განიხილეს და არცერთ განცხადებაზე პასუხიც არ მოუციათ მოსახლეობისათვის, არც ჩემთან შეხვედრა-გასაუბრება არ შემდგარა, როგორც შემდეგ გაირკვა, მოსახლეობის განცხადების თხოვნით წამოყენებული ჩემი კანდიდატურა ბ-ნ ბ. ივანიშვილს დაუმალა კახი კალაძემ და ორი თვის შინდევ მივაგენით საქალაქო კარგად შენახული, კახი კალაძესთან კი შეხვედრა ბევრი მცდელობისა მაინც ვერ შევხვდით და დავანებეთ თავი. კალაძის ლაგოდეხში ყოფნის დროს, როცა ჰკითხეს განცხადების შესახებ მხრები აიჩნა და კიდევ რომ არაფერი ეთქვამოდა მოულოდნელად დაამთავრა მოსახლეობასთან შეხვედრა და წავიდა.

ლაგოდეხში „ნაციონალური მოძრაობის“ ბევრმა მხარდამჭერმა ჩემი გულისათვის დატოვეს ეს პოლიტიკური პარტია, ამით „ქართული ოცნებისაგან“ მეც და ბევრი ლაგოდეხელი დავრჩით შეურაცყოფილი და იმედგაცრუებული, ამიტომ სამართლიანადაც ვიყავი ნაწყენიც, გაბრაზე-

ბულიც, რაზეც ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე და 2014 წლის 28 ივნისს ჩემი განცხადებით დავტოვე „ქართული ოცნება.“ მე რომ მეყარა კენჭი გია გოზალიშვილთან მე გადავწყვეტავდი მოგების საკითხს.

ბატონი ბიძინა ივანიშვილი ადამიანურად და ჩემი პოლიტიკური შეფასებით ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების შემდეგ მაინც მეცოდება, იმიტომ რომ ბევრმა ადამიანმა არ გაუშართლა, ასევე მისი ყველაზე დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო როგორც უკვე ავლნიშნე ბოლომდე თვითონ არ დარჩა პრემიერ მინისტრად, რვა წელიწადში მისი შერჩევით შეიცვალა ექვსი პრემიერი, პარლამენტი კი ეს საკანონმდებლო უმაღლესი ორგანო ჩააბარა ცხოვრების და საქმის გამოუცდელ ახალგაზრდებს, ამისთანა ახალგაზრდები კომუნისტების დროს ლაგოდებში კომკავშირის პირველად ორგანიზაციების მდივნებად მუშაობდნენ და იქიდან იწყებოდა მათი კარიერა,

ევროპის ქვეყნებში და აშშ. შტატებში როცა ჩადიან ეს კანონმდებელი ახალგაზრდები, თეთრი სახლის პასუხისმგებელ მუშაკებს, კონგრესმენებს ან სხვა უმაღლესი დონის წარმომადგენლებს როგორც შვილიშვილები ისე ხვდებიან. საზღვარგარეთ 55-60 წლის ასაკამდე სახელმწიფო უმაღლეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე პოლიტიკაში მოუშადებლად არავის ირჩევენ და არც ნიშნავენ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, ჩვენთან კი პოლიტიკურად მოუშადებელ ახალგაზრდებს ნიშნავენ და მათ კი უხარიათ.

21-საუკუნეში 20 წელია ერთ წრეზე ვტრიალებთ, სულ იმას გავიდახით ქვეყანას უჭირს, იმიტომ უჭირს რომ 3,7 მილიონიან ქვეყანაში 80% სოფლის მეურნეობის და მრეწველობის პროდუქტები შემოტანილია თურქეთიდან, ირანიდან, რუსეთიდან, 1955-1965-იან წლებში ლავოდების მოსახლეობას პირიქით რუსეთის ბაზრებზე ყოველწლიურად 2000 ტონაზე მეტი პამიდორი გაჰქონდათ გასაყიდად, სწორედ იქიდან შემოტანილი ფულით ამ წლებში შეიცვალა ლავოდების რაიონში ალიზის და ხის სახლები აგურის კაპიტალური ორ სართულიანი სახლებით, რომელიც ყველა ოჯახს დღესაც აქვთ.

ფაქტობრივად, ყველა საბჭოურ რესპუბლიკაში მეტნაკლებად შეიცვალა სახელმწიფო პოლიტიკა, დავანგრეთ სოციალიზმის სისტემა, 30 წელია საქართველოში კაპიტალიზმიც ვერ შედგა და ვერ ჩამოყალიბდა. 2012 წლიდან კი ბიძინა ივანიშვილმა თანდათან ბოლო წლებში დაგვაბრუნა წინა საუკუნეების მსგავსად ფეოდალური წყობილების სისტემის ხანაში. ასეულმა მასთან დაახლოებულმა პირებმა დაიწყეს ფულის კეთება და ქონების დაგროვება. ბოლოს „მარინუანას“ პლანტაციების გაშ-

ენებაც მოინდომა, 5 წელი ჩვენ ვწერდით და ვითხოვდით „ვირჯინიის“ თამბაქოს ნედლეულის წარმოების აღდგენას და ერთ დღეს კი თვითონ მარიხუანას წარმოება შესთავაზა საქართველოს.

გიორგი მარგველაშვილს დახვდა „ქართული ოცნების“ ლაგოდეხში ძალით არჩეული თავმჯდომარე გაგა ლამბაშიძე, დღეს კი ლაგოდეხის საკრებულოს თავმჯდომარის კ.ჯამბურეას მოადგილეა, 1996-2000 წლებში ერთდროულად დამთავრებული აქვს თბილისის სასწავლო-ეკონოკიკური ინსტიტუტი (ფინანსები და კრედიტები) და თბილისის სამედიცინო აკადემია (მკურნალი ექიმი), ხოლო ბოლოს, 2009-2012 წლებში, დამთავრებული აქვს უკრაინაში ქ. კიევის სასულიერო სემინარია. საქართველოში აღარ დარჩა სასწავლებელი და კიდევ მისაღები სპეციალობა, ჩემის აზრით იგი მიღებული განათლებით, ცოდნით, სპეციალობებით, თავის ბიოგრაფიიდან გამომდინარე და ფილოსოფიური აზროვნებით ცოტა „ფანატიკოსია“. სასულიერო სემინარიის განათლება გაქვს მიღებული წადი ეკლესიაში და იქადაგე რამდენიც გინდა, ამის სპეციალისტი ხარ. პარტიის პოლიტიკაში და მუნიციპალიტეტის საკრებულოში რაიონის უამრავი პრობლემატური საქმეებია გადასაწყვეტი.



სურათზე: გიორგი მარგველაშვილის გვერდით გაგა ლამბაშიძე

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, სატელევიზიო რამდენჯერმე მიმართვით საქართველოს მოსახლეობას მიმართა, რომ მხარი დაეჭირათ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილისათვის.

ლაგოდეხის რაიონში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს გიორგი მარგველაშვილს თან ახლდა სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა

ფიფია, მოსახლეობამ და მეც ჩემს გამოსვლაში მინისტრის წინაშე დავაყენეთ საკითხი, რომ ლაგოდეხში აუცილებელი იყო „ვირჯინიის“ თამბაქოს ჯიშის ნედლეულის წარმოების აღდგენა ბალგიურიკებში უნგრული ტექნოლოგიით ხმობა და გადამამუშავებელი ევროპული მინი საწარმოს აშენება, სადაც მუდმივად დასაქმდებოდა რაიონის მოსახლეობის 80%.



მარცხნიდან: ბიძინა ივანიშვილი და გიორგი მარგველაშვილი

ყველაფერი ასე იწყება გულანთებული, მაგრამ შემდეგ ყველაფერი თავდება ისე, იმიტომ, რომ ესენი არც ერთი და არც მეორე არ იყვნენ პოლიტიკოსები. ამიტომაც დაზარალდა ქვეყანა.

ლაგოდეხში გ.მარგველაშვილის სტუმრობაც დაპირებითი და ტყუილი გამოდგა, არჩევნების შემდეგ მივწერეთ, გეგმაც წარვუდგინეთ ბ.ივანიშვილსაც და გ.მარგველაშვილსაც, ეს მასალები გადაგზავნეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ორი მინისტრი შ. ფიფია და პოლიციელი მინისტრი ო. დანელია ისე შეიცვალა საკითხი ვერ გადავწყვიტეთ, გ.მარგველაშვილმაც ისე ამოწურა საპრეზიდენტო ვადა ვერ შევხვდით, ამას ქვია კომუნისტური შეფასებით „ყველა დარჩა მხიარული“ დაზარალდით ლაგოდეხელი მოსახლეობა, ბოლოს დღემდე დავგერჩა ამათგან „ვირის თავფეხი“.

სამჯერ ჩავედით 3-4 ადამიანი პრეზიდენტის სასახლეში შესახვედ-

რად, როგორც წესი, გვეკითხეს, რა საკითხზე გინდათ შეხვედრა, რომ ჩავაწერინეთ საკითხი ერთ საათში გადაგვიმისამართა მისმა თანამშრომელმა სქ სამინისტროში, ლაგოდეხიდან ჩასულებთან შეხვედრაც არ იკადრა. ახლა მობრუნდა ისევ პოლიტიკაში, გამოდის ტელევიზიებში, დაჩაგრული „პრეზიდენტის“ მანტიით გაწითლებული სახით, კრავივით მოაქვს თავი და თავს იმართლებს.

ბატონი ბიძინა ივანიშვილი ცოდვაცაა და დამნაშავეც, რომ კადრებს სწორად ვერ არჩევს, აბა ქვეყნის პრეზიდენტის კანდიდატს რომ ვერ შეარჩევ, მაშინ ლაგოდეხის ან ზოგიერთი რაიონის გამგებლების სწორად შერჩევას რაღა ვთქვათ, აბა პაწაწუნა „კაცუნას“ კახა ჯამბურიას პოლიტიკაში გამოუცდელს და პოლიტიკურად მოუძნადებელს, რომ ჩააბარეთ ლაგოდეხის ულამაზესი რაიონი და ხალხი, მაშინ დაიწყო ქვეყნის დაქცევა, ამის თქმას მაიძულებს ლაგოდეხში არსებული დღევანდელი მდგომარეობა. ბატონ ბიძინას აქვე მინდა შევახსენო, ი.სტალინის მე-2 ტომში კარგად წაიკითხეთ ერთი ქვესათაური „სახელმწიფო და კადრები.“

ეს, ის ფილოსოფიური აზროვნების მარგველაშვილია, როდესაც 2001 წელს პრესაში დაუსვა ქართველ ხალხს დიაგნოზი „გონებრივი სისუსტე მსუბუქი დებილობის ფორმით“. პარლამენტის სხდომაზე პრეზიდენტ გ. მარგველაშვილს, დეპუტატმა გოგი თოფაძემ შეასხენა „შენ ის კაცი არ ხარ, ქართველ ერს დებილობის დიაგნოზი რომ დაუსვიო? ვერაფერი ვერ უთხრა. მხრები აიჩეჩა, აქვე მინდა ამავე გაზეთში ერთი გლესკაცის ნათქვამი მოვიყვანო, გლესი ეუბნება ჟურნალისტს შვილო, მარგველაშვილი ჩვენზე რასაც წერს, ყველაფერი მართალია, „ჩვენ დებილები რომ არ ვიყოთ, მაგას პრეზიდენტად როგორ ავირჩევდითო?!“ ან ბ. ივანიშვილს რატომ ვუჯერებთ ყველაფერს, ჩემის აზრით, თვითონ მართლაც დებილი რომ არ იყოს, რას გარბოდა პრეზიდენტის სასახლეში, 4 წელი სიამონებებაში გაატარა. ვითხრეს არ შეხვიდე, ე.ი. არ უნდა შეხვიდე. რომ არა ბიძინა ივანიშვილი, პრეზიდენტობას ალბათ გ.მარგველაშვილი თავის სიცოცხლის მანძილზე ყველაზე კარგ სიზმარშიც ვერ ნახავდა.

საქართველოს საბაჟოს მონაცემებით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ყოველწლიურად საქართველოში შემოდის 110 მილიონი დოლარის თამბაქოს ნედლეული და სიგარეტი, ამ დროს ლაგოდეხიდან ასობით ოჯახი წასული იყო წლობით საბერძნეთში, იტალიაში, თურქეთში და სხვა ქვეყნებში, ლაგოდეხიდან რამდენიმე ოჯახი წლობით საბერძნეთში მუშაობდა ზაფხულში თამბაქოს პლანტაციებში, ზამთარში თამბაქოს გადამამუშავებელ საწარმოებში, აი ასეთია ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკა.

2020 წლის თებერვლიდან მსოფლიოში შექმნილი „კორონა ვირუსის“ (COVID 19) გლობალური პანდემიის გამო, წელს ეს ხალხი სამშობლოში ბრუნდება, მაგრამ სად დასაქმდებიან ჯერ არავინ იცის. უნდა აღსდგეს რაიონებში სოფლის მეურნეობის წარმოების ტრადიციული დარგები და ნელელულის გადასამუშავებელი საწარმოები, ვნახოთ მომავალი გვიჩვენებს. არ შეიძლება ყველაფერზე ევროპელების უკუღმად მოცემულ გეგმებზე ვიაროთ, არ ვაწარმოოთ ხორბალი და სახნავ მიწებზე ვაშენოთ; ამერიკული მაცვალი, ჟოლო, მარწყვი, ლურჯი მოცვი და ა.შ.

საქართველო, ვერცერთი ხელისუფლების დროს ვერ შედგა ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანად, წინა ხელისუფლების დროს კიდევ გაკეთდა რაღაც რამდენიმე მნიშვნელოვანი, შეიქმნა სახელმწიფო პოლიცია, ჯარი, ერთიანი სახელმწიფო რეესტრის სამსახური, აშენდა ყველა რაიონში თანამედროვე ტიპის სავადმყოფოები, აღიჭურვა ახალი თანამედროვე დანადგარებით, დასავლეთის მიმართულებით ავტობანების მშენებლობა, ბიუჯეტის ზრდა, პენსიების მომატება და სხვა, ასევე ამერიკელების დახმარებით „ლუგარის“ ლაბორატორიის შექმნის და „ლაზიკის“ ღრმაწვლოვანი პორტის აშენების იდეა მათი წამოწყებულია.

მაგრამ ბევრი ისეთი არასასიამოვნო ფაქტებიც მოხდა მაშინდელი ხელმძღვანელების უყურადღებობებით და გამოუცდლობით, 7-ნოემბერი, 26-მაისი, მშვიდობიანი მიტინგების დარბევები, გავიდა დრო და „ქართულ ოცნებასთან“ „კოკაპიტაციის“ შემდეგ გაანალიზეს თავიანთი შეცდომები და უმრავლესობა ჩამოყალიბდნენ პოლიტიკოსებად.

ბოლო განვლილი წლებიდან გამომდინარე ჩემი პოლიტიკური შეფასებით მიხეილ სააკაშვილი არის საერთაშორისო აღიარებული გამოცდილების პოლიტიკოსი, მას აქვს ევროპაში და დასავლეთში დიდი პოლიტიკური რესურსი. ამის შეფასების უფლებას მაძლევს ის რომ უკრაინაში 43 მილიონიან ქვეყანაში ჯერ დანიშნეს ოდესის გუბერნატორად, დაუბრისპირდა „მაფიოზებს“, ესლა კი აირჩიეს უკრაინის პრეზიდენტის აპარატში ქვეყნის რეფორმების განხორციელების კომისიის თავმჯდომარედ., ეს ჩემი აზრით საქართველოს სახელია.

ძნელია ჩამოვთვალოთ წინა ხელისუფლების 9 წლის განმავლობაში ყველა გაკეთებული და ცუდიც, არცაა ეს ჩემი მოვალეობა, მაგრამ ერთი მაინც მინდა გავიხსენო მ.სააკაშვილის დროს ლაგოდენის ფაქტიდან, 2004 წელს საპარლამენტო არჩევნების დროს „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის თავმჯდომარემ გურამ კაკალაშვილმა ლაგოდენის არჩევნებისათვის გამოყოფილი 20 ათასი ლარიდან 1700 ლარი ხურდა დაუბრუნა მ.სააკაშვილს აღარ დაგვჭირდაო, მიშა გაოცებულია, რითაც

გურამმა მოიპოვა მის მიმართ დიდი ნდობა, ესევე თავის ხელით ჩაწერა პარტიული სიის მე-5 ნომრად.

აქვე გამახსენდა ჩემი საკუთარი ბიბლიოთეკის თაროდან 2-3 წლის წინ კიდევ გადაკითხული წიგნიდან ერთი საინტერესო მომენტი. დედოფლისწყაროს (წითელწყაროს) რაიონის ზემო ქედის კომუნის დამაარსებლის და შემდეგშიც 35 წელი კოლმეურნეობის თავმჯდომარის კობა ჩოხელის განვლილი ცხოვრებიდან, „როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარე თბილისში სოფლის მეურნეობის სამინისტროში წასვლისა და უკან დაბრუნების 2 დღიანი სამივლინებო თანხიდან მორჩენილი ფული საკოლმეურნეო სალაროში რომ დაუბრუნებია, უთქვამს კოლმეურნეობის ყოველ კაპიკს და მანეთს გაფრთხილება უნდაო.“ ეს წიგნიც ბატონ გურამის, მამის ბახვა კაკალაშვილის მიერ ნაყიდი წიგნი თავის სახლში წაკითხული ექნებოდა, რომ მოიფიქრა და 1700 ლარი მორჩენილი თანხა უკანვე, რომ დააბრუნა. მე, სრულიად მივესალმები გურამის ასეთ პოლიტიკურ მოფიქრებას, გაუმართლა კიდევ და 9 წელი გაატარა პარლამენტში, ლავოდეხისთვის არაფერი.

დღეს ქვეყანას არა აქვს „ხალხის ცხოვრების ეკონომიურად გაძლიერების 3-წლიანი, 5-წლიანი პროგრამა,“ მე რომ მეკითხებოდე ვინმე 90%-ით გადმოვტანდი ჩინეთის ქვეყნიდან ი.სტალინის „ეკონომიკური განვითარების პროგრამას,“ ჩავრთავდი ამ საქმეში გამოცდილ ქართველ ეკონომისტებს, იურისტებს და სხვა დარგის გამოცდილ სპეციალისტებს, დაგნერგავდი, დავაკანონებდი და მოვარგებდი ქართველ მოსახლეობას და სპეციალიზაციის მიხედვით საქართველოს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს, არ შეიძლება საქართველოს ქვეყანამ იარსებოს მხოლოდ ტურიზმის არსებული შემოსავლებით. კომუნისტების დროს ტურიზმის შემოსავლები იყო მე 8-10 საკითხი, მთავარ შემოსავლებს ვლებულობდით მიწის დამუშავებით მიღებული პროდუქციის შემოსავლებიდან, ხალხიც მუდმივად დასაქმებული და ძლიერი იყო.

აქვე მინდა მკითხველს შევთავაზო საგაზეთო საარქივო მასალიდან სტატია, რომელიც ესოდენ საინტერესო იქნება მისი გაცნობა.

სტალინის ჩინეთი, რომელიც განვითარებული ქვეყანა გახდა

საარქივო მასალებში არის ი.სტალინის, ბევრი საინტერესო სოციალიზმის გარდაქმნის აუცილებელი ეტაპები, მაგალითად; „სტალინის ჩინეთი“ სადაც აღწერილია სტალინის უახლოესმა მეგობარმა და მოკავშირემ მათ ძელუნმა როგორ გამოიყენა სტალინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირში განსახორციელებელი სოციალიზმის გარდაქმნის

გეგმა. რომელიც 1952 წელს გამოაქვეყნა სტალინმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „Вопросы экономического развития в СССР”. ხრ-უშჩოვმა თავისი ბოროტი ყინის და ღვარძლის გამო, სტალინის ეს ნაშრომი უარყო და დაიწყო ქვეყნის განვითარების სულელური გეგმა, რომელმაც ქვეყანა მიიყვანა კინაღამ კატასტროფულ შიმშილამდე.

რამდენიმე წლის შემდეგ სოციალისტური გარდაქმნის სტალინური ეს უღუღესი გეგმა მთლიანად გამოიყენა ჩინეთში მათ ძედუნმა. მე აღარ შეგუდგები სტალინის და მათ ძედუნის დიდი ხნის მეგობრულ ურთიერთობას, რადგან ეს ყველასათვის ცნობილი ფაქტებია.

ამიტომ რომ არა სტალინი, ეს უდიდესი ქვეყანა ჩინეთი ვერასოდეს შედგებოდა ერთიან სახელმწიფოდ. მეორე მსოფლიო ომის დროს ქა-ოსში ჩაფლული გოლიათ ქვეყანას ამერიკულ-ევროპული იმპერიები და ვიტლერი დაინაწილებდნენ.

რომ არა სტალინის დახმარება გიგანტური ჩინეთი ვერასოდეს წამოდგებოდა ფეხზე და ვერც მსოფლიო მნიშვნელობის მოთამაშედ გადაიქცეოდა. სტალინმა არა მხოლოდ უზარმაზარი ათობით მილიარდი დოლარის დახმარება გაუწია მათ ჩინეთს, არამედ კბილებაკაწკაწებულ დამპყრობელთაგან გადასარჩენად, უმთავრესი თავდაცვის იარაღით ატომური ბომბითაც შეიარაღა.



სურათზე. ი. სტალინი და მათ ძედუნი, პეკინის ცენტრში იოსებ სტალინის უზარმაზარი მეგობრული

სტალინმა ფაქტობრივად ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის პროგრამაც უსახსოვრა მათს ჩინეთს. რომელიც ზემოთ მოგახსენეთ. ჩინეთი რამდენიმე წელია სწორედ ამ პროგრამით გახდა წარმატებული ქვეყანა. ამ პროგრამით ჩინეთმა დღემდე შეინარჩუნა ერთპარტიული სოციალისტური სისტემა და დაუშვა ეკონომიკური თავისუფლება, სახელმწიფო კაპიტალიზმი. ანუ მათ ძელუნმა სწორედ ის გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა სტალინს საბჭოთა კავშირში, მაგრამ როგორც უკვე ავლნიშნე ხრუშჩოვის მიერ სტალინისადმი პირადი სიძულვილის და ახირების გამო ეს პროგრამა საბჭოთა კავშირში აღარცერტმა მთავრობამ აღარ განახორციელა.

ამ პროგრამის გამოყენების იდეა წამოაყენა სტალინის გარდაცვალების რამდენიმე წლის შემდეგაც, სტალინის უახლოესმა თანამებრძოლმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიჩესლავ მოლოტოვმა, მაგრამ ამის გამო ნ. ხრუშჩოვმა ისიც დაითხოვა მთავრობიდან. სხვათა შორის ერთი საინტერესო ფრაზაცაა, სტალინის მხოლოდ ვ. მოლოტოვი მიმართავდა ხოლმე (კობა-თი).

ჩინეთის აღზევებაში თუ რა როლი ითამაშა სტალინმა, ძალიან კარგად ჩანს 1950-იანი წლების დასაწყისში სტალინის სიცოცხლეშივე, მათ ძელუნის მიერ წამოყენებული სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი ლოზუნგი „ვისწავლოთ საბჭოთა კავშირისაგან“.

მართალია, რუსეთმა და საქართველომ სტალინი უარყვეს, მაგრამ ჩინეთში სწორედ მათ ძელუნის მოღვაწეობის დროს ქალაქ პეკინში აგებული ი. სტალინის უზარმაზარი მემორიალი დღესაც დგას ქალაქის ცენტრში.

აქვე მინდა მოვიყვანო ერთი ფრაზაც სტალინის შესახებ, „ხრუშჩოვის შვილმა სერგეი ხრუშჩოვმა პირდაპირ განაცხადა რამდენჯერმე ინტერვიუში, მამაჩემმა მიქარა, სტალინი რომ მავზოლიუმიდან გამოიყვანაო“. სერგეი ხრუშჩოვი ასევეც/ აღნიშნავდა, რომ სტალინის იდეა იყო „ძლიერი სახელმწიფო და ძლიერი ხალხი“. მართლაც სულელმა ხრუშჩოვმა და მისმა მემკვიდრეებმა, განსაკუთრებით მკორბაჩონმა დაშალეს და დაანგრეს საბჭოთა კავშირიც, ბოლოს „დემოკრატიის“ იდეის ძახილით, 31 წელია გამუდმებით მიმდინარეობს მიტინგები, დარბევები და ომები რუსეთშიც და საქართველოშიც.

ჩინელები საქართველოში კი არ უნდა მოვიწვიოთ საცხოვრებლად და დავასახლოთ თბილისის ზღვის პირას, აქ თითქმის პატარა ჩინური ქალაქია, მათ მიერ აშენებულია 5 ვარსკვლავიანი მარმარილოში ჩასმული სასტუმრო და გარშემო 30-მდე საცხოვრებელი კორპუსები, თუ ჩამოვიყვანეთ და დავასახლეთ გამოვიყენოთ საქართველოში მეაბრე-

შემეობის წარმოების აღდგენისათვის, ჩინური ნატურალური აბრეშუმის ნაწარმი დღესაც ცნობილია მსოფლიოში. მთავრობამ, საპარტნიორო ფონდმა რომელიც აქტიურადაა ჩართული ჩინელებთან ურთიერთობაში ვნახოთ ამ დარგით დანტერესებული ჩინელი ინვესტორი და საქართველოს 17 რაიონში აღვადგინოთ აბრეშუმის წარმოება, დავასაქმოთ მეაბრეშუმეობის რაიონების მოსახლეობა, აღვადგინოთ თუთის სანერგეები, გავაშენოთ მოსახლეობაში ერთეული ნარგაობა გზის პირებზე და გავაშენოთ თუთის პლანტაციები სახნავ გამოუყენებელ ადგილებში, მინდვრებში გზის პირებზე. აი, ეს იქნება ეროვნული საქმე.

გამოდის, რომ ლაგოდეხში 30 წელი დაგვარგეთ სქ დარგების აღდგენის და განვითარებისათვის, მე სხვანაირად მოვიქცეოდი, 2004 წლიდან გავაფართოებდი თამბაქოს წარმოებას უნგრული თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მაშინდელ გამგე-მგელს ნუგზარ კაკიაშვილს ხელი რომ არ შეეშალა ჩემი წამოწყებული საქმისათვის ახლა „ვირჯინის“ ჯიშის თამბაქოს წარმოება ალბათ 2000 ტონაზე მეტი იქნებოდა მიღწეული და დასაქმებული იქნებოდა ყოველწლიურად 12-15 ათასი ადამიანი.

2013 წლიდან ბატონ ბიძინა ივანიშვილსაც ვწერდით, რომ სახელმწიფომ უნდა დაგვემოს ქვეყნის შიგა ბაზრისათვის და მოხმარებისათვის სქ სტრატეგიული ნედლეულის წარმოება(ხოხალი, ქერი, სიმინდი, ბოსტნეულ-ბაღჩეული, თამბაქო, ჩაი და ა.შ.) კულტურების წარმოება. სახელმწიფომ დიდი სახნავი მიწების მეპატრონეებს უნდა დაუგემოს ქვეყანას რა სახის და რა რაოდენობის ნედლეული ჭირდება შიგა ბაზრისთვის და ექსპორტისათვის, სახელმწიფო უნდა ჩაერიოს ფერმერებს მისცეს დიზელის წაწვავი დაბალ ფასებში სუფსიდირებაც გამოიყენოს და გააკონტროლოს კიდევ. ასე ხდება ევროპის ყველა ქვეყანაში და აღწევნ შედეგებსაც. ამისათვის წიგნშიც მოყვანილი მაქვს რადენიმე უკვე დიდი ხნის წინ განვითარებული ქვეყნების მაგალიტები. სასოფლო რაიონებში უსაქმოდ რომ სხედან გამგებლები თუ მერები, სქ საინფორმაციო სამსახურის მუშაკები, ესაა მათი გასაკეთებელი და არა მარტო ინფლასტრუქტურული პროექტები ასფალტები, გზის პირებზე წყლის არხები და სხვა.

ლაგოდეხში არიან ფერმერები, ინდმეწარმეები, რომლებსაც წლების განმავლობაში აუქციონის წესით შესყიდული აქვთ სახნავი მიწები 10 ჰექტრიდან 200, 500, 700 ჰექტრამდე, სახელმწიფომ უნდა დაუგემოს და დაეხმაროს დიზელის საწვავით, სათესლე მასალით, გრძელვადიანი სახნავი ტექნიკის შესყიდვით და დაუგემოს ერთწლოვანი სტრატეგიული კულტურების წარმოება. მაგალითად; ლაგოდეხში არის



ლერი მიდელაური

ფერმერი **ლერი მიდელაური**, რომელსაც აუქციონის წესით წლების განმავლობაში შესყიდული აქვს 800 ჰექტარი სახნავი მიწები. ასეთი პიროვნებები ბევრია რომლებსაც 300 ჰექტრამდე სახნავი მიწები აქვთ. სახელმწიფომ მათ უნდა დაუგეგმოს ყოველწლიურად რომ აწარმოონ სტრატეგიული კულტურები ხორბალი, თამბაქო, მოიყვანენ კიდევ. ბევრ მათგანს აქვთ სურვილი აწარმოონ ვირჯინიის ჯიშის თამბაქო 5 დან 30 ჰექტრამდე ბალეოურიკების კაშვებში ხმობით, ამიტომ სოფლის მეურ-

ნეობის სამინისტრო უნდა ჩაერიოს თამბაქოს ფაბრიკასა და თამბაქოს მწარმოებელ მეწარმეს შორის.

ლაგოდეხში არის პიროვნება თენგიზ თუთისანი, წლების განმავლობაში მუშაობდა ლენინგრადში სხვადასხვა წარმოებაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 15 წელზე მეტია ცხოვრობს ლაგოდეხში, სოფელ გელათში მამისეულ ბინაში. აქვს დიდი კავშირები პეტერბურგის სივარეტის ფაბრიკებთან, რამდენიმე წელია უნდა ვირჯინიის თამბაქოს მოყვანა, მაგრამ საჭირო ფინანსებისა და დახმარების გარეშე ვერ ახორციელებს თამბაქოს ნედლეულის ბიზნესს.

ლაგოდეხის მერიაში კიდევ ერთი აღაშფოთიჯალი ფაქტი

როგორც ინტერნეტში არსებული მასალებშია მოცემული, ლაგოდეხის მერიაში, მუნიციპალიტეტის მერი ჯონდო მდივნიშვილი 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2019 წელში გამოშვებული 5 ახალი



ეკა ლომთაძე

„რენოს“ მარკის ავტომობილის შეძენაზე დახარჯა 201 ათასი ლარი, იმ სოციალური მიმღე ფონის შემდეგ, რომელშიც ლაგოდეხელი მოსახლეობა წლებია იმყოფება. ნამდვილად ამან მოსახლეობაში გამოიწვია გაურკვევლობა და აღშფოთება, მაგრამ რაკინ უსმენს მოსახლეობას.

როგორც ინტერნეტში ბატონი მერი ჯონდო მდივნიშვილი განმარტავს, ახალი მანქანები სწორედ იმიტომ იყიდეს, რომ მერია „მოსახლეობას ხარისხიანად მოემსახუროს

ა-წერტილიდან ბ-წერტილამდე და გ-წერტილამდე“. მუნიციპალიტეტის მერმა რაც ახალი მანქანები შეიძინა დილის 11 საათამდეა კაბინეტში, ყოველდღე საღამომდე ახალი მანქანით ღმერთმა იცის სად დადის და დასეირნობს, უხარია ახალ კონდიციონერ მანქანაში ჯგომმა. საღამოს 5 დან 6 საათამდე მოდის კაბინეტში და გვიან საღამომდე კაბინეტშია. მოსახლეობის მიღების დღეები ხომ საერთოდ არ არსებობს. სამაგიეროდ კაბინეტშია დილიდან საღამომდე პირველი მოადგილე პასუხების გასაცემად.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ევა ლომთაძე „პირდაპირ გამოხატავს აღშფოთებას ახალი 5 ავტომობილის შეძენის თაობაზე და აცხადებს, რომ რამდენიმე წელია ვითხოვ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის და ბავშვებისათვის, ოჯახებში მღვდმარეობის გამოსასწორებლად იქნებ განისაზღვროს შესაბამისი მცირედი თანხები მაინც, რომ ასეთმა ბავშვებმა იგრძონ თავი კეთილ და საიმედო გარემოშიო, მაგრამ საკრებულოს თავმჯდომარისგან და გამგებლისაგან ყოველთვის უარს ვიღებ“.

მეც მინდა გამოვხატო ჩემი პოლიტიკური პროფესიონალური შეფასება ამ საკითხის ირგვლივ, 2 ავტომობილი რომ ეყიდათ ხომ შეიძლებოდა. ამ 5 ავტომანქანას 5 მძღოლი ხომ უნდა, ხელფასები ხომ უნდა მიეცეს. ლაგოდეხის ისტორიაში როგორც ადმინისტრაციული რაიონი 1930 წლიდან დაწყებული რაიკომს 2 მანქანაზე მეტი არასოდეს ყოლია. ომამდე და ომის შემდეგაც რაიკომის პირველი მდივნები ერისკაცები რაიონში ჯერ ცხენის ეტლებით დადიოდნენ და 1965 წლებიდან კი პარტიის ცეკას ნახმარი ერთი მანქანით დადიოდნენ. ისმება კითხვა, მაშ ვინაა ეს მერი თუ „მერიკო“ მოსახლეობის ფულით ერთდროულად 5 ახალ მანქანას რომ ყიდულობს. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მარტო მისი ბრალიც არაა და ვერც გაამტყუნებ, იმიტომ რომ ქვეყანას არ ყავს „პატრონი“, უპატრონო ქვეყანაში კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს. რათ უნდათ მერს და ერთ მოადგილეს 5 ახალი მანქანა. „რენოს“ მარკის მანქანები ყველაზე სუსტია გამძლეობითაც.



რა სდება ლაგოდეხში, ბიზნესის განვითარების პერსპექტივაში თუ მოჩვენება

მკითხველისათვის ამ წიგნში შეთავაზებული ეს საკითხი არის ერთ-ერთი, რომელიც მიძღვნილია დღევანდელ საბაზრო ეკონომიკურ პირობებში ბიზნესის და მეწარმის მიმართ, რომელიც წარმოადგენს საბაზრო მეურნეობის წამყვან ფიგურას.

უკვე რამდენიმე წელია წარსულს ბარდება თანდათან 70-წლიანი ძველი სისტემა, სოციალიზმის უარყოფის საფუძველზე ყალიბდება ახალი მექანიზმი, რომლის საბოლოო ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო და გზა გვაქვს გასავლელი. მაგრამ ერთი კი ცხადია თუ დავესესხებით დასავლეთის და ევროპის ქვეყნების გამოცდილ ბიზნესმენების და მეწარმეების მოსაზრებებს და წინადადებებს, ამ საქმეში პირველ რიგში მთავარია პატიოსნება და პასუხისმგებლობა.

საბაზრო ეკონომიკისაკენ გადასვლის პროცესში სულ უფრო აქტიური ხდება ახალი შესაძლებლობების შექმნის პროცესი—სოფლის მეურნეობაში და წარმოებაში ახალი ხერხების დანერგვა, ძველი შეზღუდვების ხარჯზე, ყველაფერს ამას ჰქვია ბიზნესი და მეწარმეობა. ეს დღევანდელ საქართველოში დინამიკური პროცესია, რომელიც არღვევს ბარიერებს მაგრამ შრომა, კაპიტალი, ცოდნა და სხვა წარმოების ფაქტორები არ მოქმედებენ მანამდე, სანამ მათ არ შეეხება ნიჭი მეწარმისა. როგორც საბაზრო ეკონომიკის წამყვანი ფიგურისა.

ბიზნესმენი და მეწარმე რომელიც თავის სასარგებლოდ მუშაობს, სრულყოფილი ბაზრისა და სრული კონკურენციის პირობებში, იმავდროულად სოფლის გლეხობისა და მუშისათვის მაქსიმალური სარგებლობაც უნდა მოიტანოს, რათა სოფლის მეურნეობაში ისტორიულად დასაქმებული კოლმეურნე გლეხობამ და მუშებმა მიიღოს შემოსავალი დასაქმებისა და შრომის მიხედვით მეწარმეებისა ბიზნესმენების საშუალებით, რაც ჩვენ პირობებში ასე არ ხდება.

საქართველოში მეწარმეთა წარმოშობა—ეს ნიშნავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალი აზროვნების პროცესში, ახალი შემოქმედი პირების ჩამოყალიბებას. თავისი ბუნებით მეწარმეები უნდა იყვნენ ეკონომიკური მიმართულებით მომუშავენი, რომლებიც თავისი საქმიანობით ქმნიან სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ ეკონომიკურ სივრცეს.

ეკონომიკა და ბიზნესი წარმოადგენს არა მარტო ფულს და სიმდიდრეს არამედ ადამიანების, ბიზნესმენების ურთიერთობებს სამი ურთიერთ დამაკავშირებელი და ძირითად პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობით.

1. მეწარმემ უნდა გადაწყვიტოს რომელი საქონელი და რა რაოდენობის იქნას წარმოებული და როდის.

2. საბაზრო ეკონომიკის ყველა მონაწილეს შეუძლია თავისუფლად გაცვალოს თავისი წარმოებული ან შესყიდული საქონელი მთავრობის გარეშე, როგორ აწარმოონ—საქონელი, რომელი რესურსებიდან და როგორი ტექნოლოგიით.

3. ვისთვის მზადდება საქონელი ანუ როგორ უნდა განაწილდეს ეროვნული პროდუქტი, როგორი საზოგადოება გვინდა რომ გვექონდეს,—სადაც ბევრი მდიდარია და ცოტა ღარიბი თუ პირიქით.

საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება უნდა განხორციელდეს ბაზრის საშუალებით ანუ წარმოებული ნედლეულის რეალიზაციით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოიშვება საბაზრო ფასებიც.

გარდამავალი ეპოქის პერიოდში მეწარმეობა რეალურ ეკონომიკურ და სოციალურ ძალას იძენს, მაგრამ მისი ჩამოყალიბება სხვადასხვა ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში ხშირად წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთში.

მეწარმეობა შეიძლება წარმოვიდგინოთ 3 დონეთ:

პირველი—ხასიათდება სოციალური პრინციპის და კომუნისტური იდეოლოგიის გაბატონებით. მეორე დონე—განისაზღვრება გარდამავალი პერიოდის სპეციფიკით და ხასიათდება იმით, რომ ძველი სახელმწიფო პრაქტიკულად დაიხვრება და ახალი ჯერ მშენებლობის პროცესშია. გარდამავალი ეპოქის მესამე დონე ხასიათდება მეწარმეთათვის არახელსაყრელი სოციალური ეკონომიკური ფორმით.

საჭიროა ახალი გზების ძებნა ბიზნესის და მეწარმეობისაკენ; ახალი ტალღის ტიპური მეწარმეები უნდა იყვნენ განათლებული სპეციალისტები, ბიზნესში მეწარმეობას გზა გაუხსნა საქართველოში ახალმა მიღებულმა კანონებმა კოოპერატივების და მეწარმეობის შესახებ.

ა. შ. შ., გერმანიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხანია არსებობს სპეციალური ინსტიტუტები, რომლებშიც ადამიანები სწავლობენ ბიზნესის სხვადასხვა ფორმებს. ეს ეხმარება მათ იმის განსაზღვრაში, შეუძლიათ თუ არა მათ ბიზნესის დამოუკიდებლად და სწორად წარმართვა. ჩვენთან კი, ბევრ ბიზნესმენს და მეწარმეს მიაჩნია თითქოს ყველაფერი იცის, ოღონდ ფული ვიმოვოთ, ყველაფერ დამახინჯებულ და ზოგჯერ საბედისწერო რისკზე მივდივართ. ეს არაა ბიზნესი.

საქართველოს პრეზიდენტი ბატონი ელუარდ შევარდნაძე ყოველთვის მოუწოდებდა ადამიანებს, ბიზნესმენებს, მეწარმეებს პატიოსნებასაკენ, რომ ბიზნესი საქართველოში პატიოსნების გარეშე ვერ განვითარდება.



თამბაქოს ნედლეულის გადამამუშავებელი
საფერმეტაციო ქარხანა.




ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი
საკონსერვო ქარხანა.



ეთერზეთების ნედლეულის
გადამამუშავებელი ქარხანა.

1930 წლიდან
აშენებული საწარ-
მოები რომლებიც
დღეს აღარ არსებობს
და ასე გამოიყურება.



რძის გადამამუშავებელი ქარხანა.

მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფაზე დიდ გავლენას ახდენს ბუნებრივი ფაქტორები ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამოკიდებულება კლიმატზე და ნიადაგობრივ პირობებზე მსოფლიოს მრავალი რეგიონისთვის ჯერ კიდევ რჩება გადამწყვეტ ფაქტორად. ხშირია გვალვები, წყალდიდობები, სხვადასხვა სახის ეპიდემიური დაავადებანი და სხვა.

სასურსათო პრობლემის გლობალურობა ეხება მსოფლიოს ყველა ქვეყანას, რაც გამოიხატება სპეციფიკურ თავისებურებებში, სასურსათო პრობლემების გაუმჯობესება მართო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებით შეუძლებელია. იგი მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას, რომელიც დახმარებისა და უშუალო ჩარევის გარეშე შეუძლებელია მისი გადაწყვეტა. სურსათის წარმოებაზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ენერგეტიკური და ნედლეული რესურსების პოტენციალი. აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია.

მსოფლიო ქვეყნების რეგიონის სასურსათო მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკური მოვლენებიც. სასურსათო პრობლემების არა მართო დეფიციტი, არამედ ჭარბწარმოებაც კი იწვევს კრიზისულ მოვლენებს, როგორც მოსახლეობის გადახდის უნარიანობის დეფიციტს ისე პირიქით, სასურსათო პრობლემების ჭარბწარმოება, რომელსაც ადგილი აქვს განვითარებულ ქვეყნებში, მათთვის საჭიროა ნედლეულის გასაღების ბაზარი თუ ეს ვერ მოიპოვეს ზოგჯერ იწვევს მისი წარმოების დროებით ლიკვიდაციას.

მსოფლიოს მეგრ ქვეყანაში არსებობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ხელსაყრელი და არახელსაყრელი რეგიონები, რომლებიც მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლევიან პროდუქტის მეტ-ნაკლები რაოდენობით წარმოების საშუალებას, თუ ბუნებრივ ფაქტორებთან ცონიგრულადაა შეთანაწყობილი ადამიანის მიზანდასახული შრომა, სწორედ ამიტომ სასურსათო პრობლემის გადაწყვეტისათვის მთავარია სწორედ ადამიანის შრომის ფაქტორი.

დღეისათვის მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. შრომის ნაყოფიერების ზრდა და ინდუსტრიული შრომის დამკვიდრება სოფლის მეურნეობაში, მკაფიოდ ჩანს ნიდერლანდისა (პოლანდია) და დანიის სახელმწიფოების მაგალითზე, სადაც ერთი ფერმერი მეცხოველე აწარმოებს იმდენ პროდუქციას, რამდენიც გამოკვებავს 120—130 კაცს, მაშინ როდესაც განვითარებად ქვეყნებში საშუალო დონის ფერმერი თავისი ოჯახის მოთხოვნილებებსაც ძლივს აკმაყოფილებს. სწორედ ინდუსტრიული შრომის შედეგად გახდა დღეისათვის ეს პატარა ქვეყნები მსოფლიოში მეცხოველეობის პროდუქტების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილი ექსპორტიორები.

პოლანდიაში მე პირადად მქონდა შესაძლებლობა რამდენიმე წლის წინ 10 დღის განმავლობაში გავცნობოდი საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის განვითარების ფერმერულ მეურნეობებს. მეცხოველეობის დარგის განვითარებამ ამ ქვეყნებში განაპირობა გადამამუშავებელი ინდუსტრიის იმ დონემდე განვითარება, რომ ამ პროდუქტითაც მსოფლიო ბაზარზე გავიდნენ. დანია, რომლის მოსახლეობა 5 მლნ კაცზე ცოტა მეტია დღეისათვის აწარმოებს 80—100 მლნ კაცისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, მაშინ, როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და მის გადამამუშავებაში დასაქმებულია მოსახლეობის მხოლოდ 12%.

განვითარებდა ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო შრომა გაცილებით ნაკლებ ანაზღაურებადია და ამდენად პროდუქციის წარმოებაც გაცილებით იაფია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. სამრეწველო განვითარებამ დააჩქარა შრომის ნაყოფიერების ზრდა. შეიქმნა ყველა პირობა იმისათვის, რომ მიეღოთ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია ნაკლები შრომითი დანახარჯებით, ინდუსტრიალიზაციამ მინიმუმამდე შეამცირა ცოცხალი შრომის ხვედრითი წილი. მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები დღესაც რჩებიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსხვილ მწარმოებლებად და ექსპორტერებად.

ზოგიერთ ქვეყნების სოფლის მეურნეობაში ტექნიკური პროგრესი მიმდინარეობს წვრილი ფერმერული მეურნეობების ლიკვიდაციის ხარჯზე, რომლებიც ვერ უძლებენ მსხვილ მეურნეობების კონკურენციას. საქართველოში და კერძოდ ლაგოდეხში მსხვილ მეურნეობების ბაზაზე თანდათან იქმნება წვრილი ფერმერული მეურნეობები, საინტერესოა როგორ მოხდება მათი განვითარება შემდგომში.

ზოგიერთ ქვეყნებში მცირემიწიანი მეურნეობების შემოსავალი ვერ უზრუნველყოფს ტექნიკის შეძენის ხარჯებს და მოკლე დროში წყვეტენ არსებობას. ისინი უერთდებიან სხვა ეკონომიკურად უფრო მძლავრ მეურნეობებს ან თავად ქმნიან ინტერესების მიხედვით კოოპერაციულ განვითარებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ქმედითუნარიანობას. ეს პროცესები როგორც ახალი ფორმა ობიექტურია ჩვენს რესპუბლიკაში და ამას არ შეიძლება მოჰყვეს წვრილ ფერმენტა გაღატაკება.

მსოფლიო სოფლის მეურნეობის ძირითადი მიზანია კვების პროდუქტების წარმოება მოსახლეობისათვის და ნედლეულის წარმოება გადამამუშავებელი მრეწველობისათვის. ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, უპირველეს ყოვლისა განეკუთვნება მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქტები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ადამიანის არსებობა. მარცვლეულის მსოფლიო წარმოებაში წამყვანი ადგილი უჭირავს ხორბლის, ბრინჯისა და სიმინდის კულტურებს. თითოეული მათგანის წლიური წარმოების მოცულობა მსოფლიო მასშტაბით

ქმნილიყო ფერმერული წვრილი მეურნეობები, როგორც ავღნიშნეთ: პოლანდიაში, დანიაში და სხვა ქვეყნებში.

ლაგოდების რაიონში არსებული თანამედროვე ტიპის კაპიტალური ფერმები უნდა შესყიდულიყო ჯიშიანი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის **საფე** მეცხოველეობით დაინტერესებული ფერმერების მიერ და არა ისე, რომ ბევრმა აგროფირმამ მსხვილფეხა ჯიშიანი საქონელი გაყიდა დიზელის საწვავის შესაძენად და ბიუჯეტში საგადასახადო ვალების დასაფარავად და დღეს მიტოვებულია კაპიტალური ფერმები საქონლის გარეშე, რომლის აღდგენა დაინტერესებული ფერმერების მიერ უკვე ძნელია, ჯიშიანი საქონლის შემოყვანა და შესყიდვა უკვე დიდ კაპიტალურ კრედიტებთანაა დაკავშირებული, როცა რაიონში უკვე გვყავდა 10 ათასზე მეტი სული მსხვილფეხა რქოსანი ჯიშიანი საქონელი. ალბათ რამდენიმე წელში გაპარტახებამდე მიყვანილი კაპიტალური ფერმები მუდმივი მეპატრონის გარეშე თანდათან დაინგრევა, აი ერთი დიდი შეცდომა რაიონის ხელმძღვანელობისა მეცხოველეობის დარგში.

ლაგოდების რაიონში ნიადაგურმა და კლიმატურმა პირობებმა ისტორიულად ამ რეგიონში ხელი შეუწყო თამბაქოს ფართოდ განვითარებას. სოფლის მეურნეობის ეს დარგი წარმოდგენილი იყო ათეული წლების განმავლობაში, როგორც სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურა რაიონის ბიუჯეტის და მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთი დარგი. 1992 წლიდან 1997 წლამდე ამ კულტურის წარმოება ამ რეგიონში საერთოდ შეწყდა უყურადღებობის და ნედლეულის გასაღების ბაზრის უქონლობის გამო, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში თამბაქოს აწარმოებდა მხოლოდ ლაგოდების კლინოვკის კოლმეურნეობის ბაზაზე შექმნილი ფირმა „კავკასიონი“ 40—50 ტონას და ვიტამის საცდელი სადგური ატარებდა 2—3 ჰექტარზე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს. რაიონში მეთამბაქოეობას თანდათან გამოეცალა ძირითადი მატერიალური ბაზა თამბაქოს კაპიტალური საშრობები.

შეითხველმა ისე არ გაიგოს, რომ ვინმე წინააღმდეგი იყოს ცხოვრების კერძო საკუთრების მოწყობის და კერძო საკუთრებაში სახელმწიფო ქონების გადაცემისა, მაგრამ თამბაქოს საშრობების კერძო საკუთრებაში გადაცემა—გაყიდვის დროს მყიდველი ვალდებული უნდა ყოფილიყო მისი შენარჩუნებისათვის და ათეული წლობით ნაშენები ეს კაპიტალური თამბაქოს საშრობები ბარბაროსულად შემთხვევით პირებს ფულის შოვნის მიზნით არ უნდა ქონოდათ უფლება მისი დანქრავისა. ამის დასადასტურებლად მოვიყვან ერთ მაგალითს: სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საშუალებით გაიყიდა ნულოვან აუქციონებზე სახელმწიფოს მრავალი წარმოება, მაგრამ ახალ კერძო მეპატრონეებს მიეცათ წინადადებები, რომ 6 თვიდან 2 წლამდე ვადაში

მოახდინონ წარმოების სრული ტექნიკური რეაბილიტაცია, რომ წარმოება ჩადგეს ხალხის სამსახურში, აქ კი რა მოხდა. 1995—1997 წლებში რაიონის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ საშუალებას შეეწინა 120-ზე მეტი თამბაქოს კაპიტალური საშრობები. ამის შემდეგ 1998 წლის 26 იანვარს იღებს რაიონის გამგეობა განკარგულებას, „ლაგოდების რაიონში მეთამბაქოეობის აღორძინების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ და სასოფლო გამგეობებს ეძლევათ თამბაქოს რგვის დავალებები. გამგეობის ეს განკარგულება საბაზრო ეკონომიკის პირობებში ახალი ველოსიპეტის გამოგონებას ჰგავს თამბაქოს საშრობების დანგრევის შემდეგ. რაიონის მაშინდელი გამგე-მგელი ნ.კაკიაშვილი უნდა ეფიქრა რაიონის ხელმძღვანელს ან ამ დარგის სპეციალისტებს თავის დროზე, 2—3 ათას ტონამდე თამბაქოს წარმოება რომ აღსდგება, სად უნდა მოხდეს დროებით დასაწყობება. შენახვა? მშრომელი მოსახლეობის დიდი ნაწილი აქაინ რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ, მაგრამ თითზე კბენა უკვე გვიანა იყო.

როგორც ავღნიშნეთ რაიონის ხელმძღვანელი ნუზარ კაკიაშვილი, რომელიც საკმაოდ დიდი ხანი მუშაობდა ლაგოდებში, საეკლესიო მიმართულებით მრავალი კარგი საქმის წამომწყებია, მაგრამ სოფლის მეურნეობაში ხალხის დასაქმების თვალსაზრისითაც მეტი იყო გასაკეთებელი, რომ ეკლესიაში ეკონომიკურად გამართული ადამიანი ხალხით რომ შევიდეს.

დიდი ილიაც თავისდროზე ასე ბრძანებდა „ეს ქვეყანა ტაძარი კი არ არის, საცა გლეხი დღენიდავ რომ ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა დღენიდავ უნდა შრომობდეს რათა თავისი ოჯახი დააპუროს და მერე შევიდეს სალოცავად.“

1997 წლის იანვრიდან პირადად ჩემი ინიციატივით და თბილისის ერთ-ერთი კომერციული ბანკის დაფინანსებით, რაიონის მაშინდელი დეპუტატის ამირან ცინცაძის უშუალო მხარდაჭერით დაწყებული ლაგოდების რაიონში მეთამბაქოეობის აღდგენა, თამბაქოს მოყვანა სხვა კულტურებთან შედარებით მეტად შრომატევადია, მოითხოვს 95%-ს ხელით შრომას, მოსახლეობის დიდი ნაწილი ძველი მეთამბაქოე ოჯახები დაინტერესდნენ და საბაზრო ეკონომიკის პირობებში დაიწყეს ამ კულტურის მოვლა-მოყვანა. სოფელი შრომა, ცოდნისკარი, თამარიანი, ულიანოვკა, ვარდისუბანი, ბაისუბანი, კაბალი, გიორგეთი, აფენი და სხვა სოფლებში მოსახლეობას თამბაქოს მოყვანის მდიდარი გამოცდილება და ტრადიციები აქვთ.

თამბაქოს წარმოების და მის მოვლა-მოყვანის საქმეს დიდი ინტერესით გამოეხმაურნენ სოფელ ჰერეთისკარში ლაგოდების ამ მაღლიან მიწაზე აქარიდან ჩამოსახლებული 80-ვე ოჯახი, მათ აქარაში

თამბაქოს მოყვანის გამოცდილება აქაც გამოადგათ. აქ არიან ოჯახები რომლებმაც დაიწყეს თამბაქოს 1 ჰექტარზე მეტ ფართობზე მოყვანა, საშუალოდ 2 ტონაზე მეტ ნედლეულს ლებულობაზე ერთ-ერთი აჭარელი არსენა ღუმბაძე გვეუბნებოდა, რომ ასეთი მიწები აჭარაში ხულოს რაიონში რომ გვექონოდა ჩვენზე ბედნიერი და მდიდარი არავინ ექნებოდაო. ეს ხალხი დიდი და პატარა ყველა შრომით საქმიანობაში ჩაბმული. პატარა სოფელში, რომ შეხვალ გული გაგინათლება, უსაქმოდ ვერ ნახავ ვერცერთ ახალგაზრდას, როცა ესაუბრები და უსმენ მათ ყველა მომავლის პერსპექტივებზე და ახალ წინადადებებზე გესაუბრება. ამ სოფელში ხალხის მაქსიმალურად დასაქმების და მათი შემოსავლის გაუმჯობესებისათვის ამ სოფლის ტერიტორიაზე შეიძლება ვენახის გაშენება, ისეთი ჯიშებისა როგორცაა საფერავი და ახაშენი, რომლის ნედლეულზეც მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნაა. რაიონის ამ ტერიტორიაზე წინა წლებში ვენახები არ გაშენებულა იმის გამო, რომ იყო დაუსახლებელი. ესლა კი აჭარელი ეს მშრომელი ხალხი ვენახს სათუთად მოუვლიან და დიდ შემოსავალსაც მიიღებს თვითველი ოჯახი.

მეთამბაქოეობის, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის ახლებულად მოწყობისათვის საბაზრო ეკონომიკის პირობებში ლავოდენის რაიონში თავიდანვე ჩემი აზრი ასეთი იყო, რომ კოლმეურნეობების დაშლის პროცესში შექმნილიყო მეთამბაქოეობის გლეხური ფერმერული მეურნეობები, გამოყოფილიყო თითქმის ყველა სოფლებში სათამბაქოედ სახნავი მიწები ბრიგადული წესით მოყვანისათვის, ასეთი ტიპის გლეხური ფერმერული მეურნეობებიდან რაიონის ბიუჯეტიც მიიღებდა გარანტირებულ შემოსავალს და თანდათან გაძლიერდებოდა მეთამბაქოეობის ფერმერული მეურნეობებიც, თანდათან დაწინაურდებოდა ვირჯინიის ბალგიურიკებში ხმობას, შემდეგ ეს იქნებოდა ბიუჯეტის შევსების გარანტია და მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსვლის რეალური გზა, გამასივებული მიწები დაქუცმაცდა—გლეხს მიწის წვრილ მეპატრონეებს, ფერმერებს გაუჩნდა აუცილებლობა აწარმოოს პატარ-პატარა და ყველაფერი, რომ თვითონ ირჩინოს თავი.

ლავოდენის რაიონი ნახევრად სუბტროპიკული ზონაა, აქ წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციით ტექნიკური კულტურები, მეთამბაქოეობასთან ერთად აუცილებლად უნდა აღსდგეს ეთერზეთოვანი კულტურები, ესეც ერთ-ერთი დარგია სადაც შეიძლება სოფლის მოსახლეობის ფართოდ დასაქმება. ეთერზეთების ქარხნის ამუშავებით დასაქმდება მრეწველობაშიც მიმდებარე სოფლების მოსახლეობა და ახალგაზრდობა.

ეკროპის ქვეყნების სოფლის მეურნეობა

სასურსათო პროდუქციის წარმოება ადამიანის მიზანდასახული საქმიანობის უძველესი ფორმაა, მიუხედავად ამისა თანამედროვე ცივილიზაციის პირობებშიც კი ამ პრობლემის დაძლევა მოითხოვს მსოფლიოს მთელი მოსახლეობის ერთობლივ ძალისხმევას. სურსათით უზრუნველყოფაზე დიდ გავლენას ახდენს ბუნებრივი ფაქტორები, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება დამოკიდებულია კლიმატზე, ნიადაგობრივ საფარზე, ხშირია გვალვები, წყალდიდობები, სხვადასხვა სახის ეპიდემიური დავადებები, რომელთა წინაარმდეგ ბრძოლა მნიშვნელოვან სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებებს მოითხოვს. ეს საკითხი ეკროპის ქვეყნებში დადებითადაა გადაწყვეტილი, რომელიც მინდა მკითხველს გავაცნო.

პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი, ნიდერლანდი (ჰოლანდია). ეკროპაში ამ გიგანტმა ქვეყნებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმოკლეს დროში მიაღწიეს მაღალ ეკონომიკურ განვითარებას სოფლის მეურნეობის განვითარებით და მისგან მიღებული შემოსავლებიდან, ჩვენ, საქართველოშიც გვქონდა ომის შემდეგ სათანადო მიღწევები, მაგრამ აღმოვჩნდით საღდაც, საღდაც ჯერ კიდევ არ ვიცით სად ვართ. 3,7 მილიონიანმა ქვეყნის მოსახლეობამ როდის უნდა დავაღწიოთ თავი გაჭირვებას, სიღარიბეს, უმუშევრობას, საიდან წარმოიშვა ამდენი სიღარიბის წინაშე მდგომი ხალხი სოფლად, საქართველოში როცა 1990 წლამდე 5800 მლნ. შრომის უნარიანი ადამიანის 98% დასაქმებული იყო სოფლად.

სოციალიზმის რელსებიდან კაპიტალიზმზე გადასვლას ოდნავადაც ვერ მიუახლოვდით. მთავრობამ ქვეყნის შემოსავლის წყაროდ როდის უნდა გადააქციოს ეროვნული სოფლის მეურნეობის სტრატეგიული სასურსათო დარგები და არ ვიყოთ ყოველწლიურად დამოკიდებული ტურიზმის შემოსავლებზე. 1,5 მილიარდზე მეტი აშშ. დოლარი გაედინება ყოველწლიურად ქვეყნიდან სოფლის მეურნეობის ნედლეულის თუ სამრეწველო პროდუქციის იმპორტისათვის, ამიტომ მინდა განვიხილოთ ამ ოთხი ქვეყნის ეკონომიკა სოფლის მეურნეობის განვითარებით და მისგან მიღებული შემოსავლები.

პოლონეთი. პოლონეთის მთლიანი ტერიტორია 313 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა 40 მილიონი, დედაქალაქი ვარშავა, პოლონეთის ტერიტორია ძირითადად ვაკეა, რაც სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს ქმნის.

პოლონეთის ბუნებრივ-კლიმატური პირობებიც ხელსაყრელია სასოფლო სამეურნეო წარმოებისათვის, იანვრის საშუალო ტემპერატურა -2 დან -18 გრადუსამდე აღწევს, ზაფხული +20+28 გრადუსია.

სოფლის მეურნეობას პოლონეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ეროვნულ შემოსავალში ყოველთვის ზრდის ტენდენცია ახასიათებს. სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში წამყვანია მეცხოველეობა, რომლის საკვები ბაზის განვითარებისთვის ქვეყანაში ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებია.

მემცენარეობაში ძირითადია მარცვლეული კულტურები, რომელთა საერთო წარმოება 12 მლნ. ტონაა. ნათესი ფართობების მიხედვით პირველ ადგილზეა ჭვავი, მეორე ადგილზეა ხორბალი, რომლის ფართობები სულ უფრო და უფრო იზრდება. ფართოდაა წარმოდგენილი აგრეთვე ქერი, რომელსაც ძირითადად იყენებენ ლუდის წარმოებაში, პოლონეთი ლუდის წარმოებას ახდენს და ექსპორტს ეწევა მე-15 საუკუნიდან. თუ პოლონეთი 5 საუკუნეა ლუდის ექსპორტს ახორციელებს, ჩვენ რატომ შევწყვიტეთ ჩაის, თამბაქოს, შაქრის, ეთეროვანი ზეთების და ბევრი სხვა ნედლეულის თუ მზა პროდუქციის ექსპორტი? წინა საუკუნეებში ჩვენც ხომ ვაწარმოებდით ექსპორტს.

პოლონეთში საშემოდგომო ქერს და ხორბალს ენაცვლება შაქრის ჭარხალი, შაქრის წარმოების მხრივ ერთ-ერთ პირველ ადგილზეა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის და მეხუთე ადგილზეა მსოფლიოში რუსეთის, ამერიკის, საფრანგეთის და გერმანიის შემდეგ. ხოლო შაქრის ფხვნილის წარმოებით პირველ ადგილზეა მსოფლიოში და შაქრის მსხვილი ექსპორტიორია. თითქმის ყველა რეგიონში მისდევენ კარტოფილის და კომბოსტოს მოყვანას. ფართოდაა წარმოდგენილი მეხილეობა მოჰყავთ ვაშლი 15-20 სახეობის და ახორციელებს ექსპორტსაც, საკმაოდ დიდი რაოდენობით მოჰყავთ მარწყვი და აწარმოებენ ექსპორტსაც.

ქვეყნის განვითარების სოციალისტურმა მიმართულებამ, რომელიც პოლონეთში საბჭოთა კავშირის ჩარევის შედეგად 1948 წლიდან დაიწყო, ძირფესვიანად შეცვალა წარმოების არა მარტო სტრუქტურა, არამედ ფორმებიც. დაიწყო ე.წ. კოლექტიური და სახელმწიფო მეურნეობების ჩამოყალიბება. ყოველმხრივ შეზღუდეს ინდივიდიალური გლეხური მეურნეობები, რომელიც ომამდელი პოლონეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს წარმოადგენდა.

პოლონეთში წარმოების სოციალისტური სისტემის ძალად დანერგვამ ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები გამოიწვია, რომელსაც ნეგატიური მიმართულება ჰქონდა. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა მიატოვა სოფელი, ფასები კატასტროფულად იზრდებოდა, როგორც სა-

ხელმწიფო სექტორში, ისე ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთ დახმარების საბჭოს აქტიური წევრი იყო, გარედან დახმარებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. აი სწორედ ამ გზას ადგას საქართველო 20 წელზე მეტია და ამ შეცდომებს ვიმეორებთ, შემოდის უამრავი დახმარება ამერიკის თუ ევროკავშირის ბანკებიდან და სოფლის მეურნეობა ერთი და იგივე ადგილზეა, ძვირდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასები და ხალხის ეკონომიკური მდგომარეობა არ იზრდება ეი საქონლის ზრდა და ხალხის შემოსავლებს შორის არაა თანაფარდობა.

ყოველივე აქედან გამომდინარე პოლონეთი 1987 წლიდან ფაქტიურად დააღდა კერძო წარმოების განვითარების გზას, მოხდა მიწების პრივატიზაცია, შეიქმნა ფერმერული მეურნეობები, ფერმერებს მიეცათ გრძელვადიანი კრედიტები მიწების დასამუშავებლად, პოლონეთში შეიქმნა და ახლაც არსებობს „სოფლის მეურნეობის განვითარების ბანკი“, ამის შედეგად მალევე სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე 1980 წელთან შედარებით 1,5 ჯერ გაიზარდა. სოფლის მეურნეობის განვითარების ბანკმა გრძელვადიანი კრედიტები გასცა მეცხოველეობის მაღალპროდუქტიული მერძეული და მეხორცული მეცხოველეობის განვითარებისათვის, ქალაქებიდან სოფლად დაბრუნდა ხალხი და სახელმწიფო მიწებზე მიეცათ მეცხოველეობის ფერმების მფლობელებს 10-15 ჰექტრი სახნავი მიწები.

ვარშავიდან ქ.სუვალიკის მიმართულებით არის 220 კილომეტრი, ქ.ზამბროვი-სუვალიკის მანძილი არის 120 კილომეტრი სადაც გზის ორთავე მხარეს ქალაქიდან წამოსული ხალხი დასახლდა, სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარების ბანკის გრძელვადიანი კრედიტებით აშენებულია 50-70 სულიანი მაღალპროდუქტიული მაწველი საქონლის მეცხოველაობის ფერმები, ააშენეს პატარა-პატარა საცხოვრებელი სახლები. აქ ყათ ისეთი საქონელი რომელსაც დღეში სამჯერ წველიან ელექტრო მაწველი აპარატებით, თითო ძროხა იძლევა დღეში 50-60 ლიტრ რძეს. მთელი დღის განმავლობაში მუშაობენ რძის საზიდი 20 ტონიანი ცისტერნის მანქანები ქ.სუვალიკიში რძის გადამამუშავებელ ქარხანაში გადასატანად, აქ არის რძის ფხვნილის მწარმოებელი ქარხანაც. აქედან 40-50 ტონიანი მანქანებით სტერილური ნატურალური რძე გადააქვთ ვარშავაში რძის ნაწარმის ქარხნებში. მეცხოველეობის და მარცვლეული კულტურების წარმოების ეს მეთოდი და გეგმა შემუშავებული იქნა პოლონელი ეკონომისტების და კერძოთ ლეშაკ ბალცეროვიჩის მიერ, სწორედ სოფლის მეურნეობის წარმოების გადიდების შედეგად შეჩერებული იქნა ინფლაცია.

2008 წელს პოლონეთში ყოფნის დროს, როდესაც ლ. მლოკოსევიჩის წიგნის გამოცემაზე ვმუშაობდი, ხშირად მიხდებოდა ვარშავაში ჩასვლა. ერთ-ერთ პოლონელ მეგობარს ვთხოვე მეცხოველეობის ფერმების დათვალიერება და 2 დღით წავედით ვარშავიდან 200 კილომეტრში სადაც ლ.ბალცეროვიჩის პროგრამის მიხედვით შექმნილი იყო მეცხოველეობის ფერმები და რძის გადასამუშავებელი საწარმოები, განცვიფრებული დავრჩი ნანახით.

1997-98 წლებში ე.შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში ევროკავშირიდან ლეშაკ ბალცეროვიჩი-პოლონელი ეკონომისტი სსმ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ორი წლით მოვლენილი იქნა საქართველოში კონსულტანტად, თვებით რჩებოდა საქართველოში, ამისათვის ყოველწლიურად ღებულობდა ევროკავშირიდან 1 მლნ. ევროს, პოლონეთში თავის ქვეყანაში ყველაფერი დააღაგა თავის დროზე სწორი ეკონომიკური მიმართულებით, რაც ზემოთ აღვნიშნე, ხოლო ჩვენ კი სოფლის მეურნეობაში და მეცხოველეობაში დაგვიგეგმა ყველაფერი უკუღმა, აი მაგალითად ლაგოდენში და თითქმის კახეთის ყველა რაიონში აგვაშენებინა მოსახლეობიდან რძის შემკრები პუნქტები მცირე გადამამუშავებელი დანადგარებით, რამაც 2-3 წელშივე არ გაამართლა, დაიხურა და გაუქმდა რძის მიმღები ყველა პუნქტები, წყალში გადაიყარა მილიონები.



პოლონეთში ასეთი ტრანსპორტით გადააქვთ რძე



ლაგოდესში რამდენიმე ასეთი ტრანსპორტით გადააქვთ რძე ფერმიდან მაცივრებამდე

პოლონეთმა ამ 40 მილიონიანმა ქვეყანამ ომის შემდეგ მოკლე დროშივე ააწყო სოფლის მეურნეობა და მისი გადამამუშავებელი საწარმოები, ამჟამად გლეხური მეურნეობების რაოდენობა 3 მილიონზე მეტია, რომლებიც ფლობენ საშუალოდ 5 დან 10 ჰექტარ სახნავ მიწებს და აკონტროლებს კიდევ, აქ მოკლე დროში საბოლოოდ დამთავრდა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და წარმოების ფორმები. ჩვენთან კი სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის სამინისტროებში რამდენი მინისტრიც მოვიდა ყველა თავის შეხედულებით ცვლიდა კანონებს, უმრავლეს რეგიონებში კი არაკვალიფიციური დანიშნული ხელმძღვანელების გამო სოფლის მეურნეობაში კოლმეურნეობების დაშლის შემდეგ ჯერ შეიქმნა აგროფირმები, მერე კოოპერატივები და ამ დროს განადგურდა სოფლად ქვეყნის საკუთრებაში არსებული უამრავი ქონება. ლაგოდესში დაინგრა და განადგურდა; საკონსერვო ქარხანა, ეთერზეთების ნედლეულის გადამამუშავებელი ქარხანა, რძის და ყველის გადამამუშავებელი ქარხანა, 7 ათასი ტონა თამბაქოს ნედლეულის გადამამუშავებელი ქარხანა, სოფლებში არსებული 170 თამბაქოს ნედლეულის სასრობები, და სხვა უამრავი საწყობები.

უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც, ეს 40 მილიონიანი ქვეყანა ხორბალს და ჭვავს აწარმოებს იმდენს, რომ აკმაყოფილებს თავის მოსახლეობას და ყიდის ექსპორტზეც, ჩვენ კი 3,7 მილიონიანი ქვეყანა ვაწარმოებთ ჩვენი მოსახლეობის მოხმარების 15% ხორბალს

და 85%-ით დამოკიდებული ვართ უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ ხორბალზე და ფქვილზე, იმპორტი ხორციელდება რუსეთიდან, უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან. დიდი ქართველი მეცნიერი აკადემიკოსი ნიკო ლომოური თავის ნაშრომებში წერს „პური ეს არ არის ბამბა, პური ეს არ არის ჩასაცმელი ან სამშენებლო მასალა, პური ეს არის სახელმწიფოს არსებობის წყარო“.

პოლონეთმა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიით მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას მიაღწია გასული 30 წლის მანძილზე. აღნიშნულის განვითარებაში მონაწილეობას ლებულობდნენ ქვეყნის ხელისუფლება, ფინანსური ინსტიტუტები, კვლევითი ცენტრები, მეცნიერები, ბიზნეს ასოციაციები და კოოპერატივები. განვითარების პროცესში დაიხვეწა და მაღალ დონეს მიაღწია მეურნეობის ყველა სფერომ, შეიქმნა საკუთარი ნედლეულის წარმოება და გადამამუშავებელი მრეწველობა. დღეს პოლონეთის წარმოებული ყველა სახის პროდუქცია ევროპულ ბაზარზე მნიშვნელოვან წილს იკავებს, ჩვენ კი როდემდე უნდა ვიძახოთ ღვინო, ღვინო და კიდევ ღვინო, ვატაროთ და ვატაროთ ღვინის ფესტივალები.

ქალაქი ვარშავა მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერის საგანგებო დავალებით ვარშავა ისე იყო დანგრეული, რომ მისი იმავე ადგილზე აღდგენა შეუძლებელი იყო, ომის დამთავრების შემდეგ სტალინს როცა მოახსენეს ეს საკითხი, თვითონ ჩავიდა ვარშავაში და დათვალიერა ნაცრად ქცეული ქალაქი. თუმცა იყო მოსაზრება რომ სხვა ცარიელ ადგილზე აეშენებინათ ვარშავა. სტალინმა დაავალა ინჟინერებს და მეცნიერებს რომ შეემუშავებინათ ვარშავის აღდგენის იმავე ადგილზე აშენების გეგმა. მართლაც ასე მოხდა, ვარშავის ცენტრში დგას ერთი შენობა მოსკოვში კრემლის მიმდებარე ერთი შენობის მაგვარი შენობა, სადაც განლაგებულია კულტურის სამინისტრო და სხვა რამდენიმე სახელმწიფო დაწესებულება, რომელსაც დღესაც ეძახიან „Сталинский дом“. იქვე გვერდით არის რკინიგზის მთავარი სადგური, სადაც მატარებლების ყველა შემოსასვლელი და გასასვლელი როგორც მეტროში სადგურის ქვევით შემოდინ და გადიან 5-7 კილომეტრის მანძილიდან ესეც, როგორც ამბობენ პოლონელები საპროექტო გეგმაში სტალინის შესწორებული ყოფილა.

პოლონეთს აქვს სასწავლო და სამეცნიერო ცენტრები; ვარშავის უნივერსიტეტი, კრაკოვის უნივერსიტეტი, სასოფლო და სამშენებლო მიმართულების ხასიათის სასწავლებლები და სამეცნიერო მიმართულების კვლევითი ინსტიტუტები.

გერმანია. გაერთიანებული გერმანიის ტერიტორია შეადგენს 356 ათას კვ.კმ. მოსახლეობა 76,8 მლნ. გერმანია მაღალ განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა, რომელიც შედის მსოფლიოს ექვს ყველაზე მეტად განვითარებულ ქვეყნების რიცხვში. სახნავი მიწის რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით გერმანია ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ევროპაში.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, როცა გერმანია ორ სახელმწიფოდ გაიყო, თავისი დიდი დასავლეთის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. აღმოსავლეთ გერმანიაში შეიქმნა სოციალისტური სახელმწიფო, ხოლო დასავლეთში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც ვითარდებოდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. 1991 წელს მოხდა ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება, რითაც აღმოიფხვრა ისტორიული უსამართლობა. ეროვნული შემადგენლობით გერმანია ერთგვაროვანია, მოსახლეობის 95% გერმანელები ცხოვრობენ, მცირე რაოდენობით ცხოვრობენ ფრანგები, პოლონელები, ჩეხები, ბევრია ემიგრანტები.

გერმანიის სოფლის მეურნეობა ეკონომიკურად მაღალგანვითარებული დარგია, რომლის საფუძველს წარმოადგენს მიწაზე და წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების რეგულირება ხდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კერძოდ, მიწოდებისა და მოთხოვნილების შესაბამისად. ფასი ამა თუ იმ პროდუქტზე ქვეყნის სხვადასხვა ზონაში შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს. სწორედ ესაა კაპიტალისტური მექანიზმის მთავარი არსი, რომ ბაზარი არეგულირებს ფასებს.

ქვეყანაში ძირითადად გავრცელებულია გლეხური, ფერმერული მეურნეობები. ფერმერის საშუალო სახნავი მიწის სიდიდეა 15 ჰა, თუმცა არის მსხვილი მეურნეობები, რომელთა სახნავი მიწის ფართობები შეადგენს 1500-2000 ჰექტარს. ჩამოყალიბებულია ფერმერული მეურნეობების საწარმო ორგანიზაციის რამდენიმე ფორმა, მათ შორის წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ორგანიზაციისათვის შექმნილი კოოპერატივები. განსაკუთრებით მერძეული მიმართულების მეცხოველეობაში. გავრცელებულია რძის ჩაბარების შეძლევი წესი ისე როგორც პოლონეთში ლ.ბალცეროვიჩის პროგრამით. 50-70 სული ძროხის მერძეული ფერმის მეპატრონე რძის მწარმოებელი, ფერმის წინ გზის პირას მოთავსებულ შესაბამის ჭურჭელში ასხამს მთელი დღის ზოგჯერ 3-ჯერ ნაწველ რძეს, გრაფიკის მიხედვით ზუსტად დანიშნულ დროს ჩამოივლის სპეციალური ტრანსპორტი, რომელსაც მოწველილი რძე მიაქვს გადასამუშავებლად, მეპატრონის გარეშე, რძის

1-2 ტონიან ჭურჭელზე დაყენებულია მრიცხველი დანადგარი (როგორც ჩვენთან დამონტაჟეს წყლის მრიცხველი) მძლელ-ექსპლდირთორი გამოწერს რძის მიღების დანომრილ ოფიციალურ დოკუმენტს და ტოვებს ერთ ეგზემპლარს იქვე მოთავსებულ ყუთში. რძის მწარმოებელ ფერმერს და ქარხანას შორის თვეში ერთხელ დაწესებულ დღეს ხდება შედარება, ქარხნიდან ღებულობს ფერმერი გადარიცხვით საკუთარ კუთვნილ თანხას.

იგივე ხდება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის რელიზაციაზეც. ფერმერები ყოველწლიურად აკეთებენ განაცხადს იმ მატერიალურ საშუალებებზე, რომელიც მათ სჭირდებათ, საწვავი, ტრაქტორის მარაგ ნაწილები, იქვე მიუთითებენ ადგილს და გრაფიკს. ყოველივე ამას აბარებენ იმ ფორმის აგენტს რომელთანაც დადებული აქვთ ხელშეკრულება. ამრიგად ფერმერს არ ეკარგება დრო, არც საჭირო მასალების შექენაზე და არც წარმოებული პროდუქციის რელიზაციაზე, იგი მთლიანად თავის საწარმოო ფუნქციითა დაკავებული. ყველაფერ ამას არეგულირებს სახელმწიფო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო. რაც შეეხება ნიადაგის დამუშავებას და ნათესების მოვლისათვის საჭირო ტექნიკას, ბევრ ფერმერს აქვს იმ რაოდენობით, რომელიც მისთვისაა საჭირო. გარდა ამის არსებობს ტექნიკის გამქირავებელი ორგანიზაციებიც, ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გაზარდა ფერმერების შრომის ნაყოფიერება. ქალაქი მიუნხენში არის საკმაოდ უმსხვილესი საწარმოები მძიმე მრეწველობის თვალსაზრისით, აქ ხდება ყველა სახის მსუბუქი თუ სატვირთო მანქანების წარმოება, რომლის ექსპორტი ხორციელდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

საქართველოში ჩვენთან რა ხდება? მთავრობამ 20-25 წელია სხვადასხვა ფორმით მიწები მიუყარა გლეხებს, დაარქვა ფერმერები, ჩათვალა ისინი დასაქმებულებათ. გლეხებია თუ ფერმერები თვითონ არიან პასუხისმგებლები მოსავლის მოყვანაზე და გასაღებაზეც, ფაქტობრივად სახელმწიფო, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები საერთოდ არც ერევიან და არავითარ დახმარებას არ უწევენ გლეხებს და ფერმერებს.

გერმანია, ეს 77 მლნ-იანი ქვეყანა თავის მოსახლეობას საკუთარი წარმოებული პროდუქციით აკმაყოფილებს; ხორბლით 80%, შაქრით 85%, ხორციით 90%, ბოსტნეულით 80%, ხილით 75% და ა.შ. სრულად აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს კარტოფილზე, რძეზე, ფრინველის ხორცზე, კვერცხზე. გერმანია ჩართულია და მონაწილეობს ევროპის ქვეყნების საბაზრო გაერთიანებაში, ევროპულ ბაზარზე გააქვთ ღვინო, ძეგვეული, ყველი, რძის და ხორცის სხვადასხვა ნაწარმი. შაქრის ჭარხალს იყენებენ პირუტყვის საკვებად, ასევე არსებობს ქერისა და

ჭვავის საკმაოდ დიდი ფართობები, რომელთა პროდუქცია ძირითადად ხმარდება საქვეყნოდ განთქმულ გერმანული ლუდის დამზადებას. ქერს და მის ანარჩენებს ხმარობენ მეღორეობაში, ქვეყნის სამხრეთით აწარმოებენ თამბაქოს ნედლეულსაც.

სახელმწიფო სოფლად მცირე, საშუალო და დიდი ბიზნესის ფერმერებს, სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებს და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირებს უწევს ფინანსურ დახმარებას, აძლევენ როგორც დაბალპროცენტიან სესხებს, ასევე ღოტაციასაც. ამისათვის ქვეყანაში ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის განვითარების სპეციალური ბანკი, რომელიც შესანიშნავი ნიმუშია ქვეყნის განვითარების ინტენსიური გზის, მიწათმოქმედების რაციონალური გამოყენებისათვის.

საფრანგეთი. საფრანგეთის რესპუბლიკის ფართობი 551 ათასი კვ. კმ, ხოლო მოსახლეობა 54 მლნ. წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მაღალ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანას. ნაციონალური შემოსავლის და სამრეწველო პროდუქციის წარმოების მიხედვით მას მეოთხე ადგილი უჭირავს მსოფლიოში. საფრანგეთის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია, ტრადიციული მიწათმოქმედების ქვეყანაა, სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია სასაქონლო პროდუქციის მაღალი დონე, იგი ევროპაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია. ორგანიზაციული თვალსაზრისით ჭარბობს საშუალო და მსხვილი ფერმერული მეურნეობები. გავრცელებულია წარმოების ორი ტიპი; კერძო მესაკუთრული მეურნეობები (მესაკუთრე ფერმერი) და საიჯარო მეურნეობები (ფერმერი მოიჯარე) საშუალო სიდიდის მეურნეობებს აქვთ 10-15 ჰა. ხოლო დიდ ფერმერულ მეურნეობებს 50 დან 500 ჰექტრამდეც.

სოფლის მეურნეობა ხასიათდება მექანიზაციის მაღალი დონით, დიდ საწარმოო ეფექტს იძლევა აგროფირმები და წარმოადგენენ თანამედროვე ტიპის აგროსამრეწველო კომპლექსს. აგროფირმებში წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, დამუშავება და გადამამუშავება, მზა პროდუქციის რეალიზაცია.

ერთ-ერთი ასეთი აგროფირმა მდებარეობს ქალაქ ბორდოს მახლობლად, რომლის ფართობია 2500 ჰექტარი, აქედან სახნავია 1200 ჰექტარი. დანარჩენი ფართობი უჭირავს ტყიან ნაწილს სადაც მოწყობილია სამონადირეო მეურნეობა, აქვთ საძოვრები და სათიბები, აქვთ მერძეული მიმართულების მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ფერმა, რომელშიც პირუტყვის რაოდენობა 500-600 შეადგენს, აქედან 400 სული ძროხაა,

მეცხოველეობას ემსახურება ავტომატიზებული რდის გადამამუშავებელი საწარმო, რომელშიც ამზადებენ კარაქს, ყველს და სხვა ნაწარმს. არნიშნული საწარმო ხელშეკრულების საფუძველზე გადასამუშავებლად იღებს ახლომდებარე ფერმერებისაგან რძეს. აგროფირმას აქვს ორი გადამამუშავებელი საწარმო, მაღაზიები-მაცივრებით, როგორც საფრანგეთში ისე ევროპის სხვა ქვეყნებში. აგროფირმა აწარმოებს ადრეულ ბოსტნეულს, ბალჩეულ კულტურებს, ხილს, მარწყვს, აწარმოებს სუფრის ყურძენს, ამარაგებს ატლანტიკის სანაპირო ზოლის კურორტებს.

აგროფირმის სამმართველოს ემსახურება 3 კაციანი ჯგუფი, რომელთაგან ორი აგროფირმის თანამფლობელია, ერთი განაგებს ეკონომიკურ, ხოლო მეორე აგროტექნიკურ საკითხებს, მესამე პირი მმართველობაში უძღვება ზოლტექნიკურ საკითხებს. არ ჰყავთ ბუღალტერი და ბუღალტერია, ყველა მონაცემი შედის კომპიუტერში და მთელ საფინანსო სისტემას ემსახურება ერთი ოპერატორი. აგროფირმაში ყველა დარგი რენტაბელურია, საჭიროების შემთხვევაში იწვევენ სოფლის მეურნეობის დარგის მეცნიერებს, ისინი სწავლობენ დარგის წამგებიანობის მიზეზებს და რეკომენდაციებს აძლევენ აგროფირმას ხარვეზის გამოსწორებისათვის.

საფრანგეთი ეს 54 მილიონიანი ქვეყანა განეკუთვნება იმ ევროპული ქვეყნების რიცხვს, რომლებიც სრულიად აკმაყოფილებენ საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნებს კვების პროდუქტებზე და საკმაო რაოდენობითაც გააქვთ საზღვარგარეთ. საჭიროების შემთხვევაში ფერმერებს სახელმწიფო აძლევს გრძელვადიან კრედიტებს, სოფლის მეურნეობაში წარმოდგენილია ორი დარგი; მემცენარეობაც და მეცხოველეობაც, სხვა ევროპულ ქვეყნების მსგავსად წამყვანი დარგია მეცხოველეობა, პირუტყვის რაოდენობით 12,5 მლნ. სულთა რაოდენობით პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ჰყავთ როგორც მერძეული ისე მეხორცული მიმართულებების საქონელი.

მემცენარეობაში მთავარი მარცვლეული კულტურებია, მათ შორის ხორბალი, რომლის საერთო წარმოებით საფრანგეთი მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა აშშ, ინდოეთის და კანადის შემდეგ, ხორბლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 45-48 ცენტნერია. საფრანგეთი განთქმულია მევენახეობით, წარმოდგენილია უმთავრესად სამრეწველო ჯიშები, ფრანგული ღვინის ნაწარმი დიდი ხანია ცნობილია მთელ მსოფლიოში.

საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში არ არსებობს წამგებიანი დარგები, სასოფლო-სამეურნეო წარმოება სახელმწიფოს მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, საჭიროების შემთხვევაში მთავრობა ორერატიულად იღებს საჭირო დახმარების ზომებს. ევროპის საერთო ბაზარში საფრანგეთს წამყვანი ადგილი უკავია, როგორც ყველაზე მეტი სასო-

ფლო სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ ქვეყანას, მაგრამ ზოგიერთი პროდუქციის იმპორტსაც ახდენს, მას შემთავს ყავა, კაკაო, ბამბა, ნაწილობრივ მატყლიც, მაგრამ ექსპორტთან შედარებით ამ პროდუქციის რაოდენობა უმნიშვნელოა.

ნიდერლანდი (ჰოლანდია) ეს სახელმწიფო მდებარეობს შუა ევროპის დაბლობზე, ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე. ფართობით იგი პატარა ქვეყანაა, რომლის ტერიტორია შეადგენს 41,2 ათას კვ. კმ, ხოლო მოსახლეობა 14 მლნ-ია. (საქართველოზე ტერიტორიით ორჯერ პატარა) დედაქალაქი ჰააგა. ნიდერლანდს ჰოლანდიასაც უწოდებენ, ეს ქვეყანა ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე ადრე დაადგა განვითარების კაპიტალისტურ გზას, რამაც საშუალება მისცა ქვეყანას შეექმნა კარგი ეკონომიკური განვითარება. დღევანდელი ჰოლანდია ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყანაა, არა მარტო ევროპაში არამედ მსოფლიოში.

განვითარების ასეთმა მიმართულებამ და ტექნიკა დადებითი გავლენა მოახდინა სასოფლო სამეურნეო წარმოებაზე. სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის მაღალგანვითარებული დარგია. პირველად მსოფლიოში აქ დაინერგა ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემები, განსაკუთრებით მეცხოველეობაში. (ავტომატიზებული ფერმები). ჰოლანდიამ როგორც ვაკე-დაბლობიანი ქვეყანა შექმნა ზღვის შემოტევისაგან დაცვის უნიკალური სისტემები, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს თანამედროვე მსოფლიო. სახელმწიფო ყოველწლიურად ითვისებს დაჭაობებულ ფართობებს და აძლევს გრძელვადიანი ხელშეკრულებებით ფერმერებს და ეხმარება კიდევ კრედიტებით.

ჰოლანდიის სოფლის მეურნეობა ხასიათდება წარმოების კაპიტალისტური სისტემით. სასოფლო სამეურნეო მიწების 3/4 ეკუთვნით მსხვილ და საშუალო მიწათმფლობელებს. წარმოების გავრცელებული ფორმაა მესაკუთრე ფერმერი, რომელიც ოჯახიანად დასაქმებულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოზე, ამავე დროს ფართოდ იყენებენ დაქირავებულ შრომასაც. ფერმერის საშუალო სიდიდედ საკუთრებაში მიჩნეულია 10 ჰა. მსხვილი მიწათმფლობელები იყენებენ სახელმწიფოსაგან საიჯარო ურთიერთობებს, მიწების 60% მუშავდება ფერმერი-მოიჯარის მიერ. ჩვენთან საქართველოში ვიღაც გადამთიელებმა, ქალაქში მცხოვრებმა მილიონერებმა აუქციონის წესით შეისყიდეს მიწები, უმრავლესობა თვითონ არ ამუშავებენ ან აქირავებენ ან ყიდიან მამა-სისხლად გაჭირვებულ გლეხებზე, რაც მანკიერი წესია სახნავი მიწის მიმართ.

ჰოლანდიაში საყურადღებოა ახლად ათვისებული სახვავი მიწების დამუშავების პრაქტიკა. მიწების დაშრობას და ათვისებას სახელმწიფო

ახორციელა, რომელიც შემდეგ გაიცემა ფერმერ-მოიჯარეებზე, ისინი კი ხელშეკრულებას დებენ სახელმწიფოსთან თუ რა უნდა აწარმოოს, სახელმწიფო კიდევ ეხმარება მათ 30%-ით იაფიანი დიზელის საწვავით. ფერმერები გაერთიანებულები არიან სხვადასხვა სახის კოოპერატივებში, რომლებსაც ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად უმთავრესად მომარაგება-გასაღების ფუნქცია აქვთ.

როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, წარმოების ორგანიზაციის გავრცელებული ფორმაა აგროსამრეწველო გაერთიანებები, ნედლეულის მწარმოებლები უშუალოდ დებენ ხელშეკრულებებს გადაამუშავებელ საწარმოებთან. ამ პატარა ქვეყანას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს რძის და რძის წარმოების ექსპორტით. ქვეყნის სასოფლო სამეურნეო წარმოების სტრუქტურა ისტორიულად ჩამოყალიბდა, რომელშიც მთავარ გადმწვევებ როლს მეცხოველეობა ასრულებს. სასოფლო სამეურნეო სახნავი მიწებიდან 62% უჭირავს სათიბებს და საძოვრებს, მოქცეულია თესლთაბრუნვაში სადაც ჩართულია ხორბლის წარმოება, ანარჩენებს იყენებენ მეცხოველეობაში. საშუალო წლიური წველადობა 4800-5200 ლიტრს შეადგენს, ცხიმისანობა 4,5-5%-ია, რაც ყველაზე მაღალია მსოფლიოში.

როგორც ავღნიშნეთ, მეცხოველეობის მაღალ პროდუქტიულობას განაპირობებს მყარი საკვები ბაზა, რომელიც წარმოდგენილია უხეშოსაგლიანი და ყუთიანი სათიბ-საძოვრები, ისინი მონაცვლებით გამოიყენება ხან სათიბად, ხან საძოვრად და თესლთაბრუნვაში ჩართული ხორბლის წარმოებისათვის. ძოვების დროს მაწველ ძროხებს მინდორში ტოვებენ საძოვარზე დღე-ღამის განმავლობაში, იქვე წველიან მინდორში არსებულულ ღია ფარდულეებში მოძრავი აგრევატებით.

მინდვრების გასწვრივ გარშემო გაყვანილია არხები, რომელიც წყლით ივსება, პირუტყვის საძოვარ მინდორზე არხის ნაპირზე მოწყობილია რკინის მოაჯირები, შეღებილია წითლად და ლურჯად, რადგან მაწველი ძროხები დღე-ღამის განმავლობაში საძოვარზე იმყოფებიან, რომ არ გააბინძურონ შარდით და ნაკელით თავიანთი საძოვარი, თვითონ გამოდიან არხის პირას მოწყობილ რკინის მოაჯირთან საწუნწუნზე ადგილზე, იქ შარდავენ და ნაკელსაც იქ საქმიანობენ. დაგროვილ ნაკელს ყრიან არხებში დაგროვილ წყალში და შემდეგ იყენებენ ზაფხულში მინდვრების მოსარწყავად.

ეს, რაც მე აღვწერე ჩემი თვალთ მაქვს ნანახი, როდესაც ვმუშაობდი ლაგოდენის აგროსამრეწველო გაერთიანებაში მთავარ აგრონომად და თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ერთი კვირით აგვისტოს თვეში ვიმყოფებოდი ჰოლანდიაში, როდესაც დავბრუნდი ჩავატარე აგრონომე-

ბის და მეცხოველეობის დარგის სპეციალისტებთან გაფართოებული თათბირი, ვეტერინარიის სპეციალისტების უმრავლესობა ვერაფრით ვერ დავაჯერე ამ ფაქტით, რომ მაწველი ძროხები საძოვრიდან თვითონ გამოდიან საწუნწუნზე ადგილზე, ფერმაში ვიმყოფებოდი თითქმის 3 საათი, საკმაოდ დიდი სიცხეები იყო, ფერმა და რძის საზიდი მანქანის 5 ტონიანი მისაბმელი ისეთი სუფთა იყო რომ ფერმაში ერთი ბუზიც ვერ ვნახე. ცენტრალური გზის გადასახვევიდან ფერმის მიმართულებით მინდვრის გზები ყველა მიმართულებით მოასფალტებულის, მინდვრის გზებზე დარგულია ქარსაცავი ნარგაობა.

ჰოლანდიაში მაღალგანვითარებული დარგია აგრეთვე მეღორეობა, მეფრინველეობა, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები, მაღალ დონეზეა განვითარებული მეყვავილეობა, რომელსაც სამრეწველო ხასიათი აქვს და ყოდიან ექსპორტზე ევროპის ყველა ქვეყანაში.

სასოფლო სამეურნეო განათლებას ემსახურება ქვეყნის უნივერსიტეტებთან ჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები, აქვე ეწევიან სამეცნიერო კვლევებს და გამოიყენება ქვეყნის განვითარებაში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით.

ისე, ხუმრობა ცალკე იყოს და ერთი კვირის განმავლობაში ბევრი საინტერესოც დაეთვალა და ზღვის სანაპიროზე ყოველდღე მართლაც ვიჯერე გული, მსოფლიოში განთქმული ჰოლანდიური ლუდით „ჰინეკენით“.

აქვე მინდა ძალიან მოკლედ აღვნიშნო ერთი პატარა ქვეყანა – **ლიბია**. მოსახლეობის 4 მილიონიანი ეს ქვეყანა მდებარეობს ჩრდილოეთ აფრიკის ცენტრალურ ნაწილში, ქვეყანას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. წინა საუკუნეებში ლიბიის სანაპიროები რომაელებმა დაიპყრეს, შემდეგ ბატონობდნენ ბიზანტიელები და არაბები. მე-19 საუკუნის ბოლოს იტალიელები დამკვიდრდნენ, მხოლოდ 1952 წლიდან გამოცხადდა როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდში ლიბია ეკონომიკურად ძალზე ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, 1961 წელს აღმოაჩინეს ნავთობის საბადოები და დღეისათვის ნავთობის მოპოვება შეადგენს 180 მლნ. ტონა ნავთობს წელიწადში. ეს არის უდაბნოების ქვეყანა, წარმოადგენს ქვიშიან და ქვიან უდაბნოებს. მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილშია სუბტროპიკული ზონა.

ამ პატარა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის მთავარი მიმართულებაა მარცვლეულის წარმოება, რომელიც შერწყმულია მეცხოველეობასთან, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი შეადგენს 220 ათას სულს. არის მეცხოველეობის მსხვილი კომპლექსები. ბოლო წლებში მარცვლეუ-

ლის ფართობები იზრდება, დღეისათვის ხორბალს უჭირავს 350 ათასი ჰექტარი, ქერს 400 ათასი ჰექტარი. კვების პროდუქტებიდან მისდევენ მებოსტნეობას, მებაღეობას, მოჰყავთ კარტოფილი. ტექნიკური კულტურებიდან წარმოდგენილია თამბაქო, ზეთუნის ხე და სხვა მრავალი სახის ხილი, ადგილზე წარმოებს მისი გადამუშავება. დღეისათვის ქვეყანაში დაახლოებით 80 ათასი სული აქლემი და 75 ათასი სული ვირია.

ქვეყანას შემუშავებული აქვს აგრარული განვითარების სახელმწიფო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის მთლიანად უზრუნველყოფას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით, სახელმწიფოსაგან კომპანიებს მიცემული აქვთ ხორბლის წარმოების გეგმა. საქართველოს, ქვეყანა, რომელიც ლიბიიდან შემოიტანს ხორბლის ფქვილს, რაღა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უნდა ვილაპარაკოთ. საქართველოში ბოლო მონაცემებით ითესება 100-110 ათასი ჰექტარი ხორბალი, როცა საქართველოს მოსახლეობა 2000 წლამდე შეადგენდა 5,8 მლნ-ს ქვეყანას მოჰყავდა საკუთარი უზრუნველყოფის 65% ხორბალი, ანარჩენები კი გამოიყენებოდა მეცხოველეობაში სხვადასხვა სახის კომბინირებული საკვების წარმოებაში.

მეთამბაქოება გადაარჩენს ლაგოდეხს და არა მარისუანას წარმოება

ახლა მინდა ლაგოდეხის მოსახლეობას წარმოვუდგინო ვირჯინის თამბაქოს ნედლეულის წარმოების აუნემსავად ბალკეურიკებში ხმობის უნგრეთის რესპუბლიკის უახლოესი ტექნოლოგიები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1930 წლიდან შეიქმნა ლაგოდეხის რაიონი, 1932 წლის 25 თებერვლიდან დაიწყო ადგილობრივი პირველი ნომრის გაზეთის გამოცემა, მაშინდელმა რაიონის ხელმძღვანელობამ გაზეთს შეურჩიეს სახელწოდება „ბრძოლა თამბაქოსათვის.“ გაზეთი გამოდიოდა კვირაში ერთხელ. ესეიგი ეს ნიშნავს იმას რომ ლაგოდეხში ჯერ კიდევ თითქმის საუკუნის წინ სახელმწიფომ მიიჩნია, ქვეყნის სტრატეგიული დარგის სოფლის მეურნეობის წამყვანი კულტურა სპეციალიზაციის მიხედვით ლაგოდეხში თამბაქოს კულტურის წარმოება, იმ წლების განმავლობაში იგი გახდა იმერეთიდან ახლად ჩემოსახლებული მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო. პარალელურად ვითარდებოდა მარცვლეული კულტურების – ხორბლის წარმოება და მიმდინარეობდა მეცხოველეობის ფერმების მშენებლობა.



1932 წლის 25 თებერვლის გაზეთის პირველი ნომერი

საქართველოში სოფლის მეურნეობის კულტურათა სპეციალიზაციის მიხედვით ისტორიულად თამბაქოს ნედლეულს აწარმოებდნენ ლაგოდეხის, მარნეულის და ბოლნისის რაიონები, აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები. რესპუბლიკაში ყოველწლიურად წარმოებული 13-14 ათასი ტონა თამბაქოს ნედლეულიდან 7-8 ათასი ტონას ლაგოდეხის რაიონი აწარმოებდა. დანარჩენს ზემოთ აღნიშნული რეგიონები. ლაგოდეხში რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი სწორედ მეთამბაქოება იყო. გარდა ამისა, ამ კულტურის წარმოება იყო რაიონის ბიუჯეტის და მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო.

მინდა მოვიყვანო 26.01.2000 წლის გაზეთი „იბერია სპექტრი“-ში ერთი დაბეჭდილი საყურადღებო სტატია, რომ მაშინდელმა პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ არაერთხელ თვითონვე განაცხადა „დიდი შეცდომა დაუშვით, კოლმეურნეობები და მეურნეობები რომ დაეშალეთ“ საოცარია განა მისი ხელით არ დაიშალა ყველაფერი?!... ნუთუ ასეთმა გამოცდილების კაცმა, დიდმა პოლიტიკოსმა და საქართველოს ცეკას ყოფილმა პირველმა მდივანმა მართლა არ იცოდა, საქართველოს მოსახლეობისათვის ამას რა მოყვებოდა? და რომ არ ცოდნოდა წარმოუდგენელია და მაინც გააკეტა, რა დავარქვათ ამას, თუ არა მავნებლობა.

ეს იყო თავიდანვე ამერიკელების პროექტი, რომ დანგრეულიყო საბ-

ჭოთა კავშირი და ზედ დაეკლათ ყველა 15-ვე რესპუბლიკა, ეს დაიწყო იმ დღიდან როდესაც ე.შევარდნაძე როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი მ.გორბაჩოვის წერილით რომ ჩავიდა პირველად ამერიკაში და გადასცა პრეზიდენტ დ. რეიგანს. რამდენიმე წლის შემდეგ ბატონი ე. შევარდნაძე ჩამოვიდა საქართველოში პრეზიდენტად და თავზე დაგვამხო ყველაფერი, დაგვანგრევენა წარმატებული ეს პატარა ქვეყანა.

ქვეყნის დანგრევის ეს იდეა შესანიშნავად აიტაცა ე.შევარდნაძის მიერ მოსკოვიდან ჩამოყვანილმა და შემდეგი ხელისუფლების დროსაც ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა ვლადიმერ ბენდუქიძემ, რომელმაც განგვიცხადა „ჰაერის გარდა ყველაფერი უნდა გავეციდოთ.“ მე ახლა ვხვდები ბენდუქიძის ნათქვამიდან, რომ თურმე მილიარდელები და მულტმილიონერები თურმე ჰაერიდან შოუვლობენ ფულს და სიმდიდრეს. აბა შედით ნებისმიერ მარკეტში, თუ ნახავთ ბიძინა ივანიშვილის ფირმების მიერ 8 წლის განმავლობაში გამოშვებული ერთი პროდუქცია იყიდებოდეს, შე დალოცვილო, ფული გაქვს, ქართული ასანთი, ქართული სარეცხი საპონი, ლიმონათი ან მოსახლეობისათვის პირველადი მოხმარების რაიმე პროდუქცია გამოუშვი თქვენი კომპანიის სახელით, ქალებისათვის ის მაინც გამოუშვი, თვეში ერთხელ რომ ხმარობენ, დაახატე სურათი და გაიყიდება აფთიაქებში.

აქედან გამომდინარე, ლაგოდენის რაიონი იყო და მომავალშიც დარჩება ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიხედვით თამბაქოს კულტურის მწარმოებლად. თამბაქოს კულტურის წარმოებაში ყველაზე შრომატევადი პროცესია თვითეული ფოთლის თოკზე ნემსვა, რომელიც მოითხოვს ბევრ მუშახელს, ამიტომ გვინდოდა დაგვენერგა უზგრეთის რესპუბლიკის მიღწევები, რაზეც ბატონ ბიძინა ივანიშვილს 2013 წლიდან დაწყებული 4 ჯერ მივწერეთ, გავუგზავნეთ გეგმაც კანცელარიაში როგორც პრემიერს, შემდეგ ბიზნეს ცენტრში ასე რომ დაარქვა და ვაკეში ქართუ ბანკშიც. კაცს არ აინტერესებს ხალხის კეთილდღეობა, ამიტომ 2015 წლიდან დავანებეთ თავი და აღარც გამიხედავს იქით.

ლაგოდენის რაიონში თავის დროს მოშლილი ეკონომიკის ჩრდილები, გავერანგებულ სოფლის მეურნეობაზე და საწარმოებზე სარკესავით აირეკლა. უფრო მეტად ეკონომიკის აღორძინებაზე, მოსახლეობის კეთილდღეობაზე, რაიონის ეკონომიკის მდგომარეობას თამბაქოს ნედლეულის წარმოების პრობლემები შესანიშნავად ასახავს.

კახეთის რეგიონში ლაგოდენი იყო და არის სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვანი რაიონი, სადაც ნიადაგურ-კლიმატური პირობები იძლევა შესაძლებლობას მარცვლეულ კულტურებთან ერთად ტექნიკური კულტურების წარმოებისათვის. 1991 წლიდან 1996 წლის ჩათვლით

კოლმეურნეობების დაშლის შემდეგ, როგორც ყველგან ისე ლაგოდეხის რაიონშიც თამბაქოს და სხვა კულტურების წარმოება მთლიანად შეწყდა, მე ამ პერიოდში ვმუშაობდი საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, 1996 წელს ხშირი შეხვედრები მქონდა პარლამენტში ლაგოდეხის მაჟორიტარ დებუტატთან ამირან ცინცაძესთან, ჩვენ ერთად ვმუშაობდით ლაგოდეხის აგროსამრეწველო გაერთიანებაში, ხშირად ვსაუბრობდით ლაგოდეხის განვითარების საკითხზე. ჩემი ინიციატივით და მისი უშუალო მხარდაჭერით დავიწყეთ 1997 წლიდან ლაგოდეხის რაიონში თამბაქოს კულტურის ხელმეორედ აღდგენა. აი, შედეგები;

ლაგოდეხის რაიონში თამბაქოს ნედლეულის წარმოების სტატისტიკური მონაცემები	ევროკავშირის ქვეყნებში თამბაქოს ნედლეულის წარმოების სოციალ-ეკონომიკური მონაცემები 2014 წ.
1995 წელი – 0 ტონა	1. ბულგარეთი ---- 118 მლნ. ევრო
1996 წელი – 0 ტონა	2. საბერძნეთი ---- 105 მლნ/ ევრო
1997 წელი – 95 ტონა	3. იტალია -----116 მლნ. ევრო
1998 წელი – 1113 ტონა	4. საფრანგეთი -----73 მლნ. ევრო
1999 წელი – 1647 ტონა	5. ესპანეთი ----- 63 მლნ. ევრო
2000 წელი – 1200 ტონა	6. პოლონეთი ----- 87 მლნ. ევრო
2001 წელი – 317 ტონა	7. უნგრეთი ----- 93 მლნ ევრო
2002 წელი – 35 ტონა	საქართველო ----- 0 ევრო
2003 წელი – 57 ტონა	
2004 წელი – 0 ტონა	
2005 წელი – 0 ტონა	
2006 წელი – 0 ტონა	
თამბაქოს ნედლეულის უფრო დიდი რაოდენობის. მწარმოებელი ქვეყნები – ამერიკა, კანადა, ჩინეთი, ინდოეთი, აფრიკის ქვეყნები	

ჩვენ ევროპის ქვეყნები „ბულგარტობაკო“ და ამერიკის „ფილიპ მორისი“, მათი დაქირავებული წარმომადგენლები საქართველოში გვეუბნებიან თქვენ შეამცირეთ ან საერთოდ არ აწარმოთ თამბაქოს ნედლეული, გვაკითხავენ ტელევიზიით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დადგენილებებს თამბაქოს აკრძალვის შესახებ. მაშინ ევროპის ეს ქვეყნები რატომ აწარმოებენ თამბაქოს ნედლეულს. უფრო მეტიც, 2015 წელს „ბულგარტობაკო“-ს წერილობითი თხოვნით თამბაქოს ნედლეულის იმპორტზე საბაჟო გადასახადი დროებით გაუქმდა, (პრემიერ-მინისტრი გ.კვირიკაშვილი) ეს დროებითი დადგენილება დღესაც ძალაშია. რა ვუ-

წოდოთ ამას, თუ არა დანაშაული. მით უმეტეს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2001 წლის 12 სექტემბრის ნოერში და მის შემდეგაც ბევრჯერ დაიწერა ლაგოდენელების წერილები „**თამბაქოს მოყვანა გვინდა, პატრონი არ გვყავს**“ ასევე ჩემი ღია წერილი პრემიერ-მინისტრს ბატონ ბ. ივანიშვილს გაზეთი „რეზონანსი“ (19.09. 2013 წელი). ამ დარგის აღდგენაზე, რაიონის გამგებლებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, როცა მთავრობა არ ავალებს, რაზე „აბტკიონ აუტკივარი თავი.“ კარგად, კომფორტულად სხედან რაიონის პირველი პირების ერისკაცების კაბინეტში, სოლიდურ ხელფასებს და პრემიებს ღებულობენ, არა რცხვენიათ ცოტა მაინც, მათ კაბინეტში რომ სხედან?

2018 წელს ბატონ ბიძინა ივანიშვილმა თვითონ წამოიწყო საქართველოში „მარიხუანას“ ნედლეულის წარმოების დაწყება, რომ არა საქართველოს მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობა, ახლა ქვეყანა მარიხუანას ბოლში იქნებოდა გახვეული, ბატონო ბიძო, ხომ არ აჯობებდა „მარიხუანას“ წარმოებასთან ერთად „ჰეროინის“ წარმოებაც რომ დაგეწყო?

რამდენიმე წელში დადგება დრო, როდესაც ლაგოდენში ჩემი ეს მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა-პროგრამა, რომ განხორციელდეს მოსახლეობის მუდმივი დასაქმების და მათი კეთილდღეობის ამაღლებისათვის. უნდა მივიღეთ იმ დონემდე, როდესაც კოლმეურნეობები თავისი სოფლის მოსახლეობას ვაიძულებდით წლის ბოლოს დეკემბერში კოლმეურნეობების სალაროდან გაეტანათ მათზე დარიცხული თავიანთი კუთვლი ფული, ვისაც არ სჭირდებოდა და არ გაჰქონდათ თანხები კოლმეურნეობების სალაროდან, მოსახლეობას სახეიწფო შემნახველ სალაროში პირად ანგარიშებზე ერიცხებოდა.

ამის დასადასტურებლად მინდა მოვიყვანო ერთი მაგალითი; 1998 წლის იანვარია, ლაგოდენის ცენტრში ფეხით მივდიოდი, მემახის ერთი ასაკოვანი, ომგამოვლილი კაცი ნინიგორის კოლმეურნეობის გურგენიანის ყოფილი ბრიგადირი, ბატონო ჯემალ, ბატონო ჯემალ, გაჟერდი, მომიახლოვდა და მომიკითხა, თითქმის ვეღარც ვიცანი წვერგაუპარსავი იყო, მერე ვკითხე აქ რას აკეთებ მეთქი, მითხრა აგერ მე-2 დღეა ცხენის ბრიკით დაჭრილ შემას ვყიდი, ერთი ტომარა ფქვილი იქნებ როგორმე ვიყიდო. შემახსენა, გახსოვს ჩვენ კოლმეურნეობაში რაიკომიდან მომაგრებული რომ იყავი და ბრიგადერების კრებაზე გვეჩხუბებოდი, ხალხი მოიყვანეთ და თავიანთი კუთვნილი ფული გაატანიეთო. ახლა ასეთ დღეში ვართ, ზაფხულში შვილიშვილები რომ ჩამოდიან, ხანდახან ჯიბეში მაროუნის ფულიც არ მაქვს. ერთი პატარა შვილიშვილი მყავს, სულ იძახის ბაბუ კაკა-ს, პატარა ერთ ყვავილს მოვწყვიტავ და ამით ვაჩუქებ და ვართობ ხოლმე, თან ცრემლები მოსდიოდა და მეფერებოდა.

სამკურნალო და ჯანდაცო სადასრულო







ლაბორატორიის მეთაურის რეკომენდებული
თამბაქო და კენკროსი

1. პირველი
2. ოსტრალია
3. საიუბილი
4. სამსუნი
5. ტრაპეზონი




ლაბორატორიის მეთაურის რეკომენდებული კავშირი
Mobile: 8(99) 18 35 50 *სადასრულო*



ვირჯინიის თამბაქოს ჯიშის წარმოების აგრეგატები უნგრული ტექნოლოგიით ბალგიურიკებში ხმობისათვის

ლაგოდების რაიონში სოფლის მეურნეობის ერთწლიანი ტრადიციული კულტურების აღდგენის, ნედლეულის წარმოების, გადამამუშავებელი ევროპული ტექნოლოგიის ახალი საწარმოს აშენების და მისახლეობის მუდმივი დასაქმების პროგრამა



მევენახეობა-ყურძნის წარმოება შენარჩუნებულია მისახლეობის მიერ, ღვინის ქარხნების მიერ ხდება მისახლეობისგან ყურძნის შესყიდვა, 2013-2015 წლებში მთავრობის დიდი ხელშეწყობით და სუბსიდირებით მოხდა ყურძნის მაღალი ფასით შესყიდვა, ასევე მთავრობის ხელშეწყობით ხორციელდება ღვინის რეალიზაცია, რაც კარგია. მთავრობის ასეთივე ხელშეწყობით უნდა დაიგეგმოს ერთწლიანი კულტურების აღდგენა სხვა რაიონებში სპეციალიზაციის მიხედვით.

2013 წელი

აკემალ ხაჩიძე- სმ მეცნიერებათა დოქტორი



მობ. 599 18 35 50

ლაგოდეხის ნაკრძალი (დაცული ტერიტორია)

— გუნების უმუშევარიანი ქონილება

ლაგოდეხის რაიონის ღირსშესანიშნავ ადგილს წარმოადგენს საქართველოში ყველაზე უძველესი სახელმწიფო კომპლექსური ნაკრძალი, რომელსაც 1766 წელს ჰექტარი ფართობი უჭირავს, აქედან ტყით დაფარულია 12346 ჰექტარი (72%) დანარჩენი 5322 ჰექტარი ალპური საძოვრებია. სამხრეთის მხრიდან ნაკრძალის საზღვარი იწყება ზღვის დონიდან 450 მეტრ სიმაღლიდან და ყველაზე მაღალი საზღვარი აღწევს 3500 მეტრს. აღმოსავლეთით ნაკრძალს ესაზღვრება მდინარე მაწიმის ხევი, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს საქართველოს საზღვარს მოსაზღვრე აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან. დასავლეთიდან—მსხალგორის წყალგამყოფი ქედი, ჩრდილოეთიდან—მთავარი კავკასიონი, რომელიც ამავე დროს საქართველოს საზღვარს წარმოადგენს დაღესტანის ასსრ-სთან, სამხრეთით ესაზღვრება ლაგოდეხის რაიონის სოფლები. ნაკრძალის ტერიტორიაზე ყველაზე მაღალია ქოჩალოს ქედი, რომელიც აღწევს ზღვის დონიდან 2500 მეტრის სიმაღლეს, შემდეგ კუდიგორის და ნინიგორის ქედები.

ლაგოდეხის ნაკრძალს ჩვენი ქვეყნის სხვა ნაკრძალებთან შედარებით არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვს მისი პირველი ფუძემდებელია კავკასის ფლორის გამოჩენილი მკვლევარი ბოტანიკოსი პროფ. ნ. კუზნეცოვი. 1912 წელს ამ ტერიტორიის ორი ხეობა—შრომისხევი და ლაგოდეხისხევი ნაკრძალად გამოცხადდა. მაგრამ მის დაცვას საფუძველი ჩაეყარა 1917 წლის შემდეგ. ნაკრძალი თავისი შინაარსით და პრაქტიკით ამჟამად წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით ცენტრს. იგი ამჟამად საუკეთესო ბაზაა სამეცნიერო-კვლევისა და სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკისათვის.

ყოველწლიურად დემოკრატიული და უცხო ქვეყნების ათასობით ტურისტები და სპეციალისტები ათვალიერებდნენ ნაკრძალის ლამაზ ბუნებას, მის ღირსშესანიშნავ ადგილებს, მუზეუმს, რომლის თვალწარმტაცი ბუნების სილამაზით შთაგონებული ბევრი ამაღლელებელი სტრიქონებია ჩაწერილი შთაბეჭდილებების სქელყდიან წიგნში.

რაიონის ცენტრიდან დაახლოებით 2 კმ-ის მანძილზე მდებარეობს სწორედ ეს სახელვანთქმული ნაკრძალი, რომლისკენაც ვაშლოვანზე გავლით მიემართება ნაკრძალში შესასვლელი ცენტრალური ასფალტირებული გზა, რომელიც შორიდანვე იპყრობს მომსვლელის ყურადღებას. შესასვლელი ადგილი რამდენიმე წლის წინათ შესანიშნავად კეთილმოეწყობ და გალამაზდა.

შესასვლელ ამ ადგილიდან იწყება უზარმაზარი, ცამდე აზიდული ხეებისაგან შემდგარი ტყის მასივები, მწვანე მრავალნაირი ბალახეული საფარით. აქ არავითარი ხელოვნების სილამაზე არ შეედრება იმას,

რაც ბუნებას თავისით შეუქმნია და წარმოგვიდგება ლამაზი ბუნების სახით.

ლაგოდების ნაკრძალის ტერიტორიის რელიეფი, მის უმეტეს ნაწილში მრავალფეროვანია, მდიდარია მდინარეებითა და მთის ნაკადულებით. ხეობებში მაღალი კლდოვანი ნაპრალებიდან ხშირად გადმოჩქვს ჩანჩქერები, რომელთა მიდამოები დაფარულია ბუნების ლამაზი მრავალნაირი მცენარეებით. ტყის ლამაზმა ყვავილებმა ჯერ კიდევ ადრე მრავალი მეცნიერის და განსაკუთრებით უცხოელი სტუმრების დიდი ყურადღება მიიპყრო. მთელი მისი ტერიტორია, ხეობები და მთების კალთები დაფარულია ტყეებით, რომლებიც შეიცავენ მრავალ მერქნიან ჯიშებს, ხეებისა და ბუჩქების სახით. ადამიანისაგან ხელშეუხებელი ასეთი ბუნებრივი ტყეები ამჟამად იშვიათი მოვლენაა. ტყეები აქ ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 მ. სიმაღლემდე აღწევენ და მათი გავრცელება უფრო ზევით შეზღუდულია კლიმატის თავისებური სიმკაცრის გამო.

1500 მეტრ სიმაღლის ზევით ტყის მასივები თანდათან ნაკლები ხდება და იწყება ბალახეული საფარი და ზოგიერთი ბალახით მებტრამდეც აღწევს, ხოლო მრავალგვარი ყვავილოვანი მცენარეების სილამაზე მნახველზე მართლაც ზღაპრულ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ზღვის დონიდან 2000—2500 მეტრ სიმაღლეზე კლიმატი უფრო მკაცრი ხდება, რის გამოც მაღალი ბალახეული საფარი იცვლება დაბალი ბალახეულით და იწყება ალპური ზონა. ბუნებას ამ პირობებისათვის მკაცრი კლიმატის გამძლე ბალახების სახეობები შეუძრწევია, ნაკრძალის მაღალმთიანეთი ხასიათდება ტენიანი კლიმატით, ცივი ზამთარი და მოკლე გრილი ზაფხული, ქარი იშვიათად იცის და მისი საშუალო წლიური სიჩქარე ლაგოდების ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის სონაცემებით ჩვეულებრივ 1,1 მ/წამს არ აღემატება, იშვიათია ქარიშხალიც. როგორც ამ ნაკრძალის შესანიშნავი მკვლევარი კ. მამისაშვილი აღნიშნავს ქარიშხლის შემთხვევები საბედისწერო ყოფილა ნაკრძალის ტყეებისათვის. 1924, 1928 და 1957 წლებში, რომელსაც დაუმტკრევია უზარმაზარი ხეები, წაუქცევია წიფლები, რცხილები, მუხებიც კი დაუტეხია, ამ წლებში ლაგოდების სოფლებსაც დიდი ზიანი აქვს მიყენებული ბუნების ასეთი სტიქიისაგან.

ნაკრძალის ტერიტორიის რელიეფისა და მცენარეთა საფარის ასეთმა მრავალფეროვნებამ დაამკვიდრა ამ ტერიტორიაზე სხვა სიმდიდრეც. მცენარეთა მრავალფეროვნებას თან ახლავს ცხოველთა მრავალფეროვნებაც, აქ გვხვდებიან 42 სახეობის ძუძუმწოვარა ცხოველები, ჯოგებად გვხვდება ჯიხვი, კავკასიური არჩვი, კავკასიური ირემი, შველი, კავკა-

სიური მურა, დათვი, კავკასიური ფოცხვერი, გარეული ღორი, მაჩვი. იშვიათად მგელიც და სხვა. ფრინველებიდან აღრიცხულია 120 სახეობის მტაცებელი და გარეგნულად ლამაზი მგალობელი ფრინველები.


ნაკრძალის ბუნების ამ სილამაზეს კიდევ უფრო ამკობს თავისი სილამაზით ტყის განუყოფელი ბინადარი ირემი და შველი, ხოლო უფრო ზევით კლდეებიან ადგილებში გვხვდება ჯიხვი, კავკასიის მაჩვი და ცხოველთა სამყაროს სხვა წარმომადგენლები. სასიამოვნოა მათი დანახვა და შეხვედრა ნაკრძალის შესასვლელში, მოწყობილია რამოდენიმე გალია სადაც მოთავსებულია მნახველთათვის დათვი და ირემი, რომლებიც დამთვალეირებლების დიდ ინტერესს იწვევს.

ლაგოდების ნაკრძალის ტერიტორიაზე საკმაოდ ბევრია მდინარეები, აქ რამდენიმე დიდი მდინარე მოედინება: მაწიმის წყალი, ლაგოდების წყალი, შრომის წყალი, ნინიგორის წყალი, აქვე მოედინებიან შე-



სურათი 10. ლაგოდების ხეობა, ჯიხვისა და არჩვის ადგილსამყოფელები.

ღარებით პატარა მდინარეები და შერქმეული აქვს თავისი სახელები. სალესავის ხევის წყალი, ბნელი ხეობის წყალი და სხვა. ამ დიდი და პატარა მდინარეების სათავე იწყება ალპური მდელოებიდან და თავისი ღინების გზაზე ქმნიან სხვადასხვა სიმაღლის ჩანჩქერებს, მოედინებიან დიდი ღინებით და ხმაურით, ანკარა ნაკადულებში ბევრია კალმახი, ამ ტერიტორიაზე მრავლადაა გოგირდოვანი მინერალური წყაროებიც.



სურათი 11. კავკასიის შავი ტბა.

მეტად საინტერესოა და მნახველზე დიდ შთაბეჭდილებებს ახდენს ალპურ ზონაში ზღვის დონიდან 3000 მეტრზე მყინვარული წარმოშობის შავი მთის ტბა, რომელიც 25 ჰექტრამდე ფართობს აღწევს, ამ მიდამოებში განლაგებულია პატარ-პატარა ტბებიც.


ნაკრძალის ტერიტორიის სხვადასხვა სიმაღლეზე გავრცელებულია ტყის ხეთა ჯიშები: მუხა, ვერხვი, ლაფანი, რცხილა, წიფელი, ცაცხვი, თელა, წაბლი, იფანი, ლეკის ხე, მურყანი და სხვა მრავალი.

ლაგოდეხის ხეობამ 1870-იანი წლებიდან მიიპყრო, მკვლევარ ბოტანიკოსთა ყურადღება, მომავალი ნაკრძალის პოპულარიზაციის საქმეში დიდი როლი შეასრულა ემიგრანტმა ნატურალისტმა ლუდვიგ მლოკოსევიჩმა, რომელიც როგორც აღნიშნული გვაქვს წარმოშობით პოლონელი იყო. იგი 1851 წელს როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო კავკასიაში გადმოასახლეს, სადაც 58 წელი ცხოვრობდა ლაგოდეხში. იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში და ჰქონდა პროპორშიკის ჩინი. მაგრამ ძალიან აინტერესებდა ბუნება მან აღმოაჩინა მცენარეების სამოცამდე ახალი სახეობა, რომელთა ნაწილი მის სახელს ატარებს. ლუდვიგ მლოკოსევიჩმა შეაგროვა მცენარეების კოლექცია და გაავრცინა რუსეთის სამეცნიერო დაწესებულებებში შესასწავლად ამით მან ძალზე დააინტერესა ბოტანიკოსები და იმ პერიოდში ეს ტერიტორია ფლორის თვალსაზრისით შეისწავლეს და მკვლევართათვის მეტად საინტერესო ობიექტი გახდა. ტყის ამ ტერიტორიაზე ენტომოლოგებ-

მა აღმოაჩინეს იმ დროს ისეთი მწერების სახეობანი, რომლებიც მსოფ-
ლიოს არც ერთ სხვა კუთხეში არ ხვდებოდათ.

ლუდვიგ მლოკოსევიჩი პირველი მკვლევარია, რომელმაც მეცნიე-
რული შრომები მიუძღვნა ლაგოდების ხეობის ბუნების მოვლენებს და
მის მცენარეულობას. 1869—1877 წლებში იგი აკვირდებოდა ბუნებ-
რივ სხვადასხვა მოვლენებს და მცენარეთა ფენოლოგიას, რომლის შე-
დეგები 1878 წელს გამოუქვეყნებია რუსეთის ჟურნალ—გაზეთებში.
მას თავისი ცხოვრების მიზნით დაუსახავს ლაგოდების ხეობის ნაკრძა-
ლად გადაქცევა, ამ თემაზე წერს თბილისის ხელისუფლებას დახმარებო-
სათვის, ამ საქმეში ებმება თბილისის ბოტანიკური ბაღის თანამშრო-
მელი დ. სოსნოვსკი, რომელიც ამ პერიოდში გაუცვნიდა და მჭიდრო
ურთიერთობა დაუმყარებია. დახმარებისათვის მიუმართავს ტარტუს
უნივერსიტეტის პროფესორ ნ. კუზნეცოვისათვის და მასთან წერილობით
მიმოსწერით მჭიდრო კავშირი დაუმყარებია.

ლ. მლოკოსევიჩს 1895 წელს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლო-
გიური მუზეუმის კორესპონდენტად ირჩევენ, 1896 წელს აჯილდოებენ
რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ვერცხლის მედლით კავკასიის
ფლორის შესწავლისათვის. იგი იყო თბილისის ბუნებისმეტყველების
მოყვარულთა საზოგადოების წევრი. მასთან მუდმივი და ხშირი მიმო-
წერა ქონდათ ცნობილ მეცნიერებს და მასთან ერთად ეწყობოდა კავ-
კასიაში მოკლევადიანი ექსპედიციები.



ლუდვიგ მლოკოსევიჩი.



ლაგოდებში

ლ. მლოკოსევიჩის საფლავი

ლ. მლოკოსევიჩი მთელმა ევროპამ გაიცნო და მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებით, „იყო კავკასიაში და არ ნახო ლ. მლოკოსევიჩი — იხსენებს თავის ჩანაწერებში და გამოქვეყნებულ იმდროინდელ საგაზეთო წერილებში ცნობილი მოგზაური ბოტანიკოსი იუნკერი — ეს იგივეა, რომ ჩახვიდე რომში და ვატიკანში არ ნახო რომის პაპი“.

ლაგოდენში ლუდვიგ მლოკოსევიჩის უკვდავსაყოფად ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა აქამდეც, უნდა აღდგეს ლაგოდენში ტურიზმი სახელმწიფო ნაკრძალის გაცნობის თვალსაზრისით, 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის თავისებური სავიზიტო ბარათი იქნება პოლონელი მეგობრების ბოტანიკოსების, ენტომოლოგების, მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მოწვევა ლ. მლოკოსევიჩის ლაგოდენში მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესწავლისათვის. ეს იქნება ლაგოდენელი ხალხის მადლიერების ახალი გამოხატულება პოლონელი ხალხისადმი, ისე როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხები დღესაც სათუთად, რომ ინახავენ ქართველი გამოჩენილი აღამიანების სახელებს და საფლავებს. ლაგოდენელი ხალხისათვის ეს იქნება არდავიწყება მოყვრისა, პოლონელი და ლაგოდენელი ხალხის შემდგომი ურთიერთობის დამყარებისათვის. პოლონელ ბიზნესმენებთან და მეწარმეებთან კავშირის დამყარებაც გარკვეულწილად წაადგება ლაგოდენის რაიონს.

1899 წელს მკვლევარ ანატოლ ფომინს ბოტანიკურ — გეოგრაფიული კვლევები ჩაუტარებია კახეთში და მათ შორის ლაგოდენის მიდამოებშიც ლ. მლოკოსევიჩთან ერთად, რომლის შედეგები 1900 წელს არის გამოქვეყნებული, ხოლო 1903 წელს მკვლევარი გ. გრინევიცკი აქვეყნებს კავკასიაში ორჯერ მოგზაურობის შედეგებს, როგორც მასალიდან ჩანს ლაგოდენში ლ. მლოკოსევიჩთან ერთად ყოფილა ექსპედიციაში.

ლაგოდენის ხეობის სახელმწიფო ნაკრძალად გადაქცევის საკითხი ოფიციალურად მეფის მთავრობის წინაშე 1912 წელს დაისვა, ამ საქმის პირველ ფუძემდებლად ითვლება კავკასიის ფლორის გამოჩენილი მკვლევარი — ბოტანიკოსი პროფ. ნ. ი. კუნინცივი, მაგრამ ლ. მლოკოსევიჩი ამ პერიოდს ვეღარ მოესწრო. პირველად შრომის და ლაგოდენის ხევი იქნა გამოცხადებული ნაკრძალად, ამ წლებიდან აქ აიკრძალა ყოველგვარი ხის ჭრა და ტყეში ნიღირობა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც რომ მეფის მთავრობის განკარგულებით 1903 წლიდან 1917 წლამდე ვინჩე მდიდარი თავად სანტონადო დემიდოვს იჯარით ჰქონდა აღებული ნაკრძალის ეს ტერიტორია სანადიროდ, მას აუშენებია სპეციალური სახლიც, ტყეს ემსახურებოდა 10-მდე ეგერი, რომელთა უმრავლესობა იყენენ თუშები. იგი ამავე დროს იცავდა ამ ტყეს გარეშეთაგან. როგორც ლი-

ტერატურულ წყაროებშია მოცემული ნადირ—ფრინველი აქ რამოდენიმე წელში ისე მომრავლებულა, რომ ს. დემიდოვი აღიარებული ყოფილა ამიერკავკასიაში პირველ სანადირო მეურნეობის მფლობელად.

ს. დემიდოვმა სამოქალაქო ომის პერიოდში ლაგოდეხის ტერიტორია, რომელიც მას იჯარით ჰქონდა აღებული მიატოვა და მენშევიკების დროს ეს ღირსშესანიშნავი კუთხე სრულიად უპატრონოდ დარჩენილა. ხოლო 1929 წლიდან ეს ტერიტორია (4500 ჰექტარამდე დაახლოებით) ისევ გამოიყო ნაკრძალად, ხოლო 1935 წლიდან საქართველოს სახკომსაბჭოს და ცაკის დადგენილებით ლაგოდეხის ნაკრძალი რეორგანიზებული იქნა და გამოცხადდა სრულ (კომპლექსურ) ნაკრძალად 13.000 ჰექტარამდე, ხოლო 1941 წელს საქართველოში ჩამოყალიბებული იქნა ნაკრძალების სამმართველო რომლის ხელმძღვანელი იყო აკად. ნიკო კეცხოველი, საქართველოს სხვა ნაკრძალებთან ერთად ლაგოდეხის ნაკრძალსაც ძალზე დიდი ყურადღება მიექცა და ყველა პირობა შეიქმნა აქ არსებული ისტორიული სიმდიდრის დაცვისათვის, გაიშალა მრავალი კვლევითი-სამეცნიერო სამუშაოები. ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოს მეცნიერები და პირადად აკადემიკოსები ნიკო კეცხოველი და ვახტანგ გულისაშვილი, რომელთა უშუალო მითითებით ბევრი რამ გაკეთდა.

ლაგოდეხის ნაკრძალისადმი ყურადღება შემდგომში კიდევ უფრო გაიზარდა. 1945 წლის შემდეგ მას გადაეცა მიმდებარე სუბალპური საძოვრებიც, რამაც ხელი შეუწყო სრული სანაკრძალო რეჟიმის შექმნას, 1970 წლიდან ნაკრძალის ტერიტორია კიდევ უფრო გაიზარდა, დასავლეთის მხრიდან გურგენიანის სატყეოს მთელი ტერიტორია ნაკრძალს გადაეცა.

1946—1947 წლებში ნაკრძალისათვის აშენდა ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობა საფუძველი ჩაეყარა მუზეუმის შექმნას, რომელიც დღესაც არსებობს, აქ წარმოდგენილია ნაკრძალის ტერიტორიაზე გავრცელებული ფლორისა და ფაუნის ექსპონატები. მუზეუმის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის და დიდი პატივით არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ლაგოდეხის მკვიდრი და ნაკრძალის დიდი მოამაგე ყოფილი დირექტორი ბოტანიკოსი კირილე მამისაშვილი, რომელსაც გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი საქართველოს ნაკრძალების შესახებ. ლაგოდეხის ნაკრძალში მოღვაწეობდნენ მეტყევეების და ბოტანიკოსების სამეცნიერო ბირთვი: მ. ტატულიშვილი, ბ. სარალიძე, გ. ლეკბორაშვილი, ე. დიდმანიძე, გ. მამუკელაშვილი და ბევრი

¹ სამეცნიერო შრომები—ლაგოდეხის ნაკრძალის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ თეზისები 1983 წ.

სხვა თანამშრომელი. 15 წელზე მეტი ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალის კოლექტივის სათავეში უდგა ლაგოდების მკვიდრი ვაჟა პავლიაშვილი, ირაკლი შავლიაშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა ლაგოდების ნაკრძალის დირექტორად, **მეზაძე** კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორად, საერთოდ ნაკრძალის პოპულარიზაციისა და მისი სამეცნიერო საქმიანობის განვითარების საქმეში დიდა მისი ღვაწლიც.

მუზეუმის შთაბეჭდილებების წიგნში ჩაწერილია ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ აღამიანებების ჩანაწერები შეხედულება—სურვილები, მათ შორის: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნ. კეცხოველის, პროფ. ა. წერეთლის, 1930-იან წლების საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვ. სუჯაჩოვის, 1986 წელს ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალში იყვნენ. კიევის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი კ. სიტნიკი, საბჭოთა კავშირის ბოტანიკოს საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ა. ტახტაჯიანი. 1985 წელს ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალი დაათვალიერეს ფინეთის ნაკრძალების და სატყეო მეურნეობების დელეგაციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფინეთის ნაკრძალების გენერალური დირექტორი ტ. კორპეკა, 1982 წლის აგვისტოში ლირშესანიშნავი ადგილები ინახულეს და თავიანთი წინადადებები გამოთქვეს, რომელთა ჩანაწერები შეტანილია ნაკრძალის შთაბეჭდილებების წიგნში მ. შ. იყვნენ ამერიკიდან პროფესორი ვ. სიბლი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროფესორი ა. კალიში, იყვნენ აგრეთვე კანადის, შვეციის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები პროფესორები და აკადემიკოსები. ამავე წელს იყვნენ დენდროლოგთა მსოფლიო კონგრესის დელეგაცია 70 კაცი, მ. შ. იყვნენ ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქვეყნების ბოტანიკური ბაღების პროფესორები. 1986 წელს ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალში იყვნენ და თავიანთი შთაბეჭდილებებია ჩაწერილი, ჩეხოსლოვაკიის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. იარომირის და ვარშავის ბოტანიკური ინსტიტუტის დირექტორის პროფესორი ლ. სტუსლიკის და სხვა გამოჩენილი მეცნიერების მიერ. ასევე ჩაწერილია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მრავალი მეცნიერების და დელეგაციების შთაბეჭდილებები.

ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალის მდიდარი ეს მასალები რაიონის სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის ერთ-ერთი სასწავლო ბაზაა, ამ მდიდარ მასალებზე ბევრი სადისერტაციო და სადოქტორო შრომებია დამუშავებული, გამოქვეყნებულია სა-

ჭირო საინტერესო მასალებიც. გარკვეულ მეცნიერულ მუშაობას ეწე-
ვიან ნაკრძალის ადგილობრივი კადრებიც. მათ მიერ სისტემატიურად
მუშავდება და ბევრი შესწავლის პროცესშია მთელი რიგი საკითხები,
რომლებიც ეხება ნაკრძალის ბოტანიკურ შესწავლას. დღემდე ნაკრძალ-
ზე 130-ზე მეტი სამეცნიერო შრომაა გამოქვეყნებული, საიდანაც
80-მდე ადგილობრივი კადრებითაა დამუშავებული, ლაგოდეხის ნაკ-
რძალის ფლორის და ფაუნის საკითხებზე დაცულია 15 საკანდიდატო
და სადოქტორო დისერტაცია. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
პრორექტორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრ-
კორესპონდენტს თენგიზ ურუშაძეს სადოქტორო ნაშრომში სხვა მასა-
ლებთან ერთად წარმოდგენილი აქვს ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალ-
ის ალპური ნიადაგების თვისებები და მათი კავშირი ტყის მცენარეებ-
თან. საქართველოს ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორის გიორგი
ნახუცრიშვილს საკანდიდატო დისერტაციაში მოცემული და შესწავლი-
ლი აქვს ლაგოდეხის ნაკრძალის მაღალ მთიანეთის მცენარეული თავისებ-
ურებები.

ლაგოდეხის ნაკრძალის მუზეუმი მრავალი ადგილობრივი და მსო-
ფლიო გამოფენების მონაწილეა რომელთაგან უნდა აღინიშნოს 1974
წელს უნგრეთში და 1981 წელს ბულგარეთში გამართული მსოფლიო
სამონადირეო ნამუშევრების გამოფენები, სადაც ნაკრძალიდან წარ-
გზავნილი ექსპონატებიდან ერთმა წყვილმა ჯიხვის რქებმა „გრან პრი-
ზი“ ოქროს მედალი და „მსოფლიო ჩემპიონობა“ მოიპოვა, ხოლო მეორე
წყვილმა ვერცხლის მედალი. ოქროს მედალი მიიღო ასევე მგლის
თავის ქალამ.

1972 წელს ყოფილი სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებით
ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი სამეცნიერო მუშაობის და ბუნე-
ზის დაცვის პროპაგანდისადმი მიღწეული წარმატებებისათვის და-
ჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

ნაკრძალის მუშაკებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხაზით
კავშირი აქვს როგორც ჩვენი რესპუბლიკის ისე მოსკოვის, ლენინგრად-
ის, კიევის, ვოლგოგრადის, რიგის, ბაქოს და სხვა ქალაქების სამეც-
ნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან. ლაგოდეხის ნაკრძალი თავისი მდი-
დარი ისტორიული მონაცემების მიხედვით ბუნების უიშვიათესი და უნი-
კალური ძეგლია, რომელიც შეტანილია ბუნების ძეგლთა დაცვის
იუნესკოს მიერ გამოცემულ სიაში. 1983 წელს აღინიშნა და ჩატარდა
ნაკრძალის სახელოვანი იუბილე 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეც-
ნიერო კონფერენცია.

როცა უკვირდები ნაკრძალის ბუნების ამ მრავალფეროვნებას, მის
განსაცვიფრებელ მთების განლაგებას, ფიქრობ, ნუთუ რამ შექმნა ასე-
თი სილამაზე მართლაც რა რთული და ძლიერია ბუნება. ლაგოდეხის

ნაკრძალის ეს ბუნება იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანია, რომ ჩემს ამ პატარა წიგნში მისი აღწერა და მთლიანობაში წარმოდგენა შეუძლებელია, ეს არც შეადგენს ამ ნაშრომის დანიშნულებას, მაგრამ წიგნში ამ მასალის გამოცემის მიზანია, რომ ყოველ ადამიანში ლაგო-დებელი იქნება თუ ლაგოდებელთა მეგობარი გააღვივოს ჰერეთის ამ მადლიანი მიწის სახელმწიფო ნაკრძალის ლამაზი და მდიდარი ბუნე-ბის ისტორიული წარსული.

ლაგოდების რაიონის კლიმატური და ნიადაგური ბუნებრივი პი-რობები ასეთია:

ჰავა — ვაკეზე ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. ზამთარი ზომიერად ცივი, ზაფხული ცხელი, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა $1,6^{\circ}\text{C}$, ზაფხული 24°C აბსოლუტური მინიმუმიდან იზ-რდება აბსოლუტურ 38°C მაქსიმუმამდე. ნალექების მაქსიმუმი მოდის მაის—ივნ-სში, ზაფხულში ახასიათებს გვალვა და სეტყვიანობა. იანვარ-ში საშუალო ტემპერატურა—3-დან— 8°C -ის ფარგლებშია. წელიწადში ნალექების წლიური ჯამი 1200—1400 მმ შეადგენს.

მდინარეები—ლაგოდების რაიონში გარდა მდ. ალაზნისა სამხრე-თიდან მთავარი კავკასიონის ქედის მხრიდან ჩა:მოუდის მდინარეები: მაწიმის წყალი, ლაგოდების წყალი, შრომისხევი, ნინოსხევი, მაისუბა-ნი, კაბალი, არეში, აფენისხევი. ამ მდინარეებს სათავე კახეთის კავკასი-ონის მაღალმთიან ზონაში აქვთ და ტიპიური მთის მდინარეებია, ყვე-ლა მათგანი გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პირო-ბით სარწყავებისათვის. წყალდიდობა იცის მაის—ივნისში, წყალმცო-რობა ზამთარში. ზოგიერთი მდინარე ღვარცოფულია, მაგალითად: ლაგოდების წყალი და მაწიმია. წყალი იწყება კახეთის კავკასიონის სამხ-რეთ კალთაზე ზღვის დონიდან 2900 მ-ზე და მოედინება 31 კილომეტრ სიგრძეზე. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით.

ნიადაგები—ლაგოდების რაიონის ალაზნის მარცხენა მხარის ვაკე-ზე ჰარბობს მდელოს ალუვიური თიხნარი უკარბონატო ნიადაგები. **გამორიყვის** ცნონუსებსა და შლეიფებზე ალუვიური და პროლუვიური ნია-დაგებია. გვხვდება დაჭობებული თიხნარი, ბიცობიანი და დამლაშე-ბული ნიადაგები. ალაზნისპირას განვითარებულია ალუვიური მდელოს კარბონატული ნიადაგები. რაიონის მთიანი ნაწილი უკავია საშუალო და მცირე სისქის ტყის ყომრალ ნიადაგებს. მთის ტყის ზონის ქვემო ნაწილში თიხნარი ტიპური ყომრალი ნიადაგია, რომელიც ზოგან გაე-წერებულია. ტყის ზონის ზემოთ, მთის მდელოს კორდიან-ტორფიანი და მდელოს კორდიანი ნიადაგებია გავრცელებული.

აქვე ვათავსებთ მკითხველისათვის საინტერესო საქართველოს 14 სახელმწიფო ნაკრძალის მოკლე საცნობარო მასალებს, ვისაც უუვარს ჩვენი ქვეყნის ბუნება. მაგრამ ნაკლებად იცნობენ მათ შესახებ ციფ-

რობრივ მონაცემებს. ამიტომ აქ წარმოდგენილი მასალები მკითხველს გაუადვილებს საქართველოს ნაკრძალების გაცნობას და მასზე გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის.

1. ვაშლოვანის სახელმწიფო კომპლექსური ნაკრძალი — დაარსებულია 1935 წელს იგი საქართველოს უკიდერუს აღმოსავლეთ ნაწილში, შირაქის ზეგანზე დედოფლისწყაროს რაიონში მდებარეობს. ზღვის დონიდან 70 მეტრი სიმაღლიდან იწყება ნათელი ტყის მასივით.

ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალის საერთო ფართობი 5952 ჰექტარია და ჩრდილო—დასავლეთიდან სამხრეთ—აღმოსავლეთისაკენ. 19 კმ-ის სიგრძეზეა გადაჭიმული. ჩრდილო—აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება შირაქის ველი. სამხრეთ—აღმოსავლეთიდან ყუმროსა და მულა მოედნის საზამთრო საძოვრები, სამხრეთ—აღმოსავლეთიდან ელდარის ნახევრად უდაბნო, ჩრდილო—დასავლეთიდან ეშმაკის ხევი რომელიც ასევე ნათელი ტყითაა დაფარული.

ნაკრძალის მკვიდრს ფრინველთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გარეული მტრედი და ქედანი, მრავლად არის აგრეთვე კავკასიის ჩხიკვი, სამხრეთის კოდალა, სამთითა კოდალა, კავკასიის ჭრელი კოდალა, კავკასიის ქორჩოა ტოროლა, ველის ტოროლა, წივწივები, წიწკანები შავი შაშვი, ჩხართვი და სხვა.

მტაცებელი ჯგუფის ცხოველებიდან ნაკრძალში აღნიშნულია: მელა, ველის მელა, ტყის კატა, ფოცხვერი, კავკასიის მგელი, დათვი, ზოლებიანი აფთარი, მაჩვი და სხვა.

ვაშლოვანის ნაკრძალი საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების ერთი ნაწილია ფლორისა და ფაუნის დამახასიათებელი იშვიათობით.

2. მარიაშვარის ფიჭვის ნაკრძალი—დაარსებულია 1939 წელს და მდებარეობს საგარეჯოს რაიონში, ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ კალთებზე. აღმოსავლეთით ნაკრძალს ესაზღვრება მარიაშვარისხევი, დასავლეთით—ხოხოზიკასხევი, მთა ცივის საძოვრებამდე მისი ფართობი დღეისათვის 1033 ჰექტარია. ნაკრძალის ამ ტერიტორიაზე კავკასიის ფიჭვი გავრცელებულია ზღვის დონიდან 800—1800 მეტრის სიმაღლეზე, ფიჭვნართან ერთად გვხვდება მუხა, რცხილა, წიფელი და სხვა. ნაკრძალში წარმოდგენილია ტყის მგალობელი ფრინველების მრავალფეროვნება, ერთეულების სახით ნაკრძალში ვხვდებით ხოხობს, ძუძუმწოვრებიდან: შველს, მაჩვს, კვერნას და სხვა

3. ბაბანეურის ნაკრძალი—დაარსებულია 1960 წელს და მდებარეობს ახმეტის რაიონში მთავარი კავკასიონის ქედის კალთების ძირში. მდინარე ალაზნის ნაპირზე ზღვის დონიდან 439—600 მეტრზე, ნაკრძალის ფართობია 747 ჰექტარი, სოფელ არგოს—ბაბანეურთან. ნაკრძალში მრავლადაა ტყის მგალობელი ფრინველები,

არის ტუტუმწოვარა ცხოველები, შველი , კურდღელი ამიერკავკასიის ტყის მელა, კვერნა და სხვა.

4. ბაწარის უთხოვრის ნაკრძალი—დაარსებულია 1935 წელს, მდებარეობს ახმეტის რაიონში ბაწარის ხეობაში, ნაკრძალის ფართობია 3032 ჰექტარი, ზღვის დონიდან 950—1350 მეტრამდე. ნაკრძალის მთავარი მდინარეა ბაწარა, რომელიც დასაწყისს ღებულობს კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობის ალპურ ზონაში მისი სიგრძეა 16 კილომეტრი და უერთდება მდ ალაზანს.

5. ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალი—დაარსებულია 1965 წელს მდებარეობს თეთრი წყაროს რაიონში მდინარე ალგეთის მარცხენა ნაპირზე. ნაკრძალს აღმოსავლეთით ესაზღვრება მოხისი—ხოზეთისხევი, დასავლეთით—წალკის რაიონის ტყეები, ჩრდილოეთით—კასპის სატყეო მეურნეობა, სამხრეთით—ალგეთის საძოვრები და მანგლისის სატყეო უბანი.

ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალის ფართობი 6400 ჰექტარია, მისი რელიეფი მთავორიანია დაფარულია როგორც წიწვიანი, ისე ფოთლოვანი ტყის ჯიშებით. გავრცელებულია შველი, გარეული ღორი, კვერნა, დათვი და სხვა.

6. საგურამოს სახელმწიფო კომპლექსური ნაკრძალი—დაარსებულია 1948 წელს, ნაკრძალი მდებარეობს საგურამოს ქედზე, რომელიც თბილისიდან 25 კილომეტრითაა დაშორებული და შედის დედაქალაქის მწვანე ზოლში. მდებარეობს მდ. მტკვრისა და იორის ხეობებს შორის ზღვის დონიდან უმაღლესი ადგილი მდებარეობს 1390 მეტრზე, ხოლო ნაკრძალის ქვედა საზღვარი იწყება ზღვის დონიდან 600 მეტრიდან.

საგურამოს ნაკრძალს ჩრდილოეთით ესაზღვრება საგურამოს და გლავნის სახნავი ფართობები, სამხრეთით წიწამურის და გლდანის მიწის ფართობები, აღმოსავლეთით—სამგორის და გლდანის სატყეოს ტყეები, დასავლეთით—მდ. არაგვი. აღნიშნულ საზღვრებში ნაკრძალის ფართობი შეადგენს 5083 ჰექტარს. გავრცელებულია: შველი, ირემი, მცირე რაოდენობით გვხვდება: დათვი, მელა, ტყის კატა, მგელი, ტურა და სხვა ნაკრძალში ფრინველების მრავალფეროვნება გვხვდება ხოხობი.

7. ბორჯომის სახელმწიფო კომპლექსური ნაკრძალი—დაარსებულია 1929 წლიდან, მდებარეობს ბორჯომის რაიონში მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ნაკრძალის ფართობი შეადგენდა 13600 ჰექტარს. 1960 წლიდან მას დაემატა მოსაზღვრე ფართობები სატყეო მეურნეობებიდან, რის შედეგადაც ნაკრძალის საერთო ფართობი გადიდდა 18082 ჰექტარამდე.

ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ყველაზე მაღალ მთას წარ-

მოადგენს კუნტრუშას სერი, რომელიც ზღვის დონიდან 1915 მეტრზე მდებარეობს. ნაკრძალის ეს ტერიტორია 1917 წლამდე იმყოფებოდა კერძო მფლობელთა ხელში, მეფის ძმის მიხეილ რომანოვის სანადირო და გასართობი ადგილი იყო. აქ ყველაზე მეტად გავრცელებულია კავკასიის კეთილშობილი ირემი, შველი, კავკასიის არჩვი, დათვი, მგელი, მელა მაჩვი, კვერნა და სხვა. თავმოყრილია აგრეთვე მრავალი სახეობის მგალობელი და მტაცებელი ფრინველებიც. ნაკრძალის ტერიტორია მდიდარია მე-8—10 საუკუნის ისტორიული ძეგლებითაც.

8) აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალი—დაარსებულია 1946 წლიდან, მდებარეობს დასავლეთ საქართველოში ბაღდადის რაიონში. ნაკრძალის ფართობია 3377 ჰექტარი, რომელიც მდებარეობს მდ. ჩიონის მარცხენა შენაკადების მდ. ყვირილასა და მდ. ხანისწყალს შორის. ნაკრძალის მეორე მასივი ვარციხის ყოფილი სატყეო მეურნეობის ტერიტორიაა 1136 ჰექტარით. 1959 წლიდან ნაკრძალს კიდევ გადაეცა სვირის სატყეო მეურნეობის ფართობი, და დღეს ნაკრძალის საერთო ფართობი შეადგენს 4848 ჰექტარს.

აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორია ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია ვარციხის, დიშის, ფერსათის, ოზის, როკითის და სხვა სოფლების სახნავი მიწებით. ნაკრძალის ტყის მასივი გრძელდება ზოლის სახით და მიემართება 12 კმ-ის მანძილზე, ტყეების შემქმნელი ჯიშებია იმერეთის მუხა. წარმოდგენილია აგრეთვე იფანი, კავკასიური რცხილა და სხვა. მუხნარების ხნოვანება ნაკრძალში 120-დან 200 წლამდეა. აქ გავრცელებულია და ბინადრობს კავკასიური კურდღელი, მაჩვი, ტურა, მელა, შველი და სხვა. ფრინველებიდან გვხვდება მწყერი და ტყის ქათამი.

9. სათაფლიის ნაკრძალი—დაარსებულია 1935 წელს. მდებარეობს წყალტუბოს რაიონში მთა სათაფლიაზე მისი ფართობი შეადგენს 341 ჰექტარს, ნაკრძალის სიმაღლე ზღვის დონიდან 500 მეტრია. ნაკრძალი კომპლექსური ხასიათისაა და შეიცავს გეოლოგიური, პალეონტოლოგიური და ბოტანიკური ხასიათის ძეგლებს. სათაფლიის მთამ სახელი გაითქვა თავისი იშვიათი და ულამაზესი გამოქვაბულებით. ამ გამოქვაბულებს პირველად ყურადღება მიაქცია პედაგოგმა პ. ჭაბუკიანმა, რომელმაც ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით შესწავლო ამ ძვირფასი ძეგლის დაცვის ორგანიზაცია. 1925 წელს მან მიაკვლია კარსტულ გამოქვაბულებს, ხოლო 1933 წელს აღმოაჩინა ცარცის პერიოდის ცხოველთა—დინოზავრთა ნაკვალევი. მეცნიერული შესწავლის შემდეგ სათაფლია აღიარებულია დიდი მნიშვნელობის ძეგლად, რომელმაც მსოფლიო აღიარება ჰპოვა. აღმოჩენილი სხვადასხვა ასაკის დინოზავრების ნაკვალევის თარიღი დაახლოებით განსაზღვრულია

60—70 მილიონი წლით ჩვენს ერამდე. სათაფლიის ნაკრძალის ეს სილამაზე მრავალ ადგილობრივ და უცხოელ ტურისტს იზიდავს.

10. კოლხიდის ნაკრძალი—დაარსებულია 1946 წელს, იგი შავი ზღვის სანაპიროზე ფოთის მიდამოებში მდებარეობს და კოლხეთის დაბლობის მონაკვეთი უკავია. ნაკრძალის ფართობი შეადგენს 561 ჰექტარს. ნაკრძალში ფლორისა და ფაუნის გაოდა, შემონახულია კოლხეთისათვის დამახასიათებელი ჭაობების ლანდშაფტები. ბუნების სილამაზით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პალიასტომის ტბაც, რომელიც ამ ნაკრძალის ტერიტორიის გვერდით მდებარეობს

11. კინტრიშის ნაკრძალი—დაარსებულია 1959 წელს, მდებარეობს ქობულეთის რაიონში, ნაკრძალის ტერიტორიის ფართობი შეადგენს 6943 ჰექტარს და მოთავსებულია მდ. კინტრიშის მეტად თვალწარმტაც ხეობაში. ნაკრძალის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დაფარულია ტყით, მისი ქვედა საზღვარი ზღვის დონიდან 450 მეტრზე მდებარეობს, უმაღლესი წერტილის მთა ხინო მდებარეობს 2600 მეტრზე.

ნაკრძალის რელიეფი მთაგორიანია და შეიცავს მრავალი სხვადასხვა სიდიდის ხეობებს. ამ ხეობების სწრაფად მომდინარე მდინარეებში ბევრია კალმახი. აქ გავრცელებულია რცხილის, წაბლისა და წიფლის ტყეები, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს პონტოს მუხას, ნაძვს, ცაცხვს, ნეკერჩხალს და სხვა. მრავალფეროვანია აგრეთვე მალაქეული საფარი და ხვიარა მცენარეულობა. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს ტყეებისათვის დამახასიათებელი ცხოველები: შველი, არჩვი, დათვი, მელა, კვერნა, მაჩვი და სხვა. არის მრავალი სახეობის მგალობელი და მტაცებელი ფრინველები.

12. ბიჭვინთის ფიჭვის ნაკრძალი — მდებარეობს გავრის რაიონში, შავი ზღვის სანაპიროზე. მისი მასივი გადაჭიმულია შავი ზღვის სანაპიროზე 7 კილომეტრის მანძილზე. ნაკრძალის ტერიტორიაზე ჩამოედინება მდ. აკვარა და ბზიფი ნაკრძალის ფართობი შეადგენს 347 ჰექტარს.

სახელწოდება პიცუნდა წარმოშობილია ბერძნული სიტყვიდან „პიტუს“, რომელიც აღრე ჩვ. წ. ა. ამ ადგილზე გაშენებული ქალაქის სახელწოდება იყო და ფიჭვის დასახელების ადგილს ნიშნავდა. ნაკრძალის რელიეფი ოდნავ შემადლებულია ზღვის დონიდან 6 მეტრის სიმაღლემდე. ყველაზე უმაღლესი ადგილი ზღვის დონიდან მდებარეობს ბიჭვინთის უძველეს ტაძართან, ნაკრძალში გვხვდება ტყის მგალობელი ფრინველები და ხოხობი. ბიჭვინთის ფიჭვის ნაკრძალი მსოფლიო მნიშვნელობის ადგილია.

13. მიუსერიის სახელმწიფო ნაკრძალი—დაარსებულია 1934 წლიდან, მდებარეობს გუდაუთის რაიონის ტერიტორიაზე შავი

ზღვის სანაპიროზე. ნაკრძალის ფართობი შეადგენს 2260 ჰექტარს. საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1966 წლის დადგენილებით ის შეუერთდა ბიჭვინთის სახელმწიფო ნაკრძალს და შეიქმნა ბიჭვინთა—მიუსერის ნაკრძალი, რომელიც 4032 ჰექტარს წარმოადგენს. ყველაზე წყალუხვი მდინარეა მიუსერა, რომელიც მოედინება ნაკრძალის ტერიტორიაზე ტყე მრავალფეროვანია მრავლადაა მუხის, წიფლის და რცხილის კორომები, ფიჭვი და სხვა. გვხვდება 200—210 წლოვანი მუხის იშვიათი ეგზემპლარებიც, ფაუნაც მრავალფეროვანია.

14. რიწის სახელმწიფო ნაკრძალი—დაარსებულია 1991 წელს. მდებარეობს გუდაუთის რაიონში. მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთ განშტოებაზე ტბა „რიწის“ გარშემო. საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1957 წლის დადგენილებით გამოეყო გაგრის სატყეო მეურნეობას და შეიქმნა რიწის სახელმწიფო ნაკრძალი 16132 ჰექტარი ფართობით. ნაკრძალის ტერიტორია საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი რელიეფით ხასიათდება. ნაკრძალის ტყეები განლაგებულია მდ. ლაშიფსის და იუფშარის ხეობაში ზღვის დონიდან 1800—2200 მეტრამდე. ტყის მასივებში ჭარბობს რცხილა, ცაცხვი, მზა, კავკასიური სოჭი და სხვა. რიწის ტბა მდებარეობს 950 მეტრზე ზ. დ. სიგრძე 6 კილომეტრია, სიღრმე 100 მეტრამდე აღწევს. ეს ადგილები მდიდარია მგალობელი და მტაცებელი ფრინველების მრავალი სახეობებით. მისი მიდამოები თავის სილამაზით მნახველში დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს.



პოლონელი ბოტანიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ლუდვიგ მლაკოსვიჩის ხსოვნის აღებზე. მარცხნიდან ჯემალ ხაჩიძე, რევაზ ღონაძე, მზია ჯაფარიძე და პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იაცეკ მულგანოვსკი მეუღლესთან ერთად. ლაგოდეხი, 2003 წელი.

ჰერეთის დიდი ისტორია, საინგილოსკენ მიმავალი გზა საქართველოს ტკივილია

ლაგოდების რაიონი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უმდიდრესი კუთხეა. როგორც ადმინისტრაციული ერთეული (რაიონი) იგი 1930 წლის იანვრიდან არსებობს, რომელიც შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1929 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულების საფუძველზე.

რაიონი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კავკასიონის მთავარი ქედი, სამხრეთით—მდინარე ალაზანი, აღმოსავლეთით—აზერბაიჯანი და დასავლეთით—ყვარლის რაიონი.

დღევანდელი ლაგოდების რაიონი ნაწილია უძველესი საქართველოს იმ დიდი რეგიონისა, ჰერეთი რომ ერქვა. უხსოვარი დროიდანვე აითვისეს ეს მაღლიანი მიწა ქართველმა ტომებმა, რასაც ადასტურებენ მატერიალური კულტურის ძეგლები, ასე უხვად რომ გვხვდება ლაგოდების რაიონსა და მის მეზობელ საინგილოში.

ჰერეთის ტერიტორია უძველესი დროიდან დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ჰერული ტომებით. იგი ისე, როგორც საქართველოს სხვა მხარეები, რთული ისტორიული პროცესის შედეგად წარმოქმნილი ქვეყანაა. იბერებსა და ჰერებს შორის მჭიდრო კულტურული ურთიერთობა არსებობდა. ჰერების შერწყმა ქართლ—კახელებთან ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოხდა. იგი რამდენიმე საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა.

ისტორიული ჰერეთის ცალკეული საკითხები ღრმად და საფუძვლიანადაა შესწავლილი და წარმოდგენილი გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების — ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, პ. ინგოროყვას, ს. ყაუხჩიშვილის, გ. მელიქიშვილის, ა. აფაქიძის, ნ. ლომოურის, მ. ჯანაშვილის მიერ. ჰერეთის ისტორიას ცალკეული შრომები მიუძღვნეს დ. მუსხელიშვილმა, თ. პაპუაშვილმა და სხვებმა.

ქართულ ისტორიულ წყაროებში ჰერეთი V—საუკუნიდან იხსენიება. როგორც ალბანთა ქვეყნის შემადგენელი ნაწილი.

მე—VIII საუკუნის II ნახევარში ჰერეთი ადრეფეოდალური ხანის ერთ-ერთი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულია, ცოტა მოგვიანებით იგი გამოეყო ქართლის საერისმთავროს და დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროდ ჩამოყალიბდა.

ჰერეთის სამთავროს ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა VIII საუკუნის I ნახევარში არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართლის საერისმთავროს შეუპოვარი ბრძოლის პირობებში. VIII საუკუნის 50-იან წლებში, ქართლის ერისმთავრის არჩილ მეფის შემწეობით, ჰერეთის მთავარი გახდა მაგრატიონთა საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი.

ქართლის უკანასკნელი ერისმთავრების იოანესა და ჯუანშერის გარდაცვალების შემდეგ, ჰერეთის მაგრატიონებმა გააერთიანეს მთელი ჰერეთი შაქიდან გულგულამდე (დაახლოებით თელავამდე) და საფუძველი ჩაუყარეს ჰერეთის ფეოდალურ სამთავროს (787 წელი), რომელიც მოიცავდა ალაზნანგალმა საინგილოს, შიდა კახეთს, კამბეჩოვანსა და შაქს. (იხილეთ რუკა 1). ჰერეთის მთავარს ემორჩილებოდა აგრეთვე დაღესტნის მთიანეთის ნაწილიც—ხუნძახი და დიდოეთი. პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი იყო ქალაქი შაქი.

მეIX საუკუნის ბოლოს ჰერეთის სამთავრო იმდენად გაძლიერდა, რომ მისმა მთავარმა ჰამამმა სამთავრო სამეფოდ გადააკეთა და თვითონ მიიღო მეფის ტიტული, ეს მოხდა 893 წელს.

IX—X საუკუნეებში ჰერეთის სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერება და მაღალი კულტურა დასტურდება ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე მატერიალურ-კულტურული ძეგლებით, რომელიც დღემდეა შემონახული. შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლები: ყუმის ბაზილიკა (VIII ს.), ლექეთის ტეტრანქონქი (VIII—X სს), გურჯაანის (კახთუმნის) ყველაწმინდა (IX ს), ოზაანის ამალეობა (IX ს) და მრავალი სხვა.

ჰამამის გარდაცვალების შემდეგ, ჰერეთის სამეფო ტახტზე ავიდა მისი შვილი ადარნასე პატრიკი. ქართული წყაროების მიხედვით (ვახუშტი ბატონიშვილი), სწორედ მისი მეფობის დროს, დაახლოებით 915 წელს ჰერეთის წინააღმდეგ გაილაშქრა კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიცე I და აფხაზთა მეფე კონსტანტინე III. მოკავშირეებმა დაიპყრეს და გაინაწილეს ჰერეთის მცირე ნაწილი. მათ შორის არეში (ახლანდელი მთისძირი) და გავაზი (ახალსოფელთან ახლოს). შემდგომში ადარნასე პატრიკმა ისარგებლა კახეთის სამთავროს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გართულებით და დაკარგული ტერიტორია დაიბრუნა.

ადარნასე პატრიკის შემდეგ ჰერეთის სამეფო ტახტი დაიკავა მისმა ძმამ იშხანიკმა (943 წლიდან — X საუკუნის 60-იან წლებამდე). მასთან ერთად ჰერეთს მართავდა დედამისი

დინარ დედოფალი ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი. ქართული წყაროების მიხედვით იზხანიკისა და დინარ დედოფლის მმართველობის ხანაში ჰერეთმა უარყო მონოფიზიტობა და დიოფიზიტობა აღიარა. ამ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული აქტით ჰერეთი საბოლოოდ დაექვემდებარა ერთიან ქართულ ეკლესიას (მცხეთის საეპისკოპოსო).

XI საუკუნიდან საისტორიო წყაროებში აღარ იხსენიება ჰერეთის მეფე, რაც ადასტურებს, რომ არსებობა შეწყვიტა ჰერეთის სამეფო დინასტიამ. ჰერეთი ამ დროს შეიერთა კახეთის მეფე კვირიკე დიდმა (1010—1037 წწ). ამ აქტით დასრულდა კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური და ტერიტორიული შერწყმის პროცესი.

სულ მალე ჰერეთი მოექცა ახალშექმნილი პოლიტიკური ერთეულის—ჩანთა და კახთა“ სამეფოს შემადგენლობაში. XII საუკუნის



რეკა 1. საქართველოს I—IV საუკუნეებში—იბერიის (ქართლის) სამეფოს აღმოსავლეთი ნაწილი (საქართველოს სსრ ატლასი, 1964, გვ. 246)

დასაწყისში, პერეთი კახეთის სამეფოსთან ერთად, ერთიანი ფეოდალური საქართველოს ორგანული და განუყოფელი ნაწილი გახდა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

კავკასიის ალბანეთი ერთ-ერთი უძველესი ადრინდელი კლასობრივი სახელმწიფო იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. მოიცავდა ახლანდელ აზერბაიჯანის ტერიტორიას და დაღესტნის ასსრ სამხრეთ ნაწილს, ალბანეთი (Albania) პირველად IV საუკუნის ბერძნულ წყაროებში იხსენიება, ძველ ქართულ წყაროებში ალბანეთი გვხვდება ფორმით „აღვანეთი“, ხოლო სონუხში — „აღვანქეთი“, ალბანეთის მოსახლეობა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო (ალბანელები, გარგარელები, გელე-



რუკა 2. ალბანეთი კავკასიისა

ბი, ლეგები, ჰერები, სუჯები და სხვა) ანტიკურ ავტორთა ცნობებით ცხოვრობდნენ 26 ენაზე მოლაპარაკე ტომები. ალბანური ტომები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. მაღალ დონეზე იყო მომთაბარე მესაქონლეობა, მევენახეობა, განვითარებული იყო ხელოსნობა. მოსახლეობის ნაწილი მისდევდა ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას. ალბანელთა წარმართული პანთეონის პირველი ღვთაება იყო მთვარე, რომლის მთავარი ტაძარი იბერიის საზღვართან მდებარეობდა.


ჰერეთი VIII—XII საუკუნეებში ფეოდალური საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი მხარე იყო. VIII საუკუნეში არაბებმა ქართლში ერისმთავრობა გააუქმეს და შეიქმნა კახეთის და ჰერეთის სამთავროები.

IX—X საუკუნეებში, ჰერეთის სამეფოს პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში, სამეფოს პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი გიში (შაქი) ძლიერ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდნენ ქალაქები: ხორანთა, ხორნაბუჯი, ნეკრესი, ჰერეში, ნუხპატი; აგრეთვე—ლაგოდეხი, კაკი, კატეხი, მაჭი, ჭიაური. მჭიდროდ იყო დასახლებული თანამედროვე ლაგოდეხის, ბელაქნის, ზაქათლის, კახის რაიონების ტერიტორიები, სადაც გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო და სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის გზები.

პ. ინგოროყვას აზრით, 1103 წელს ჰერეთი ორ ნაწილად იყოფოდა; ერთს იგი უწოდებს აღმოსავლეთ ჰერეთს, რომელიც მოიცავდა ალაზნის იმეორ აღმოსავლეთ კახეთს, საინგილოს, ლაგოდეხის და გიშის სექტორებს, მეორეს—დასავლეთ ჰერეთს, რომელიც მოიცავდა კამბეჩოვან—ქიზიყს მიმდებარე ტერიტორიებით.

დავით აღმაშენებლის დროს ეს ორი ჰერეთი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდა. მაგრამ მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში (დიმიტრი I და გიორგი III მეფობის დროს) ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად გაუერთიანებიათ ჰერეთის საერისთავოს სახით. მე-12, მე-13 საუკუნეებში თამარ მეფის ხანაში ჰერეთი მოიხსენიება, როგორც ერთი საერისთავო, რომლის სათავეშიც დგას ჰერეთის ერისთავი.

სრულიად ჰერეთის ერისთავის ხელისუფლებას ორი გვარი ეცილებოდა: აღმოსავლეთ-ჰერეთის მფლობელი ბაგრატიონები—გრიგოლისძენი და დასავლეთ-ჰერეთის მფლობელი—კოლონკელისძენი. მე-XIX საუკუნის ადმინისტრაციული დანაწილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სიღნაღის მაზრა-ზაქათლის ოლქს (საინგილო), გიშის სექტორს, ნუხის მაზრას ერთი პირი ჰერეთის ერისთავი განაგებდა, რომელიც ამავე დროს, სახელმწიფო მოხელედაც ითვლებოდა. გრიგოლისძეთა და კოლონკელისძეთა შორის ქიშპობის ფაქტი მტკიცდება




ქა 3. კახეთის სამეფო XVI საუკუნის პირველ ნახევარში (საქართველოს სსრ ატლასი, 1964, გვ. 254)

—1185 წწ. დათარიღებულ დოკუმენტებში, სადაც სწერია, რომ თის ერისთავადი იყო ასათ გრიგოლის ძე, რომელმაც მოსტაცა რობით და მორევით საღირს კოლონკელის ძესა“.

ატორიული საბუთები ცხადყოფენ, რომ X—XII საუკუნეებში იი ალაზნის გაღმა ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარე ეწოდება¹. მკვლევართა აზრით, XII საუკუნეში ჰერეთი მოიცავხეტსა და შაქს შორის მდებარე ტერიტორიას—ალაზნის გაღმა აღმოსავლეთ ნაწილს (საინგილოთურთ) და დაღესტნის სამხ-

რეთ მთიანეთს. დროთა განმავლობაში ძველი ჰერეთის მიწა-წყალს საბოლოოდ ჩამოეჭრა ლაკვათის, დღევანდელი ლაგოდეხის ტერიტორიის ციხის იქით მდებარე ვეებერთელა ტერიტორია და სამწუხაროდ, საქართველოს შემადგენლობაში დღესდღეობით ისტორიული ჰერეთის მცირე ნაწილი—ლაგოდეხის რაიონი დარჩა (პ. ინგოროყვა).



რუკა 4. საქართველოს აღმოსავლეთი პერიფერიის საერისთაოები XII—XIII სს.
(დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, 1967; გვ. 130)

ლაგოდეხის რაიონის დღევანდელი ტერიტორია ადრეფეოდალურ ხანაში უძველესი ჰერეთის საერისთაოს ეკუთვნოდა, შემდეგ კი, გვიანფეოდალურ ხანაში, კახეთის სამეფოს ნაწილი გახდა. მაშინდელი კახეთის სამეფო ნუხს იქით მდ. ეგრადან (ამჟამად აზებრაიჯანის რესპუბლიკა) იწყებოდა და ალაზნის სათავემდე ვრცელდებოდა. ამჟამად ალაზნის ველზე, კერძოდ—ულიანოვკის, ჭიაურის, ვარდისუბნის ყარსუბნის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი

ნივთების მეცნიერული ანალიზი ნათელ სურათს გვაძლევს იმისას, რომ უხსოვარი დროიდან დასახლებულ რეგიონში კარგად ყოფილა განვითარებული სოფლის მეურნეობა: მეთუნეობა, მესაქონლეობა და მევენახეობა; ამის დასტურია აქ ნაპოვნი უძველესი სახნავი ნივთები და სხვადასხვა სახის საღვინე ჭურჭელი.

ლაგოდენის რაიონში ბევრ ძველ სოფლებს დღემდე აღარ მოუღწევია და არც ცნობებია მათზე შემონახული, მხოლოდ არსებული ომგადახდილი ძეგლები არიან მოწმენი იმ საშინელი აოხრებისა და ნგრევისა, რაც ამ მხარეს განუცდია საუკუნეების მანძილზე.

ბუნების შეუდარებელი სილამაზით და ნაყოფიერი მიწით განთქმული ჰერეთი საქართველოს მდიდარი მხარე ყოფილა. ქართველი მღვდლები დასასვენებლად და სანადიროდ ზოგჯერ შემოდგომასა და ზამთარს ჰერეთში ატარებდნენ, აქედან უკავშირდებოდნენ დაღესტანს. შირვანსა და განძას. გეოგრაფიული მდებარეობით ჰერეთი ესაზღვრებოდა მნიშვნელოვან სავაჭრო გზას, რომელიც ჩრდილოეთით მას დაღესტანთან, ხოლო სამხრეთ—აღმოსავლეთით სპარსეთთან ინდოეთთან აკავშირებდა. ამიტომ იგი მრავალი დამპყრობლის ყურადღებას იქცევდა ხშირად.

ჰერეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა ცნობილი საქარავნო სავაჭრო გზა, მის ტერიტორიაზე რომ გადიოდა და აღმოსავლეთის ქვეყნებს დასავლეთის ქვეყნებთან რომ აკავშირებდა. ეს გზა ლაგოდენის რაიონის ტერიტორიაზე გადიოდა. რასაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული სხვადასხვა ქვეყნებისა თუ ეპოქის ნუმიზმატიკური ნიმუშები ადასტურებს:

ასე მაგალითად: ლაგოდენის ტერიტორიაზე (მაწიმი, ლაგოდენი, ვაშლოვანი, შრომა, კავშირი, აფენი, ლელიანი), ნაპოვნი უძველესი დროის რომაული მონეტები. სასანური ირანის ვერცხლის დრამებიცაა მიკვლეული ბაისუბანში. 1924 წელს სოფელ აფენში წააწყდნენ განძს, რომელშიც აღმოჩნდა 352 ცალი ღირჰემი. კალინოვკაში 1945 წელს გლეხებმა მიაგნეს მიწაში ჩაფლულ განძს 706—707 წელს არაბეთში მოჭრილი ოქროს ღინარების სახით¹.

ჰერეთის სამეფოში რამდენიმე საერისთავო არსებობდა, მათ შორის აღსანიშნავია მაჭის საერისთავო, რომელიც მაწიმის ხეობა-

¹ თ. პაპუაშვილი, „ჰერეთის ისტორიის საკითხები“, 1970, გვ 361.

ში მდებარეობდა, რომლის დასუსტების შემდეგ მის როლს ასრულებდა კახეთის სამთავროში შემავალი ჭიჭიურის სამოურავო.

როგორც ისტორიულ წყაროებშია მოცემული, ერთიანი საქართველოს სამ სამეფოდ დაყოფის შემდეგ ჰერეთი კახეთის სამეფოს მიეკუთვნა. მთელი საუკუნეების მანძილზე კახეთი მომხვედრთა წინააღმდეგ იბრძოდა ამ ბრძოლაში კი მტერს პირველი ჰერეთი ეგებებოდა, როგორც საქართველოს აღმოსავლეთის ციტადელი. მე-17 საუკუნის დასაწყისიდან ჰერეთი ირან—ოსმალეთის ქიშპობის საგანი ჯდება. კახეთის მეფე ალექსანდრე მეორე იძულებული გახდა შაჰ-აბასისათვის დაეთმო კახეთის აღმოსავლეთის კარი—კაკ ენესელი, რომლის საზღვარი ლაგოდეხამდე აღწევდა.

შაჰ-აბასისა და მისი მემკვიდრეების წაქეზებით ერთ დროს საქართველოს გავლენა-მორჩილებაში მყოფი. დაღესტანის ლეკები მოსვენებას არ აძლევდნენ კახეთის მცხოვრებთ. წინათ მჭიდროდ დასახლებული საქართველოს მდიდარი მხარე ჰერეთი, კონკრეტულად, ლაგოდეხის მიდამოები, ქართველთა და ლეკთა ბრძოლის ასპარეზად იყო გადაქცეული. ამას დაერთო გამანადგურებელი შავი ჭირიც და თითქმის 200 წლის განმავლობაში, ერთ დროს აყვავებულ ამ მხარეში ხალხი მთლიანად გაწყდა. ტერიტორია გაველურდა, ერთიან ტყით დაიფარა. . . .

გაუთავებელმა გამანადგურებელმა ომებმა—ჰერთა ძალით გამუსულმანებამ. შავმა ჭირმა თუ სხვა ავადმყოფობამ, განსაკუთრებით კი ირანელთა და ლეკთა თარეშმა, უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ვინც გადაურჩა მტრის რისხვას, შიდა კახეთში გადასახლდა ან იძულებული გახდა ინგილოებივით მუსულმანური საარწმუნოება მიეღო. ასე გაუმედურდა ოდესღაც ეს მჭიდროდ დასახლებული რეგიონი.

ბულგარელი მწერალი ი. ვაზოვი თავის წიგნში ქართველი ხალხის შესახებ წერს: „საკმარისია თუნდაც ერთი თვალის გადავლება საქართველოს ისტორიისა, რომ მკითხველი გააოცოს ამ პატარა ერის მხნეობამ; იმ ერისა, რომლის სიცოცხლე ხშირად ბეწვზე ეკოდა და უკიდურეს პირობებში იყო ხოლმე. ქართველი ხალხი ოცი საუკუნის განმავლობაში უმკლავდებოდა და ეომებოდა აურაცხ მტერს, ქართველი ერი მარად მებრძოლი და მარად ცოცხალი რჩებოდა, იმდენი უბედურების შემდეგ მაინც დაიცვა თავისი ენა და ეროვნული თვითცნობიერება იმ დროს, როდესაც ბევრი უძლიერესი სახელმწიფო აზი-

ისა დედამიწის პირიდან საერთოდ აღიგავნენ. ქართველი ერი კი მტკიცე, ვითარცა სალი კლდე კავკასიისა ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა“.

1802 წლის 8 მაისს თბილისში გაიხსნა რუსული მმართველობა; საქართველო, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად დაიყო და სრულიად რუსეთის შემადგენელი ნაწილი გახდა. საქართველოს პირველ მთავარმმართველად ანუ მეფის პირველ ნაცვლად, დანიშნა ი. კნორინგი კავკასიის ადმინისტრაციამ ქართლ-კახეთი დაყო მაზრებად, რომელთა სათავეში რუსი მოხელეები დანიშნა. ქართლში სამი მაზრა ჩამოყალიბდა—გორის, ლორეს და დღუშეთის. კახეთში კი ორი თელავის და სიღნაღის.

1802 წლის მაისიდან სიღნაღის მაზრა თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა. მაზრის საქმეებს განაგებდნენ სამაზრო სამმართველო და საეროზო პოლიციის სამმართველო. სიღნაღში პოლიციის სამმართველოს წევრებად დანიშნეს თავად რევაზ ანდრონიკაშვილი და ადამ ნასიძე. პოლიცემისტრად გრიგოლ ნაცვლიშვილი. მაზრის ყველა საქმეებს პოლიციის სამმართველო მართავდა. სიღნაღის მაზრას მიეკუთვნა ბაკურციხის, კოდალოს, მაჩხანის, შირაქისა და ალაზანგალმა ლაგოდეხი და თემები.

რაკილა რუსეთმა ფეხი მოიკიდა ქართლ-კახეთში, იგი შეუდგა ამიერკავკასიის მთლიანად დაპყრობის გეგმის განხორციელებას, რაც გენერალ ი. კნორინგს აღარ დასცალდა. ალექსანდრე I იგი გადააყენა და მის მაგიერ მთავარმმართველად დანიშნა. წარმოშობით ქართველი, მაგრამ გარუსებული გენერალი პავლე ჯიმიტრის ძე ციციანოვი. ეს მოხდა 1803 წლის თებერვალში. პ. ციციანოვი შვილიშვილი იყო პაატა ციცივილისა, რომელიც ვახტანგ VI სხვა ქართველ წარჩინებულებთან ერთად რუსეთში წაიყვანა სამუდამოდ საცხოვრებლად, ასე, რომ პავლე ციციანოვი რუსეთში დაიბადა და გაიზარდა. გენერალმა საბრძოლო ნათლობა და წრთობა სუვოროვთან მიიღო.

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I ამიერკავკასიის ექსპანსია სწორედ პ. ციციანოვს დაავალა. ჩვენთვის საინტერესოა როგორ დაიპყრო და დაუქვემდებარა ქარ-ბელექანი თბილისის გუბერნიას.

იმპერატორმა ციციანოვს სრულიად დამოუკიდებელი მოქმედების უფლება მიანიჭა გარუსებული გენერალი საქმეს შეუდგა. მან ჯერ განჯის სახანო დაიმორჩილა 1804 წლის იანვარში, შემდეგ ქარ—ბელექანისა და ნუხის სახანოსთვისაც მოიცალა. საქმე იმაშია, რომ აქ თავს აფარებდნენ რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი და საქართველოს ტახტის მაძიებელი უფლისწულები ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით.

1804 წელს პ. ციციანოვმა—ჯარი გაგზავნა ჭარ-ბელაქანში, ეს ჯარი შედგებოდა 1800 რუსისა და 4500 ქართველისაგან, ქართველები სულ მოხალისედ მოსულიყვნენ და ეს სავსებით გასაგები იყო. ჭარ-ბელაქანი საქართველოს სისხლხორცეულ ნაწილს შეადგენდა და, ჟამთა სიავის წყალობით განუწყვეტლივ ძარცვისა და აწიოკების ბუდედ იყო გადაქცეული.

1803 წლის მარტში რუს-ქართველთა ჯარმა დაიკავა ბელაქანი და გაანადგურა ლეკები, ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები გაიქცნენ. ბელაქნის გადასარჩენად თავი გამოიღო შექის ხანმა. მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლის დროს დამარცხდა. ჭარ-ბელაქანს ყოველწლიურად 220 ფუთი აბრეშუმის გადახდა დაეკისრა.

საქართველოზე ლეკთა თარეშის სამუდამოდ აღმოსაფხვრელად ჭარ-ბელაქანში სამგან რუსი სამხედრო ბანაკი დაარსდა. ჭარ-ბელაქნის დამორჩილებას პ. ციციანოვი საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის მნიშვნელოვან ეტაპად მიიჩნევდა.

1805 წლის თებერვალში პ. ციციანოვმა ბაქოზე გალაშქრების დროს ბაქოს ხანს ჰუსეინ ყულიხანს ჯერ შეუთვალა—უკეთუ სისხლის დაღვრა არ გწადია ციხე-ქალაქის გასაღები ჩამაბარეო. მეფემ თანხმობა შეუთვალა და მიიწვია. აქ პ. ციციანოვი, მოტყუებით მოკლეს. უმეთაუროდ დარჩენილი ჯარი ბაქოდან ისე სწრაფად უკუიქცა, რომ თავმოკვეთილი მთავარსარდალი აღარ გახსენებიათ, იგი ბაქოს გალავნის ძირას დაფლეს და მხოლოდ 1811 წელს გადმოასვენეს თბილისში.

1806 წლის ნოემბერში გენერალი დიმიტრი ორბელიანი 2000 ქართველი და 100 რუსი ჯარისკაცით შევიდა ჭარ-ბელაქანში. ლეკებმა რუსეთის ყმობა აღიარეს და პირობა დადეს საქართველოზე აღარც თვითონ გაილაშქრებდნენ და აღარც დაღესტნელ ან სხვა მუსულმანთ გაუხსნიდნენ გზას. აღარც ჭარ-ბელაქანში მცხოვრებ ქართველებს შეავიწროვებდნენ და დაძალებდნენ გამაჰმადიანებას.

რუსეთის იმპერიამ აქტიურად დაიწყო კავკასიის ექსპანსია, მისი კოლონიზაცია; რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობას, რაღა თქმა უნდა ირანი და თურქეთი ვერ შეურიგდებოდნენ. პანისლამურმა მოძრაობამ ფართოდ გაშალა მხრები კავკასიაში—დაღესტნისა და ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიანი ტომები რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმა. დაიწყო ლეკთა თარეში, რომელსაც ყველაზე მეტად კახეთი და ალაზნის მარცხენა მხარე განიცდიდა. ლეკთა რაზმები თავს ესხმოდნენ სიღნაღის და თელავის მაზრებს, ემუქრებოდნენ თიანეთს, ყვარელს, წინანდალს, თბილისსაც კი. ყოვე-

ლივე ამან გაუთავებელი, ყაჩაღური ხასიათი მიიღო შამილის მიერ „სალტო ომის“ გამოცხადების შემდეგ.

სწორედ ლევა თარემის აღკვეთის და მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, გასული საუკუნის 40-იან წლებში, დაიწყო ე. წ. „ლუზგინსკაია კორდონაია ლინია“ გასამაგრებელი სამხედრო ხაზის მშენებლობა.

გეგმა ითვალისწინებდა თავდაცვითი ნაგებობების მთელ კომპლექსს; მათ შორის—დაბურული ტყეების ჭრას, გზის გაყვანას, ხიდების აგებას. სამხედრო დაბების ე. წ. „შტაბ—კვარტირანთა“ მშენებლობას და მათ განაშენიანება-დასახლებას, ნუხა-ზაქათლიდან სოფელ საბუემდე. ამ გეგმის მიხედვით „შტაბ-კვარტირები“ უნდა დაარსებულიყო ლავოდებსა და საცხენისშიც.

აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო სა-სტორიო არქივში დაცული დოკუმენტები და სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკაში შემონახული იმდროინდელი ბეჭდური გამოცემები.

„ენიაზ პარიატინსკის მიმართვა რუსეთის სამხედრო მინისტრისადმი“ № 116, 1856 წელის 4 დეკემბერი.



რუკა 5. ეს ფრაგმენტი ამოღებულია ცნობარ „კავკასკი—კაუნდარის“. 1859 წლის ნომრიდან. რუკაზე აღბეჭდილია ლეკების თავდასხმისაგან საფორტიფიკაციო ხაზის „ლუზგინსკაია კორდონაია ლინია“ მონაკვეთი ზაქათლიდან საცხენისის ჩათვლით, რომელიც თანამედროვე ლავოდების რაიონის ტერიტორიაზე გადიოდა.

„ლუზგინსკაია კორდონნაია ლინია“, ზაქათლიდან—საბუემდე გასდევს კავკასიონის ტყიან მასივს, რომელიც საშიშროებას უქმნის მგზავრობა—გადაადგილებას. საჭიროდ მიგვაჩნია ტყის ზოლის გაჩეხვა და საკორდონო ხაზის გამაგრება. უშიშროების მიზნით საჭირო იქნება ახალი ხიდის აგება მდინარე ალაზანზე ალმალოსთან, ამავე დროს აუცილებელია დასრულდეს „შტაბ—კვარტირების“ მშენებლობა ლაგოდებსა და საცხენისში, თბილისის გრენადერთა პოლკისა და ქართული სახაზო № 12 ბატალიონისათვის“. შემდგომი პერიოდის დოკუმენტი იტყობინება, რომ 1857—58 წლებში „ლუზგინსკაია კორდონნაია ლინიაზე“—წარმოებული დიდი სამუშაოების შედეგად, ლაგოდებში დასრულდა შტაბ—კვარტირის მოწყობა თბილისის გრენადერთა პოლკისათვის..“

1829 წელს მეფის მთავრობამ დაარსა ქარ-ბელაქნის ოლქი, რომელიც ინგილო—ქართველებისა და მთიდან ჩამოსახლებული ლეკების მცხოვრებთა მზაზე შეიქმნა. მეფის რუსეთმა 1858 წელს დაღესტნიდან ჩამოსახლა და ზაქათალა—ბელაქნის რეგიონში დასახლა შამილის მომხრე არასანდო 10 ათასზე მეტი „ურჩი“ ლეკი: 1859 წელს ჟურნალი „კავკაზსკი კალენდარი“ გვაუწყებს, რომ აქედან „კახეთში გადასახლდა 5 ათასზე მეტი კაპუჩელი და ანწუხელი დაღესტნელი“, რომელთა მზაზეც შეიქმნა შემდგომში სოფელი ყობაღრი.

ლაგოდების აღმოსავლეთით ასე თანდათან ჩამოყალიბდა ლეკებით დასახლებული ბელაქნის რაიონი, რომელმაც საბოლოოდ მოწყვიტა საქართველოს პერეთის ეს ტერიტორია და ქართველებით დასახლებული საინგილო ლაგოდების სასაზღვრო რაიონად გადაიქცა.

თუ ვინმეს საქართველოში რუსის შემოსვლით შინა და გარეშე მტრებისაგან თავის დახსნის იმედი ჰქონდა, იგი უწინარეს ყოვლისა ქართველ გლეხს უნდა ჰქონოდა, მაგრამ რუსი ხალხის სიკეთის სანაცვლოდ მასზე მეოცნებე ქართველი კაცი ერთბაშად რუსი მეფის სიბოროტეს გადაეყარა. რუსი გლეხი მას დიდი ხანია შესჩვეოდა, მაგრამ ქართველი გლეხისათვის ეს „ახალი ხილი“ გამოდგა, მეგრი რამ სულის სიღრმემდე მტკივნეული აღმოჩნდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ქართველებიც ეჩვეოდნენ და ეგუებოდნენ.

1802 წელს რუსეთის ჯარის ერთი ნაწილი მდინარე ალაზნის პირას სოფელ ყარაღაჩში დაბანაკდა და ჭარ-ბელაქნისათვის ბრძოლა დაიწყო. რუსეთის ჯარმა ჭარ-ბელაქნის სახანო მოსპო და იგი ზაქათლის ოლქად აქცია.

1802 წელს დაწყებული ეს აქცია 1830 წელს დამთავრდა. ყარაღაჩიდან ჯარის ნაწილი ალაზნის მარცხენა მხარეზე გადმოვიდა და ლაგოდებში პოლკის შტაბი დაარსდა. ეს კანონზომიერი იყო—მეფის მთავ-

რობას საქართველოში დიდი რაოდენობით ჰყავდა ჯარი, ამიტომ საჭირო გახდა სხვადასხვა რეგიონში მისი მუდმივი დაბინავება. ჯარის დისლოკაციის ადგილის შერჩევასა და ძირითად საკითხს ითვალისწინებდნენ: პირველი—ჯარი განელაგებინათ ისეთ ადგილას, სადაც ვრილი ზაფხული და საკმაო წყალი იქნებოდა. მეორე—შეიარაღებული ძალა საზღვართან ახლოს უნდა ყოფილიყო, ასეთი ადგილი კი საქართველოში უამრავია და მათ შორის ლაგოდეხიც.

ლაგოდეხის მახლობლად რუსეთის ჯარის დაბანაკების შემდეგ, 1850—55 წლებში სახლდებიან დემობილიზებული ჯარისკაცები. სამხედრო დასახლებებს მეფის მთავრობა ყოველმხრივ უწყობდა ხელს, რამეთუ ქმნიდა საიმედო დასაყრდენს დაპყრობილ ქვეყანაში—ზრდიდა ადგილობრივ რუსთა რაოდენობას, რითაც აჩქარებდა ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციას. სამხედრო დასახლებათა მოწყობა აიაფებდა ჯარის შენახვას. 1860—1870 წწ. ლაგოდეხში ასახლებენ პოლონელებს, უკრაინელებს და კაზაკებს, რომელთა შორისაც მევერი დუხაპორი და მალაკანი იყო. ისინი დღესაც ცხოვრობენ ლაგოდეხის რაიონის სოფელ გრაფოვკაში. მოგვიანებით კი იწყება შიდა რუსეთის გუბერნიებიდან რუსი მოსახლეობის ტოტალური გადმოსახლება, რაც 1910 წლამდე გრძელდება. ლაგოდეხის ტერიტორიაზე რუსი მოსახლეობა 1900 წლამდე დასახლებული იყო სოფელ სლობოდკაში (დღ. კალინოვკა), სოფ. მიხაილოვკაში (დღ. ნინიგორი), ულიანოვკაში, ნენდროვალში და გრაფოვკაში. საერთოდ, ლაგოდეხის რაიონში მრავლადაა ჩამოსახლებული სხვადასხვა ეროვნების ხალხი. დღე-განდელი კაბლის სოფლების—უზუნთალის, ყარაჯალის, განჯალის მცხოვრებნი აზერბაიჯანელები არიან, ხოლო არეშფერანში, ქევხიანში, ფიჩხიბოგორში, ბოლქეში, გუჯარეთში, ფონასა და ხეჩილში — ოსები. დანარჩენ სოფლებში—ქართველები და სომხები იწყებენ დასახლებას.

ჰერეთის ძველ ნაფუძვარზე ლაგოდეხში ერთი მეორის მიყოლებით იქმნებოდა რუსული დასახლებები. მათ შორის ნოვო-ალექსეევკა, ნოვო-ვორონცოვკა, ნოვო-მიხაილოვკა, გრაფოვკა, დაშკოვკა, ელიზავეტინსკოე, ივანოვსკოე, ილარიონოვსკოე და რომანოვსკოე.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართული სოფლისა და ციხესიმაგრის კართუბნის ტერიტორიაზე, ნეინის წყლის ნაპირზე, ასახლებენ ბორჩალოდან, სართიჭალიდან, მულანლოდან, (საგარეჯო) ყარაჯალიდან (თელავი) აყრილ აზერბაიჯანელებს, რომლებიც ქმნიან სოფლებს: განჯალა, კაბალო, უზუნთალა და ყარაჯალა.

მხოლოდ მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ძალისხმევით და პირადად ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და სათავადაზნაურო ბანკის აქტიური ჩარევის

შედგად, იწყება იმერეთის, რაჭისა და კახეთის რაიონებიდან ქართველთა მასობრივი ჩამოსახლება ლაგოდეხში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. სწორედ დიდი ილიას და მისი თანამებრძოლების დამსახურებაა ის, რომ დღესდღეობით ლაგოდეხის რაიონის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენენ.

რუსეთის თვითმპყრობელური სახელმწიფო საქართველოში დასახლებულ (მათ შორის ლაგოდეხის ტერიტორიაზე) რუსებს ყველანაირ შეღავათს უწევდა. უპირატესობას აძლევდა მიწების ლარსებისას და სხვა. იქამდეც კი მივიდნენ, რომ არარუს მოსახლეობას ადგილობრივ მოსახლეობად არ თვლიდნენ, დროებით მცხოვრებლებს უწოდებდნენ. ამგვარი პოლიტიკა გლეხობაში რაღა თქმა უნდა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

1895 წელს სლობოდკაში (დღ. კალინოვკა) 120 კომლი ცხოვრობდა; მათგან 40 კომლი რუს მოსახლეს 160 დესეტიან სახნავსათესი მიწა ჰქონდა; ქართველი გლეხობის 80 კომლს ეკავა მხოლოდ 14 დესეტიან საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. 1895 წლის დასაწყისში მეფის მთავრობის მითითებით სლობოდკის მამასახლისმა საპოენიკოვმა და ურიადნიკ დობრინინმა ქართველ გლეხობას მოსთხოვა აყრილიყვნენ და ალაზანგაღმა გასულიყვნენ საცხოვრებლად ამ უკანონო მოქმედების სისრულეში მოსაყვანად რეპრესიებიც კი გაუტარებიათ. შევიწროვებულ ლაგოდეხის უმიწაწყო გლეხობას რჩევა-დარიგებისათვის ლაგოდეხში დაბანაკებულ სამხედრო ნაწილის შტაბის კაპიტან ნიკო ნადირაშვილისათვის საიდუმლო თხოვნით მიუმართავთ. გლეხობას თავიანთ წარმომადგენლად გლეხი ზაქარია გელაშვილი აურჩევიათ. ნიკო ნადირაშვილის პირადი ნაწერებიდან ვგებულობთ, რომ 1900 წლიდან 1904 წლამდე გლეხობისათვის მიწების მიცემის თაობაზე, რამდენიმე თხოვნა გაუგზავნიათ მეფისა და მეფის ნაცვალის სახელზე.

რუსეთის იმპერიის თვითმპყრობელური პოლიტიკა აუტანელი ხდებოდა მშრომელი ხალხისათვის, რასაც გლეხთა მოძრაობის გაძლიერება და ჯარის ნაწილებში გამოსვლები მოწმობდა. მზადდებოდა პირობები ხალხის შეიარაღებული აჯანყებისათვის. ქალაქის კვალდაკვალ ფეხზე დგებოდა სოფელიც. 1905 წლის გაზაფხულიდან დაიწყო გლეხთა მღელვარება. გლეხები ისაკუთრებდნენ მიწებს, ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა კარმიდამოს, ჩეხდნენ ტყეებს და სახლდებოდნენ ისე, როგორც საქართველოს ყველა კუთხეში. ლაგოდეხშიც ეწყობოდა გლეხთა გამოსვლები მიწასა და თავისუფლების მოთხოვნით. თუ როგორ დამთავრდა 1905 წლის რევოლუცია—კვლას კარგად მოეხსენება.

რევოლუციური აზვითების შესანელებლად მეფის ხელისუფლება ერთგვარ დათმობაზე წავიდა. გლეხობას ნება დაერთო დასახლებულიყო სახაზინო მიწებზე. ამ დათმობით ერთგვარად გაადვილდა ლაგოდენის მიდამოებში ღარიბი გლეხობის დასახლება და სოფლების დაარსება. სწორედ 1900-იან წლებში შეიქმნა სოფლები: შრომა, კავშირი, ცოლნა, ვარდისუბანი, ყარსუბანი, აფენი, ბაისუბანი და სხვ. ქართული დასახლებები.

საკარმიდამო ნაკვეთები პატარა იყო და სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებდა მათი ცხოვრების მინიმალურ პირობებს.

კორესპონდენცია, რომელიც დაიბეჭდა გავით „გლეხის“ № 4-ში 1900 წლის 13 ივლისს საერთო სათაურით „ჩვენებური ამბები“, იტყობინება, რომ 18 ივნისს ლაგოდენში ჩავიდა ტფილისის გუბერნატორი. ლაგოდენის მისავალთან, სადაც გაშენდა სოფელი „შრომა“, მას დახვდნენ გლეხები თავიანთ ცოლ-შვილით და წარუდგინეს ქალაქი. რომლითაც აუწყეს შემდეგი: „ჩვენ აქ ლაგოდენში ვცხოვრობთ 1890 წლამდის. ჩვენ პირველებმა დაიწყეთ თამბაქოს მოყვანა. რომელიც ხაზინას დიდ შემოსავალს აძლევს. მაგრამ საუბედუროდ დღემდე ერთი დესეტინა მიწაც კი არ მოგვეპოვემა და იძულებული ვართ დიდ ფასად ვიქირაოთ მიწები და ისე ვიმუშაოთ. სამაგალითო მხნეობა—გარჯილობის მიუხედავად სიღატაკეს ვერ დავაღწიეთ თავი. ამ ოცდაათი წლის წინ ლაგოდენელმა მუშა ხალხმა—ვითხოვეთ მიწები: რუსებმა, ეხლანდელი „ბოსელენცებს“ მისცეს მიწები, ჩვენ კი „ტუშემცებს“ არ მოგვცეს. ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ბევრჯერ მივმართეთ მთავრობას მიწებისათვის, მაგრამ მხოლოდ გვიპირდებოდნენ და ჩვენს გაპირვებას კი ბოლო არ ეღებოდა. ხოლო ორ წელიწადში რამდენიმე ჯგუფად გადმოსახლებულ რუსებისა კიდევ მოიყვანეს და დაასახლეს. შარშან ორი კაცი გავვზავნეთ ნამესტნიკთან, რომელიც დაგვიპირდა ყველაფრით დავაკმაყოფილებთო. ამ ამბით გახარებული შევუდექით სოფლის გაშენებას, იმ ადგილზე, რომელსაც ჯერ კიდევ 1902 წლიდან შეგვიპირდნენ. გავჩეხეთ უვარგისი ტყე: ამოვავსეთ ხეები, გავიყვანეთ გზები და ჯერჯერობით ოთხმოც კომლამდე (120 კომლიდან) დავსახლდით, მაგრამ ჯერ ეს ადგილიც არ დაუმტკიცებიათ ოფიციალურად ჩვენზე, გარდა ამისა სახნავი მიწაც არ მოუციათ, იმ დროს, როდესაც ჩვენს მეზობლად გადმოსახლებულ კომლებს ოცდაერთი დესეტინა აქვთ, ხოლო ახალმოსულ რუსებს თითო მამაკაცზე ხუთი დესეტინა. ჩვენ არა გვაბადია რა და იძულებული ვართ მათგან ვიქირაოთ დესეტინა ორ—სამ თუმნად, ვიქირაოთ ის მიწები, რომელიც ჩვენვე გაქციეთ უღრანი ტყეებდასაგან სახნავად“.

„ზემლედელჩესკაია გაზეტაში“ (1893 წელი № 35) დაბეჭდილია კახეთის ახალი მემამულის ასტაფიევის წერილი სათაურით «Сельское хозяйство в Кახетии». ამ წერილში ავტორი რუსეთის მემამულეებს, ანუ მამულის შეძენის მსურველი უხატავს კახეთის სიმდიდრესა და სიმშენიერეს. მის მკვიდრთა სილატაკეს, აღნიშნავს აქაურთა მიერ ნამულების გაყიდვას ჩალის ფასად, და იწვევს მსურველთ, რათა იაფად შეიძინონ ძვირფასი მამულები. იქპარეთ, მოუწოდებს ავტორი, აქ მალე რკინიგზას გაიყვანენ და მაწინ ძნელი და ძვირი იქნება მამულის შეძენა. ვისაც ჭკუაში მოგივთ ჩემი სიტყვა, დაუყოვნებლივ გამოემგზავრეთ, კავკავამდის რკინიგზით მოხვალთ, იქიდან 10—12 მანეთად ჩამოხვალთ ტფილისამდე, მერე 2—3 მანეთად ამოხვალთ თელავს და ეს კი კახეთის გულია, იქიდან ჩემ მამულემამდე ოციოდე ვერსია და მე მიგიღებთ და გიხელმძღვანელებთ, უფრო აღმოსავლეთით ალაზნის ველის მდიდარი მამულებია, გზას უხიფათოდ გამოივლით, რადგან ქართველები მშვიდობიანი ერიათ. იმავე წერილიდან ჩანს, რომ ასტაფიევის ხუთი წლის განმავლობაში კარგი მამულები შეუძენია კახეთში.¹

ი. ჭავჭავაძე კი წერს: „ახლა ჩვენ ეს ვიკითხოთ: ზოგმა რომ კახეთის მამულები ვყიდოთ, ზოგმა ქართლისა, იმერეთისა, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა სადღა იბრუნონ სული, სადღა და როგორღა მოილოცონ და მოიხსენიონ ძვალნი თვისთა მამა-პაპათანი, თუ გვინდა ერად დავრჩეთ და არ გადავშენდეთ, ცარიელ მამულებში დავასახლოთ ჩვენივე მამულიშვილები, რომლებიც მამა-პაპათაგან სისხლით და ოფლითა დატოვებული.“²

უსიხარულო იყო ღარიბი გლეხის ცხოვრება. გარდა მეფის მთავრობისა, რომელიც ცდილობდა ძალით აეყარა დასახლებული გლეხობა, ყოველმხრივ შევიწროებულთ რუსიფიკატორული პოლიტიკით, გატანჯულთ, ცხოვრების საშუალებას არ აძლევდნენ იმ დროს მტრულად განწყობილი მეზობლები - ბელაქნისა და ყობაღროს სოფლების მცხოვრებნი, რომლებიც დღისით თუ ღამით თავს ესხმოდნენ ლაგოდების მოსახლეობას, სტაცებდნენ პირუტყვს და სარჩო-საბადებელს, შეღამდებოდა თუ არა, მოსახლეობა სახლებში იკეტებოდა. რადგან გაუვალი ტყეები ყაჩაღებით იყო საესე. ღარიბი გლეხობის მღვთმარეობას აუარესებდა აქ გაბატონებული მიწისმფლობელების და ვაჭრების მზაკერობაც, რომლებმაც ადგილობრივი ღარიბი გლეხობის გარდა, ალაზნის გაღმა მდებარე ტიბაანის, საქობოს, ზოდბისხევის,

¹ გაზეთი „ზემლედელჩესკაია“ № 34 1894

² ივერია; № 193 1893 წ.

მაშნაარისა და სხვა სოფლების გლეხობას ქირაობდნენ თამბაქოს და სამუშავებლად და ექსპლოატაციას უწევდნენ.

1864 წლიდან ლაგოდებში თამბაქოს კულტურა დაიწყო. გაჩნდა მოსახლეობის ფენა, რომელიც იძენდა თამბაქოს და თბილისსა და რუსეთში გაჰქონდა გასაყიდად. 1886 წლისათვის თამბაქოს პლანტაციებს უკვე ეკავათ 6000 დენტინა მიწა. ლაგოდებში მოყვანილმა თამბაქომ სახელი გაითქვა—იგი გაჰქონდათ პეტერბურგში, ოდესაში, როსტოვში, ბაქოსა და იმპერიის სხვა დიდ ქალაქებში.

ამ პერიოდში ლაგოდებში ცხოვრობდა დიდად სწავლული მეურნე ლუდვიგ მლოკოსევიჩი, რომელიც მოსახლეობაში მეთამბაქოეობისა და მეფუტკრეობის განვითარების პროპაგანდას ეწეოდა. 1890 წლისათვის ლაგოდებში 100 ათას ფუთამდე თამბაქო მოჰყავდათ. თამბაქოს ყიდვა-გაყიდვით მდიდრდებოდნენ ჩამოსული შემსყიდველები და ფაბრიკანტები. გლეხების შრომა კი მიწის გადასახადის ხარჯებას ვერ ანაზღაურებდა. ამიტომ ლ. მლოკოსევიჩი მოუწოდებდა გლეხებს, უკეთესია მეფუტკრეობას და მარცვლეული კულტურების მოყვანას მოვკიდოთ ხელით 1890-იანი წლების შეორე ნახევრიდან მეთამბაქოეობა ძალზე შემცირდა. დაიწყო ხორბლისა და სიმინდის მოყვანა. იმ დროინდელ პრესაში და დოკუმენტურ წყაროებში აღნიშნულია, რომ მოსახლეობამ აქტიურად მიჰყო ხელი მეფუტკრეობას.

1890-იან წლებში მეფის ხელისუფლება დაინტერესდა თამბაქოს კლების მიზეზით. თამბაქოს კულტურის შემდგომი განვითარებისათვის პროპაგანდას ეწეოდა და საინტერესო ცდები ტარდებოდა ლაგოდებში სოფლის მეურნეობის და მიწათმოქმედების დეპარტამენტის წარმომადგენლის მ. ჩუბკოვის მიერ.

მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება ლუდვიგ ფრანცის-ძე მლოკოსევიჩის პიროვნების გაცნობა.

ლუდვიგ მლოკოსევიჩი დაიბადა 1831 წელს პოლონეთის ქალაქ ვარშავაში. ჯერ ოცი წლისაც არ ყოფილა, როცა პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების მზადებაში მონაწილეობისათვის, როგორც იატაკქვეშეთის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, სიკვდილი მიუსაჯეს. მისი დედა ანა იანკოვსკაია იყო გავლენიანი ოჯახის მფლობელი. დედის და მისი ახლობლების თხოვნით, მას სიკვდილით დასჯა შეუცვალეს და გადმოსახლეს კავკასიაში. სადაც გაანაწილეს თბილისის გერენადერთა პოლკში, რომელიც მაშინ ლაგოდებში იყო განლაგებული.

ლ. მლოკოსევიჩმა არმიის დაჰყო 1853-დან 1861 წლამდე. სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ ლაგოდებშივე დასახლდა. ტყესთან ახლოს ვაშლოვანის ტერიტორიაზე და სხვებთან ერთად, თამბაქოს მოყვანა დაიწყო, ხელი მოჰკიდა მეფუტკრეობასაც. ორ

წელსაც არ გაუვლია, რომ ყოფილი პოდპორუჩიკი პოლიციის მკაცრი ზედამხედველობით ვორონეჟში გადაასახლეს, როგორც რევოლუციურ მღელვარებებში მონაწილეობაში ეჭვმიტანილი. 6 წლის შემდეგ მეფისნაცვლის ვორონცოვ—დაშკოვის შუამდგომლობით გაათავისუფლეს და ისევ ლაგოდებში დაბრუნდა, ხოლო მოგვიანებით დედის მეცადინეობის შედეგად სამშობლოში დაბრუნების უფლებაც მისცეს, მაგრამ ლ. მლოკოსევიჩმა ველარ მიატოვა საქართველო და ლაგოდები, რომელიც მისთვის მეორე სამშობლოდ იქცა და სიცოცხლის ბოლომდე ლაგოდებში დარჩა. იგი ლაგოდების თვალწარმტაცმა ბუნებამ გაიტაცა და მეტყვევდ დაიწყო მუშაობა, თავის საკარმიდამოსთან ახლოს მოაწყო დენდრარეუმი.

მის სახლში მუდამ სტუმრობა იყო. მოდიოდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი—ქართველები, რუსები, სომხები, დაღესტნელები რჩევისა და მოსარჩლეობისათვის. მას თავის მოვალეობად ყოველთვის მიაჩნდა ადამიანთა დახმარება. ჰყავდა ათი შვილი, იგი ხშირად დადიოდა ექსპედიციაში მცენარეების და სხვადასხვა საგნების შესწავლის მიზნით. ამავე მიზნით მოაწყო გრძელვადიანი ექსპედიციები დასავლეთ საქართველოში, სპარსეთში, სომხეთსა და დაღესტანში დაღესტანში მორიგი ექსპედიციის დროს 1909 წლის 22 ივნისს გარდაიცვალა მოულოდნელად, საიდანაც მისი ცხედარი ჩამოასვენეს და დაკრძალეს მისთვის მეორე სამშობლოში, მისი ცხედარი ლაგოდების მადლიან მიწას მიაბარეს.

ეკონომიკურ გაჭირვებასთან ერთად ლაგოდების დარიბი გლეხობის აუტანელ მდგომარეობას კიდევ უფრო აძლიერებდა ადგილობრივ მემამულეთა მოქმედება ექსპლოატაციას უწევდნენ გლეხობას და წინააღმდეგობის შემთხვევაში სოფლებიდან ასახლებდნენ. აღნიშნულის დასადასტურებლად საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი: ოსურ სოფელ ქევხიანში 1916 წელს გლეხთა ძლიერი გამოსვლებისა და მის ჩასაქრობად გატარებული რეპრესიების შედეგად „სიღნაღის მაზრის სოფელ ქევხიანში თავად ჯანაძის მიწიდან გლეხების (21 კომლის) გადასახლების დროს მოხდა შეიარაღებული შეტაკება პოლიციასთან და ჯარის ნაწილებთან. გლეხთა გამოსვლამ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ მის ჩასაქრობად საჭირო გახდა ჯარის ნაწილების გამოწვევა ლაგოდებიდან“.

¹ კომუნისტი, 1987 წ. № 160.

საინგილო—ქართველთა მუდმივი სატყევეარია. იგი ხომ დედასამშობლოს მკერდიდან ძალით აგლეჯილი სხეულის ნაწილია, „ხორცი—ხორცთაგანი და სისხლი—სისხლთაგანია!“.

ეს ხვედრი მას საქართველოს ისტორიის შავბნელ ხანაში ხვდა წილად. როცა ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან მოყოლებული თათარ-მონღოლთა, ირან-ოსმალთა, დაღესტნელ ლეკთა წყალობით, ხელიდან-ხელში გადადიოდა.

საინგილო, დღეს საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრისპირა ლავოდეხისა და დედოფლის წყაროს რაიონების მიმდებარე ტერიტორიაა აზერბაიჯანის მხრიდან.

ლაგოდეხს, ტრადიციად ქცეული და გულთბილი მეგობრობა აკავშირებს ინგილოებით დასახლებულ ქალაქის, ზაქათალის, კახისა და შექის (ნუხის) რაიონებთან.

ამიტომ. ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, მკითხველს მოკლედ შევახსენო, დედასამშობლოს მიღმა დარჩენილი ჰერეთის ამ ულამაზესი მხარის მოკლე ისტორია და იქ ცხოვრების არსებული მდგომარეობა.


თუ მხედველობაში არ მივიღებთ ინგილო მკვლევარების დიმიტრი და მოსე ჯანაშვილების ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წიგნებს, კახეთისა და საინგილოს მეცნიერულ-ისტორიულ შესწავლას სათავე დაუდო გამორჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა ნიკოლოზ ბერძენიშვილმა.

საინგილოს ისტორიას მიუძღვნეს თავისი შრომები თ. პაპუაშვილმა, დ. მუსხელიშვილმა და ბევრმა სხვამ.

ქარ-ბელაქანის ოლქი ანუ საინგილო იყო საქართველოს ისტორიული პროვინცია. რომელიც კახეთის აღმოსავლეთ ნაწილს შეადგენდა ჯერ კიდევ XI საუკუნეში. მომთაბარე თურქ-სელჩუკების მიერ დაწყებულ საქმეს ფაქტობრივად აგრძელებდა თემურ-ლენგის მრისხანე შემოსევები (XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე), რომელმაც უდიდესი ზიანი მიაყენა ამ მხარეს, დედასამშობლოდან მოწყვიტეს.

ჩამოსახლებული მომთაბარე ტომებით შევიწროებული საინგილოს ქართველი მოსახლეობა თანდათანობით მიგრირებდა მშობლიური ადგილებიდან. ინგილო მოსახლეობის გამაჰმადიანებას თან სდევდა მშობლიური ქართული ენის სასტიკი დევნა. საუკუნეების მანძილზე, ისტორიული ავბედობის შედეგად, ეს მხარე ხან სცილდებოდა საქართველოს, ხან უერთდებოდა. მაგალითად: არაბების ბატონობის დროს

¹ ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან ტ. III,



რუკა 7. საინგილოს სქემატური რუკა (შეადგინა გ. ჩანავაშვილმა).

კახეთი გამოეყო ქართლს და ამავე პერიოდში შეიქმნა ჰერეთის სამთავრო, ხოლო 1010 წელს საქართველოს მეფე ბაგრატ III კახეთსა და ჰერეთს გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ფარგლებში აქცევს. XIV საუკუნის ბოლოს, მონღოლებმა ეს ადგილი შაქის სახანოდ აქცევს.

ქართველობამ ქრისტიანობა დიდხანს შეინარჩუნა. თემურ-ლენგის რვაჯერ შემოსევის მერეც საინგილოს ქართველები მაინც მტკიცედ იცავდნენ ეროვნებას, ქართულ ენასა და რწმენას.

შახ-აბაზის რისხვას, ვერც საინგილო გადაურჩა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება და XVIII საუკუნემდე გრძელდება. ლეკთა თარეზი, ინგილური სოფლებია კახი, მუშაბაში, ალათემური, ალიბეგლო, ყორღანი, ქოთოქლო, ზაგამი, თასმალო, ალიაბათი, მოსული, ენგიანი,

ითილა, ყანდახი, კაპანაჩი, ლალია-ფაშა, მარსანი, სოსკანი, შოთავარი, ვერხვიანი, სადაც ცხოვრობენ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები.

სტატისტიკური მონაცემებით თუ საინგილოს ამ სოფლებში 1831 წელს ცხოვრობდა 633 კომლი, 1900 წლისათვის 2775 კომლი, 1985 წლისათვის ეს ციფრი 100-მდე შემცირდა.

მას შემდეგ რაც საინგილო პოლიტიკურად ჩამოსცილდა საქართველოს (მე-18 საუკუნის 20-იან წლებში) და იქ გაბატონდნენ გამუსულმანებული ავარ-წახურები ინგილო გლეხთა სოციალური ჩაგვრა კიდევ უფრო გამწვავდა. ისლამი, სოციალური ჩაგვრის მიმე იარაღი იყო გაბატონებული ფენების ხელში.

1803—1830 წლებში მეფის რუსეთი თავის ექსპანსიური პოლიტიკის გატარებას საქართველოს მაჰმადიანურ პროვინციებში პირველად საინგილოდან იწყებს. ეს იმიტომ, რომ მეფის რუსეთის პოლიტიკოსები, აგრეთვე ცარიზმის კარზე მყოფი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებიც, საინგილოს ქართლ-კახეთის განუყრელ ნაწილად მიიჩნევდნენ; რუსეთმა ქართლ-კახეთი 1801 წელს რომ შეიერთა, საინგილო განზე დარჩა. იგი არ იყო მოხვედრილი თავიდან თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში.

ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, საინგილო არც ოსმალეთის იმპერიისა და არც ირანის, შემადგენლობაში მოხვედრილა იგი ამ დროს ფაქტიურად რჩებოდა ისეთივე თავისუფალი თემების შემცველ ქვეყნად, როგორაც ის XVII—XVIII საუკუნეში იმყოფებოდა.

XIX საუკუნეში რუსი ხელისუფალნი საქართველოს ამ ისტორიულ პროვინციას საინგილოს სახელწოდებით არ იხსენიებდნენ რუსები ამ მხარეს უწოდებდნენ ჭარის ოლქს, ჭარის სამფლობელოს. ეს იმიტომ, რომ იმ დროს ჭარის ძლიერ თემს ჰყავდა დამორჩილებული საინგილოში მცხოვრები ლეკთა დანარჩენი ყველა თემივ. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მთავრმართებელს პავლე ციციანოვს ლეკების საბოლოო დამორჩილება დაავალა. გენერალმა პ. ციციანოვმა გამართა მიწერ-მოწერა ჭარბელაქნის (საინგილოს) თემების მამასახლისებთან. ამ მიწერ-მოწერებიდან ჩანს, რომ კავკასიის მთავრმართებელი პ. ციციანოვი კარგად იცნობდა საქართველოს ამ ისტორიულ პროვინციის წარსულს. მან კარგად იცოდა თუ როდის მოსწყდა ჭარბელაქანი საქართველოს, რომ ლეკები წინათაც თავს ესხმოდნენ და აოხრებდნენ ქართლ-კახეთის სოფლებს. მან ისიც იცოდა, რომ ჭარბელაქანში ცხოვრობდნენ ძალად გამაჰმადიანებული ქართველები—ინგილოები, რომლებიც ლეკი

ბატონებისაგან ფარულად ქრისტიანულ ადათ-წესებს ასრულებდნენ - გენერალმა პ. ციციანოვმა მრისხანე წერილები გაუგზავნა ჭარ ბელაქნის მამასახლისებს, სადაც ის უბრძოლველად დანებებას უბრძანებდა. ამ წერილით აგებინებდა მამასახლისებს, რომ 1801 წლიდან ქართლ-კახეთი რუსეთის მფლობელობაშია და ჭარ-ბელაქანიც, როგორც ქართლ-კახეთის ყოფილი პროვინცია, უნდა დაუბრუნდეს თავის ძველ მფლობელს, რომელიც ძალით მიიტაცეს თქვენმა წინაპარმა ლეკებმა გასულ საუკუნეშიო.¹

ჭარ-ბელაქანიის მამასახლსებს გაგონილი ჰქონდა, რომ პ. ციციანოვი რასაც იტყოდა, იმის შემსრულებელი იყო. 1803 წლის 27 მარტს პ. ციციანოვმა საინგილოს მთავარი ციხე ბელაქანი აიღო. ამის შემდეგ აპრილში პ. ციციანოვს თბილისში დეპუტაცია გამოუგზავნეს, რომლებმაც უბრძოლველად დანებების შესახებ აუწყეს მთავარსარდალს. ამით რუსეთის მთავრობამ აგრძობინა ინგილებს, რომ ძლიერი რუსეთის ხელმწიფე მფარველი იქნებოდა ჭარ-ბელაქანში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის, თუ ისინი დაიცავდნენ და აღიარებდნენ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნეობას.

საინგილოს ქართველი მოსახლეობის ცხოვრებაში მომხდარმა პოლიტიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა მძიმე დადი დაასვეს ინგილოებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მთლიანად მაინც არ ჩამოსცილებიან ქართულ კულტურულ ცხოვრებას, ბოლომდე იბრძოდნენ ეროვნების შენარჩუნებისა და ქართული ენისათვის.

მე-XIX საუკუნის დასაწყისში სამართლიანად ამბობდა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე: „რაც ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა, მიეცი ძალა დაერდომილსა. სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა, მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა“.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ რუსეთის მიერ კავკასიის მთლიანი დაპყრობის შემდეგ დაუბრუნდა დედასამშობლოს მაჰმადიანურ სამყაროში მოხვედრილი და ძალით გამოუსულმანებული საინგილო, რაც XIX საუკუნის 60-იან წლებში მოხდა.

ჭარ-ბელაქნისა და ზაქათლის ადმინისტრაციულ ოლქებში გაერთიანებული საინგილო თბილისის გუბერნიას დაექვემდებარა.

ამ დღიდან იწყება აქტიური ურთიერთობა თბილისსა და საინგილოს შორის. ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის ეროვნული მოძრაობის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენელთა, აგრეთვე საეკლესიო მოღვაწეთა ინიციატივით, საინგილოსაკენ დაიძრნენ საქართველოს მოწინავე ინტე-

¹ კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტი ტ. II, დოკუმენტი № 1385

ლიგენციის წარმომადგენლები. ძირძველ ქართულ მიწაზე იგზავნებოდნენ მასწავლებლები, ექიმები, ქართულ ეკლესიის მოღვაწეები. თბილისისაკენ მოეშურებოდნენ მშობლიურ ენასა და სწავლას მოწყურებული ინგილო ახალგაზრდები.

სწორედ თბილისში მიიღეს განათლება დიმიტრი, მოსე და არჩილ ჯანაშვილებმა და მრავალმა სხვა ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა, რომელთა თავკაცობით დაიწყო ინგილო ქართველთა კვლავ გაქრისტიანების პროცესი.

XIX საუკუნის ქართულ პრესაში „დროებაში“, ივერიისა“ და სხვა, გაჩნდა რეპორტაჟები და წერილები საინგილოდან, რომლითაც ქართული საზოგადოება ეცნობოდა ინგილო ქართველთა ცხოვრებას. მათი ავტორები სხვებთან ერთად იყვნენ ახალგაზრდა ჟურნალისტები ვ. და მ. ჯანაშვილები, თბილისელი კორესპონდენტები. ქართული გაზეთები მკითხველს მოუთხრობდნენ, ინგილოთა ყოფაცხოვრებაზე, ადამიანებზე, თანამედროე მდგომარეობაზე.

საინგილოსთან გაცხოველებული ურთიერთობა დაამყარეს-სიღნაღის მაზრის, კერძოდ კი ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს მოსახლეობამაც. ინგილო გლეხებს ჭირნახული ჩამოჰქონდათ თბილისის, ბოდბისხევის, ლაგოდეხისა და კახეთის სხვა მაზრებზე.

თითქოსდა დაიწყო საინგილოს უძველესი ქართული მხარის ჩვენსკენ შემობრუნებისა და დედასამშობლოსთან შეერთების შეუქცევადი პროცესი. იგი გარდაუვალი ჩანდა რომ არა მსოფლიოს ახალი პოლიტიკური კატაკლიზმები პირველი მსოფლიო ომისა და მოახლოებული რევოლუციების სახით. ამ მოვლენათა ეპიცენტრში აღმოჩნდა კავკასიის რეგიონიც. პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთ ფრონტს ხომ სწორედ კავკასია წარმოადგენდა.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ რევოლუციას უკიდევანო იმპერიის დაშლა მოჰყვა. ჯერ საქართველომ, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ პერიოდში საინგილოზე საქართველოს იურისდიქცია ვრცელდებოდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლას ნუხის, ზაქათლისა და ბელაქნის ~~საქართველო~~ **საქართველო** მოსახლეობაც მოითხოვდა, რასაც ადასტურებს აქაური მუსულმანი ბეგების წერილი ნოე ყორდანიასადმი.

ამ მხარის ყოფნა საქართველოს შემადგენლობაში დააფიქსირა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამაც, რომლის თანახმადაც საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარი გადიოდა ზაქათლის იქით, ნუხის ანუ ~~შაქის~~ **შაქის** ახლოს. . .

მაგრამ, ნათქვამია „ადამიანი ბკობდა და ღმერთი იცინოდაო“. პეტერბურგის ბოლშევიკურ ამბოხებას, რაც შემდგომში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციად მოინათლა, საინგილოს შემოერთება დედასამშობლოსთან განუხორციელებელ ოცნებად აქცია. ბოლშევიკურმა XI არმიამ 1920 წლის აპრილში განხორციელებული ანექსიის შედეგად მაჭის წყლამდე დაიცვა ტერიტორიები და ცენტრის სიგნალს ელოდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შემოსაჭრელად.

1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკურმა რუსეთმა თავისუფალი საქართველოს ანექსიაც მოამთავრა.

ს. ორჯონიკიძის პოლიტიკის წყალობით საინგილო აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას დაუმკვიდრა და კვლავ დედასამშობლოს მიღმა დარჩა.

საინგილო დღეს საოცრად ულამაზესი და უმშვენიერესი მხარეა ჰერეთის ძველ მიწაზე, დაბურული ტყეებითა და ზვიადი, მაღალი მთებით, გაშლილი ველ-მინდვრებით, ნოყიერი. ბარაქიანი მიწებით.

გზა საინგილოსაკენ ხეთა „გვირაბით“ იყო დაფარული, ასე გვსურს ვუწოდოთ ლავოდენიდან კახისაკენ მიმავალ გზაზე გაშენებულ კაკლის ხეივნებს, რომლებიც გაზაფხულსა და ზაფხულში მწვანე ჩარდახებს ემსგავსებოდნენ, შორი მანძილიდან, მართლაც, ხეთა გვირაბებს მოგვაგონებდნენ, ასეთი ძველი კაკლის ხეები მცირედაა შემორენილი დღესაც, არსებობს პატარა, მაგრამ მრავალსმეტყველი გადმოცემა მათ შესახებ.

ამბობენ, თითქოს ამ მხარის მფლობელმა ერთმა ბეგმა მაცხოვრებლებს უბრძანა გზის ნაპირებზე კაკლები დარგეთო. თანაც დაჰპირდა, მომავალ გაზაფხულზე ნახავდა, როგორ შეესხმებოდა ხორცი მის სურვილს და ამისათვის დიდ გასამრჯელოს ჰპირდებოდა. გლეხებმა დარგეს კაკლები მაჭის—წყლიდან კახამდე.

გაზაფხულზე პირველი ფოთლები გამოიღეს ნარგავებმა. ყველა ელოდა ბეგის გამოჩენას და გასამრჯელოს. ბეგი მართლაც, მოვიდა, ნახა ნარგავები, მოეწონა და გლეხებს დაუბარა, კარგად მოევლოთ მათთვის. შეპირდა, რომ ორივე წელს გაწეული შრომის საფასურს მომავალში ერთად გადაუხდიდა. გლეხები მზრუნველობითა და გულისხმიერებით უვლიდნენ ნარგავებს და ელოდნენ ბეგს. გაიარა მეორე გაზაფხულმაც, მესამემაც, შერთხემაც. . . მაგრამ ამაოდ კაკლის ნარგავები კი დარჩნენ და გაიზარდნენ.

მას შემდეგ თითქმის საუკუნეზე მეტმა განვლო, კიდევაც შემორჩენილი თითო-ოროლა სიბერისაგან გადარჩენილი კაკლის ხეები. ახლაც ღვანან ამ გზაზე და ყოველ გაზაფხულზე, როცა ფოთლებით იმოსებიან, დაუსრულებლივ ჩურჩულებენ იმ ნაღვლიან ამბავზე, თუ როგორ, პოიტყუა ბეგმა გლეხები. . . .

უწინაც იყო ლამაზი დღეები. მაშინაც უხვად აფრქვევდა მზე ოქროსფერ სხივებს. ყოველ გაზაფხულზე ჰყვავოდნენ ალუბლები; ამაყად იღვნენ მთები და წარბშეუხრელი გოლიათებივით დარაჯობდნენ ბარს. მაშინაც „მზიური“ იყო საინგილო... მაგრამ ადამიანებს არ ჰქონდათ მოსვენება. მტრის ხარბი თვალი უცქეროდა საქართველოს და მათ გაუმაძღრობას ეწირებოდნენ უდანაშაულო ადამიანები. იყო ომები და სისხლის ნიაღვრები. იყო ბევრი. ძალიან ბევრი დარდი... მონღოლისაგან მიყენებულ მოუშუშებელ ჭრილობებს, თურქი შუბის წვერით ფატრავდა. მარწუხებს უჭერდა სპარსი... ასე გრძელდებოდა დიდხანს, ხოლო როცა საქართველოს სხეულს იგი საბოლოოდ მოჰკვეთეს, მაშინ დაიწყო ინგილოთა ყველაზე მძიმე და დიდი ტრაგედია.

ახსოვს ქურმუხის ხეობას ეს სიმწარე. ჰერეთის ამ მიწას თითქოს დღესაც ატყვია სპარსეთში გადასახლებული ასი ათასი ქართველის ნატერფალი. წყეულმა შაჰ-აბაზმა მარტო ეს როდი აკმარა ამ პატარა კუთხეს, მრავალთა საჯიჯგნად აქცია იგი, უპირველესად დაღესტნელი ლეკები ბევრჯერ მიუსია. ახლა ქურმუხს მალა მთის ფერდობებს შორის ყვითლად და მწვანედ აბიბინებული მინდვრები მოჩანს. ეს „აზნაურას“ ველებია, ოდესღაც ოცდაათი მამაცი აზნაურის ნასახლარი. ეს მიწა მათი სისხლითაა გაპოხილი, მტერთა ბრძოლაში დანთხეული სისხლით.

ახლა ყოველწლიურად მწვანედ ბიბინებს ამ მინდვრებზე გადაშლილი თამბაქოს პლანტაციები და პურის ყანები. უხუცესი ინგილოები-საგან ახალგაზრდებს ახლაც ახსოვთ, რომ აზნაურას ქვემოთ, სამხრეთით, მთის გადაღმა თავანის მინდვრებია, იგივე წარსული აქვს მასაც. მრავალი სიცოცხლე შეიწირა და ნასახლარებად აქცია სოფლები. დრომ თავისი გაიტანა. მომძლავრებულ მაჰმადიანობას საუკუნეებმა გაუმაგრეს ზურგი, რამაც თავისი დალი დაასვა ამ მხარეს. სევდითა და ტანჯვით აღსავსე ცხოვრებამ სრულიად წაართვა სიხარული ინგილოს, საუკუნეების განმავლობაში არ მღეროდა ინგილო გლეხი. სიმღერას ვინ ჩიოდა, გამაჰმადიანებულ ქართველებს მშობლიურ ენაზე ლაპარაკიც კი ეკრძალებოდათ, მაგრამ შინ ყველა ქართულად საუბრობდა, სახლების უკან სამლოცველოები მოეწყობოდა და ალაჰის შემდეგ ჩუმ-ჩუმად იესო ქრისტეს შესთხოვდნენ შემწეობას. ასე შეინარჩუნეს ენა, სარწმუნოება და ადათჩვევები, ხოლო კახის ქართველობამ ქრისტიანობაც დაიბრუნა.

მწუხარებასაც აქვს თავისი დასასრული, მოვიდა ახალი განთიადი ხალხთა ცხოვრებაში, მან საინგილოშიც შემოანათა, შეიჭრა ყოველ ოჯახში და მშვიდობიანი ყოფა და მეგობრობა დაამკვიდრა ამ მხარის

ხალხებს შორის. ამ მხარეშიც დამკვიდრდა სიმშვიდე და ბედნიერება ბოლო ათწლეულებში. აქაური სიმშვიდის მოწმე ხალხში რა უცარი გარდატეხაა ძველიდან ახლისაკენ, მეგობრობის წმინდა გრძნობები განახლებული ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ და აუცილებელ ქვაკუთხე დადაა ქცეული.

ახლა საინგილოს აქვს სიხარული, აქვს ხალისი, შესაძლებლობა და კეთილი სურვილები. იგი მხნედ აშენებს მომავალს, რომ საბოლოო დავიწყებას მიეცეს სევდიანი წარსული... ბევრი იმ ქართველი სათვის ძნელია როცა არ ცხოვრობ ქართულ მიწაზე გული კი ქართულ მიწას რომ ითხოვს, ეს მართლაც ბევრად ძნელია, მაგრამ ინგილოები ერთი მხრივ მართლაც ბედნიერები არიან იმით, რომ ისინი ძველი ჰერეთის თავიანთ მშობლიურ ქართულ მიწაზე ცხოვრობენ და განგებამ საბოლოოდ მათ მიაკუთვნა ამ მიწის პატრონობა და დაცვა საქართველოსთან ერთად.

ზაქათალა წარსულში მრავალი შემოსევების მომსწრე ქალაქი: შამილის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი, რომლის უტყუარ მოწმეს დღეს ძველი ციხე სიმაგრეები წარმოადგენენ.

ამაყად გადმოჰყურებს ქალაქს ქონგურებიანი გალავანი. მტკიცედ ნაშენი ქვის კედლები მიუქარებელსა და მკაცრ იერს ატარებენ, გალავნის სათოფურებიდან მეფის მთავრობა ყუმბარებს უგზავნიდა: შამილის მომხრე ჭარელ ლეკებს, ერთ დროს აუტანელი იყო ამ კედლებს შორის ცხოვრება.

დიდი ალაყაფის კარებს იქით ახლა სიცოცხლესა და ბედნიერებას დაუსადგურებია. გაზონები, ბიბლიოთეკა და მოსწავლეთა სახლი საძინებელი კორპუსები, სკოლა, საავადმყოფო, კლუბი, აბანო. ერთ ციდა ქალაქს დამსგავსებია ზაქათალას № 1 სკოლა-ინტერნატი. აქ ოთხ ასეულზე მეტ ბავშვს მზრუნველობას უწევდა სახელმწიფო. ინტერნატში აზერბაიჯანელსა და რუსულ განყოფილებებთან ერთად შექმნილია ქართული განყოფილებაც. ეს ინტერნაციონალური სკოლა ერთ დიდ ოჯახს წარმოადგენს, სადაც სხვადასხვა ეროვნების ბავშვები პატარაობიდანვე ერგებიან ერთმანეთის პატივისცემას და სიყვარულს.

წინათ თუ ეროვნული სიძულვილი და მტრობა ყველაზე მეტად შხამავდა ადამიანის სულს და იგი ყველა სნეულებაზე საშინელებას წარმოადგენდა ამ მხარეში, ახალმა ცხოვრებამ ეს შედარებით მცირედ გააჭვანტა. სოფლებში, მაღალ მთებსა და კლდეებში არაიშვიათად შეხვდებით გამოქვაბულებს, დანგრეულ ეკლესიებსა და მონასტრებს, ციხე-სიმაგრეთა ნაშთებს, ყოფილ სოფლებს (ლოქართის მონასტერი, ქურმუხის ეკლესია, კასრის საყდარი, თამარის ციხე, ულუქორფისხი-

დის, თამარის არხი, კახისა და ალავერდის ეკლესიები, ნასოფლარები: საკანი, აზნაურა, ფიფინეთი, გოგამი და სხვა.) რომელთა მდებარეობაც ძველი საქართველოს დიდებაზე მეტყველებს. არქეოლოგთათვის ძვირფასი განძია ჩაფლული საინგილოს მიწაში. იგი თავისთავად იწვევს მეცნიერებს, რათა მზის სინათლეზე გამოიტანონ საქართველოს ამ ღვიძლი კუთხის ადრინდელი კულტურა.

ნასოფლარებს მრავალმა სოფელმა შეინარჩუნა სიცოცხლე. ახლა სრულიად რომ იცვალა სახე. გამარჯვებულად აღამიანის მარჯვენამ გააშენა და დაამშვენა ისინი. სასიამოვნო სანახავია ახალი კახი, ალიაბადი, ალიბეგლო, ითითალა. მათ სოფლებს ჰყავთ თავკაცები, რომლებსაც მხარში უდგანან, ენდობიან და მიჰყვებიან თანასოფლელები.

კულტურულად დასვენება და გართობა უყვარს ინგილოს, კახისა და სხვა სოფლის კლუბის სცენებზე ხშირად იმართება კონცერტები, გაისმის ქართული ცეკვისა და სიმღერის ჰანგები. ინგილოთა მიერ წარმოდგენილი კონცერტები და თეატრალური სადამოებები ხშირად იმართებიან საქართველოს სხვადასხვა რაიონებში და თვით თბილისშიც, მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს. 1989 წლის ნოემბერში და გასულ წლებშიც კახის რაიონის, სოფელ ალიბეგლოს ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული სახალხო თეატრის დასის სპექტაკლები ანზორ დოლოენჯაშვილის თავკაცობით. კახის, ზაქათალის და ბელაქნის რაიონებში ყველა სოფელს აქვს სამედიცინო პუნქტი. ზოგიერთ სოფელში საკუთარი საავადმყოფოც გააჩნიათ. რაიონს ჰყავს 100-ზე მეტი ექიმი და 400 ექთანი. რაიონს აქვს 80-მდე სკოლა, რომელსაც 1000-ზე მეტი მასწავლებელი ემსახურება. 50-ზე მეტი ბიბლიოთეკა, 30-მდე კლუბი და კულტურის სახლი. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებისაგან აკლიათ ყურადღება,

მრავალი გამოჩენილი პიროვნების სახელი ამშვენებდა და ამშვენებს საინგილოს ისტორიას, მათ შორის იყვნენ ცნობილი ისტორიკოსები, დიმიტრი და მოსე ჯანაშვილები, ივან-ბაბა ბულულაშვილი, რაყდენ ხუციშვილი, კოტე ტარტარაშვილი, არჩილ დარეჯანაშვილი, გიორგი ჩანგაშვილი, აბელ ბაირამაშვილი, ბათლომე ხუციშვილი, იასონ ხუციშვილი და მრავალი სხვა. საინგილოს ამ განათლებული ადამიანების საფიქრალს წარმოადგენდა მუდამ დაჩაგრული მშობლიური კუთხე...

მაგრამ ეს ერთეულები, როგორც იტყვიან ზღვაში წვეთი იყო. უმცირესისა და ჩამორჩენილობის ჭაობიდან ამოსვლა მხოლოდ ყველა ინგილოს განათლებით შეიძლებოდა...

ოდესღაც დაბრწყვებულსა და გაუნათლებელ ინგილოს ვერც კი წარმოედგინა თუ ოდესმე მისი შვილი წერა-კითხვას ისწავლიდა. ახლა არა თუ ახალგაზრდობა ხანშიშესულთა უმრავლესობა დიდი ხანია წერა-კითხვის მცოდნეა.

ქართველი ინტელიგენციის და მთავრობის მზრუნველობით

სწავლა განათლებისა და კულტურის შემოჭრამ საინგილოში მკვეთრად დააყენა საკითხი მომზადებულიყო ადგილობრივი კადრები. საქართველოს სახელმწიფოს ზრუნვის საგნად იყო და არის ინგილოთა განათლების საქმე. ამიტომ არის, რომ საინგილო, რომელიც ერთ დროს უმცირესი ადგილი იყო, ამჟამად უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა დიდი ზროდენობით გამოირჩევა აზერბაიჯანის ამ მხარეში.

საინგილოსადმი ინტერესს ჯერ კიდევ XIX საუკუნის გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები იჩენდნენ. როგორც ცნობილია, საინგილოში გათხოვილ ქართველ ქალს სოფიო ყულოშვილს და მის თანამეგობრებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ი. ჭავჭავაძესთან და სხვა მწერლებთან, ისინი ხშირად ამოდიოდნენ თბილისში და მათი დახმარებით მიჰქონდათ წიგნები, რეკულები და სხვა საჭირო ნივთები კახის ბავშვებისათვის. ამ დროს კახში არსებულ ერთადერთ ქართულ ქალთა სკოლაში სხვა საგნებთან ერთად ქალბატონი სოფიო ასწავლიდა ჭრა-კერვასა და კერძების კეთებას. სოფიო ყულოშვილი ამვე დროს ყოფილა გლეხების გულკეთილი მრჩეველი და დამრიგებელი, ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის მშვიდობიანობის დამამკვიდრებელი, ინგილოები მას „ჩონ დედასა“ და „ჩონ მხსნელს“ უწოდებდნენ. იგი სიკვდილამდე ამ კუთხის გულშემამტკივარი დარჩა. სხვა ინგილო მოღვაწეებთან ერთად დასაფლავებულია კახის ეკლესიის ეზოში.

ომისა და მის შემდგომ პერიოდში. ქართველმა პედაგოგებმა ძირფესვიანად შეცვალეს ინგილო ბავშვთა სულიერი ცხოვრება.

საქართველოდან ჩასულთა შორის იყო მწერალი და ჟურნალისტი ქალი ალექსანდრა ჩხენკელი, რომელმაც ამ კუთხეს „მზიანი საინგილო“ უწოდა. კახის ახალგაზრდობის უფროსი თაობა დღესაც გულთბილად იხსენიებს პლატონ და ეკატერინე ბლუაშვილებს, რომლებიც თავის შვილებში არ არჩევდნენ ინგილო ბავშვებს. ასევე მადლიერებით იხსენებენ ავთანდილ შერვაშიძეს, თინა რუხაძეს, ნორა, ჯაგაშვილს, დონარა გუგუშვილსა და ბევრ სხვას, რომლებმაც თავიანთი დაუღალავი და უანგარო შრომით დიდი სიკეთე მოუტანეს ინგილოთა განათლების საქმეს.

უწინ ინგილო თავის ქალიშვილს შვილადაც არ თვლიდა, რადგან იგი სხვის ოჯახს უნდა მიჰკედლებოდა. გარდა ამისა ინგილო ქალისათვის ისიც დიდ უბედურებად ითვლებოდა ლამაზი რომ იყო. . . ლამაზ ქალს ლეკისათვის სახე არ უნდა დაენახებინა, თორემ მოტაცება არ ასცდებოდა. ამიტომ როგორც მოხუცი ქალები იხსენებენ, ლეკების შემოსევის დროს ფქვილსა და ნაცარს იყრიდნენ თავზე, სახეზეც ცოტაოდენ მურს წაითხაპნიდნენ, რომ ხნიერებად და ულამაზოებად მოსჩვენებოდნენ ამწიოკებლებს.

დღეს ინგილო ქალს ნახავთ სკოლაში მასწავლებლად, მინდორში აგრონომად, საავადმყოფოში თეთრ ხალათში გამოწყობილ ექიმად, სანიტრად და სხვა. ბევრი მშრომელი ინგილო ქალი რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წევრადაც გვევლინებოდა, ხოლო კანის ნიჟამის სახელობის კოლმეურნეობას რამოდენიმე წლის წინ სათავეში ედგა სოფლის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე მარიან ბელუ-ლაშვილი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ინგილოთა სიცოცხლის ხანგრძლივობა. ახლა საინგილოში ბევრია ოთხმოც—ოთხმოცდაათ წელს მიტანებული ადამიანი.

ბევრი ინგილო მოღვაწეობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. თბილისის უნივერსიტეტში კათედრის ხელმძღვანელია პროფესორი არჩილ ჯანაშვილი. თბილისში ~~მუშაობენ~~ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გივი ხუციშვილი. მეცნიერ მუშაკები ირაკლი ბაირამაშვილი, ნათელა როსტიაშვილი, ასრათ ასრათაშვილი და სხვები.

საინგილოზე რამდენიმე გულთბილი სტრიქონები მიუძღვნიათ ქართველ მწერლებს, პოეტებს და ჟურნალისტებს, ჩვენს ცხოვრებაში შე-
მოჭრილია, როგორც შორეული მაგრამ ამავე დროს ახლობელი, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი სიცოცხლეც, ჩვენი პატარა ლამაზი საქართველოს მოკვეთილი ნაწილია. იგი ისევე მტკიანულია რო-
გორც თავის დროზე საქართველოსათვის შეწირული შვილები, რო-
გორც პაატა და იაკობი. მათ წინაშე ყოველთვის იცოცხლებს სათუთი მოკრძალება და მოვალეობის გრძნობა, დღესაც ქართული სული ტრიალებს საქართველოდან ჩამოჭრილ ამ მიწა-წყალზე.

საინგილოს ამ პატარა მიწას და აქ მცხოვრებ ხალხს მტრობის, შიშის, დაცემის ბევრი საშინელი დღეები ახსოვს, მაგრამ მაინც საქარ-
ველოს გვერდით დგას და ქართული სიტყვისა და სულის ძალას სათუთად ინახავს.

ლამაზია საინგილო, მეტად თავისებური, ჯადოსნური მიწიღვე-
ლობა აქვს მის ნებიერა მთებსა და კორომიან ველებს. თავის მიწა-
წყლის საოცრად ერთგული და მოსიყვარულეა ინგილო, რა ვუყოთ, რომ ბევრი აყრილა და იქიდან წამოსულა, ამას თავისი მიზეზებიც აქვს გულით და ყოველთვის ამაყობენ თავისი კუთხის სილამაზით.

საინგილო საქართველოს უკურნებელი ტკივილი იყო და არის. თუმცა უკანასკნელ წლებში ქართველი პატრიოტები, საზოგადო მოღვა-
წეები, საქართველოს ხელმძღვანელობა ბევრს აკეთებენ. შეუნელებ-
ლივ ზრუნავს ამანი კეთილდღეობისა და ქართველობის ღირსების ამაღ-
ლებისათვის. მთავრობა როცა დავით გარეჯის საკითხს ვერ მოაგვარებს, ხალხისა და არასამთავრობოების აქციები დასჭირდება, მაშინ რაღა სხვა

პროლემებზე უნდა ვილაპარაკოთ. დღესაც ასე გრძელდება. ინგილოთა ცხოვრებაში, ბევრი პრობლემაა ჯერ კიდევ მოსაგვარებელი, განსაკუთრებით ერთა შორის ურთიერთობაში. განსაკუთრებით ახლა, როცა მთელს კავკასიაში დაძაბული ვითარება სუფევს, ყველაზე მეტად ახლა გვჭირდება საქართველოს ამ სათუთი სიმის უვნებლობა.

ყოველთვის როცა საინგილოს ძველი კაკლიანი ხეივანი დამშვენებული გზას მიჰყვები გამოუცნობი სიხარული და სიყვარული გეუფლება. რამდენიმე წლის წინ ჩემთან ჩეხეთიდან ჩამოსულ სტუმრებთან ერთად ორი დღე დავრჩი კახის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელთან ვასიკო ოთარაშვილთან რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა, დილით ადრიანად ავდექით შესანიშნავი დილა იდგა ტიკტიკობდნენ მერცხლები. ისეთივე მცხუნვარე მზე ამოვიდა, როგორც საქართველოს მიწაზე. გულდამძიმებული დავემშვიდობეთ იქაურობას, მხოლოდ ერთი ოცნება მოგვეყვებოდა თან ღმერთმა დაიფაროს საინგილო, ინგილო ხალხი ავისაგან, ბოროტებისაგან და კაცთა დაუნდობლობისაგან, გადაშენებისაგან. თვით ჩეხი სტუმარიც გაოცებას ვერ ფარავდა საინგილოს სილამაზისა და ქართული ისტორიული ძეგლების, ეკლესიების ნახვით, სტუმარმა მკვეთრად შეამჩნია ცხოვრების და სტუმართმოყვარეობის ქართული ტრადიციები.

ეს ყველაფერი ახალი ცხოვრებაა, მოტანილი მოკლე მიმოწილვიდან კი ნათელია, რომ ადამიანები წინა საუკუნეებთან განსხვავებით ხალისიანები და მხიარულები რომ არიან. მაგრამ ამ ყველაფერს აკლია შედეგი საქართველოს მთავრობის მუდმივი ზრუნვისა. ქართველი მწერლების და ხელოვნების მუშაკების, ხშირი სტუმრობისა. ვინ და რომელი კუთხიდან არ მიდიან იქ ინგილო ხალხის სანახავად და სამეგობროდ, მიდიან, რომ ინახულონ ჰერეთის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილი. ულამაზესი არა მარტო თავისი გარეგნული სახით, ბუნებით, არამედ თავისი ცხოვრების შინაარსითაც.

მიუხედავად მრავალი გატარებული ღონისძიებებისა დღევანდელი ღონისძიებით საინგილო ჩვენი საზოგადოებისათვის მკვეთრად გამოკვეთილი პრობლემაა, ის ჩვენი ეროვნული სატიკვარის ერთ-ერთი მოუშუშებელი იარაა. ასეა თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია ბედისაგან გარიყული ეს პატარა კუთხე მძიმე ხვედრის ერთი მუჭა ხალხით მაინცდამაინც მთლად კარგ დღეში არაა. არადა ეს ხალხი, როგორც უკვე ავღნიშნეთ, რომელსაც ორასიოდ წლის წინათ ინგილოები შეერქვა ყოველთვის თავის ადგილზე ცხოვრობდა და ცხოვრობს. აქ იყო ძლიერი, გავლენიანი და მდიდარი ქართული ისტორიული პროვინცია ჰერეთი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის, როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიკურ ცხოვრებაში. აქ კახეთის მეფეები ჭრიდნენ ოქროსა და ვერცხლის მონეტებს,

ხდებოდა ვაჭრობა უცხოელ ვაჭრებთან. დღეს კი ისინი საქართველოს არ ეკუთვნიან. მოვლენები განვითარდა და ისტორიის ჩარხი ისე შემობრუნდა, რომ ამ ქართულ კუთხეს ახალი მუდმივი პატრონი გამოუჩნდა აზერბაიჯანის სახით. მაგრამ ის რაც ხდება საინგილოში, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. საქართველოდან ყველა ჩასულს ეჭვის თვალთ უყურებდნენ და დღესაც ასე გრძელდება. საკმარისია ორჯერ, სამჯერ გნახონ, იქ ჩასული სტუმრად ოჯახში, სკოლაში ან სხვა დაწესებულებებში, ეჭვის თვალთ გიყურებენ, ეს ჩემი ლაგოდეხში კომკავშირის რაიკომის პირველ მდივანად მუშაობის დროს პრაქტიკულად ბევრჯერ პირადად შემხვედრია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის და საშეფო კომისიის წარმომადგენლებთან ერთად ყოფნის დროს. ვერ იტანენ აზერბაიჯანელი მცხოვრებლები საქართველოდან ჩასულ ავტომანქანებსაც კი, ასეთი დამოკიდებულება არც მოქალაქეთა უფლებრივი მიდგომით არ შეიძლება იყოს გამართლებული.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჯაბალში მცხოვრები აზერბაიჯანელების ცხოვრებაში ქართველი ხალხის დამოკიდებულებაში ასეთი მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა. არავითარ ხელის შემშლას არასოდეს ადგილი არ ჰქონია ადგილობრივი ხალმძღვანელი ორგანოების მხრიდან ნუთუ აქედან გამომდინარე აზერბაიჯანის ამ რაიონების ხელმძღვანელობამ და იმ ხალხმა, რომლებიც ინგილო ხალხის გვერდით ცხოვრობს ვერ უნდა შეხედონ და შეიგნონ, მაგრამ ეტყობათ არ უნდათ რომ დაინახონ ქართველი ხალხის ეს დიდი სიკეთე და ინტერნაციონალური სულისკვეთება, რომ ქართველ ერს ოდიღვანევე ეს ჩვევა მოსდევს, მაგრამ კარგ დასაწყისს ყოველთვის კარგი დასასრული არ მოჰყვება თუ კაცი ამ სიკეთეს არ დაგინახავს.

აქ მინდა ერთი აღმამეფოთებელი ფაქტიც მოვიშველიო გაზეთიდან და გავაცნო მკითხველს (გაზეთი ლიტერატურული საქართველოს 1989 წელი 15 იანვარი) როგორც აქ აღნიშნულია მხოლოდ კახის რაიონში ცხოვრობენ ქრისტიანი ქართველები, ბელაქანსა და ზაქათალის რაიონებში მაჰმადიანი ქართველები, ეს უკანასკნელნი გაცილებით მეტნი არიან ქრისტიანულ ქართველებზე, ქრისტიანი ქართველები ქართულ გვარებს ატარებენ და პასპორტშიც ქართველი უწერიან. რაც შეეხება მაჰმადიან ქართველებს გვარები აქვთ აზერბაიჯანული და პასპორტშიც აზერბაიჯანელი უწერიან. ქართულს კი გამართულ ენით ლაპარაკობენ. ყოველივე ეს მოხდა წინა წლებში ძალდატანებით და რაც მთავარია ეროვნული უფლებების უხეშად შელახვით.

1959 წლის აღწერით აზერბაიჯანში აღრიცხულია 9500 ქართველი. 1979 წლის აღწერით კი არცერთი. საინტერესოა ეს როგორ მოხდა? ინგილოები ქართველები არიან და თავიანთ ისტორიულ მიწაზე

ცხოვრობენ, მხოლოდ უნდა მოგვარდეს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა და აზერბაიჯანში თავის მიწაზე მცხოვრებ ქართველთა ეროვნული უფლებრივი მდგომარეობის გათანაბრების საკითხი.

კიდევ ერთი აღმამოფოთებელი ფაქტი ინგილოთა დღევანდელ ცხოვრებაში გასული წლის დეკემბერში საქართველოს ნაციონალისტური პარტია საინგილოდან ჩამოსულ რამდენიმე კაციან დელეგაციას შეხვდა. სტუმრებმა დამსწრე ხალხს და ჟურნალისტებს საინგილოში ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ქართული მოსახლეობის შევიწროების ფაქტებზე მოუთხრეს. აქ აღინიშნა, რომ საინგილოს, კახის, ზაქათალის და ბელაქნის რაიონებში ამჟამად დაახლოებით 25 ათასამდე ქართველი ინგილო ცხოვრობს, რომლებსაც პოლიტიკურად შევიწროებულ პირობებში უხდებთ ცხოვრება. სამუშაო ადგილებს ინგილოებს არ აძლევენ, ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც მთლიანად აზერბაიჯანელებისაგან შედგება მათ პირდაპირ უცხადებენ თქვენთვის სამუშაო ადგილები არა გვაქვსო. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში განათლებამიღებული ახალგაზრდები ფაქტობრივად უმუშევრები არიან.

ხალხთა ინტერნაციონალური აღზრდა კაცობრიობის კეთილშობილური მისია ყოველთვის იყო და არის, ამიტომას უნდა ვუფრთხილდებოდეთ, რადგან საქმე გვაქვს ადამიანის ყველაზე ფაქიზი და მგრძობიარე სათუთ გამოვლინებასთან.

მაგრამ უკანასკნელი 10-15 წელია საქართველოს მთავრობას, განათლების და მეცნიერების ან ჯანდაცვის სამინისტროებს არვითარი ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგიათ, ერთხელაც არ მოუწყვიათ გასვლითი რაიმე ღონისძიება, უნდა ითქვას რომ ეს სჭიბთხი საერთოდ მიტოვებულია ბოლო წლებში. ეს ფართო შესაძლებლობებს მოგვცემს აზერბაიჯანში მცხოვრებ ინგილოებთან ურთიერთობაში, მაგრამ აუცილებელია საინგილოში მცხოვრებ ქართველებთან კონტაქტების კიდევ უფრო გაღრმავება და სისტემაში მოყვანა, განსაკუთრებით ლაგოდეხის და კახეთის რაიონებისაგან რა წინააღმდეგობების გადალახვაც არ უნდა შეგვხვდეს, რათა ამ ურთიერთობას ქონდეს ნამდვილი ძმური ხასიათი. რადგან ისე მოხდა, რომ ისტორიამ აქ ჰერეთის ამ მადლიან მიწაზე საბოლოოდ ინგილოებს, ამ ხალხს მიანდო და დაუმკვიდრა აქ ცხოვრება. კულტურული ძეგლების მოვლა და შენარჩუნება.

ხშირად ხომ ამბობენ, რომ ქართველ კაცს სხვაზე მეტად უჭირს სამშობლოს გარეთ ცხოვრებაო, ქართველისათვის საქართველოს გარეთ ყოფნა რასაც ნიშნავს, ეს მხოლოდ ქართველმა იცის. ამის ფაქტი კი სახეზე გვაქვს ძველი ჰერეთის მიწაზე ინგილოთა ცხოვრება.

მე მახსოვს წინა ხელისუფლების დროს გ.ლომაიას განათლების მინისტრობის დროს მოაწყვეს ორგანიზებული ჩასვლა საინგილოში, მიჰქონდათ სკოლების-თვის წიგნები, სასწავლო რუქები და სხვა სამედიცინო დახმარების საჩუქრები. მინისტრი გ.ლომაია და სხვა დელეგაციის წევრები არ შეუშვა აზერბაიჯანის მხარის საბაჟო და სასაზღვრო სამსახურებმა. ბოლოს უთხრეს ინვენტარს ვერ გაგატანთ თქვენ გაგიშვებთო, იძულებული გახდნენ დაბრუნებულიყვნენ უკან თბილისში. მას შემდეგ კი არაფერი სასიკეთო ძვრები აღარ მომხდარა. პირიქით ბოლო წლებში უფრო ძალიან დაიძაბა სიტუაცია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან საზღვის შესახებ.

უფროკიდევ საოცრება და საშინელება აზერბაიჯანის მთავრობის მხრიდან. ლაგოდები-ბელექნის საზღვართან ხიდთან ხევს აქეთ ჩვენსკენ არის 4-5 ჰექტარი ტერიტორია, რომელიც სასაზღვრო რუქის მიხედვით თურმე ეკუთვნით აზერბაიჯანს,

2001 წელს ლაგოდებელებმა აქ წამოიწყეს ბაზრის მშენებლობა, ააშენეს რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით საწყობები, გააკეთეს რკინის კაპიტალური დახლები, კიდევ გადახურეს, შემოღობეს რკინა-ბეტონის მასალით. ამ პერიოდში აზერბაიჯანის მთავრობამ უარი უთხრეს ბაზრის გახსნაზე, იმ მოტივით რომ ტერიტორია იყო აზერბაიჯანის, ჩვენმა მთავრობამ ეს საკითხი დღემდე ვერ გადაწყვიტა. მიტოვებულია ეს ადგილი და გადავლილია ეკალბარდებით. აქედან გამომდინარე აწი საქართველოს მთავრობის რაიმე იმედი უნდა გვქონდეს?

2020 წლის იანვარში ბრიუსელში ჩატარდა ევროპის და ევროკავშირის ქვეყნების ხელმძღვანელების კონფერენცია, იქ დაიგეგმა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ირხამ ალიევის და სომხეთის პრემიერ მინისტრის პაშინიანის შეხვედრა მთიანეთის ფარგლების საკითხზე. პაშინიანმა უთხრა მთიანეთ-ყარაბაღი ისტორიულად წინა საუკუნეებიდან არის სომხეთის ტერიტორია, აზერბაიჯანი კი როგორც სახელმწიფო იმ დროს საერთოდ არ არსებობდაო, აალიევმა ვერაფერი ვეღარ უპასუხა, აიჩეჩა მხრები და გაწითლდა, ერთი კი უთხრა, რომ აზერბაიჯანელ მეცნიერებს აქვთ ამის დასაბუთებული მასალებიო.

საქართველოს რომელიმე მთავრობა აზერბაიჯანის მხარეს როდისმე დაელაპარაკება ძირძველი ჰერეთის ტერიტორიის შესახებ? ვიმეც ხომ უნდა აუხსნას მათ რომ ჰერეთის ეს ტერიტორია და ნუხი (გიში) მე-7 საუკუნიდან არჩილ მეფის სატახტო ქალაქი და რეზიდენცია იყო.

აქვე მინდა მოვიყვანო აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის შესახებ მოკლედ ისტორიული საინტერესო მონაცემები (ქართული ენციკლოპედია ტ-1, გვ-187) აზერბაიჯანის რესპუბლიკა შეიქმნა 1920 წლის 28 აპრილს, 1922 წლის 12 მარტიდან შედიოდა ამიერკავკასიის ფედერაციაში, ხოლო 1936 წლის 5 დეკემბრიდან უშუალოდ შევიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამჟამად აზერბაიჯანის ფართობია 86.6 ათასი კვ/კმ. მოსახლეობა 1974 წლის 1 იანვრისათვის იყო 5 514 ათასი ადამიანი. 2019 წლის 1 იანვრისათვის მოსახლეობა შეადგენს 9 881 457 ადამიანს. ე.ი. 45 წელიწადში მოსახლეობა გაიზარდა 4 467 422 ადამიანით. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ასეთია; აზერბაიჯანელი 91,6%, ლეზგები 2,02%, თალიშები 1,26 %, თურქები 0,46 %, უკრაინელები 0,24 % და ქართველები 0,11%. გამოდის რომ ჰერეთის ძირძველ ქართულ მიწაზე ლავოდებიდან ნუხამდე (გიში) 165 კილომეტრი სიგრძის საქართველოს ტერიტორიაზე ინგილოები არიან ყველაზე მცირე ეთნიკური მაცხოვრებლები., ეს იმიტომ რომ აზერბაიჯანის მთავრობა ყოველწლიურად უფრო და უფრო ავიწროებს ინგილო მოსახლეობას და აიძულებენ მიიღონ აზერბაიჯანული გვარები, ყოველივე ამას საქართველოს მთავრობები კაბინეტებიდან შესცქერავენ.

ბუღუ მდივანი (1920-1921 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე) მშობლიური პარტიის დეკალბით 1921 წლის 5 ივლისს მისი თავმჯდომარეობით ქობილისში ჩატარდა საქართველოს სსრ-ს და აზერბაიჯანის სსრ-ს წარმომადგენელთა კონფერენცია რომელზეც განიხილეს სასაზღვრო ზოლის საკითხი, ამავე წლის 15 ნოემბერს კი ხელი მოაწერეს საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკების საზღვრების თაობაზე შეთანხმებას საქართველოს სახელით საქართველოს სსრ რეკომის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ბუღუ (პოლიკარპე) მდივანმა და აზერბაიჯანის იმავე უწყების თავმჯდომარემ მურხატარ გაჯიზადემ და საბოლოოდ საქართველოს სხეულს ჩამოათაღეს მისი ისტორიული ორგანული განუყოფელი ნაწილი ჰერეთი.

ბუღუ მდივანი 1928 წელს გაათავისუფლეს ყველა დაკავებული თანამდებობიდან, გარიცხეს პარტიის რიგებიდან და გადასახლეს ციმბირში 3 წლით, 1931 წელს აღიარა და მოინანია შეცდომები. 1937 წლის 9 ივლისს საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ სხვადასხვა წლებში მუშაობაში დაშვებული ბრალდებებით მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა და დახვრიტეს მეორე დღესვე. ასეთი პოლიტიკური მოღვაწის მიერ აზერბაიჯანთან ჰერეთის ტერიტორიის საზღვრის შეთანხმების ხელმოწერა, რატომ არ შეძლება გადაიხელოს საქართველოს

მთავრობის მოთხოვნით, როგორც ისტორიულ მასალებშია მოცემული ეს იყო შეთანხმება და არა ხელშეკრულება.

საქართველოს ტერიტორია 2020 წლისათვის არის 69,7 ათასი კვ.კმ. მოსახლეობა 3 700 ათასი ადამიანი. ხოლო სომხეთის ტერიტორია არის 29,8 ათასი კვ.კმ. მოსახლეობა 3 326 ათასი ადამიანი. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ინტერნეტში აზერბაიჯანის შესახებ ყველაფერი მონაცემებია, არაა მხოლოდ ტერიტორიის მონაცემები, ბევრი ფიქრის შემდეგ მივაკვლიე ტერიტორიის მონაცემებს ქართულ ენციკლოპედიაში, ტერიტორია არის 86,6 ათასი კვ.კმ. მოსახლეობა 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგენს 9 881 457 ადამიანს. ასეთი სწრაფი გამრავლების და ამ მონაცემებიდან გამომდინარე აზერბაიჯანის მთავრობა თავისით არასოდეს არ დათმობს ჰერეთის ტერიტორიას.

ჰერეთში მცხოვრებ ინგილოებს თუ დავუბრუნებთ ქართულ გვარებს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მცხოვრებთა რაოდენობა 0,11% დან გაიზრდება ალბათ 20%-მდე და შესაძლებელია მეტიც, მაგრამ ეს არ აწყობს აზერბაიჯანის მთავრობას რომ საქართველოს მთავრობას პრეტენზიები არ გაუჩნდეს ჰერეთის ტერიტორიაზე მოლაპარაკებისათვის და ინგილო მოსახლეობის საქართველოში შემოერთებისათვის.

საქართველოს ტერიტორია 1918-1921 წლებში მოიცავდა 107,6 ათას კვ/კმ. ბოლშევიკების ოკუპაციის შემდეგ რუსეთმა მიისაკუთრა 4 400 კვ.კმ. ტუაფსეს აქეთ სოჭის ოლქო და აფხაზეთის კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი პილენკოვო ახლანდელი განთიადი. საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ აზერბაიჯანს უფუშკაშა 6 000 კვ/კმ. ზაქათლის ოლქი, გარეჯის ველი, ყარაიაზის სექტორი, ელდარი. სომხეთს კი 4 600 კვ/კმ. ლორე და ალავერდის მხარე. თურქეთს კი სამუდამოდ მფლობელობაში გადასცეს 23 000 კვ/კმ. 200 ათასი მცხოვრები ქართველებით.



1970 წელი. ლაგოდეხისა და ბელექნის რაიონების წარმომადგენლების მიერ მსოფლიო საერთაშორისო ახალგაზრდობის დღის აღნიშვნა ვეტერანებთან ერთად

ბამოყენებული ლიტერატურა

1. აფაქიძე ა.—ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, 1963.
2. ბერძენიშვილი ნ.—საქართველოს ისტორიის საკითხები I, II, III, IV, V, ტ.
3. ბარნოვი ვ.—ნახარა სასლო.
4. ბატონიშვილი ვახუშტი — აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, 1973.
5. ბროსე მ.—საქართველოს ისტორია ნაწილი პირველი, 1885.
6. ბრძოლა თამბაქოსათვის — რაიონული გაზეთი საქ. კპ. ლავოდების რაიკომის და სახალხო დემუტატთა რაიონული საბჭოს ექვსდღიური ორგანო 1933—1941.
7. გუგუშვილი ლ.—ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა 1979.
8. გამარჯვების დროშა—რაიონული გაზეთი საქართველოს კპ ლავოდების რაიკომის და სახალხო დემუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო 1951—85.
9. დუმბაძე გ.—აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან 1953.
10. ივერია — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.
11. კაციაძე დ. — საქართველო XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე, 1975.
12. კიკვიძე ა.—საქართველოს ისტორია XIX საუკუნეში, 1954.
13. ლომოთრი ნ.—ეგრისის სამეფოს ისტორია 1968.
14. ლომსაძე შ.—გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, 1974.
15. მეგრელიძე შ.—საქართველო აღმოსავლეთის ომებში 1960.
16. მეტრეველი რ.—დავით აღმაშენებელი, 1965.
17. შამისაშვილი კ.—ლავოდების სახელმწიფო ნაკრძალი, 1960.
18. მუსხელიშვილი დ.—ისტორიული გეოგრაფიის კრებული III,—კახეთ-ჰერეთის პოლიტურ გეოგრაფიის საკითხები.
19. ნორაძე რ. — საქართველოს კომპარტიის საქმიანობა დიდი სკამულო ომის წლებში თბ., 1980.
20. ნუცუბიძე ა.—საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. X 1967 წ.
21. ნორაძე გ.—ალაზნის ველის გათხრები. თბ., 1940.
22. პაპუაშვილი თ. — ჰერეთის ისტორიის საკითხები 1970.
23. რატიანი პ. — ილია ჭავჭავაძე 1965.
24. სურგულაძე ა.—საქართველოს შეერთება რუსეთთან 1977.
25. სანიკიძე ლ. — დედა ისტორია 1986.
26. სიმართლე — გაზეთი საქ. კ. პ. სიღნაღის საბაზრო კომიტეტის და აღმასკომის ყოველკვირეული ორგანო 1922—1931.
27. სამეცნიერო შრომები — ლავოდების ნაკრძალის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო სხდომის მოხსენებთა თეზისები 1983.
28. საქართველოს კომეურნე — ჟურნალი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანო 1951—1955.
29. საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა ნაწ. I, 1925.
30. ტუხაშვილი ლ. — ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, 1972.
31. ფრონელია ა.—ამბოხება კახეთისა 1907.
32. ჯანელიძე ლ. — გაზეთი მოლოდიოე გრუზი № 59 1965.
33. ჯანაშვილი დ. — ჰერეთის აღწერა 1901
34. ქარქაშაძე ნ. --- მსოფლიოს სოფლიოს მეურნეობა
35. ჯაოშვილი ვ. — საქართველოს მოსახლეობა XVIII—XIX საუკუნეებში 1984.
36. ცინცაძე თ. — აღა-მაჰმად ხანის თავდასხმა საქართველოზე 1959.
37. ხაჭაპურიძე გ. — გლეხთა მოძრაობანი, საქართველოში XIV საუკუნეში 1933.
38. Марков Е. Л. и Л. Л. Млокосевич — Закатальский заповедник. Изд. Аф-зила, Акад. наук СССР Баку, 1935.
39. Кузнецов Н. И. — Лагодехское ущелье в кавхетии на кавказе, как памят-ник природы подлежащий охранению. Изд. Акад. наук. СЛБ, 1911.

სარჩევი

შესავალი.....	4
ლაგოდეხელები ამ მადლიან მინაზე რომ ვსახლობთ, დიდი ილია ჭავჭავაძის დამსახურება.....	6
წარსულის ისტორია საქმეს შეჭიდებული პოლიტიკური მოღვაწეები და სოფლის მეურნე თავკაცები.....	29
ლაგოდეხის ისტორიაში დარჩენილი ღვანლმოსილი ექიმები.....	53
ლაგოდეხის რაიონიდან საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატები.....	55
კიდევ ერთხელ ლაგოდეხის რაიონის პირველი პირების, გამგებლების ირგვლივ - 1990-2020 წლები.....	64
ლაგოდეხში აღზრდილი ხელმძღვანელები.....	71
ლაგოდეხში სიკეთით გამორჩეული ადამიანები.....	74
ლაგოდეხის კულტურის ძეგლები, ლეგენდები და სინამდვილე.....	79
ლაგოდეხის წარსულის სოფლის მეურნეობის ისტორია და აღმშენებლობა.....	98
ლაგოდეხელები დიდ სამამულო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.....	122
როგორ დასაფლავეს თავებმა კატა, იოსებ სტალინის გარდაცვალების ღამე.....	145
გიორგი (გოგიტა) გოგობერიშვილი – ლაგოდეხელი პოლკოვნიკი.....	149
ვასილ მჟავანაძის საინტერესო სტუმრობა ლაგოდეხში.....	150
ლაგოდეხში ჩემი განვლილი წლები და რესპუბლიკის ხელმძღვანელობის სტუმრობა.....	155
ჩემი ლაგოდეხის სიყვარულით.....	166
ისტორიული კანონზომიერების შედეგი, რომელიც აღარ მთავრდება – 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია.....	168
ლაგოდეხელი მამუკა ნოზაძე.....	174
21-ე საუკუნის გაელვება, „ქართული ოცნება“ „ნაციონალური მოძრაობა“.....	182
ბიძინა ივანიშვილისა და გიორგი მარგველაშვილის სტუმრობა ლაგოდეხში.....	182
სტალინის ჩინეთი, რომელიც განვითარებული ქვეყანა გახდა.....	190
ლაგოდეხის მერიაში კიდევ ერთი აღმამფოთებელი ფაქტი.....	194
რა ხდება ლაგოდეხში, ბიზნესის განვითარების პერსპექტივები თუ მოჩვენება.....	196
ევროპის ქვეყნების სოფლის მეურნეობა.....	204

მეთამბაქოება გადაარჩენს ლაგოდეხს და არა მარიხუანას წარმოება.....	217
ლაგოდეხის ნაკრძალი (დაცული ტერიტორია) – ბუნების უმშვენიერესი ქმნილება	226
ჰერეთის დიდი ისტორია, საინგილოსაკენ მიმავალი გზა საქართველოს ტკივილია	241

